# კვირის პალიტრა

№ 2 (414) ◆ 13 – 19 იანვარი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## საქართველო — უმწყემსო, მგლებგარეული ცხვრის ფარა



გვ.3

საქმე მარტო ფულის შოვნა კი არ არის, მთავარია, კაცმა მისი დახარჯვა იცოდე

— ფესვებმოკიდებული ბერმუხის ნაცვლად საქართველო ფულურო ხე აღმოჩნდა, რომელსაც ბაიყუშები დაჰპატრონებოდნენ და არწივობდნენ...

— ცნობილი ფაქტია, თბილისში ერთმანეთის გვერდით მეჩეთი, სინაგოგა და ეკლესია რომ დგას. რა ვქნათ ახლა, საქართველოს დროშაზე ნახევარმთვარეც გამოვსახოთ, დავითის ვარსკვლავიც და ჯვარიც?

რომ არავის ეწყინოს, მაშინ გამჭვირვალე ცელოფანი ავირჩიოთ დროშად!

## კაკუბავა სურმანიძეს და ლომინაძეს ცემით ემუქრება...

„ჭკვიანად იყოს, თორემ საკადრისს მიიღებს“ — ემუქრებიან კაკუბავას გვ.5,7

— კაცი არ ვიქნები, თუ სურმანიძე მაგრად არ ვცემე... უფრო საცემი გივი ლომინაძეა, ის სოხუმში უნდა ჩავიყვანოთ და საჯაროდ გავასამართლოთ.

*— კაკუბავა ჯერ ეროვნულ ძალებს მიეკედლა, მალე ისე გაიხადა საქმე ზვიადი დასანახად ვერ იტანდა, მერე „ზვიადისტებს“ გადაუდგა და „მხედრიონელებთან“ გაჩნდა. ახლა ასლან აბაშიძესთან არის და ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ისინი წაეკიდებიან...*



გვ.5

## „შეიძლება ყველაფერი დაკრძალვამდეც გაირკვეს...“

**„შევარდნაძემ დაიწყო იმის რეალიზება, რისთვისაც გამოუშვა იოსელიანი“**

ცუდია საკუთარ შეცდომებზე რომ გვიწევს სწავლა, მაგრამ მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენთ. ცხედართან დავიფიცეთ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ...

მკვლელის დასახელებამდე, ბადრი ზარანდიას თანამებრძოლები არ ხმაურობენ. კულუარებში ითქვა, რომ ისინი დამოუკიდებლად მოქმედებენ. დაკრძალვის დღეს „პატრიოტთა კავშირის“ სამასი წევრი აპირებს ზუგდიდში ჩასვლას.

### *სამხედრო თემაზე:*

ორი ათასზე მეტი რუსი სამხედრო უბრძოლველად დაიღუპა

• • •

ყველაზე ჭკვიანი ცხოველი ადამიანმა მკვლელობის იარაღად აქცია

• • •

მექანიკური ჩიტები ქურების დასაზვერად გვ.8,9

• • •

იარაღი... თითზე

### ანიდან ჰოემდე — ყველაფერზე, რაც გაინტერესებთ

**რატომ აღარ მღერის ოთხი გია?**

— ესტრადაზე, ჩემი აზრით, სცენის ეპოქა დასრულდა. გამოგიტყდებით, ამის ხალისი არც გვაქვს. ჩვენ ჩვენი უკვე ვიმღერეთ.

***გია ნაცვლიშვილი***

**ყველაზე ცნობილი ქვრივი** გვ.29

## 14 იანვარი თეატრის დღეა

კიდევ ერთხელ (ღმერთმა ინებოს, უთვალავჯერ) ქართული თეატრი ეგებება თავის დღეს.

ყველას, ვინც ქმნის, წერს, ძერწავს, აქანდაკებს ქართული სცენის დიდ, დასამახსოვრებელ სპექტაკლებსა და სახეებს, გილოცავთ და გლოცავთ.

ვინ არიან ამერიკელი მასონები, რას ფიქრობენ ქართველ კოლეგებზე და არსებობს თუ არა საქართველოში მასონთა ლოჟა... გვ.6




**ინტერვიუ 33-ე ხარისხის მფლობელთან**

## სად გადის გვირაბი ამერიკის ციხიდან?..

ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის შემდეგ ოკლაჰომა და გრინსბორო დიდ სოფლებად მომეჩვენა...

ამერიკაში პოლიციელს განუსაზღვრელად დიდი უფლებები აქვს, თუმცა ეს უკანასკნელიც უმკაცრეს კონტროლს ექვემდებარება.




— რამდენი გამაფრთხილებელი გასროლის უფლება გაქვთ?

— გამაფრთხილებელი გასროლა რაღას ნიშნავს. თუ სასროლია, პირდაპირ ვესვრი.

**„კვირის პალიტრა“ ამერიკაშიც პირველ ადგილზეა**

„ჰიუმან რაითს ვოჩის“ ნიუ-იორკის ცენტრალურ ოფისში, მედიის ყოველწლიურ ბიულეტენში თავისუფლებისა და პოპულარობის მიხედვით პირველ ადგილზე „კვირის პალიტრა“ აღმოვაჩინე.

როდესაც განვუცხადე, სწორედ ამ გაზეთში ვმუშაობ-მეთქი, დიდი ინტერესი გამოიჩინეს. დამოუკიდებელი და ამასთან ძლიერი გაზეთის არსებობა საქართველოში მათთვის უჩვეულო იყო.

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

მხოლოდ თქვენი დახმარებით გახდება თქვენი გაზეთი უფრო უკეთესი და საინტერესო. გთხოვთ, შეავსოთ ანკეტა (**გვერდი 23**) და გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

## ოჰ, ეს მოუსვენარი „გაზეტჩიკები“, ანუ ჟურნალისტური კურიოზები



*— ორიგინალური ფოტო გვჭირდება და ხომ გადაგვაღებინებთ?*

— მაინც როგორი გინდათ? — კითხვა შეგვიბრუნა თევზაძემ.

*— კარატეს ილეთი შეასრულეთ და ორი თითი მოისვით თვალზე..*

— ასეთ „ტრიუკებს“ მე არ გავაკეთებ!

*— კარგით! მაშინ, „დაიფოთლეთ!“ — იყო ახალი თხოვნა.*

— ბა-ტო-ნო?!

გვ.27

გვ.10

ვერსიის მაგივრად

## მამია ვარ, არ მესროლოთ...

უბედურმა თურმე არ გაგვიმხილა, მდინარეზე გადმოსვლის დროს ერთიანად დასველებულიყო. რომ მეთქვა, აქაურები უკან დაგვაბრუნებდნენო და ამის შიშით ორი საათი სველი მჯდარა თავის „ნომერში“. ახლა იმაზე მომადგა, იქნებ რამე მშრალი ჩასაცმელი გაქვს და მომეციო.

## პირველი ნამდვილი ზანგი სოხუმში

ერთი სიტყვით, ბევრი ვიცინეთ... ზანგს ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევია და ისე მადიანად შეექცა ელარჯსა და ჩვენებურ ხარჩოს, დათომ დაასკვნა — ამას წინაპრებში აუცილებლად ვინმე მეგრელი ეყოლებოდაო.

## მშვიდობიან წელიწადს გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## დეპუტატმა მუდმივი მანდატი მოინდომა

საპარლამენტო არჩევნების გაყალბებასა და ნაყიდ დეპუტატობაზე თავის დროზე საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდნენ. ისიც ფაქტია, რომ დღევანდელ პარლამენტში გაცილებით მეტი ბიზნესმენი და ათასი ჯურის საქმოსანია, ვიდრე პოლიტოლოგი, ეკონომისტი ან იურისტი. როგორც ჩანს, ამ საქმოსნებმა გადაწყვიტეს, ფულით ყველაფრის „გაიმასქნება“ შეიძლება, რაღა მოახლოებულ არჩევნებზე ვიწვალოთ და დავიხარჯოთო და დეპუტატობის მანდატის სამუდამოდ დაკანონება მოინდომეს! მავანთ ინიციატივით, 85 მაჟორიტარი ორპალატიანი პარლამენტის არჩევნებამდე დეპუტატად უნდა დარჩეს... საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ასეთი სისტემის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შექმნა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აბსოლუტური აღდგენის შემთხვევაშია შესაძლებელი — თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ მოვლენის შეფერხებაც და დაჩქარებაც მნიშვნელოვანწილად ისევ პარლამენტზე იქნება დამოკიდებული, აღნიშნული ინიციატივის მიღების შემთხვევაში მაჟორიტარებს თავი ქუდში ექნებათ და მანდატი კი — ჯიბეში...

## მოსამართლე ქურდმა სცემა

შესაძლოა, ქუთაისის ერთ-ერთი რესტორანი გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში მოხვდეს. დაუჯერებელია, მაგრამ „ინდუსტრიული ქალაქის“ რესტორანში „სრულიად შემთხვევით“ სუფრასთან აღმოჩნდნენ ქუთაისის საოლქო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, ქალაქის ხელმძღვანელები და... „კანონიერი ქურდები“. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როგორც ჩანს, კრიმინალურმა ავტორიტეტებმა ღამის პირველი საათისთვის ცდუნებას ვეღარ გაუძლეს და თემიდის წევრები „სასაუბროდ“ დარბაზიდან გაიყვანეს. „მოლაპარაკება“ თემიდისთვის სავალალოდ დასრულდა — მოსამართლეები: სვანაძე და მარუაშვილი მრავლობითი მოტეხილობებით საავადმყოფოში მოათავსეს. ეს უკანასკნელი ისე მძიმედ არის, რომ სამართალდამცველები ჩვენების აღებას ვერ ახერხებენ. საინტერესოა ისიც, რომ იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის განცხადებით, რესტორანი ქუთაისის ვიცე-მერს, დათო სანიკიძეს ეკუთვნის, რომელიც ქალაქის სამართალდაცვის სფეროს კურატორობს.

## მძევლები ისევ სამშობლოს იმედზე არიან

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება თავის მოქალაქეთა უფლებებს საკუთარ ტერიტორიაზეც კი ვერ იცავს, სომალიში დატყვევებული ქართველი მეზღვაურების მდგომარეობა მართლაც ძალიან მძიმეა. მათი დამქირავებელი ბერძნული სანაოსნო კომპანიის ადვოკატმა ქართულ მხარეს ოფიციალური წერილი გამოუგზავნა. ბერძენი გემთმფლობელები აცხადებენ, რომ სომალელ მეკობრეებთან მოლაპარაკებებში რესურსები ამოწურეს და დახმარებას საქართველოს ხელისუფლებას სთხოვენ. ჯერჯერობით, ერთადერთი, რასაც ქართული მხარე აკეთებს ის არის, რომ სხვადასხვა მისამართზე სხვადასხვა შინაარსის ნოტებს აგზავნის. ქართველი მეზღვაურების მდგომარეობა კი დღითი დღე რთულდება...

## ისევ დროშის გარშემო

ქართველი პოლიტიკოსები კვლავაც გამეტებით ებრძვიან ერთმანეთს იმის თაობაზე, თუ როგორი დროშა უნდა ფრიალებდეს ქალაქის მერიის სახურავზე. შარაძემ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე „ნაციონალურ მოძრაობას“ მის მიერ მოგონილი სახელის მითვისება, კათოლიციზმის ქადაგება და სხვადასხვა ამორალური ქმედება დასდო ბრალად. გურამ შარაძე ხუთჯვრიან დროშაზე საუბრისას საპატრიარქოსაც გადასწვდა, კათოლიკოს-პატრიარქი საკუთარი გარემოცვის მძევლად შერაცხა და ისიც განაცხადა, პატრიარქი უნდა გადავარჩინოთო!

გაუთავებელი აყალმაყალის გამო, ქართული ეკლესიის მეთაური იძულებული გახდა, აქამდე უპრეცედენტო პრესკონფერენცია მოეწვია და საზოგადოებისთვის განემარტა, რომ ხუთჯვრიანი დროშა, რომელიც უკვე ათი წელია, საპატრიარქოს ეზოში ფრიალებს, სწორედ უძველესი მართლმადიდებლური სიმბოლოა და ქრისტეს აღდგომას აღნიშნავს (იხ. გვ. 12).

## გავზარდოთ ხელფასები...

— სოფელი ნამდვილად არ აშენდება. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებდა პარლამენტში გამართულ საბიუჯეტო დუელებზე ფინანსთა მინისტრი. მირიან გოგიაშვილმა „გაერთიანებული დემოკრატების“ ინიციატივა მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ, პოპულისტურ და დილეტანტურ ნაბიჯად შეაფასა. რასაკვირველია, ზურაბ ჟვანიას გუნდი საპირისპიროს ამტკიცებს — დემოკრატების გამოთვლებით, ხელფასის მოსამატებელი რესურსების გამოძებნა საქართველოს ბიუჯეტში პრობლემას არ წარმოადგენს, უბრალოდ, მთავრობას თავის ატკივება არ სურს. აღნიშნული საკითხის განხილვისას პარლამენტში ურთიერთბრალდებათა ისეთი ნიაღვარი წამოვიდა, ჭეშმარიტების დადგენა ალბათ პროფესიონალ ფინანსისტებსაც გაუჭირდებათ. ერთი კი ფაქტია — მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა სულს ღაფავს და მცირე მეწარმეობა არ არსებობს, მოსახლეობისთვის ათასგვარი, თუნდაც ძალიან კარგი შეღავათების მხოლოდ თეორიული დაკანონება რეალურ შედეგს ვერ გამოიღებს. ქართულ პოლიტიკაში გაჩენილი ეს ტენდენცია საბჭოთა კავშირსაც წააგავს, სადაც ფორმალურად ყველაფერი უფასო იყო და ცხოვრებაც „დუღდა“...

## მთავარი პოლიტიკაა და არა ტერორიზმთან ბრძოლა...

— ახლახან გამოაშკარავებული ფაქტი რუსეთთან მიმართებაში ამ სენტენციის კიდევ ერთი დადასტურებაა. აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემამ და სოჭი-სოხუმის რკინიგზის აღდგენამ საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, თუმცა რეაქცია მაინც „სტანდარტული“ იყო — დევნილებმა საპროტესტო აქციები გამართეს ენგურის ხიდსა და რუსეთის საელჩოსთან, საქართველოს საგარეო უწყება კი ნოტების წერას შეუდგა. ორიოდე დღეში სოხუმში პასპორტების გაცემაც შეწყდა და რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლაც, თუმცა ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის რიხიანი განცხადება სრულიად უსაფუძვლო იყო, რადგან სოჭი-სოხუმის ხაზზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ხოლო პასპორტებთან დაკავშირებით კი რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამოძიებამ სკანდალური ფაქტი აღმოაჩინა. ნორდ-ოსტელ ტერორისტებს აფხაზეთში გაცემული რუსული პასპორტები აღმოაჩნდათ. როგორც ჩანს, აფხაზეთის გარუსების ინიციატორსა და რაგოზინის უახლოეს მეგობარს, ნიკიტჩენკოს რუს სამართალდამცველებთან კიდევ უფრო მეტი პრობლემები შეექმნება — სოხუმის რუსული სათვისტომოს მეთაურს პასპორტებში ფულის აღების გამო ჩვენების მიცემა მოუხდა, ამჯერად კი ის ნორდ-ოსტის ტერაქტთან დაკავშირებით დაჰკითხეს.

## ნათელაშვილი პარტიას ვეღარ ინარჩუნებს...

მიუხედავად ოპტიმისტური განცხადებებისა, როგორც ჩანს, ლეიბორისტების შეფს პარტიული დისციპლინის საკითხში კვლავ პრობლემები აქვს. ამჯერად ნათელაშვილმა გადაწყვიტა, პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილების მოთხოვნით მიმართოს. ამჟამინდელი კანონით, საკრებულოს წევრს უფლება აქვს მისი წარმდგენი პარტიისგან დამოუკიდებლად იმოქმედოს და მისთვის სასურველ ფრაქციაშიც გადავიდეს. მთავარი ლეიბორისტის კანონპროექტის მიხედვით კი წარმდგენ პარტიას უფლება აქვს, თავის დეპუტატს მანდატი გაუუქმოს და საკრებულოს გარეთ დატოვოს, თუ მის ქმედებას არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს.

## ქუთაისში ჩინურ კომპიუტერებს ააწყობენ...

დღესდღეობით მსოფლიო პროდუქციის 30% ჩინური დამღით (made in China) გამოდის. ეს ჩინეთში არსებული შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკით არის განპირობებული. მაგრამ ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ჩინელმა ბიზნესმენებმა ელექტროწარმოების ქუთაისში დანერგვა გადაწყვიტეს. ამისთვის ისინი უპირველესად საგადასახადო შეღავათებს მოითხოვენ. შესაძლოა, ქუთაისის ერთ-ერთმა ქარხანამ უახლოეს მომავალში მართლაც დაიწყოს ჩინური ფირმა „ტინბანის“ მარკის ტელევიდეოაპარატურისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოშვება, რომლის გასაღებასაც ჩინელები ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში ვარაუდობენ.

## სააკაშვილი არ ცხრება...

სანამ გურამ შარაძე სასამართლოებში დადის და პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციებზე კვლავაც შეუპოვრად უტევს მერიის სახურავს (იქ აღმართული დროშის გამო), მერიაში მყოფი სააკაშვილი უქმად არ ზის. დედაქალაქის ადმინისტრაციული ინსპექციის თანამშრომლებს წლევანდელი შობის დღესასწაული ცუდად დაამახსოვრდებათ — 8 იანვარს ნაციონალების ლიდერმა ყველა მათგანი მერიაში შეკრიბა და დედაქალაქის დამახინჯებული იერის ამსახველი ვიდეოკადრები უჩვენა, შემდეგ კი ახსნა-განმარტებები მოითხოვა. ოთხმოცი თანამშრომლიდან სიტყვით გამოსვლა მხოლოდ ერთმა გაბედა, თუმცა მისმა უმისამართო ლუღლუღმა უფრო გააღიზიანა საკრებულოს შფოთიანი თავმჯდომარე, რომელმაც ოთხმოცივე თანამშრომელი თანამდებობიდან გაათავისუფლა და იქვე მყოფ დათო მაღრაძეს სტრუქტურის თავიდან დაკომპლექტება დაავალა.

## მძღოლების გაფცქვნის კიდევ ერთი საშუალება

თბილისში, თავისუფლების მოედნიდან გმირთა მოედნამდე, დააყენებენ ახალ საგზაო ნიშნებს, რომელთა მიხედვით ავტომობილის გაჩერება ამა თუ იმ ადგილზე აკრძალული იქნება. დამრღვევ ავტომობილებს სპეცმანქანა საჯარიმო სადგომზე გადაიყვანს და თავგადასავლებიც ამის შემდეგ დაიწყება — ავტომფლობელს „უკანონო“ გაჩერებისთვის 5-დან 10 ლარამდე ჯარიმას გადაახდევინებენ; მანქანის საჯარიმო სადგომზე ტრანსპორტირება 30 ლარი(!) დაჯდება, ხოლო თვითონ სადგომზე მანქანის შენახვა კი დღე-ღამეში 3 ლარი.

## კატასტროფა ნავთობთან დაკავშირებით

გორი-კასპის სარკინიგზო მაგისტრალზე სერიოზული კატასტროფა მოხდა — ბათუმის მიმართულებით მიმავალ ნავთობით დატვირთულ შემადგენლობას სოფელ ქვახვრელთან 11 ვაგონი მოსწყდა, რომელთაგან ორი ცისტერნა ლიანდაგებს ასცდა და ამოტრიალდა. კატასტროფის შედეგად 120 ტონამდე გადაუმუშავებელი ნავთობი დაიღვარა და დიდ ტერიტორიაზე ხანძარი გაჩნდა. მთელი რეგიონიდან მობილიზებული მეხანძრეები სტიქიას თითქმის დღე-ღამის განმავლობაში ებრძოდნენ. გორი-კასპის სარკინიგზო მაგისტრალზე მოძრაობის აღდგენა მხოლოდ მესამე დღეს მოხერხდა.

## ექსპრეზიდენტის მეუღლეს საბუთები გაიტაცა...

ზვიად გამსახურდიას ქვრივმა სკანდალი ამჯერად იუსტიციის სამინისტროში მოაწყო — მანანა არჩვაძე „კოლხური კოშკის აღორძინების ფონდის“ დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის შეფერხებამ გააღიზიანა. ექსპრეზიდენტის მეუღლეს ამ ცვლილებების რეგისტრაციაში გატარება, სავარაუდოდ, ფონდის გამგეობის ამჟამინდელი თავმჯდომარის, გურამ შარაძის გადასაყენებლად სჭირდება. სკანდალის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს იუსტიციის სამინისტროში დამსხვრეული კომპიუტერები და ნაცემი თანამშრომლები დახვდათ. ამ უკანასკნელთა განცხადებით, მანანა არჩვაძისა და მისი დისგან ამგვარ ელვისებურ თავდასხმას არ მოელოდნენ, ამიტომაც ფონდის დოკუმენტაციის გატაცებას ხელი ვერ შეუშალეს. ექსპრეზიდენტის ქვრივის საქციელი უცნაური უფრო იმიტომ არის, რომ ამ დოკუმენტაციის გამოყენება მხოლოდ იუსტიციის სამინისტროში თუ შეიძლება.

## ვინ უხელმძღვანელებს „სამთა კავშირს“?

ნაციონალები და ტრადიციონალისტები ალიანსს ქმნიან. სავარაუდოდ, მათ დუეტს მალე ჟვანიას „გაერთიანებული დემოკრატებიც“ მიუერთდებიან. სამთა კავშირის, ანუ ფრაქციათა კოალიციის მეთაურად ნომერ პირველ ექსსპიკერს, აკაკი ასათიანს ვარაუდობენ. როგორც ამბობენ, კულუარებში გაცხოველებული მსჯელობა-კონსულტაციები მიმდინარეობს. ნაციონალები და ტრადიციონალისტები თურმე პარლამენტში გასაყვანი დეპუტატების კვოტებს ვერ ათანხმებენ. სააკაშვილისა და ასათიანის ბანაკებში ალიანსის შექმნას არცთუ დიდი აღტაცებით შეჰგებებიან. კოტე კემულარიას თურმე ფრაქციის თავმჯდომარეობაზე უარის თქმა არ სურს (როგორც ამბობენ, სააკაშვილი ამ პოსტს მაია ნადირაძეს ჰპირდება), ტრადიციონალისტების ბანაკში კი ქალბატონის გამორჩევა არ მოსწონებიათ მამაკაცებს.

## ვინ გადაიხდის გაზის ფულს?

12 იანვარს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია — ენერგეტიკის მინისტრის, ქალაქის პრემიერისა და „თბილგაზის“ გენერალური დირექტორის შემადგენლობით — მოსკოვში ენერგეტიკის სფეროში პრობლემების მოსაგვარებლად გაემგზავრა. თუ „თბილგაზი“ 15 იანვრისთვის გასული წლის დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს არ გადაიხდის, „იტერა“ დედაქალაქს გაზის მიწოდებას შეუწყვეტს. „თბილგაზი“ ამ პრობლემას დამოუკიდებლად ვერ აგვარებს — მას ანგარიშზე მხოლოდ მოსახლეობისგან ამოღებული 2 მილიონი აქვს, მაშინ, როცა „იტერასი“ 9,5 მილიონი მართებს. თუ „იტერასა“ და „თბილგაზს“ შორის მოლაპარაკება შედეგიანად დასრულდება, შუამავალი „საქგაზი“ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება და „თბილგაზს“ „იტერასთვის“ გადასახდელი მხოლოდ 6 მილიონი დარჩება. მიუხედავად ამისა, გაზის მოწოდება მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, — ჯერაც გაურკვეველია, ვინ უნდა დაფაროს არსებული დავალიანება. დედაქალაქის საკრებულოს 2002 წლის 11 დეკემბერს გამოცემული დადგენილების თანახმად, თბილისის მერს საკითხის გარკვევამდე კატეგორიულად აეკრძალა „თბილგაზის“ ვალების გასტუმრება. საკრებულოს მიაჩნია, რომ დავალიანება ცენტრალურმა ბიუჯეტმა უნდა დაფაროს. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა, დავით მირცხულავამ და ქონების მართვის მინისტრმა, სოლომონ პავლიაშვილმა განაცხადეს 11 იანვარს გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე, „თბილგაზი“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და, ბუნებრივია, დავალიანებაც ქალაქის მერიამ უნდა გადაიხადოს. იმავე აზრს იზიარებს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც.

## ხევსურეთში ახალი სამხედრო ნაწილი გაიხსნება

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ხევსურეთში ახალი სამხედრო ნაწილის გახსნას აპირებს. სამინისტროს ხელმძღვანელობის განცხადებით, მოსამზადებელი სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე ჩატარებულია. თავდაცვის სამინისტროს ინიციატივას მხარს უჭერს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც. მისი აზრით, ხევსურეთში სამხედრო ნაწილის გახსნა არა მხოლოდ თავდაცვისთვის, არამედ რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვისაც სასარგებლო იქნება, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა და თანაც საკმაოდ მაღალი სახელფასო ანაზღაურებით.

საიდან აპირებს სახელმწიფო მინისტრი დამხმარე პერსონალისთვის „მაღალი“ ხელფასების დარიგებას, გაუგებარია, რადგან როგორც ცნობილია, სახელფასო ანაზღაურების დაგვიანების გამო ჯარისკაცები ელიტური კომანდოს ბატალიონებიდანაც კი გარბიან...

## „საზღვრის“ დამრღვევებს კვლავ არ ათავისუფლებენ

აფხაზი სეპარატისტები სამაგალითოდ იცავენ მათ მიერ დადგენილ საზღვარს საქართველოსთან, მაგრამ „კანონიერი“ აკრძალვები მხოლოდ უბრალო ხალხზე ვრცელდება, რადგან არაერთგზის გავრცელებული ცნობების თანახმად, კონტრაბანდაში გარეული როგორც ქართველი, ისე აფხაზი მებრძოლები თავისუფლად დასეირნობენ ზუგდიდისა და გალის ტერიტორიაზე. უკვე მე-19 დღეა, გალის აფხაზური ადმინისტრაციის მილიციის იზოლატორში ზუგდიდელი მურთაზ მესხია, ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიშში მცხოვრები შალვა შერვაშიძე და ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყლის მკვიდრი ბესო ბუკია იმყოფებიან. ისინი აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონში 23 დეკემბერს ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციისას დააკავა. სამშვიდობო ძალებისა და გაეროს მისიის სამხედრო დამკვირვებელთა ძალისხმევის მიუხედავად, აფხაზურმა მხარემ დაკავებულები არ გაათავისუფლა. მათი განცხადებით, გამოძიება „საზღვრის დარღვევასთან“ დაკავშირებით უკვე დასრულდა და უახლოეს მომავალში დაპატიმრებულებს გალის რაიონულ სასამართლოს წარუდგენენ.

## გრიბოედოვის ქუჩაზე სახლის კედელი ჩამოინგრა

12 იანვარს, დილის 8 საათზე, გრიბოედოვის ქუჩის №18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი ბინის კედელი ჩამოინგრა. ოჯახის ოთხი წევრი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. მობინადრეების თქმით, მომხდარი მიწისძვრის შემდეგ კედელი ავარიული იყო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ჩამოშლილმა კედელმა ეზოში მდგარი სამი ავტომანქანაც მოიყოლა, მათ შორის ერთი ნანგრევებმა მთლიანად დაფარა. ნგრევის შედეგად დაზიანდა ბუნებრივი აირისა და სასმელი წყლის გაყვანილობა, — გრიბოედოვის ქუჩის მცხოვრებნი სასმელი წყლისა და ბუნებრივი აირის გარეშე დარჩნენ.

## თვითმკვლელობა ქუთაისში

12 იანვარს, ქუთაისში, დილით, რუსთაველის გამზირზე მდებარე ხიდზე გამვლელებმა ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვეს. იგი ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების მკვიდრი, 1970 წელს დაბადებული ზურაბ დოლონაძე აღმოჩნდა. გარდაცვლილს საკუთარი ქამრით ჩამოუხრჩვია თავი ხიდის კონსტრუქციაზე. შარვლის ჯიბეში მას სამხედრო ბილეთი და დარიშხანი აღმოაჩნდა. სამართალდამცველების ინფორმაციით, წინასწარი დათვალიერების შედეგად გვამს ძალადობის ნიშნები არ ეტყობოდა. მიმდინარეობს გამოძიება.




## ისრაელში ტერაქტები გრძელდება

ახალი წლის პირველივე კვირა ისრაელისთვის უაღრესად მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა — ქალაქ თელ-ავივში ხალხით სავსე გაჩერებაზე თავი აიფეთქა ორმა კამიკაძე-ტერორისტმა. აფეთქების შედეგად 23 კაცი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო 100-ზე მეტმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. მომხდარ ტერაქტზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა გაერთიანებამ „ისლამურმა ჯიჰადმა“ აიღო.

## ავიაკატასტროფები გახშირდა...

ერთსა და იმავე დღეს ორი დიდი ავიაკატასტროფა მოხდა — თურქეთში. ქურთისტანის ტერიტორიაზე აეროპორტში დაშვებისას „თურქიშეარლაინზის“ კუთვნილმა თვითმფრინავმა RJ-100-მა კატასტროფა განიცადა. ბორტზე მყოფი 71 მგზავრიდან მხოლოდ ხუთის გადარჩენა მოხერხდა. კატასტროფის მიზეზად, ჯერჯერობით, ძლიერ ნისლს ასახელებენ, თუმცა თურქული მედია ტერაქტსაც არ გამორიცხავს, რადგან ბორტზე ძირითადად სამხედროები იმყოფებოდნენ. იმავე დღეს კატასტროფა განიცადა აშშ-ის შიდარეისების თვითმფრინავმა. ჩრდილო კაროლინის შტატის აეროპორტიდან აფრენისას იგი ანგარს შეეჯახა და აფეთქდა. კატასტროფის შედეგად ბორტზე მყოფი ყველა პირი — 19 მგზავრი და ეკიპაჟის 2 წევრი ადგილზე დაიღუპნენ.

*სუფრასთან მსხდომ ქართველებს ძალიან გვიყვარს სამშობლოს წარსულ ვაებაზე საუბარი — თუ როგორ გვიტევდა ურჯულო მტერი ყოველი მხრიდან, როგორ იდგა კვალში ქართველი გლეხი ცალ ხელში ხმლითა და მეორეში სახნისით. სუფრასთან მსხდომ ქართველებს არც მოღალატეები გვავიწყდება და სამაგალითო ზიზღით ვიხსენებთ თანამემამულეებს უახლესი თუ შორეული წარსულიდან, რომელთა სულმოკლეობისა და ვერცხლისმოყვარეობის გამო საქართველო არაერთხელ ჩავარდნილა განსაცდელში. ხშირად გაიგონებთ წუწუნს — რაც დამოუკიდებლები გავხდით, ისტორია და ტრადიციები გვავიწყდება, კომუნისტების დროს, წარსულს უფრო დიდი ყურადღება ექცეოდაო... დიახაც რომ ექცეოდა.*

*ჯერ მეფის, შემდეგ კი საბჭოთა რუსეთის წყალობით საკუთარ რაობაზე, აწმყოსა და მომავალზე ფიქრს გადავეჩვიეთ. გადავეჩვიეთ ყველაზე უბრალო ჭეშმარიტებას: წარსული მხოლოდ მაშინ არგია ერსაც და კაცსაც, თუ ღირსეული აწმყოს მშობელია. თავის მხრივ კი, ამ უკანასკნელის გარეშე მომავალი არ არსებობს... თავისუფლების ათი წლის მანძილზე ჩვენს შეგნებაში თურმე ბევრი არაფერი შეცვლილა — კვლავაც წარსულს მივტირით. კიდევ უარესი — კომუნისტების რკინის ხელი აღარ არის, რომ წიგნზე თავი დაგვადებინოს და აწმყოზე ფიქრს ვინ ჩივის, წარსულიც კი გვავიწყდება!*

*ქვეყანა მითური კორუფციის ხელშია, რომელიც ყველგან არის, და ვერსად უპოვიათ. ლამის მთელი ცივილიზებული მსოფლიო ჩვენ გვეხმარება — იქნებ როგორმე სული მოიბრუნონ და ქვეყანა ააშენონო. მიუხედავად ამისა, საქართველოში მოდერნიზებული ლეკიანობა მძვინვარებს. დღისით-მზისით, მტყუან-მართალი ერთმანეთს ტყვიას უშენს. ქურდები მოსამართლეებს სცემენ და საპარლამენტო დისკუსიით, უფრო სწორად კი ლანძღვა-გინებით თავმობეზრებული დეპუტატები ერთმანეთს ქუჩაში ხალხს უხვედრებენ — უმოწყალოდ, კონდახებით ჟეჟავენ. ე.წ. პარტიზანები და აფხაზი სეპარატისტები გამალებულ კონტრაბანდისტულ აღებ-მიცემობაში არიან ჩართულნი და ამ დროს რუსეთი სისხლით მორწყული აფხაზეთის მოსახლეობას მასობრივად ანიჭებს თავის მოქალაქეობას... ქვეყანა თავზე გვექცევა და ამ დროს საზოგადოება გატაცებით ადევნებს თვალყურს შეუპოვარ პაექრობას, თუ როგორი დროშა უნდა ფრიალებდეს მერიის სახურავზე... დედაეკლესიას თითქოს მეტასტაზებად შეჩენილი ათასი სექტა და სქიზმა არ ჰყოფნიდა ჭირად — ახლა დროშასაც გადასწვდნენ და ვაი, თუ ვავა პატრიოტიზმის ეგიდით ათას უზნეობას გაჰკივიან...*

# საქართველო დღესდღეობით არის უმწყემსო, მგლებგარეული ცხვრის ფარა



მოვა დრო, ეს მაჯლაჯუნებიც დაგვეხსნებიან, საქართველოზე ჯვრიანი დროშაც იფრიალებს და ხალხიც დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა პეტრეს და პავლეს კი არა, თითოეულ მათგანს ეკუთვნის!

> ანტიკორუფციული კომისიაც რომ შედგეს, ვერაფერს გახდება, ვინაიდან იქაც თავის ხალხს შეიყვანენ. ხოლო მათ შორის თუ შემთხვევით ხმის ამომღები გაერია ვინმე, სანაგვეზე მოისვრიან და მადლობა თქვას, თუ დღისით-მზისით ტყვიას არ დაახლიან შუბლში. მაფიოზური ინსტიტუტი ჩვენში საათივით არის აწყობილი.

**ვახუშტი კოტეტიშვილი:** — ამ ბოლო დროს საქართველოს სახელმწიფო დროშაზე ატეხილი აურზაური, რასაკვირველია, ფარსია და ფიქცია, რომლის გამომწვევი მიზეზები დღესავით ნათელია — აგონიაში მყოფი ჩვენი უმაქნისი მთავრობა ცდილობს, ხალხის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. ოფიციალურ ძარცვა-გლეჯას, ძალადობას, მკვლელობებსა თუ ნაირ-ნაირ ყაჩაღობას ბოლო არ უჩანს. კორუფცია ისე არის აყვავებული საქრთველოში, როგორც არასოდეს ყოფილა. ზოგჯერ ამბობენ, — უსუსური მთავრობა გვყავსო. მთავრობა უსუსური არ არის, პირიქით, ის არის ყოველგვარი უზნეობის დამკანონებელი, დირიჟორი და წარმმართველი. ასი ანტიკორუფციული კომისიაც რომ შედგეს, ვერაფერს გახდება, ვინაიდან იქაც თავის ხალხს შეიყვანენ. ხოლო მათ შორის თუ შემთხვევით ხმის ამომღები გაერია ვინმე, სანაგვეზე მოისვრიან და მადლობა თქვას, თუ დღისით-მზისით ტყვიას არ დაახლიან შუბლში. მაფიოზური ინსტიტუტი ჩვენში საათივით არის აწყობილი. ტრაგედია ის არის, რომ ეს ცნება საქართველოში ერთ რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს კი არა, ზოგად და ყოვლის მომცველ მოვლენას ნიშნავს, რომელსაც ვერც სახელმწიფო აპარატი დააკლებს რამეს და ვერც ძალოვანი უწყებები, რადგან თვითონაც მისი მძევლები არიან.

ქვეყანა იღუპება და პრესა, ტელევიზია და მთელი საზოგადოება თურმე იმით არის აღელვებული, თუ როგორი დროშა უნდა ფრიალებდეს ქალაქის ცენტრში მდებარე ერთი შენობის სახურავზე. ვისი ან რისი ბრალია, რომ დღემდე არც დროშა გვაქვს, არც ჰიმნი და არც არავითარი სახელმწიფო სიმბოლიკა. ან კი, როგორ უნდა გვქონდეს, როდესაც თვითონ სახელმწიფო არ გაგვაჩნია! საქართველო დღესდღეობით არის უმწყემსო, მგლებგარეული ცხვრის ფარა, კიდეებშემორღვეული და უფრსკრულისკენ დაქანებული. საქართველოს „დიდი პატრიოტები" ჯვრიან, ქრისტიანულ დროშას იწუნებენ და თავის კაბინეტებში დიდის ამბით უსვენიათ სოციალ-დემოკრატების, ანუ მენშევიკების დროშა, რომელთაც ბოლშევიკებთან ერთად (ვინაიდან 1907 წელს ჯერ კიდევ არ იყვნენ ორ ბანაკად გაყოფილნი), ტყვია დაახალეს ილია ჭავჭავაძეს.

ისე, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, რომელ დროშაზეა ლაპარაკი — გაძვალტყავებულ საქართველოს ხომ ის ტარიც არა აქვს, რაზედაც დროშა უნდა მიმაგრდეს... იქნებ, ჯერ ამაზე გვეფიქრა, ჯერ ქვეყანა ქვეყნისთვის დაგვემსგავსებინა, რომელშიც პატიოსან, მშრომელ, ალალ-მართალ კაცს შეეძლებოდა ადამიანურად ცხოვრება და სიმბოლიკა-ატრიბუტიკაზე მერე გადავსულიყავით... თორემ თუ ხალხი შიმშილით ამოწყდა, მერე გინდ თეთრი დროშა გამოფინე, გინდა წითელი და გინდა შავი — არავითარი აზრი აღარ ექნება.

**— ქვეყნის შენება ახსენეთ. რასაკვირველია, ხელფასების გაზრდა, გადასახადების გაუქმება და პროდუქტების სულაც უფასოდ დარიგება ძალიან კარგია, მაგრამ ერთია სურვილი, მეორე — შესაძლებლობა. ბოლო დროს, ქართულ პოლიტიკაში გაჩენილი ტენდენცია საბჭოთა კავშირს მაგონებს, როდესაც ფორმალურად ყველაფერი ბრწყინვალე და უფასო იყო, რეალურად კი ფასიანი და უვარგისი. ისევ წარსულს ხომ არ ვუბრუნდებით?**

— სპეციალობით ეკონომისტი არ გახლავართ, რომ დეტალურად დასაბუთებული პასუხი გაგცეთ. მართალია, ჩვენ მდიდარი დასავლეთევროპული ქვეყანა არ ვართ, მაგრამ გარშემო მიმოვიხედოთ — ხომ ფაქტია, რომ ქართველ მაღალჩინოსნებს საკმარისზე მეტი ფული აქვთ იმისთვის, რომ გაძვალტყავებულმა ხალხმა ამოისუნთქოს. გარეგნული სიმშვიდით მოტყუებულნი, ალბათ ვერ ვამჩნევთ, ქვეყანა რა დღეშია. ორიოდე დღის წინ, ელიავას ბაზრობაზე, მანქანის ნაწილის საყიდლად ვიყავი. გამყიდველმა — დაიცადეთ, ვიდრე საწყობიდან მომიტანენო. ამ დროს შუახნის კაცი მოგვიახლოვდა და გამყიდველს მორიდებით სთხოვა, — ეგებ ეს ლანგარი შემინახო, ერთ საათში დავბრუნდებიო. ღვეზელი რომ დააბინავა, გამყიდველი მომიბრუნდა და მკითხა, — იცი, ახლა ეს კაცი სად წავიდა? ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტია, ლექციას წაიკითხავს და ისევ აქ დაბრუნდება. აბა, რა ქნას, თავი ხომ უნდა ირჩინოსო...

თქვენ წარმოგიდგენიათ, ჩვენს თავს რა უბედურება ხდება? ვერ მოერგო პატიოსანი კაცი ამ ცხოვრებას და იძულებულია, ელიავაზე ცოლის გამომცხვარი ღვეზლის გაყიდვით ირჩინოს თავი. ერთი მითხარით, მის სტუდენტს რა სწავლის გული ექნება, მას რომ ბაზრობაზე დაინახავს. არ ეტყვის — რისთვის ვისწავლო, მერე ელიავაზე ფენოვანი ხაჭაპურები რომ ვყიდოო?! არ მინდა დავასახელო ქართული ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები — აკადემიკოსები, რომლებიც სიცოცხლის ბოლო წლებში მშრალ ხიდზე იდგნენ და ოჯახიდან გატანილ ჭურჭელს თუ წიგნებს ყიდდნენ... როდემდე უნდა გაგრძელდეს „ნუვორიშების" ბაქქანალია, სანამ ყველანი მათხოვრებად ან ყაჩაღებად არ ვიქცევით? გავძლებთ კი დიდხანს? ვერავინ იტყვის, რომ საქართველოში ფული არ არის. არის და საკმარისზე მეტიც! ამას წინათ ინგლისელი ლორდები იყვნენ სტუმრად. გაოცებას ვერ ფარავდნენ — უცხოეთიდან ჩამოსულ ყველა თაღლითს ასე როგორ ენდობით და ყველაფერზე რატომ ეთანხმებითო... ამ უცხოური ჰოლდინგებისა და კომპანიების უკან ისევ და ისევ ქართველი ჩინოსნები დგანან... თუმცა, ფულზე და სიმდიდრეზე ასეთ ლაპარაკს ფობიად ნუ ჩამითვლით. ზემოთ ნახსენები ძალების წყალობით ხალხს ლამის პროლეტარული აზროვნება ჩამოუყალიბდეს (რაც კომუნისტებმაც კი ვერ მოახერხეს) და მდიდარი ადამიანი მოსისხლე მტერივით შესძულდეს. მაშინ რა ვუყოთ სარაჯიშვილებს, ზუბალაშვილებს, ხოშტარიებს და სხვებს, რომლებიც საკუთარი შრომით იყვნენ გამდიდრებულნი და ქველმოქმედებასაც არ ივიწყებდნენ? ჩვენ არა ვართ „სიღატაკეში გაზრდილი" ერი (ასეთებიც არიან), უცხოური (ან ვითომ უცხოური) ფულის მსახურად რომ ვიქცეთ. სხვათა შორის, ქველმოქმედი და მდიდარი ქართველები დღესაც არსებობენ, მაგრამ რატომღაც პრესაში მათზე ლაპარაკს უფრთხიან ხოლმე... ამას წინათ დამირეკეს, ივანიშვილის ფონდიდან პენსია დაგენიშნათო. კაცო, ვამბობ, რამე ხომ არ შეგეშალათ, ეგ ადამიანი თვალითაც არ მინახავს-მეთქი. არა, ბატონო, ყველაფერი რიგზეა, ყოველი თვის ბოლოს მობრძანდით ბანკში და კუთვნილი თანხა მიიღეთო. მერე ვიფიქრე, ვნახავ, მადლობას მაინც ვეტყვი-მეთქი. გაგიგიათ? — შეხვედრაც ვერ მოვახერხე. მერე გავიგე, ჩემსავით პენსია ინტელიგენციის ათეულობით წარმომადგენლისთვის დაუნიშნავს. არ შეიძლება არ ითქვას გუჯა ბუბუტეიშვილის შესახებაც, რომელმაც დავით სარაჯიშვილის ნეშტის ქაშვეთის ტაძარში გადმოსვენება ითავა. მე არც კი ვიცოდი, თუ ქაშვეთის მშენებლობა სარაჯიშვილის დაფინანსებული იყო. საქმე მარტო ფულის შოვნა კი არ არის — მთავარია, კაცმა მისი დახარჯვა იცოდე... აბა, შე კაი კაცო, ქუჩა რომ მათხოვრებით იქნება სავსე და შენ კი პარიზის ბუტიკში პერანგის ამხანაგს 500 დოლარად იყიდი, საქმეა? ამიტომაც ვთქვი, ფულთან და სიმდიდრესთან მიმართებაში კარგზეც უნდა ვილაპარაკოთ, თორემ სხვაგვარად ხალხი ჯერ მთავრობის რწმენას დაკარგავს (ეს ეტაპი უკვე გავლილია...), მერე სახელმწიფოსას, ბოლოს კი საკუთარი თავისას. გავიხსენოთ უახლესი ისტორია. სოციალ-დემოკრატიული მთავრობიდან ბევრს პიროვნულად პატივს მივაგებ, მაგრამ მთლიანობაში ხომ უვარგისობისა და დილეტანტობის ნაზავი იყო. იცოცხლე, მაშინაც ჩამოდიოდნენ ათასი ქვეყნის დელეგაცია, სამხედრო ატაშეები, იმართებოდა ბრწყინვალე ბანკეტები... მაგრამ ისევე ქართველთა წყალობით რუსის ბოლშევიკური ჯარი რომ მოგვადგა, ფესვებმოკიდებული ბერმუხის ნაცვლად, საქართველო ფუღურო ხე აღმოჩნდა, რომელსაც ბაიყუშები დაჰპატრონებოდნენ და არწივობდნენ... სახელმწიფოებრიობის განცდა და იმედი მაშინ მხოლოდ პატარა გოგო-ბიჭებს, იუნკრებს აღმოაჩნდათ, კოჯრის მისადგომებთან რომ დაგვილეწეს რუსული ხიშტებით.

> რომელ დროშაზეა ლაპარაკი – გაძვალტყავებულ საქართველოს ხომ ის ტარიც არა აქვს, რაზედაც დროშა უნდა მიმაგრდეს...

> ისე, სიმართლეც უნდა ითქვას – რა ვქნა და, როგორც არ უნდა ვაიძულო თავი, დღევანდელ ჰიმნს ვერ ვიმღერებ. ამხელა კაცი ვარ და ვაღიარებ – დღევანდელი არც ჰიმნი მეგულება ჩემად და არც დროშა...

**— მას შემდეგ თითქმის ერთი საუკუნე გადის და მავანნი კვლავაც გაიძახიან — საქართველო ჩემი სამშობლოა, რუსეთი ჩემი მეზობელიო... ვისაც არ ეზარება, ამ გასაცოდავებული ქვეყნისთვის კისერზე ბაწარი გამოუბამს და თავისკენ ექაჩება. ღმერთმა დაგვიფაროს — საქართველო იმავე განსაცდელის წინაშე რომ დადგეს, ხელს ალბათ ახალგაზრდობაც აღარ გამოიღებს, რადგან თქვენ მიერ ნახსენები იმედი და განცდა ჩვენმავე მთავრობამ აფხაზეთში გაგვითელა...**

— ქართველი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი აფხაზეთში ძვლებად ჩაყარეს... აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთლიანობისთვის მაშინ მხოლოდ ეთნიკური ქართველობა კი არ იბრძოდა, არამედ ყველა, ვინც საქართველოში, ქართული მიწის მადლითა და ურთიერთობით იყო გაზრდილი, ვისაც ზემოთ ნახსენები სახელმწიფოებრიობის განცდა ჰქონდა სარწმუნოებისა და ეროვნების მიუხედავად. ხომ ამდენი სისხლი დაიღვარა, ამდენი უბედურება ვნახეთ და დღეს აღმოჩნდა, რომ ყველაფერს ფუჭად ჩაუვლია — რუსეთი ისე არიგებს სოხუმში რუსულ პასპორტებს, როგორც ეს ყუბანის თუ კრასნოდარის ოლქში ხდება... საქართველო-აფხაზეთის დღევანდელი გამიჯვნის ადგილზე არსებულ სიტუაციას დეტალურად არ ვიცნობ და ვერც სახელობით დავადებ ხელს ვინმეს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ აფხაზეთიდანაც და სამაჩაბლოდანაც თბილისისკენ ნარკოტიკები და ათასგვარი კონტრაბანდა ნიაღვრად მოედინება. ვინ უნდა ხეირობდეს ამით ყველაზე უკეთ, თუ არა მთავრობა! წეღან დროშასა და გერბზე ვსაუბრობდით... სამშობლოს მხოლოდ წიგნით და ისტორიით ვერ შეიყვარებ. წიგნიდან შეიძლება წარსულზე ტკივილის განცდა აგყვეს მხოლოდ. სამშობლო აწმყოში უნდა სამშობლობდეს და ეს მაშინ მოხდება, როცა უბრალო ადამიანს თავისი მთავრობის რწმენა ექნება — აი, მაშინ არის საჭირო ჰიმნიც, დროშაც და გერბიც. ისე, სიმართლეც უნდა ითქვას — რა ვქნა და, როგორც არ უნდა ვაიძულო თავი, დღევანდელ ჰიმნს ვერ ვიმღერებ. ამხელა კაცი ვარ და ვაღიარებ — დღევანდელი არც ჰიმნი მეგულება ჩემად და არც დროშა...

**— მართალია, მანამდე ბევრი სხვა რამ არის მოსაგვარებელი, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ქვეყნის ასაშენებლად ხალხი სწორედ დროშის ქვეშ უნდა დაირაზმოს. სახელმწიფო სიმბოლიკას ხომ უდიდესი საკრალური დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. თქვენ კარგად იცნობთ ხალხის ხასიათს და ფასეულობებს საქართველოს ყველა კუთხეში. ამავე დროს დასავლურ და აღმოსავლურ კულტურასაც ხართ ნაზიარები. საქართველოს დროშაზე ჯვრის გამოსახვამ რა უარყოფითი მოვლენა შეიძლება გამოიწვიოს?**

— არავითარი და არანაირი. უნდა გითხრათ, რომ მუსლიმანი ქართველობა, რომლითაც დღეს ზოგიერთი აპელირებს, მოწოდებით, ძირეულად არასოდეს ყოფილა ფუნდამენტალისტი მუსლიმანი. კი, იყო ალავერდი-ხანი და ბევრი სხვა ქართველიც, რომელთაც ლომის წილი შეიტანეს აღმოსავლური კულტურის შენებაში, მაგრამ ისინი ამ კულტურამ შთანთქა და როგორც ასეთი, მუსლიმანური საქართველოს ცალკეული, დამოუკიდებელი გაგება არც არსებულა. მე კარგად ვიცნობ ამ ხალხს — საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებთაც. მათ აბოდებთ საქართველოზე. სამშობლოს სიყვარულით სულდგმულობენ, ამით ცოცხლობენ. თავის წინაპართა ტრაგიკული ბედის შესახებაც კარგად უწყიან და იციან, რომ ოდესღაც, ძირის-ძირში მათი მამა-პაპა ქრისტიანი იყო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, რამდენი ხანია, რაც ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ჯვრიანი დროშები გამოჩნდა. თქვე კაი ხალხო, ამოუღია ხმა ვინმე არაქრისტიანს, ქართველს ან არაქართველს — დროშაზე ჯვარი მოაშორეთ, თორემ საქართველოს თავისუფლებისთვის აღარ ვიბრძოლებთო?! ისევ ჩვენ დავიწყეთ ამაზე ლაპარაკი და არ მოვისვენებთ, სანამ მართლა არ ავიყოლიებთ ვინმე გზააბნეულს. ცნობილი ფაქტია, თბილისში ერთმანეთის გვერდით მეჩეთი, სინაგოგა და ეკლესია რომ დგას. რა ვქნათ ახლა, საქართველოს დროშაზე ნახევარმთვარეც გამოვსახოთ, დავითის ვარსკვლავიც და ჯვარიც? ასეთ შემთხვევაში სხვა პატარ-პატარა კონფესიების დაჩაგვრაც არ იქნება და დროშის ნაცვლად, რელიგიების გალერეა შეგვრჩება ხელში — საგუშაგო კოშკით, ბუდას ქანდაკებით და სხვა ათასი სიმბოლოთი აჭრელებული. განა ამას ბევრი ფიქრი და განსჯა სჭირდება, რომ ავირჩიოთ, ვინ ვართ, რა ვართ და საით მივდივართ? და თუ არავინ ვართ, რომ არავის ეწყინოს, მაშინ გამჭვირვალე, ცელოფანი ავირჩიოთ დროშად!

დასასრულ, მიუხედავად ამდენი ცუდისა, პესიმისტი მაინც არა ვარ. მტკიცედ მჯერა — მოვა დრო, ეს მაჯლაჯუნებიც დაგვეხსნებიან, საქართველოზე ჯვრიანი დროშაც იფრიალებს და ხალხიც დარწმუნდება, რომ ეს ქვეყანა პეტრეს და პავლეს კი არა, თითოეულ მათგანს ეკუთვნის!

*ბატონ ვახუშტის დავემშვიდობე და რუსთაველისკენ დაღმართს ჩამოვუყევი. ქაშვეთთან ჩასულს მზესთან ერთად ხუთჯვრიანმა თეთრმა დროშამ შემომანათა. ალბათ, კონკურენციის მომენტი თუა — ვისი ხელით დარჩება იგი საქართველოს ისტორიაში, თორემ დაუჯერებელია, გონიერი და ქართველი კაცი ჯვრიანი დროშის წინააღმდეგი იყოს. ჩემი ნაცნობი მოძღვრის თვალსაზრისი გამახსენდა — უფლის ნებაა ყველაფერი. როგორც ჩანს, განსაცდელის ჟამს ქვეყნის დროშაზე ჯვარი უნდა გამოვსახოთ. სხვა დანარჩენი კი — ვისი ხელით და როგორ მოხდება, მეორეხარისხოვანია. მთავარი უფლის სიტყვაა — ჯვარითა სძლიო!..*

***დაჩი გრძელიშვილი***



— შენ ვინ ხარ? — ვეკითხები პატარა ბიჭს, რომელიც გაბრწყინებული სახით მოჰყვება ხალხის ტალღას და თავისთვის რაღაცას ღიღინებს.
— მე მოგლი ვარ, არ გჯერა? მოდი, ჩემს დას ჰკითხე...
— მოგლი რა არის?
— არ იცი? — ისე შემომცქერის, თითქოს ჩემზე უვიცი, დედამიწის ზურგზე არავინ ეგულება...
— მოგლიო არა? — უცებ საიდანღაც გაჩნდა მასზე ცოტა უფროსი გოგო... — ნიკა, რამდენჯერ უნდა გითხრა, მოგლი კი არა, მოგვი... მოგვი — ვარსკვლავთმრიცხველს ნიშნავს. მე კი მწყემსი ვარ. იცით, მათეს სახარებაში წერია, რომ ახალშობილი იესო პირველად მოგვებმა მოინახულეს და თაყვანი სცეს, ლუკას სახარებაში კი წერია, რომ — მწყემსებმა. ჩემს ძმას უნდა, რომ მოგვი იყოს, მე — მწყემსი — ზედმეტად ჭკვიან სახეს იღებს გოგო და თან ადგილზე ცქმუტავს — უნდა დროზე გამცილდეს და წინ წასულ მეგობრებს შეუერთდეს.
— ამდენი საიდან იცი ასე პატარამ? — მეცინება მე...
— მე და ნიკა საკვირაო სკოლაში დავდივართ და იქ გვასწავლიან...
— აქ ვისთან ერთად ხართ?
— დედამ და მამამ წამოგვიყვანეს ჩვენც და ჩვენი ამხანაგებიც. თქვენც წამოდით, სამების ტაძარში საშობაო პარაკლისს გადაიხდიან...
— კარგი-მეთქი, ვპირდები...
— ანა, დამიცადეთ! — რაც ძალი და ღონე აქვს, ყვირის გოგონა, ძამიკოს ხელს ჰკიდებს და თავქუდმოგლეჯილი გარბის მეგობრებისკენ...

*„ოცდა — ოცდა-ხუთსა დე-კე-მბერ-სა*
*ქრისტე იშვა ბეთლემსაო და...“*

ყოველი მხრიდან ისმის გალობა.
ურემში შებმული ხარები უზარმაზარ გოდრებს მოაგორებენ. გზადაგზა სახლებიდან გამოდიან სურსათ-სანოვაგით, ხილით, ტკბილეულით, ტანსაცმლით დატვირთული მობინადრეები და საჩუქრებს გოდრებში დებენ...
ხალხი უწყვეტ ნაკადად მოედინება — ვის აღარ ნახავთ აქ — ბავშვები, მოზარდები, მოხუცები, ახალგაზრდები ბედნიერი სახეებით ქრისტეშობას ახარებენ თანამოქალაქეებს...
— შვილო, რაც მქონდა, ის გამოვიტანე — ტკბილეული, ხილი, ტანსაცმელი. ჩემზე მეტად, ეს ყველაფერი, სხვას სჭირდება. მე შვილები და შვილიშვილები მეხმარებიან. ღვთის წყალობით როგორმე გავიტან თავს... — ამბობს ხანში შესული ქალბატონი...
— აი, იმ მოხუც ქალს ხედავ, შვილო? — საუბარში ერევა მეორე — ქმარი მაგას არა ჰყავს, შვილი და ახლო ნათესავი. იმ გროშების იმედზეა, სახელმწიფო რომ გვაძლევს. მეზობლებმა ფული შევკრიბეთ, სურსათ-სანოვაგე ვუყიდეთ და საშობაოდ მივართვით. ნახევარზე მეტი აქ გამოიტანა და გოდორში ჩააწყო — ქვეყნად კეთილ ადამიანებს რა გამოლევს, თქვენ ხომ მადლი ჰქენით, მეც მინდა სიკეთე გავაკეთო, ჩემზე გაჭირვებულებიც ხომ არიანო...
უცებ ქუჩაში ნაცნობი ბიჭები შევნიშნე — მანქანიდან გადმოვიდნენ და მეალილოე ბავშვებს ფული დაურიგეს.
— გიორგი! — დავუძახე...
— ვა, ეკუშ, შენც აქა ხარ? ამათ მიჰყვები თუ წერ რამეს? — მისთვის ჩვეულ ტონში მკითხა „ძველებიდან“ ყველაზე „ძველმა“... თუ გინდა, მანქანით გაგიყვან...
— არა, დიდი მადლობა... შენ, რაღაც ძალიან გახარებული ხარ...
— ჰო, რა ვიცი, აბა, ეკლესიაში ვიყავი... გახსოვს სახლში რომ უძვირფასესი ხატი მქონდა — დაწერილი ხატი, ის ეკლესიას ჩავაბარე...
— ჩააბარე თუ შესწირე?
— აუ, შენც მაგას მეუბნები?.. შემჭამეს, ჟარგონით ლაპარაკობო... არა, ტო, ამას შეწირვა არ ჰქვია... ის ხატი ძალიან ადრე, კომუნისტების დროს იყიდა მამაჩემმა კაპიკებში — ძალიან ძველი იყო... იმ დროს გაყიდული ყველა უძველესი ხატი ხომ ეკლესიიდან იყო მოპარული. კომუნისტებმა ხომ გააპარტახეს ტაძრები... ჰოდა, სადაც მისი ადგილი იყო, იქ დავაბრუნე, იმას ჩავაბარე, ვინც ნამდვილად მოუვლის — დედაჩემსაც მოველაპარაკე, მაკოსაც — გაგიჟდნენ — ასეთი კარგი აზრი ცხოვრებაში არ მოგსვლია — ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში მივიტანე...
— მიაბრძანე...
— ამდენი არ ვიცი, რა... მერე ვისწავლი, ალბათ, თანდათან, ძალიან გაეხარდა მამაოს... აღსარება მათქმევინა, ხო აზრზე ხარ, რეებს ვიტყოდი... კიდე ერთხელ მოდი და გაზიარებო... აი, ლოცვების წიგნი ვიყიდე... ყოველ დილასაღამოს უნდა ვიკითხო...
— როგორ მიხარია!
— შენ ჩემი თქვი! იცი, რამხელა ლოდი მომეხსნა გულიდან!

*„არიელი, მარიელი, ნუ გამიშვებ ცარიელი,*
*ჩვენ ხომ მათხოვრები არ ვართ,*
*შობის მახარობლები ვართ!“*

გალობდნენ სადღაც...
მზით გამთბარ ქალაქში უჩვეულოდ კეთილი სული ტრიალებდა — ამდენი ერთმანეთთან სიყვარულით ჩაჭიდებული ხელი, ამდენი სიკეთისთვის მომართული გული, ერთად თითქმის არასდროს მინახავს.
თეთრ, წითელჯვრებიან სტიქრებში გამოწყობილი მართლმადიდებლები სამების ტაძრისკენ მიემართებოდნენ...
ალილოობის ტრადიცია უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და სიმბოლურად პატარა ნიკუშასი არ იყოს, მართლაც ასახავს ბიბლიური მოგვების მსვლელობას, რომლებმაც პირველებმა იხილეს ჩვილი იესო, თაყვანი სცეს მას და მერე გზად ყველას ახარებდნენ მაცხოვრის შობას... მეალილოებს სხვანაირად შობის მახარებლებსაც ეძახიან... ამ დროს ხალხი ორ ნაწილად იყოფა — მეალილოებად, ანუ იმად, ვინც საჩუქრებს აგროვებს უპოვართათვის და გამცემებად, ანუ ვინც სიხარულით გაიღებს რამეს მეალილოეთათვის...
თავჩაღუნული ხარები ტაატით მიუყვებოდნენ მანქანებით გადატენილ ქუჩებს...
— ყველას გილოცავთ ქრისტეშობას! — სადარბაზოდან ღიმილით გამოვიდა საჩუქრებით დატვირთული კაცი და ურმებისკენ გაემართა...
— მრავალს დაესწარი! — მიაგებეს მეალილოეებმა.

*„ოცდა — ოცდახუთსა დეკემბერსა*
*ქრისტე იშვა ბეთლემსაო“*

— გალობდა მრევლი...
თბილისის ქუჩებში საოცრად კეთილი სული ტრიალებდა...

***ეკა მახარაშვილი***

**ანსამბლი „ივერია“:**
ჩვენი მცირე „ივერიის“ სახელით დიდ ივერიას ვულოცავთ ახალ წელს. ყველა ოცნების ახდენას, გამთლიანებას, იმედის არმოშლას ვუსურვებთ.



**რამაზ ჩხიკვაძე:**
რა შეიძლება ვუსურვო საქართველოს... ჩვენი ქვეყნის საქმე წინ წასულიყოს, ხერხემალში გავსწორებულიყავით. რაც მთავარია, როგორც სოლომონმა თქვა, ღმერთისგან სიბრძნე გვქონდეს, რომ საღად გავნსაჯოთ ყოველივე, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. როგორც „კავკასიური ცარცის წრეშია“, მთავარია სიკეთე ვაკეთოთ და... გადავრჩებით.

**სუხიშვილების ანსამბლი:**
თბილისს, საქართველოს ვუსურვებთ დაბრუნებულიყოს ის სითბო, გაგება, ზრდილობა, როგორც ძველად იყო. რაც მთავარია ჩვენი უდიდეს კულტურის მოვლა-პატრონობა გვახსოვდეს. ურთიერთსიყვარული გვქონდეს.

**გივი ბერიკაშვილი:**
ამ ბოლო დროს ქუჩაში ღიმილს ვეღარ ვხედავ. ნდობა არაფრის აღარ არის. იმის პრობლემა, რომ ჩემში ვინმეს ეჭვი შეეპარება, ნაკლებად მაქვს, მაგრამ ჩემი თავი დავიჭირე სხვების უნდობლობაში — ამას წინათ აფთიაქში წამალი მინდოდა დამემზადებინა შვილისთვის და უეცრად ისეთი კითხვა გამიჩნდა, რომელმაც შემზარა — ხარისხიანად გააკეთებენ? ქართველ ხალხს ვუსურვებ რომ ძველებური ღიმილი, ნდობა დაგვბრუნებოდეს. ღმერთმა, ვენაცვალე მის სახელს, ინებოს კიდევ ერთხელ მოწყალების თვალით გადმოგვხედოს, ბედნიერი წელი დაგვიდგეს და მომავალ წელს, უკვე მიგველოცოს ერთმანეთისთვის ოცნებების ახდენა. სულ ყველას გეფერებით...

*თუ ძალიან მოინდომებ და მარჯანიშვილის თეატრის უკან ბნელი შენობის რკინის კიბეზე აძვრები, იქ ერთ ძველ ოთახს მიადგები, სადაც თეთრულვაშიანი ხნიერი კაცი ისეთ ფეხსაცმელს გადმოგიღებს, იტყვი, თვალი მომცა და მაყურებინაო. ამჯერად ფეხსაცმელი მარჯანიშვილის თეატრის ახალი სპექტაკლისთვის იკერება. მართალია, ახალი სპექტაკლები იშვიათად იდგმება, მაგრამ ხანდახან ასეთი ბედნიერება მსახიობებთან ერთად,* ***ვახტანგ ლავრელაშვილს*** *მაინც აქვს. ასეთ დროს თავს არ იღებს და უქმად გაცდენილ თვეებს ინაზღაურებს... არადა, იყო დრო, როცა მის წინ ახლა უკვე საშინლად გაცვეთილ სავარძელში მარჯანიშვილის თეატრის ვარსკვლავები ისხდნენ. ახლა გაყვითლებული გაზეთებიდან ამოჭრილი მათი სურათები კედელზე ეროვნულ დროშასთან ერთად კიდია.*

**— ძია ვახტანგ, ეს დროშა როდის დაკიდეთ?**



— ასე, 14 წლის წინ. ერთი მხატვრის შვილმა მომიტანა. რას აშავებს?
**— არაფერს... თვითონ როდის მოხვედით ამ თეატრში?**
— რაღა მახსოვს... ასე, 1952-53 წელი იქნებოდა, მაგრამ აქ კი არ ვიჯექი, თეატრის მესამე სართულზე მქონდა ოთახი. ასე, 25 წლის ვიქნებოდი, სპეციალურად მომიყვანეს, ომის დროს შინსახკომში გენერლების ჩექმებს ვკერავდი.
**— აქ პირველი ფეხსაცმელი ვის შეუკერეთ?**
— ჯერ ვერიკოს, მერე მედეა ჯაფარიძეს.
**— ალბათ ის ფეხსაცმელები გახსოვთ?..**
— მახსოვს მა რა... ვერიკოს 37 ზომის ფეხი ჰქონდა, მედეას — 36. მედეას ფეხიც ლამაზი ჰქონდა და ყველაფერიც. ულამაზესი ქალი იყო, მიხაროდა მისი შემოსვლა.
**— სანამ ფეხსაცმელს უკერავდით, ათას რამეს ჰყვებოდნენ ალბათ... ყველაზე მეტს ვინ გეჭორავებოდათ?**
— მედიკო. სესილიასაც უყვარდა ლაპარაკი, მაგრამ ის სხვანაირი ქალი იყო — პრინციპული — რომ იტყოდა, გათავებული იყო საქმე... თუ რამე არ მოეწონებოდა, მორჩა, აღარ უნდოდა! კაცებთან კი... კაცებთან პურიც ხშირად მიჭამია. ისეთ სადღეგრძელოებს იტყოდნენ, ამეტირებოდა ხოლმე. ყველაზე კარგი მოქეიფე ვასო გოძიაშვილი იყო. ეგ იყო პირველი თამადა. მერე იაშა ტრიპოლსკი — ლობიოს ადღეგრძელებდა ხშირად — ჩვენო გამზრდელო და მარჩენალო ლობიო, გაგიმარჯოსო.
**— ასეთი სადღეგრძელო პირველად მესმის...**
— სიღარიბეში იყო გაზრდილი და იმიტომ. განა სხვები იყვნენ მდიდრები? საწყალ ჟორა შავგულიძეს 100 მანეთი ჰქონდა ხელფასი.
**— მსახიობები თუ ასე ღარიბები იყვნენ, არც თქვენ იქნებოდით დალხენილი.**
— კი, მეც მიჭირდა. ბევრჯერ შვილი გამხდომია ავად. არც წამალი იშოვებოდა და არც ფული მქონდა. ხან ვერიკო მეხმარებოდა, ხან კაკო კვანტალიანი, ხან ვინ და ხან ვინ... ეჰ, მაშინ სხვა დრო იყო, სხვა ხალხი... არ გაგრძნობინებდნენ, რომ დიდი მსახიობები იყვნენ. აბა ახლა არიან? — ზოგიერთს დალაპარაკებაც არ უნდა... ის ხალხი, შვილო, იმ დროში იყო დაზრდილი, გაჭირვება რომ იყო, ყველაფერი იცოდნენ, ავიც და კარგიც.
**— მაინცდამაინც გაჭირვებაში გაზრდილი უნდა იყო, რომ ადამიანს დაეხმარო?**
— თუ რამე არ გტკენია, შვილო სხვის ტკივილს რას გაიგებ?.. ამ ხალხს ფული არ ჰქონდა, ურთიერთდამხმარე სალაროდან გამოჰქონდათ და მერე აბრუნებდნენ.
**— ეს ურთიერთდამხმარე სალარო რა იყო?**
— დამხმარე სალარო იყო, რა! თითო მანეთს ვდებდით ჯამაგირზე, ფული ქუჩდებოდა. ვისაც დასჭირდებოდა, დასწერდნენ განცხადებას და ასესხებდნენ. საშა გომელაური იყო თავმჯდომარე. ყველას სჭირდებოდა მაგ სალაროს ფული. აი, ვერიკოს მაგალითად, სტუმრები ბევრი ჰყავდა, ხარჯი დიდი ჰქონდა, ხელფასი კიდევ პატარა... აიღებდა და ისესხებდა ხოლმე.
**— ერთი წყვილი ფეხსაცმლის შეკერვას რა დრო სჭირდება?**
— გააჩნია. წესიერად რომ შეკერო, 2 დღე მაინც უნდა იმუშაო.
**— რამდენად შეკერავთ?**
— ახლა ტყავი ძვირი ჯდება. ჩემთვის რომ შევიკერე, 4 თუმანი დაჯდა მასალა, სხვას რამდენად უნდა შევუკერო?
**— ალბათ 60-70 ლარად.**
— ჰო. ეგ ფული არ აწყობთ. აგე, ციგნები ყიდიან ფეხსაცმელებს 15 ლარად. მთავარია, იაფია. მეორე დღეს კი აღარ ვარგა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, — კლიონკაა თუ რაც არის, მაინც ფეხსაცმელია. სხვა შესაძლებლობა არ აქვთ და იმას ირჩევენ.
**— აქ ალბათ მცირე ხელფასს იღებთ, სხვაგან რატომ არ გახსნით სახელოსნოს? — ერთი ქუსლის შეკეთება 2 ლარი ჯდება, ფული გექნებათ...**
— არა, ამათთან მუშაობას ვარ მიჩვეული. აგე, კედელზე ნახე, რა ხალხი „მყავს“! ამათ რო არ დაველაპარაკო, ვერ ვიცოცხლებ...
**— არ გეწყინოთ და თქვენი ხელობის ხალხში ბევრი მატყუარაა. თუ რაიმე შეაკეთებინე, მალე ისევ მწყობრიდან გამოდის.**
— ეგ მარტო აფერისტობის ბრალი არ არის, აღარც მასალა იშოვება კარგი. ფეხსაცმელიც სხვაა. წინათ რაც იკერებოდა, მსხვილი ქუსლი ჰქონდა. ახლა ფასონი შეიცვალა და წვრილი ქუსლია მოდაში. აბა, რამდენი კილოა ადამიანი? — სულ მცირე 60 ხომ არის? — ეს ქუსლი ამ წონას გაუძლებს? გაფუჭდება აბა რა. ლამაზი კია, მარა ეს ჩვენთვის არ არის, საზღვარგარეთისთვის არის. იქ რომ ჩაიცვამენ, ჩაჯდებიან მანქანაში, წავლენ თეატრში, გამოვლენ და ისევ მანქანაში ჩასხდებიან. ამ მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებს ეს რას გაუძლებს?!

*ჩვენს საუბარს ძია ვახტანგის ძველი მეგობარი შემოესწრო. რომ არ მოეწყინა, ძველ მაგნიტოფონში ძველებური სიმღერები მოძებნა. იმ სიმღერების აკომპანიმენტში ძველ კიბეზე ჩამოვედი და თეატრის წინ გამოსულმა, ჩამოჩეხილი ჭადრის ტოტებზე კინაღამ ცხვირ-პირი დავიმტვრიე. ფეხსაცმლის ქუსლი შევიმოწმე და... მწარედ გამახსენდა ძველი ხარაზის ნათქვამი: „ამ მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებს ეს რას გაუძლებს, შვილო“..*

***ეთერ ერაძე***

მწერალი-იუმორისტი ქართლოს კასრაძე

გისურვებ ციდან მარად მზეს,
წმინდა ზრილიანტს ცხრა ლიტრას,
ანტი-ქართველთა გულებში
ზასრი მახვილი დაგიკრავს!

ამდენ გაზეთებ-ჟურნალში
პირველი ტახტი დაგიდგამს,
ზარაქა, შვება, დიდება —
ყოველი „კვირის პალიტრას“!...





# „შეიძლება ყველაფერი დაკრძალვამდეც გაირკვეს...“

## „შევარდნაძემ დაიწყო იმის რეალიზება, რისთვისაც გამოუშვა იოსელიანი“

8 იანვარს, დაახლოებით საღამოს 7-ის ნახევარზე, ზუგდიდის ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღით დემონსტრაციულად ჩაცხრილეს „პატრიოტთა კავშირის“ თავმჯდომარე, ამავე კავშირის სამეგრელოს რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბადრი ზარანდია. ადმინისტრაციული შენობის გვერდზე განთავსებულ კაფე „იდეაში“ ზარანდია მეგობარ გოგონასთან, თამუნა ბიგვავასთან ერთად სულ 15-20 წუთის მისული იქნებოდა. თბილისიდან ახალჩამოსული ზარანდია მკვლელობის დღეს დაცვის და რაც ყველაზე გასაკვირია, იარაღის გარეშე იყო. ეტყობა, მკვლელებმა ყველაფერი წინასწარ ზედმიწევნით გათვალეს და დაგეგმეს...

„კაფესთან გაჩერებული მანქანის საჭესთან მარტო რომ ვნახე, გამიკვირდა. ჩვეულებრივ რამდენიმე თანმხლები ყოველთვის ახლდა. ბოლო პერიოდში ჩვენს კაფეში სისტემატურად დადიოდა... ორი პიცა, შამპანური და ყავა შეიკვეთა. თანმხლები გოგონა ჩქარობდა, ჩქარობდა ბადრიც, თურმე მას სახლიდანაც ურეკავდნენ მეუღლე და შვილები.

შემდეგ გოგონამ ვიღაცასთან დარეკა, კაფეში ვარ და გადაეცი (უცნობია ვის — *რ.მ.*), დამაგვიანდებაო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს შემთხვევითი შეხვედრა იყო და ბადრიმ უბრალოდ ყავაზე მოიპატიჟა გოგონა. გასვლას აპირებდნენ, რომ უცებ კარი გაიღო და ავტომატის ლულა გამოჩნდა, რასაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ რამდენიმე გასროლაც მოჰყვა. მე სამზარეულოში მივიმალე, იქიდანაც მესმოდა შენობის გარეთ ატეხილი სროლა, თვითონ მკვლელი კაფეში არ შემოსულა“, — ამბობს ნინო ბერულავა, კაფე „იდეას“ თანამშრომელი.

„პატრიოტთა კავშირის“ დამფუძნებელი ჯაბა იოსელიანი ზუგდიდში მკვლელობის მეორე დღესვე ჩავიდა და ბადრი ზარანდიას სახლში მის თანამებრძოლებთან კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ დაბეჯითებით განგვიცხადა, რომ ზარანდიას მკვლელობა პოლიტიკური შეკვეთა იყო.

„საიდუმლო აღარაფერია, ყველაფერში გავერკვიეთ. ჩვენი ვარაუდი გამართლდა, ეს არის ჟვანია-სააკაშვილის გუნდის გაკეთებული. შემკვეთები ესენი არიან. შემსრულებლებს ჯერ არ დავასახელებ, რომ არ გაიქცნენ. ჩვენ გადავწყვიტეთ, ეს ვაცნობოთ პროკურატურას, უშიშროებას და შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლებსაც მოვუწოდებთ, ბოლომდე მიიყვანონ ეს საქმე. თუ მიაფუჩეჩებენ, მაშინ ისინიც თანამონაწილენი არიან“, — აცხადებს ჯაბა იოსელიანი.

ბადრი ზარანდია არენაზე ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდში გამოჩნდა. მინიდოსიე ასე გამოიყურება: 1991-92 წლებში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ცნობილი მეთაურია; 1992-93წ. — ფოთის ფრონტის ხაზისა და ცენტრალური მიმართულების ფრონტის მეთაური. უზენაესმა სასამართლომ სამშობლოს ღალატის მუხლით მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, სასჯელის ზომა 1998 წელს პარლამენტმა გააუქმა. 1999 წლის 22 აპრილს ბადრი ზარანდია პარლამენტის დადგენილებით გაათავისუფლეს.

ამის შემდეგ ბადრი ზარანდია „მხედრიონელების“ მოკავშირე ხდება, შერიგებას „პატრიოტთა კავშირის“ დაფუძნებით აგვირგვინებენ. თუმცა ამ ფაქტმა ზურგს უკან ზვიადისტთა ერთი ნაწილის უკმაყოფილებაც გამოიწვია, მაგრამ რეაქცია ამ ზღვარს არ გასცდენია. ზარანდიამ პოლიტიკური აქტივობა გამოიჩინა ზუგდიდის გამგებლის არჩევნებშიც. ის გამგებლობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო. როგორც ჩანს, ბადრი ზარანდიას მუდმივად უთვალთვალებდნენ.

ზარანდიას თანამშრომლები დღეს დუმან. „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ზარანდიას უახლოესი მეგობარი და აწ უკვე ჯაბა იოსელიანის მიერ „პატრიოტთა კავშირის“ სამეგრელოს ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნული **რამაზ ქარჩავა** ამბობს:

— ამ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთგან ისეთი პიროვნებები ვნახე ერთად შეყრილი, ცუდად მენიშნა. მათგან ერთ-ერთის გამოჩენა სამეგრელოში ყოველთვის საბედისწეროდ მთავრდება. ისინი გაცხარებით საუბრობდნენ და არც შევუმჩნევივართ. მე ბადრის ძმისშვილიც მახლდა, ბადრი მაშინვე გავაფრთხილეთ, რაღაც ცუდს გვიმზადებენ, ფრთხილად ვიყოთ-მეთქი.

**— ასეთი ეჭვის საფუძველს რა გაძლევდათ?**

— დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ გპირდებით, ყველაფერს ფარდა აეხდება სულ მალე და არა საუკუნეების შემდეგ. შეიძლება ეს ბადრის დაკრძალვამდეც მოხდეს (წინასწარი მონაცემებით, ბადრი ზარანდიას შაბათს, 18 იანვარს დაკრძალავენ. — *რ.მ.*).

**— როგორც ამბობენ, ბადრი დაცვის გარეშე არ დადიოდა. იმ დღეს რატომ დარჩა მარტო?**

— რასაც თქვენ დაცვას ეძახით, იმას ჩვენთან საძმო ჰქვია. იმ დღეს ხობში, მშობლებთან ვიყავი წასული, საღამოს უნდა დავბრუნებულიყავი. ბადრი ათ თანამებრძოლთან ერთად დავტოვე იმ კაფესთან შორიახლოს, სადაც თავის ახლობელ გოგონას შეხვდა. რაღაც საქმე ჰქონდა გასარკვევი და თავისი სურვილით ბიჭებიც დაუთხოვია. ყავის შემდეგ შინ აპირებდა დაბრუნებას.

**— ვის შეიძლებოდა ეს გაეკეთებინა. დღეს მკვლელობის რამდენიმე ვერსიას ასახელებენ, მათ შორის შავ ბიზნესს, კერძო ინტერესებს...**

— ხშირად ისმის, რომ ზვიადისტები კონტრაბანდაში არიან ჩაბმულები. შეიძლება 1-2% მართლაც იყოს, არ ვიცი, მაგრამ ჩვენი კავშირის წევრები ამ საქმეში არ მონაწილეობენ.

**— ჰყავდა თუ არა პირადი მტერი, ვინც ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე წავიდოდა?**

— ამაზე ვერაფერს გეტყვით. დღეს ბევრია ისეთი, ვინც არც ერთ სტრუქტურაში არ არის გაწევრებული, მაგრამ იარაღს კარგად ფლობს. ბადრის ოთხი ტყვია აქვს მოხვედრილი, ოთხივე — სასიკვდილო. ეტყობა, უთვალთვალებდნენ. ამაზე უკეთეს მომენტს ვერც მონახავდნენ.

**— კონკრეტულად ვინმეზე გაქვთ ეჭვი?**

— შემკვეთზე გვაქვს, შემსრულებელსაც გავარკვევთ.

**— ჯაბა იოსელიანმა კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ მკვლელობა ჟვანია-სააკაშვილის გუნდს დაუკავშირა. რას ნიშნავს ეს?**

— სამწუხაროდ, ამის საფუძველს ბოლო პერიოდის სიტუაციები იძლევა. „პატრიოტთა კავშირის“ სამეგრელოში არსებობა და მით უმეტეს გააქტიურება, არავის აწყობს. პოლიტიკური სპექტრი თავიდან ბოლომდე გადანაწილებულია. არავინ იცის, რა მოჰყვება ამა თუ იმ პატრიოტული ძალის გააქტიურებას და ხმების დაკარგვის ეშინიათ.

ხელისუფლებაში მოსასვლელად ყველაფერზე ხელს აწერენ.

**— ბადრი ზარანდიას „მხედრიონთან“ დაძმობილებას ზვიადისტებს შორის მითქმა-მოთქმა მოჰყვა. რა რეაქცია მოჰყვა მათ შორის დღეს ზარანდიას დაღუპვას?**

— ვინც ვერ გაიგო, რა იყო ჩადებული ამ შერიგებაში, ის ვერც ვერასოდეს გაიგებს. ერთ დროს ერთმანეთთან იარაღით ვიყავით დაპირისპირებულები, ამავე დროს აფხაზეთშიც გვიომია ერთმანეთის გვერდით. რას ხედავენ იმაში ცუდს, რომ ქართველები ისევ ერთად დავდგეთ, კაცურად მივუტევოთ ერთმანეთს და საერთო საქმისთვის ვიბრძოლოთ?!

ცუდია საკუთარ შეცდომებზე რომ გვიწევს სწავლა, მაგრამ მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენთ. ბადრის ცხედართან დავიფიცეთ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ...

ჯაბა იოსელიანის განცხადების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის ლიდერთან დაკავშირება ვცადეთ. რაკი მიხეილ სააკაშვილი სტრასბურგში გახლდათ, კომენტარი დავით ბერძენიშვილს ვთხოვეთ.

**დავით ბერძენიშვილი:** გასაგებია, რომ შევარდნაძემ დაიწყო იმის რეალიზება, რისთვისაც გამოუშვა ციხიდან ჯერ ჯაბა იოსელიანი, მერე ხაჩიშვილი და გელაშვილი. ამ ხალხს არ აქვს არანაირი მხარდაჭერა. მათ მხოლოდ ხელისუფლების შეკვეთების შესრულება და ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლიათ. ვფიქრობ, ეს ფუჭი გასროლაა ხელისუფლების მხრიდან. ადამიანი რომ მოკვდება, მისი ცხედრის გაციებამდე სპეკულაციას არ ეწევიან ხოლმე, მაგრამ წესიერებაზე პრეტენზია ჯაბა იოსელიანს ხომ დიდი ხანია არ აქვს. შს მინისტრს რომ ეახლა და 2 საათი ელაპარაკებოდა, სრულიად გასაგებია, ვინც ჩაერია ამ საქმეში. ნარჩემაშვილი ჯორბენაძის დავალებითაც ვერ გაბედავდა მის მიღებას. ეს იყო პირდაპირ შევარდნაძის შეკვეთა. მისი დავალებით მივიდა ის შს მინისტრთან და მისი დავალებით მიიღო ის ნარჩემაშვილმა. ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, მალე გამოჩნდება. ისე იოსელიანს სჯობდა ზარანდიაზე მანამ ეზრუნა, სანამ ეს დაემართებოდა.

ჯაბა იოსელიანის მცდელობა, შევარდნაძეს კიდევ ერთხელ გამოადგეს, წარუმატებლად დამთავრდება მისთვისაც და მისი პარტნიორი შევარდნაძისთვისაც.

P.S. ვიდრე ამ მკვლელობის ჩამდენი კონკრეტული დამნაშავე დასახელდება, ბადრი ზარანდიას თანამებრძოლები არ ხმაურობენ. კულუარებში ითქვა, რომ ისინი დამოუკიდებლად მოქმედებენ. ზარანდიას დაკრძალვის დღეს „პატრიოტთა კავშირის“ სამასი წევრი აპირებს ზუგდიდში ჩასვლას.

მრავლის გადამტან ზუგდიდელებს კიდევ ერთი მძიმე დღე უდგათ წინ. სიფრთხილე მართებთ, აწონილი სიტყვის თქმა და ერთხელ შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯის ბოლომდე გადადგმა... (რედ).

***რუსუდან მიქენაია***
***ზუგდიდიდან***

# კაკუბავა სურმანიძეს და ლომინაძეს ცემით ემუქრება...

## „ჭკვიანად იყოს, თორემ საკადრისს მიიღებს“ — ემუქრებიან კაკუბავას

პარლამენტარობა არცთუ უხიფათო თანამდებობა ყოფილა. სადეპუტატო იმუნიტეტი პარლამენტარებს ფიზიკური ანგარიშსწორებისგან ვეღარ იცავს. სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ისინი სულ უფრო ხშირად ხდებიან ტრავმატოლოგების პაციენტები.

4 იანვარს ე.წ. არამიანცის საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში სასიკვდილოდ ნაცემი დიმა ჯაიანი მიიყვანეს. მოგვიანებით, გონს მოსულმა პარლამენტარმა ინციდენტის გახსენება შეძლო: საღამოს 21.30სთ-ზე ის შინ, ლესელიძის ქუჩაზე მისულა. ეზოში შესასვლელი ჭიშკრის გაღება დაუპირებია. ამ დროს ვიღაც ახალგაზრდას მისთვის შობა-ახალი წელი მიულოცავს და უთქვამს, ჭიშკარს მე გაგიღებო. ეზოში შესვლის შემდეგ ნიღბიანი მეორე უცნობი გამოჩენილა ავტომატით. ჰაერში უსვრია და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე დეპუტატის კონდახით ცემა დაუწყია.

ამ დროს დიმა ჯაიანის მეუღლე შინ ყოფილა. ქალბატონ გულიკოს გასროლის ხმა საახალწლო სალუტად მიუჩნევია. გარეთ მხოლოდ არაადამიანური ყვირილის გაგონების შემდეგ გაუხედავს — სისხლში მოსვრილ, ძირს დაგდებულ მის მეუღლეს ორი ახალგაზრდა გამეტებით ურტყამდა.

მთაწმინდა-კრწანისის პოლიციაში საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა. ჰილზი და ტყვიის გულა ნაპოვნია. გამოძიებას, ჯერჯერობით, არ ჰყავს ეჭვმიტანილი. თუმც ყველაზე სარწმუნოდ პოლიტიკური ანგარიშსწორების ვერსიას მიიჩნევენ, „სავარაუდო ეჭვმიტანილად“ კი ჯაიანის კოლეგას, **ბორის კაკუბავას**.

**— ბატონო ბორის, დიმიტრი ჯაიანზე ანგარიშსწორებას მის პოლიტიკურ ოპონენტებს მიაწერენ — მრავალი ათასი ადამიანი თქვენი და დაზარალებული პარლამენტარის პაექრობის მოწმე იყო...**

— დიდი შეცდომაა დიმიტრი ჯაიანის პოლიტიკოსობაზე ლაპარაკი. იგი არის პროვინციელი მსახიობი და მას იმ პიროვნებად არ მივიჩნევ, რომელთანაც შეიძლება პოლიტიკური დაპირისპირება მქონდეს.

**— როგორ? საქართველოს მთელი მოსახლეობა უსმენდა და უცქეროდა პარლამენტის სხდომების ტელეტრანსლაციის დროს თქვენს „ტკბილ“ დიალოგებს.**

— დიმა ჯაიანთან დაპირისპირება კი არა, ურთიერთობაც არ მქონია არასდროს. მას უამრავი ისეთი რამ აქვს გაკეთებული, რომლის გულისთვისაც იგი სოხუმში ვეღარ ჩავა. ყოველთვის „პაკაზუხა“ იყო.

ომის დროს სამხედრო ფორმით „მარიაჟობდა“ შევარდნაძის წინაშე, აჩვენებდა, მეც იარაღით ხელში ვდგავარო. შევარდნაძის სამსახურში იმიტომ ჩადგა, საკუთარი ცხოვრება მოეწყო, მისი ცოლი მილიციაში აკეთებს ფულს (ქ. რუსთავის საპასპორტო განყოფილებაში), ჯაიანს კი თავი მოაქვს — სოხუმის თეატრის დირექტორი ვარო. გიგა ლორთქიფანიძე ახლა რომ გამოვიდა ჯაიანის დასაცავად, რატომ მანამდე არ უთხრა, პარლამენტში შენი საქციელი, უშვერი ლანძღვა-გინება ხელოვანი კაცისთვის შეუფერებელიაო.

**— მაგრამ ჯაიანს ლანძღვაში არც აბაშიძის ბანაკი ჩამოუვარდებოდა.**

— ერთხელ პარლამენტში, როდესაც ვასიკო მაღლაფერიძე განათლების რეფორმაზე მოხსენებით გამოდიოდა და განათლების სამინისტრო გააკრიტიკა, დიმა ჯაიანი დარბაზიდან შეედავა. ვასიკომ სთხოვა — მაცალე და მერე ვილაპარაკოთო. ვინ აცალა — ახტა და დახტა. დიმა მაშინ ვასიკოს გაექაჩა.

მაშინ მართლა საცემი იყო. კი ვცემდი, როცა უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა, მაგრამ ფიზიკურად არ შემიძლია, ურთულესი ოპერაცია გადავიტანე და ერთი წლის მანძილზე ხელის განძრევაც აკრძალული მაქვს, თორემ ჯაიანს იმ ტრიბუნასთანვე ამოვუნაყავდი ცხვირ-პირს. როდესაც გაიძახის, — ჩვენს პრეზიდენტს გაუმარჯოს, ასეთი პოლიტიკოსი მთელ მსოფლიოს შეშურდებაო. შევარდნაძემ დაგვღუპა — უსახლკაროდ დაგვტოვა, ჯაიანი კი ასეთ პრეზიდენტს ადიდებს, მხოლოდ პირადი გამორჩენის მიზნით.

**— კი მაგრამ პოლიტიკური დაპირისპირება ხომ არ უნდა გადავზარდოთ ცხვირ-პირის მტვრევაში. ძალადობას ხომ ძალადობა მოჰყვება და თანაც პარლამენტი არ არის რინგი, სადაც მოსახლეობამ ჩხუბს უნდა უყუროს, მეთანხმებით? ოდნავადაც არ შეგებრალათ როგორც ადამიანი?**

— ასე უმოწყალოდ არ უნდა გაელახათ. მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორ არის ნაცემი. ჟურნალისტებს მასთან არ უშვებენ, ახლობლებმა არაფერი იციან, შესაძლოა სულაც არ უცემიათ ეს კაცი და ყველაფერი მოიგონეს. ან ვის სჭირდებოდა მისი ცემა, ერთი სილა უნდა გაეწნათ და პანღური ამოერტყათ. რით არის ამისთანა მნიშვნელოვანი დიმა ჯაიანი, რომ დახვდნენ და პოლიტიკური ანგარიშსწორება მოუწყვეს?! მის ნათქვამს თუ დავუჯერებთ, ათი კაცი ვერ ერევა. ეტყობა, 12 ან 15 კაცი დახვდა, რაკი საავადმყოფოში მოხვდა... ეს ცემა-ტყეპის ამბავი გივი ლომინაძის მოწყობილი ფარსია. ჯაიანი ხომ თავისი ტვინით არ მოქმედებს. ლომინაძე კი სუკის აგენტი და რეზიდენტია, რომელმაც აფხაზეთი დაგვაკარგვინა. აფხაზეთის დაღუპვა ლომინაძის კისერზეა და დღესაც თაღლითურ საქმიანობას აგრძელებს.



**— რაში სჭირდებოდა ლომინაძეს ამ სცენის გათამაშება?**

— ურთიერთობა ხომ დაძაბულია „აღორძინებასა“ და ფრაქცია „აფხაზეთს“ შორის. ხელისუფლებას არ უნდა, რომ ჩვენი ფრაქციები შეთანხმებულად მოქმედებდნენ. შესაძლოა სულაც ხელისუფლების მითითებით სცემეს ჯაიანს. ვინც ჩემზე ეჭვობს, იმათ გასაგონად ვიტყვი, — ჩემს გასალახს სხვას არ ვაცემინებ. ეს რომ მნდომოდა, ედუარდ სურმანიძეც არ იქნებოდა დღეს ცოცხალი. 470 კაცი, აფხაზეთში ნაბრძოლი ხალხი მისი საქციელით შეურაცხყოფილია, ამბობენ, სურმანიძეს თავს წავაცლითო, მაგრამ ნებას არ ვაძლევ — ეს ჩემი გასაკეთებელი საქმეა და იმიტომ. კაცი არ ვიქნები, სურმანიძე თუ მაგრად არ ვცემე. იმიტომ, რომ სურმანიძემ ხელი კი არა, წიხლი ჩამარტყა მკერდში. იცოდა, ნაოპერაციები ვიყავი და შესაძლოა გადავყოლოდი კიდეც ამას და არ დამინდო. ეტყობა, მაშინ ნარკოტიკებით იყო გაბრუებული და ვერ მოზომა. საჯაროდ ვაცხადებ — სურმანიძეს ამას არ შევარჩენ...

**— ეს ხომ აშკარა მუქარაა, რასაც შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგება მოჰყვეს, თუ დეპუტატის იმუნიტეტის იმედზე ხართ.**

— მაშინ არ იყო სისხლის სამართალი, როცა მე მირტყამდა? მარტო სურმანიძე კი არა, უფრო საცემი გივი ლომინაძეა. ის სოხუმში უნდა ჩავიყვანოთ და საჯაროდ გავასამართლოთ. მისი ნამოქმედარი მთელმა საქართველომ უნდა გაიგოს. ამ სასამართლომდე ლომინაძეს შეუძლია მშვიდად იძინოს, ხელს არ ვახლებთ...

ამ აშკარა მუქარის შემდეგ საინტერესო იყო მეორე მხარის მოსმენაც (დიმა ჯაიანს გასაგები მიზნის გამო ვერ შევხვდით. — *ი.რ.*) და გივი ლომინაძეს დავუკავშირდით.

**გივი ლომინაძე,** *ფრაქცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარე:*

— გამოძიებას აქვს ვერსია, რომ შესაძლოა დანაშაული პოლიტიკური დაპირისპირების გამო იყოს ჩადენილი. გულისხმობენ დიმა ჯაიანის დაპირისპირებას პარლამენტარების ერთ ჯგუფთან. ლაპარაკია „აღორძინებასა“ და კაკუბავასთან მის დაპირისპირებაზე. აქედან გამომდინარე, ვერსია, რომ დანაშაულის ჩამდენი პირები შესაძლოა „აღორძინებასთან“ იყვნენ დაკავშირებულნი, არცთუ უსაფუძვლოა. მით უმეტეს, „აღორძინების“ მხრიდან არაერთგზისი მუქარა ყველას გვახსოვს.

დიმა ჯაიანი ცნობილი პიროვნებაა, ამიტომ ნაკლებსარწმუნოა ვერსია, რომ ის შემთხვევით წააწყდა ქუჩაში აბეზარ ხალხს. ასევე არ მგონია ვინმეს მისი გვარიანად მოძველებული „მერსედესი“ მოსვლოდა თვალში. ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ქუჩაში ავტომატით დადის, უფრო უკეთეს მანქანას გაიტაცებდა. თუმც დიმა ამბობს, თავდამსხმელები მანქანიდან გადმოსვლას და გასაღებს მთხოვდნენო. შესაძლოა, დიმას მანქანიდან გადმოსვლა იმიტომაც უნდოდათ, რომ უფრო კარგად ეცემათ.

ჩვენი ფრაქცია და დიმაც პრეზიდენტის კურსის მხარდამჭერები ვართ და ამის გაცხადებას არც ვერიდებით. დიმა ემოციური კაცია და ამას უფრო არააკადემიურად გამოხატავს. შესაძლოა, ამან გააღიზიანა ვილაცა. დიმაზე ანგარიშსწორების დამკვეთიც და შემსრულებელიც იმ ხალხში უნდა ვეძებოთ, ვისაც კატეგორიულად სძულს ხელისუფლება და პრეზიდენტი.

*(გაგრძელება იხ. გვ.7)*

# სად გადის გვირაბი ამერიკის ციხიდან?..

## „კვირის პალიტრა“ ამერიკაშიც პირველ ადგილზეა

*ვაგრძელებთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტის საინტერესო ამერიკული თავგადასავლების თხრობას.*

„ჰიუმან რაითს ვოჩი“ და „ფრიდომ ჰაუსი“ მსოფლიოში უდიდესი გავლენის მქონე ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებია. ნიუ-იორკის ცენტრალურ ოფისში მთელი მსოფლიოდან მოდის ინფორმაციები ადამიანის უფლებების, მედიის მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ყოველწლიურად ბიულეტენის სახით გამოსცემენ. როგორც ჟურნალისტს მთხოვეს, საქართველოს განყოფილებაში მედიის შესახებ დაწერილი რაპორტი წამეკითხა და აზრი გამომეთქვა. გაოცებული დავრჩი, როდესაც თავისუფლებისა და პოპულარობის მიხედვით პირველ ადგილზე „კვირის პალიტრა“ ალმოვაჩინე! როდესაც შეხვედრის მონაწილეებს განვუცხადე, სწორედ ამ გაზეთში ვმუშაობ-მეთქი, დიდი ინტერესი გამოიჩინეს — როგორც ვიცით, საქართველოში მედიას ძალიან უჭირს და დაფინანსების გარეშე ვერც არსებობსო. „კვირის პალიტრის“ სახით დამოუკიდებელი და ამასთან, ძლიერი გაზეთის არსებობა საქართველოში მათთვის უჩვეულო იყო, თუმცა ფაქტს ვერ უარყოფდნენ, რომელიც მათივე ბიულეტენში იყო აღნიშნული. ხანგრძლივი დიალოგის შემდეგ დამეთანხმნენ, რომ თუ გაზეთი რომელიმე წყაროდან ფინანსდება, თავისუფალი ვერ იქნება, იმისგან დამოუკიდებლად, დემოკრატიული ფონდი დააფინანსებს თუ დაინტერესებული პირი. „ტყუპის“ დანგრევის შემდეგ ნიუ-იორკის ახლა უკვე უმაღლესი ცათამბჯენი, „ემპაიერ სტეიტ ბილდინგი“, სადაც „ჰიუმან რაითს ვოჩის“ ცენტრალური ოფისია განთავსებული, საკმაოდ ამაღლებული გრძნობით დავტოვე...

ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის შემდეგ ოკლაჰომა და გრინსბორო დიდ სოფლებად მომეჩვენა. საინტერესოა, რომ ამერიკაში ადამიანს თეორიულად ყველაფრის უფლება აქვს, მაგრამ რეალურად ეს უფლებები საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის სასარგებლოდ უაღრესად შეზღუდულია. პოლიციელს კი განუსაზღვრელი უფლებები აქვს, თუმცა ეს უკანასკნელიც უმკაცრეს კონტროლს ექვემდებარება. გრინსბოროს პოლიციის შერიფს რიგით პოლიციელთან შეხვედრა ვთხოვე. ათიოდე წუთში ჩემ წინაშე კეთილმოსურნედ მოღიმარი ახმახი იდგა. მისი აღჭურვილობის გარდა, პოლიციის მანქანის დათვალიერებაც მაინტერესებდა და ჩვენი დელეგაცია პოლიციის მიწისქვეშა პარკინგში ჩავიდა. ქალაქის მმართველობა პოლიციის ავტოფარეხს ყოველ წელს ანახლებს. თითოეულ მანქანაში სპეციალური კომპიუტერია დამონტაჟებული და მისი მეშვეობით პატრულს საეჭვო პირის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეუძლია.

— რამდენი გამაფრთხილებელი გასროლის უფლება გაქვთ? — ვკითხე სერჟანტს, როდესაც საბარგულიდან კრიალა „ვინჩესტერი“ ამოიღო.

— გამაფრთხილებელი გასროლა რაღას ნიშნავს? — კითხვა შემომიბრუნა. — თუ სასროლი არ არის, ან გაფრთხილება რა საჭიროა. თუ სასროლია, პირდაპირ ვესვრი, თორემ მეორე გასროლა ხომ მისი იქნება — ამერიკელი კრიმინალები კი ჰაერში არასოდეს ისვრიან...

ამერიკელ პოლიციელს არც ისე მაღალი ხელფასი აქვს — წელიწადში 40-დან 80 ათას დოლარამდე, წოდებისა და ნამსახურები წლების მიხედვით. სამაგიეროდ, აქვს უამრავი შეღავათი — მაღალი პენსია, საკრედიტო ხაზები და დაზღვევა — სამსახურებრივი ტრავმის შემთხვევაში ხელისუფლება მას მთელი სიცოცხლე უზრუნველყოფს, ხოლო დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს არაფერი მოაკლდება. დელეგაციაში მყოფმა საქართველოს უშიშროების საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა, ელენე გოგუაძემ ადგილობრივი ციხის მონახულება მოითხოვა. ციხე ქალაქის ცენტრში მდებარე სოლიდურ შენობაში აღმოჩნდა. თავდაპირველად, სამართავ ცენტრში შეგვიყვანეს — ამერიკული ციხეები თავიდან ბოლომდე ავტომატიზებულია. ყოველ კუთხეში კამერები, მიკროფონები და ხმის გამაძლიერებლები დგას. მათი საშუალებით ციხეში მოძრავ ნებისმიერ ადამიანს მორიგე ოფიცერი აკონტროლებს. მიუხედავად იმისა, რომ „ექსკურსიამძღოლობას“ თვითონ საპყრობილის უფროსი გვიწევდა, მასთან ერთად ყველანი მორიგე ოფიცერს ვემორჩილებოდით. ვიდეოკამერების საშუალებით ციხეში, ფაქტობრივად, ის დაგვატარებდა, ლიფტის გაჩერება-დაძვრის ჩათვლით. საკანში ყველა პატიმარს ტელევიზორის ყურებისა და ტელეფონზე საუბრის განუსაზღვრელი უფლება აქვს. თითოეულ სართულზე ტრენაჟორების დარბაზია. ციხის უფროსმა იმ ნივთების და პროდუქტების სია წარმოგვიდგინა, რისი მოთხოვნის უფლებაც პატიმრებს აქვთ.



გრინსბოროს ციხეში

საკმაოდ ვრცელი ნუსხა „სნიკერსით“ იწყებოდა და სავარჯიშო ბოტასებით მთავრდებოდა. მიუხედავად ასეთი პირობებისა, დერეფანში ბორბლებიანი და ღვედებიანი სავარძლებიც ვნახეთ. თანმხლებმა ოფიცერმა განგვიმარტა, რომ სკამზე ნერვიულ პატიმრებს აბამენ, თუ მათ დასამშვიდებლად სხვა გზა არ აქვთ. ნიშანდობლივია, რომ ციხეც კი კონვეიერული წესით იყო მოწყობილი: მორიგე პატრულის მანქანა მიწისქვეშა შესასვლელით ციხის მიმღებთან ჩერდება. მიმღების დერეფანში, შესასვლელი კარიდანვე, კედელზე რკინის მილი იყო მიმაგრებული, რომლის მნიშვნელობასაც საპატრულო მანქანის მოსვლისთანავე მივხვდი. ქერათმიანმა შხვართმა პოლიციელმა ქალმა ორანგუტანგის აღნაგობის ტუსაღს ცალ ხელზე ხელბორკილი შეხსნა და მილს ჩამოაცვა. შემდეგ მსუბუქად უბიძგა შესასვლელისკენ და კარში მდგომ კოლეგას მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი ისე მოაწერინა, თითქოს ბარში ერთი ყუთი ლუდი მიეტანოს. დაპატიმრებული კედელზე მიმაგრებულ მილს მორჩილად გაუყვა და სარეგისტრაციო ოთახს მიადგა. „აქ ხელის ანაბეჭდებს აუღებენ და პიროვნების იდენტიფიკაციის შემდეგ ფსიქოლოგს გაესაუბრება, რათა დავადგინოთ, თუ რომელ საკანში გამწესდება“, — აგვიხსნა თანმხლებმა ოფიცერმა. ამის შემდეგ კედელზე მიმაგრებული მილი შემნახველი განყოფილებისკენ მიემართებოდა. იქ შესული ტუსაღები პირად ნივთებსა და ტანისამოსს აბარებდნენ და სპეციალურ, ყვითელ კომბინეზონში გამოწყობილები ისევ რკინის მილს მიუყვებოდნენ. რაც მთავარია, დერეფანში რამდენჯერმე შეგვხვდა ასე, „მექანიზებული“ წესით მოძრავი ტუსაღი, ისევ თანმხლები პირის გარეშე. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ციხე სასამართლოსთან გვირაბით იყო დაკავშირებული და პატიმრები საკუთარ სასამართლოზე ასევე „მექანიზებული“ წესით მიდიოდნენ. როგორც გვითხრეს, გრინსბოროს ციხე ამერიკული საპყრობილის საუკეთესო ვარიანტი ყოფილა — ამერიკაში ბევრად უფრო საშინელი ციხეებიც არსებობს...

ციხეში სტუმრობას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. ერთ-ერთ დერეფანში შფოთისთავი პატიმრების საკნებთან მოვხვდით. მათ შეძახილებზე თარჯიმნები იშმუშნებოდნენ და ცოცხალი თავით არაფერს თარგმნიდნენ. კარგად მოინგლისურე ელენე გოგუაძე კი აღშფოთებას ვერ ფარავდა — ეს რა თავხედობაა, რა უზრდელები არიან... საქართველოში, ციხის უფროსს ამდენს როგორ გაუბედავენ, — ეუბნებოდა ჩვენს თანმხლებ ოფიცერს.

— ამათ აუცილებლად დავსჯით, ერთი კვირა ტელევიზორის ყურების უფლებას არ მივცემთ, — ცდილობდა მის დამშვიდებას ამერიკელი ციხის უფროსი.

— არა, ისეც ნუ იზამთ, რომ ჩვენ გამო პატიმართა უფლებები დაარღვიოთ... — ელენემ ეს ფრაზა ისეთი ღირსებით წარმოთქვა, თითქოს საქართველოში ყველაზე სასტიკი სასჯელი პატიმრებისთვის ტელევიზორის აკრძალვა იყოს...

ჩრდილო კაროლინის შტატში მასონთა ლოჟაში სტუმრობა შემოგვთავაზეს. საპატრიარქოს წარმომადგენლებმა შეხვედრას დელიკატურად აარიდეს თავი. მე კი, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი — ცოცხალი მასონების ნახვის შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი!

...მსგავსი სიმდიდრე და კომფორტი არც ამერიკაში მინახავს და არც სხვა ქვეყანაში. მოხუცების თავშესაფარი, უფრო სწორად კი დასახლება, სპირალის პრინციპით, წრიულად იყო მოწყობილი. ახალმოსული მასონები გარე წრეზე განთავსებულ ფეშენებელურ ვილებში ცხოვრობენ. თითოეულ ვილასთან ჩვეულებრივის გარდა, მინიატურული ელექტრომობილიც იდგა — ასე ვთქვათ, „უბანში“ სამოძრაოდ. მომდევნო წრეზე უკვე სარეაბილიტაციო ცენტრი მდებარეობდა, სადაც თავშესაფრის სტუმრები ღრმა მოხუცებულობაში, ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში გადადიან საცხოვრებლად. მომდევნო, შიდაწრეზე უკვე ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი, რადგან აქ განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფები ცხოვრობენ. შემძრა კედლებზე გაკრულმა წარწერებმა: „ახლა ზამთარია, ცივა“, „XXI საუკუნე, 2002 წელი“. დერეფანში მოხუცი შემხვდა, რომელიც მთელი სერიოზულობით ცდილობდა თოჯინის „დაძინებას“. — „მას სჯერა, რომ შვილი ჰყავს. არავითარი უფლება არ გვაქვს, გადავარწმუნოთ...“ — გვითხრა თანმხლებმა ექიმმა.

მოგვიანებით ცენტრალურ ოფისში გადავინაცვლეთ. სწორედ იქ გავიცანი მასონების ლოჟის გრანდმასტერი ჩარლზ ლუისი. ჩემს შეკითხვაზე, ნიშნავს თუ არა მასონური მოძრაობა რელიგიას, მან ერთმნიშვნელოვნად მიპასუხა, რომ მასონობა მხოლოდ იდეის გარშემო გაერთიანებას ნიშნავს და მასში მონაწილეობა ნებისმიერი ალმსარებლობის ადამიანს შეუძლია. „ჩვენ შესახებ უამრავ ლეგენდას ჰყვებიან, რაც სიმართლეს არ შეეფერება. არავითარ საიდუმლო რიტუალებს არ ვატარებთ, არც არაფერს ვმალავთ. როგორც ჩანს, მედიისთვის იდუმალების ბურუსი უფრო მომგებიანია... ჩვენ ჩვენი პრინციპები გვაქვს — სამართლიანობა, თანასწორობა, ზომიერება... უამრავ ქველმოქმედებას ვეწევით და ჩვენი საქმიანობის ძირითადი სფეროც ეს არის. რაც შეეხება მასონთა იერარქიას, დასამალი აქაც არაფერია — არსებობს რამდენიმე ასეული ლოჟა, რომლებიც ერთ გრანდლოჟაშია გაერთიანებული. თითოეული მასონის რანგი კი ხარისხებით განისაზღვრება. 32-ე ხარისხი მაღალ რანგად ითვლება, 33-ე კი — უმაღლესად, რომლის მინიჭების უფლებაც მხოლოდ ერთ მასონურ კავშირს, „მემარჯვენე შოტლანდიელებს“ აქვს *(ჩემი თანამოსაუბრე სწორედ 33-ე ხარისხის მფლობელი იყო — დ.გ.)*. ამის შემდეგ კი ბოლო წოდება „ჯვრის მფლობელია“, რომელსაც მსოფლიოში სულ 15 კაცი ატარებს. ისინი, ძირითადად, სახელმწიფო მეთაურები და მაღალი რანგის პირები არიან“. კითხვაზე, არიან თუ არა მასონები საქართველოში, გრანდმასტერმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და მიპასუხა: „საქართველოში მასონები არიან, თანაც გავლენიანი ფიგურები, ოღონდ ლოჟა არ არსებობს...“ — შესაძლებელია, მომეჩვენა, მაგრამ თანამოსაუბრის მოღიმარი სახე და ამავე დროს განმგმირავი მზერა მაიძულებდა, მეფიქრა, რომ საქმე არც ისე იოლად იყო, როგორც გრანდმასტერი ბრძანებდა. ეჭვი კიდევ უფრო გამიძლიერდა, როდესაც შენობის დათვალიერების დროს, „ბოდიალისას“ შემინული გვირაბის მეშვეობით მოულოდნელად სარიტუალო დარბაზის მსგავს დიდ ოთახში მოვხვდი. ეკლესიის პრინციპით შექმნილი სივრცე და ჯვარცმის წინ, ოქროს შანდლებს შორის დასვენებული ბიბლია სულაც არ მიქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მხოლოდ „იდეის გარშემო გაერთიანებული ადამიანების“ საზოგადოებაში ვიყავი.

ამერიკაში მრავლად არის პატარ-პატარა უნივერსიტეტები, რომლებიც ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით არის აღჭურვილი, მაგრამ დიდი საუნივერსიტეტო განათლებით ვერ დაიკვეხნიან. ოკლაჰომას შტატში, ასეთ პროვინციულ უნივერსიტეტში ერთი ფრიად პატივცემული პროფესორის ლექციაზე მიგვიწვიეს. ჩვენს დელეგაციაში თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ახალგაზრდა მოადგილე, გიორგი გოგიაშვილიც შედიოდა. მან პროფესორის ლექციას ცოტა ხანს უსმინა, შემდეგ კი თარჯიმანს ქართლური კილოთი მიმართა: ე მაგას უთხარი, რო ამერიკის კონსტიტუციის მე-7 მუხლის მეორე აბზაცი ამან და ამან (ძალიან რთული გვარ-სახელი ვერ დავიმახსოვრე) 1901 წლის 17 მაისს შეიტანა და მერე, 1912 წლის 12 აგვისტოს კონგრესმა უარყოო. მოჰყვა და მოჰყვა... პროფესორმა ბლოკნოტი დააძრო და გამალებული იწერდა რაღაცებს, თან ჩვენს მოსამართლეს შიგადაშიგ შეკითხვებს აძლევდა. რომ მორჩა, გაოგნებულმა პროფესორმა გულწრფელად იკითხა — ეს ყველაფერი სად შეისწავლაო? — სადა და, თბილისის უნივერსიტეტში, — ასევე გულწრფელად უპასუხა მოსამართლემ.

მოგვიანებით, საქართველოს რელიგიურ ურთიერთობებთან დაკავშირებით სიტყვა მე ვითხოვე და დასაწყისში დამსწრე საზოგადოებას ვთხოვე, რასაც მოვუთხრობდი, საკუთარ თავზე წარმოედგინათ. შემდეგ, მოვყევი, თუ როგორ გვესეოდა საუკუნეების მანძილზე მტერი ყოველი მხრიდან; რომ ქართველი წმინდანების უმრავლესობამ სამშობლოსთვის გასწირა თავი; რომ საქართველოში კულტურის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი სარწმუნოებას უკავშირდება და ეკლესიებს ამერიკელებივით წლების მიხედვით კი არა, საუკუნეების მიხედვით ვათარიღებთ, ხოლო უძველესი შემორჩენილი ტაძარი მე-5 საუკუნით თარიღდება... ამ ყველაფრის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს თქვენთან იეღოველი მოვა და ხუთასჯერ გეტყვით, რომ წმინდანები, ეკლესიები და ე.ი. სამშობლო უნდა უარყო და ვიღაცა იეღოვას გაჰყვე, რას იზამთ-მეთქი. მათ აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგათ 30-40 წლის წინ ამერიკაშიც სერიოზული პრობლემები ჰქონდათ, რთული ხალხიაო, ესლა თქვეს.

***დაჩი გრძელიშვილი***



# „უნდა გაიცეს სანქცია არძინბაზე“

## რას გვიქადის აფხაზეთის რუსიფიკაცია?!

***აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემა და მოსახლეობის რუსეთის მოქალაქეებად ჩაწერის პროცესი თითქმის დასრულდა. აფხაზები გადაგვარებას ზეიმობენ, რუსები გამარჯვებას, ქართველები კი მოთქვამენ და მხრებს იჩეჩენ — ეს როგორ მოგვივიდაო. ურემი გადაბრუნდა და გზაც გამოჩნდა, სახელმწიფო გადახედავს საკუთარ პოლიტიკას რუსეთის მიმართ და საერთოდ, ალბათ ორიენტაციის შერჩევაზეც იფიქრებს. არადა, აფხაზეთში რუსული პასპორტების შემოღების პერსპექტივებზე საქართველოში ადრეც საუბრობდნენ. რატომ არ მიექცა ამ უდიდეს ავანტიურას თავის დროზე ყურადღება? გთავაზობთ ინტერვიუს აფხაზეთის იუსტიციის მინისტრ პაატა დავითაიასთან.***

— 1999 წელს, ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში, რუსეთმა გამოსცა კანონი, სადაც წერია, რომ რუსეთის მოსაზღვრე დსთ-ის იმ ქვეყნებში, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსახლეობას არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ მიუღია და ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებად დარჩნენ, შეუძლიათ პირადი განცხადების საფუძველზე გახდნენ რუსეთის მოქალაქეები. ასეთი ორი სუბიექტია — აფხაზეთი და ოსეთი. რუსეთის სხვა მოსაზღვრე ტერიტორიებზე მოქალაქეობის საკითხი გარკვეულია. ეს კანონი უკვე მიანიშნებდა, რა გეგმა ჰქონდა რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიებთან მიმართებაში.

**ჯერ კიდევ ომის პერიოდში ჩვენმა მეომრებმა ნახეს ტყვედ აყვანილი და დაღუპული მოწინააღმდეგეების პირადობის მოწმობები, სადაც ჩაწერა გაკეთებული ჰქონდათ ქართველების საცხოვრებელ მისამართებზე.**

მაგრამ ეს იმ დროისთვის გართულებული პროცედურა იყო. აუცილებელი იყო, რომ რუსეთს აფხაზეთში, კერძოდ სოხუმში, ჰქონოდა საკონსულო, სწორედ მას უნდა განეხორციელებინა პასპორტიზაცია. რუსეთს მზად ჰქონდა მისთვის ხელსაყრელი კანონი და მოლაპარაკებებს აწარმოებდა ქართულ მხარესთან, რათა დაეყოლიებინა იგი რუსეთის საკონსულოების გახსნაზე სოხუმსა და ბათუმში. სანაცვლოდ საქართველოს საკონსულო გაიხსნებოდა სოჭში, მაგრამ მაშინ ამ გარიგებაზე საბედნიეროდ, ჩვენი მხარე არ წავიდა. შემდეგ უკვე ვლადიმირ პუტინმა სპეციალური ბრძანებულებით გაამარტივა რუსეთის მოქალაქეობის მიღების წესი. ამ გამარტივებული წესის მიხედვით, შესაძლებელი გახდა მოქალაქეობის მიღება პირადი განცხადების საფუძველზე, საკონსულოს გვერდის ავლითაც. ამ კანონის შემდეგ დუმაში დაიწყეს მუშაობა ახალ, „ასოცირებული წევრის“ ცნებაზე. მინდა გითხრათ, რომ ეს არის სახელდახელოდ გამოგონილი ცნება. მსგავსი ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს.

— **პარადოქსულია, რომ ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა გაეროსთან ერთად, რუსეთიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.**

— რუსეთის კონსტიტუციაში წერია, რომ რუსეთი თავის მოქალაქეებს იცავს ყველგან, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი. მართალია, რუსეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ, თუ აფხაზეთში ყველამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, გამოდის, რომ მთელი რეგიონი უცხო ქვეყნის მოქალაქეებითაა დასახლებული. სამართლებრივად მათ აქვთ თავიანთი ნების გამოხატვის უფლება. ყველამ ვიცით, რომ „ძალა აღმართს ხნავს“ და ასოცირებული ქვეყნის იდეასაც რუსეთი ისევე განახორციელებს, როგორც მოქალაქეობისას.

რუსეთი მომავალში საკუთარი მოქალაქეების ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევის ფაქტსაც გააპროტესტებს და ყველაფერს იღონებს ყოველგვარი გზების გასახსნელად. წინააღმდეგობის შემთხვევაში კი, მისი ერთი მოქალაქეც რომ დაიღუპოს, რეგულარულ ჯარსაც შემოიყვანს. თუმცა, ისინი აფხაზეთში ისედაც არიან. სამშვიდობოებს გაეროსი მხოლოდ მანდატი აქვთ, ფაქტობრივად, ეს რუსეთის რეგულარული ჯარია.

— **საბოლოოდ რა შედეგებზეა გათვლილი ეს პროცესები?**

— თუ ჩვენ არ გავაქტიურდებით, მაშინ საბოლოოდ დავკარგავთ ამ ტერიტორიას. დარწმუნებული ვარ, გაივლის რამდენიმე წელი და რუსეთი მიიღებს კანონს, რომლის თანახმადაც ამ რეგიონში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები მის შემადგენლობაში შესვლას მოითხოვენ და კანონიერად დააკმაყოფილებს კიდეც მათ მოთხოვნას. ჩამოვლენ უცხოური მონიტორინგის ჯგუფები. ისინი დაადასტურებენ, რომ რუსეთის მოქალაქე, ვინმე ასტაფეევი ცხოვრობს გულრიფშის რაიონში, ყაზბეგის №4-ში და არავინ გაარკვევს იმას, რომ ამ მისამართზე 1992 წელს მე ვცხოვრობდი. ჯერ კიდევ ომის პერიოდში ჩვენმა მეომრებმა ნახეს ტყვედ აყვანილი და დაღუპული მოწინააღმდეგეების პირადობის მოწმობები, სადაც ჩაწერა გაკეთებული ჰქონდათ ქართველების საცხოვრებელ მისამართებზე. ეს დოკუმენტები რომ ყალბია, ამას ვერ დაადგენენ რამდენიმე წლის შემდეგ, მარტივი მიზეზის გამო, ძველი პირადობის მოწმობები უკვე აღარ იარსებებს. საყურადღებოა, რომ რუსეთის სახელმწიფო დუმა ამჟამად იხილავს კანონპროექტს ახალი სუბიექტების მიერთებაზე, რაც, ქვეტექსტის გათვალისწინებით, პირდაპირ ნიშნავს ახალი მიწების შემოერთებას. როგორც ამბობენ, ეს ბელორუსიისთვისაა გათვალისწინებული, მაგრამ დავფიქრდეთ, რატომ არ შეიძლება იყოს იმავე აფხაზეთისთვის, ოსეთისთვის? სოჭი ხომ ჩვენი იყო და სამართლებრივად შეგვიძლია ვიდაოთ ამ ტერიტორიაზე, მაგრამ ხომ ვერ ვდაობთ?

*(გაგრძელება იხ. გვ. 12)*

CMYK

# „ალორძინებაში“ განხეთქილებაა?!

## „მაგათთან ჯდომას ჩემს შვილთან სეირნობა მირჩევნია“



„დემოკრატიული ალორძინების კავშირის“ თბილისის ორგანიზაციის ოფისის პრეზენტაციას უხმაუროდ არ ჩაუვლია. ასლან აბაშიძის მცდელობის მიუხედავად, მის თანაპარტიელებს შორის სერიოზული განხეთქილებაა. თბილისის ორგანიზაციის ძველი ხელმძღვანელი ახლებს ფრიად ხელმოსაჭიდი მიზეზის საფუძველზე შემოსწყრა — არ დამპატიჟესო. დაუპატიჟებელთა შორის თარგამაძის გარდა, ბევრი „სტაჟიანი“ „ალორძინების“ წევრიც მოხვდა.

ახალი თბილისელი ამღორძინებლები ძველების შეცდომების გამოსწორების ფიცს დებენ და თბილისში გაპრეზიდენტებული ასლან აბაშიძის ჩამოყვანას გეგმავენ. ნათქვამია, ცეცხლი თივაში არ იმალებაო და ვერც „ალორძინების“ ბოლოდროინდელი პრობლემების მიჩუმათება მოხერხდა. მაინც რა ხდება ასლან აბაშიძის ბანაკში, ამის გარკვევა თავად ამღორძინებლებთან ვცადეთ.

**გიორგი თარგამაძე:**

— მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია პოლიტიკაში ვარ და ბევრი რამ აღარ მიკვირს, მაინც გამიკვირდა ის თავხედური განცხადებები და სიცრუე, რომელიც მოვისმინე — თითქოს მოსაწვევები გამოგვიგზავნეს, გაგვაფრთხილეს კიდეც და ჩვენ კი არ მივედით პრეზენტაციაზე. ნურავის ეგონება, რომ ვჭირვეულობთ. საგანგებო მოსაწვევი არც მომითხოვია. ხომ შეიძლებოდა შეეტყობინებინათ, რომ პრეზენტაცია იყო დაგეგმილი. რატომ უნდა გაგვეგო მე და კიდევ მრავალ ადამიანს ამის შესახებ ტელევიზიით? არავისთვის არ არის დამალული, რომ რამდენიმე თვეა საკმაოდ დაძაბული და არაჯანსაღი ატმოსფეროა პარტიაში. ასეთ დროს, როცა არაფერს გატყობინებენ ორგანიზაციის ოფისის პრეზენტაციის შესახებ, ცხადია ამით კიდევ ერთხელ მიგვანიშნეს, — თქვენთან ურთიერთობა და თანამშრომლობა არ გვსურსო.

**— „ჩვენში“ ვის გულისხმობთ?**

— ლაპარაკი არ არის მარტო ჩემზე, ან თუნდაც საკრებულოს დეპუტატებზე. დაუპატიჟებლები დარჩნენ ბატონები: გივი ბოლოთაშვილი, ვალერი გელბახიანი, ჰამლეტ ჭიპაშვილი, ნოდარ ჯავახიშვილი. ჩემთან რომ არ სურს თბილისის ორგანიზაციის ახალ ხელმძღვანელობას თანამშრომლობა, გასაგებია, არც მე ვიწვი დიდად მათთან მუშაობის სურვილით, სხვებს რაღას ერჩიან?.. გემოვნებაზე არ დაობენ, მათ შორის პოლიტიკურ გემოვნებაზეც. პირები, რომლებიც დღეს „ალორძინების“ სახეს წარმოადგენენ, ჩემს პოლიტიკურ გემოვნებას არ შეესაბამებიან.

სიცრუეა, თითქოს ვიღაცამ მიმიწვია პრეზენტაციაზე და არ მივედი. ან ის ცინიკური განცხადებები რაღა იყო, — ალბათ გიორგი თარგამაძე იმიტომ არ მოვიდა, ბავშვს ასეირნებდაო. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მათ ვუთხრა, — მათთან ჯდომას, ნამდვილად მირჩევნია შვილთან ერთად სეირნობა და ეს დასაძრახისი სულაც არ არის.

**— ანუ შეიძლება ითქვას, რომ „ალორძინებაში“ უკვე ორი ბანაკია?**

— არ ვიცი... ბანაკებად „ალორძინებას“ არ დავყოფდი. ურთიერთობა მაქვს და მექნება „ალორძინების“ ხელმძღვანელთან, დანარჩენებთან კი ე.წ. პარტიულ ელიტასთან, პოლიტიკური თანამშრომლობა ჩემთვის ძნელად წარმოსადგენია. შინაპარტიულ დაპირისპირებაზე ლაპარაკს ბოლო უნდა მოეღოს. მაგრამ თუ მაინც გაგრძელდება ეს პროცესი, უფრო რადიკალური ნაბიჯებისთვისაც მზად ვარ...

ამას გულახდილად ვამბობ, რადგან ხალხის და „ალორძინების“ მხარდამჭერების მოტყუებას არ ვაპირებ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ რომელიმე სხვა პარტიაში აღმოვჩნდები. თუ პარტიის დატოვებას გადავწყვეტ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოღვაწეობას გავაგრძელებ და ეს არავის საქმე არ არის.

გიორგი თარგამაძის განცხადებით და „ალორძინებაში“ არსებული დაპირისპირების თემის გააქტიურებით გაოცებული ჩანს თბილისის ორგანიზაციის ახალი თავმჯდომარე

**ცოტნე ბაკურია:**

— არ მინდა ამ თემაზე პოლემიკა, მაგრამ მაინც ვიტყვი... გიორგის მოსაწვევი გავუგზავნეთ. პრეზენტაციაზე ასევე დავპატიჟეთ ის საპარლამენტო ფრაქციები, რომლებიც „ალორძინების“ პოლიტიკურ იდეოლოგიას იზიარებენ, იგივე ითქმის საკრებულოზეც... დავუშვათ, ვიღაცა შეცდა და არ მოიწვია პრეზენტაციაზე, რატომ უნდა გამხდარიყო ეს სალაპარაკო.

**— თარგამაძის გარდა, მისი მომხრეებიც არ მოგიწვევიათ. ეი. გამოდის, რომ „ალორძინებაში“ ორი ბანაკი ყოფილა.**

— „ალორძინებაში“ არის ერთი ბანაკი, რომელიც თავის ლიდერად ასლან აბაშიძეს აღიარებს.

**— თქვენი არ იყოს, მეორე მხარეც ასლან აბაშიძის ერთგულებაზე ლაპარაკობს, მაგრამ ფაქტია, განხეთქილება თქვენ შორის მაინც არის...**

— პირადად მე კონფრონტაცია არავისთან მქონია და არც ვაპირებ...

**— „ალორძინების“ თბილისის ორგანიზაციამ საკმაოდ დამაინტრიგებელი განცხადება გააკეთა, ასლან აბაშიძე დედაქალაქში პრეზიდენტის რანგში ჩამოვაო. თუ ბ-ნი ასლანი აჭარას არ გამოსცდა, როგორ ჩაატარებს წინასაარჩევნო კამპანიას?**

— აქ პატარა კორექტივს შევიტან... მე ვთქვი, ასლან აბაშიძე თბილისის სიყვარულით ცხოვრობს-მეთქი. მისი თბილისში ჩამოუსვლელობა არის პოლიტიკური ჟესტი, პროტესტი იმ უკანონობის და უკუღმართობის წინააღმდეგ, რაც საქართველოშია გამეფებული. ასლან აბაშიძე აუცილებლად ჩამოვა თბილისში, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც უფრო მეტს გააკეთებს საქართველოსთვის, ვიდრე ისინი, ვინც დღეს ყალბი პათოსით გულზე მჯიღს ირტყამენ, სამშობლოს სიყვარულზე ქადაგებენ.

**— ამ დაპირისპირებაში უკვე 10 წელი გავიდა...**

— ის ჩამოვა და გააკეთებს იმას, რაც ყველას კეთილდღეობას მოუტანს.

**— მაინც რა აზრის ხართ გიორგი თარგამაძესთან წარმოქმნილ ასე ვთქვათ, გაუგებრობაზე?**

— არ მაწუხებს გიორგისთან, ფილიპესთან თუ მუხრანთან დამოკიდებულება. ჩემთვის მთავარია, პარტიაში არ შემოიტანონ დესტრუქციული მუხტი, არადა ამის მცდელობა ნამდვილად არის. არის ხალხი, რომელიც საჯაროდ აკეთებს განცხადებებს, რომ „ალორძინების“ კავშირში მონათმფლობელობაა.

**— პარტიის წევრების ლუსტრაციას ხომ არ აპირებთ?**

— ეს ჩემი კომპეტენცია არ გახლავთ. თუმც დღევანდელი გაუკუღმართებული მორალური ღირებულებების ფონზე შესაძლოა ეს გამართლებულიც ყოფილიყო.

**სანდრო ბრეგაძე:**

— ცოტნე ჩემი მეგობარია და როცა ამბობს, გიორგი თარგამაძე დავპატიჟეო, მისი მჯერა... თვითონ ვინმეს დაპატიჟება-არდაპატიჟებაში მონაწილეობა არ მიმიღია. ბ-ნ ასლან აბაშიძეს სიტყვა მივეცი, რომ ჩემსა და გიორგის შორის დაპირისპირება აღარ იქნებოდა, ამ პირობას ვასრულებ და აღარ ვუღრმავდები იმ პროცესებს, რაც პარტიაში მიმდინარეობს. გიორგი და მე შევრიგდით... ვინც შევარდნაძის ხელისუფლებიდან ბრძოლაში დამეხმარება, ყველას გვერდით დავუდგები, მაგრამ შევარდნაძესთან შეკრულებს ახლოსაც არ გავეკარები. ამიტომ აღარ ვერევი იმ პროცესებში, რაც პარტიაში ხდება. ეტყობა, შევარდნაძეს ჰყავს თავისი დასაყრდენი ჩვენს გარემოცვაში, რომელთაც სურთ „ალორძინებაში“ არეულობა შეიტანონ, რათა უფრო იოლად მართონ იქ სიტუაცია. სხვათა შორის, ამ საქმისთვის სოლიდური თანხებია დახარჯული. ამ ძალებს ოცნებად აქვთ „ალორძინება“ და „მოქკავშირი“ ერთად გაიყვანონ არჩევნებში. „ალორძინებიდან“ ნელ-ნელა იწყება იმ ხალხის განდევნა, ვინც რეალურად უპირისპირდება შევარდნაძეს და ეს პარტიაში არეულობისა და შიდადაპირისპირების ინსცენირებით ხდება...



ცოტნე ბაკურია

*გვერდი მოამზადა იზო რკაძემ*

# კაკუბავა სურმანიძეს და ლომინაძეს ემუქრება...

## „ჭკვიანად იყოს, თორემ საკადრისს მიიღებს“ — ემუქრებიან კაკუბავას

**(დასაწყისი იხ. გვ. 5)**

**— დიმა ჯაიანის ამჟამინდელ მდგომარეობაზე რა იცით?**



— ტვინში სისხლჩაქცევები აქვს. თავიდან ექიმები მოერიდნენ ახლობლების შეშინებას და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო შერბილებლად დაუხატავთ. გასული კვირის ბოლოს ზურგის ტვინიდან სითხე ამოუღეს... მე რომ ვნახე, სუსტად იყო... ერთ თვალში ძლივს აღუდგა მხედველობა, კბილებიც ჩამტვრეული აქვს. კაცი უმოწყალოდ არის ნაცემი. ვინ გაიმეტა ასე, ასლან აბაშიძემ, ბორის კაკუბავამ თუ უცხოპლანეტელმა — ამას გამოძიება დაადგენს.

**— კაკუბავას ვერსიით, ჯაიანი ხელისუფლების მითითებით გალახეს, რომ „ალორძინებასა“ და ფრაქცია „აფხაზეთს“ შორის საბოლოოდ ჩატყდეს ხიდი.**

— კაკუბავა ქამელეონია, როცა უნდა მაშინ იცვლის ფერს. რამდენჯერმე სიკვდილს გადავარჩინე, როცა „ზვიადისტები“ ლინჩის წესით უპირებდნენ გასამართლებას, მაგრამ შევცდი — კაკუბავა ნაძირალა აღმოჩნდა. მისი საქმეები რომ გაცხადდა, სოხუმში საშინელი აურზაური შეიქნა. ცნობილი გერმანელი მორბენალი კუნციც გაწბილდებოდა კაკუბავას სპრინტული გარბენი რომ ენახა, როცა ქალები და გამწარებული ხალხი მოსაკლავად მისდევდნენ. კაკუბავა ჯერ ეროვნულ ძალებს მიეკედლა, მალე ისე გაიხადა საქმე, ზვიადი დასანახად ვერ იტანდა, მერე „ზვიადისტებს“ გადაუდგა და „მხედრიონელებთან“ გაჩნდა. ახლა ასლან აბაშიძესთან არის და ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ისინი წაეკიდებიან.

ვერ ვითანამშრომლებ „ალორძინებასთან“, რომლის ლიდერი მოსკოვთან ერთად გვიკიჟინებს, — აფხაზეთში რკინიგზა უნდა ამოქმედდესო. ზოგიერთივით მოსჯილი არ მაქვს, ტაში ვუკრა აბაშიძეს. პრეზიდენტის ბრალია, რომ რუსებმა რკინიგზა აამოქმედეს. აბაშიძისთვის მიცემულმა რწმუნებამ და მოსკოვში პრეზიდენტის სახელით მისმა ლაპარაკმა მოიტანა ეს შედეგი. აბაშიძემ წააქეზა რუსები და პრეზიდენტს წერილით მიმართა — რკინიგზა ყოველგვარი პირობების გარეშე უნდა გაიხსნას აფხაზეთშიო. როცა შიგნით გყავს მტერი და იციან რუსებმა, რომ ერთსულოვნები არ ვართ, იმიტომ გვირტყამენ სუსტ ადგილებში. როგორ ვითანამშრომლო იმ ძალასთან, რომელიც ვიცი, რომ ქვეყანას ღუპავს და მომავალს გვისპობს. კაკუბავას რაც შეეხება, ვაფრთხილებ, ჭკვიანად იყოს, თორემ საკადრისს მიიღებს.

*ჩვენ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის უფროსს,* **პაატა ჟღენტს** *დავუკავშირდით.*

მიუხედავად იმისა, რომ ჯაიანზე თავდასხმიდან კარგა დრო იყო გასული, პოლიციას ნაცემი პარლამენტარი დაკითხული არ ჰყავდა (ჯაიანის პალატას რამდენიმე პირი იცავს. დაზარალებულთან არავის უშვებენ). ბ-ნმა პაატამ გაგვიმხილა, — გუშინ 5 საათი ვიყავი საავადმყოფოში, მაგრამ დიმა ჯაიანის პალატაში ვერ შევედი, ჩვენთან საუბარი არ ისურვაო.

**— რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება?**

— ოპერატიული სამსახური გამოძიებასთან ერთად 4 ვერსიაზე მუშაობს. პირველი — დანაშაული ჩადენილია ავტომანქანის გატაცების მიზნით, ანუ სახეზეა ე.წ. ყაჩაღობის ფაქტი, მეორე — რომ დანაშაულის მიზეზი პოლიტიკური საფუძველი გახდა, მესამე — საყოფაცხოვრებო ვერსია, ოჯახური პრობლემებიდან გამომდინარე დავა და მეოთხე, რომელიც დიმა ჯაიანის სამსახურებრივ მოღვაწეობას, დევნილი თეატრის ხელმძღვანელობას უკავშირდება.



# დაბრუნება 18 წლის შემდეგ

## გასულ საუკუნეში საზღვარგარეთ გაყიდულ თვითმფრინავებს თბილისი უკან ყიდულობს, ამერიკელები კი „თბილავიამშენს" ირანთან ურთიერთობაში სდებენ ბრალს



ჩეხებმა მოიერიშეები თავისებურად მოხატეს

ხშირად სულ პატარა დეტალიც კი საკმარისია სტატიის თემისთვის, თუმცა 400-ტონიან სატვირთო „რუსლანს" დეტალს ვერ დაარქმევ. თბილისის აეროპორტში მდგარი ეს უზარმაზარი თვითმფრინავი ახალი წლის წინა დღეებში ყველას ყურადღებას იპყრობდა.

„კვირის პალიტრა" დაინტერესდა მსოფლიოში ყველაზე დიდი სერიული სატვირთო თვითმფრინავის ჩვენს დედაქალაქში სტუმრობის მიზეზით. გაირკვა, რომ „რუსლანმა" თბილისში დაშლილი თვითმფრინავები ჩამოიტანა, რომლებიც შემდეგ სატვირთო ავტომობილებით „თბილავიამშენში" კადაზიდეს. დაშლილ თვითმფრინავებში ამოიცნობდით Су-25 ტიპის მოიერიშეებს. საკვირველი ის არის, რომ ამ თვითმფრინავებს თბილისიდან გზავნიან (3 წლის წინ, 1999 წლის დეკემბერში, გაყიდული მოიერიშეები თბილისის აეროპორტიდან სწორედ „რუსლანმა" წაიღო კონგოში), ამჯერად კი ჩვენ ჩამოგვიტანეს. დაკვირვებული თვალი დაშლილი მოიერიშეებიდანაც ძალზე საინტერესო ინფორმაციას მიიღებდა — მოიერიშეთა კორპუსებს ჯერ კიდევ ეტყობოდათ ჩეხოსლოვაკიის სამხედრო-საჰაერო ძალების ტაქტიკური საბორტე ნომრები.

ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ სლოვაკეთისგან გაყოფილმა და უკვე NATO-ს წევრმა ჩეხეთმა გადაწყვიტა შუა აზიის „მკვიდრი" თურქმენეთისთვის მიებაძა და თავისი Су-25-ები თბილისში გამოეგზავნა შესაკეთებლად? მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საოცრებები არ ხდება და არც NATO-ს მიუღია მისი წევრი ქვეყნის შეიარაღებაში ყოფილი საბჭოთა სტანდარტის მოიერიშეების დატოვების გადაწყვეტილება. პირიქით, ჩეხეთის ხელისუფლებამ მის განკარგულებაში მყოფი 24 ერთეული Су-25 ტიპის მოერიშე შეიარაღებიდან მოხსნა და დააკონსერვა.

ისინი კი თბილისში იმ უბრალო მიზეზის გამო მოხვდნენ, რომ სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენმა" თავადვე შეისყიდა 18 წლის წინ ჩეხოსლოვაკიაში გაყიდული თვითმფრინავები.

**ჩვენი დოსიე: თბილისის დიმიტროვის სახელობის 31-ე საავიაციო ქარხნის „ველის" აეროდრომიდან აფრენილი პირველი Су-25 ტიპის მოიერიშე (მისი საქარხნო ნომერი იყო 25508105003) 1984 წლის 2 აპრილს დაჯდა ჩეხოსლოვაკიის აეროდრომზე. სულ 1984-1987 წლებში თბილისიდან ჩეხოსლოვაკიაში გაიგზავნა 36 ცალი Су-25K (K აღნიშნავს კომერციულს) ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი (ორი, ორადგილიანი სასწავლო საბრძოლო Су-25УБК მოიერიშე ულან-უდეს საავიაციო ქარხანამ მიაწოდა ჩეხებს), რომლებითაც სამი მოიერიშე ესკადრილია დაკომპლექტდა. ამ მოიერიშეებს თბილისშივე ღებავდნენ და ახატავდნენ ჩეხოსლოვაკიის ემბლემას; ამასთან, ჩვენი საავიაციო ქარხნის სპეციალისტები ჩეხოსლოვაკიაშიც გაემგზავრნენ და იქაურ კოლეგებს დაეხმარნენ მოიერიშეების ათვისებაში, რისთვისაც ჩეხოსლოვაკიელმა სამხედროებმა მადლობის წერილები გამოუგზავნეს თბილისის საავიაციო ქარხნის კოლექტივს.**

**1993 წლის 1 იანვარს ჩეხოსლოვაკიის ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — ჩეხეთად და სლოვაკეთად — მშვიდობიანად გაყოფის შემდეგ მოიერიშეთა პარკიც გაიყო. ჩეხეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს 24 თვითმფრინავი (23 ცალი Су-25K და ერთი Су-25УБК) დარჩათ, სლოვაკებს კი 12. ორმა თბილისურმა მოიერიშემ მანამდე, ექსპლუატაციის დროს, ავარია განიცადა.**

**თავდაპირველად, ჩეხური მოიერიშეები პარდუბიცეს სამხედრო-საჰაერო ბაზაში იდგნენ, 1994 წლის 23 სექტემბერს ისინი გადაისროლეს 32-ე ტაქტიკურ საავიაციო ბაზაზე ნამნესტიში, სადაც მოიერიშეების დანაყოფმა მიიღო ახალი დასახელება — 322-ე ტაქტიკური ესკადრილია.**

**ჩეხეთის NATO-ში შესვლის შემდეგ Су-25-ების ესკადრილია დაკონსერვდა და პრაღა მათ გაყიდვას ცდილობდა.**

მკითხველი უთუოდ იკითხავს, — რატომღა იყიდა „თბილავიამშენმა" თავისივე თვითმფრინავები და თანაც 15-18 წლის წინ გამოშვებულიო. „კვირის პალიტრამ" შეძლო შეეტყო, რამდენი გადაუხადეს თითოეულ მოერიშეში ჩეხეთს (ჯერჯერობით „რუსლანმა" მხოლოდ 5 მოიერიშე ჩამოიტანა, ერთიც სატრანსპორტო „ილმა" ჩამოაფრინა), მაგრამ ეს მონაცემები კომერციული საიდუმლოებაა და ამიტომაც ვერ გავამხელთ. თუმცა ეს თანხები იმდენად მცირეა, მით უფრო მოიერიშისთვის (ერთ საბრძოლო თვითმფრინავში გადახდილი თანხით, თბილისის პრესტიჟულ უბანში კერძო სახლსაც ვერ იყიდით), რომ ამ კონტრაქტის განხორციელება ნამდვილად ღირდა. მაგრამ როგორ უნდა გამოიყენოს ძველი მოიერიშეები „თბილავიამშენმა", როდესაც ჯერ ახალაწყობილებიც ვერ გაუყიდია? „თბილავიამშენში" კი სხვანაირად ფიქრობენ — ჩეხურ მოიერიშეებს (რომლებიც, სხვათა შორის, მშვენივრად არიან შენახულნი და თან სათადარიგო მოწყობილობებიც ჩამოჰყვა) ისინი კაპიტალურად გაარემონტებენ და შემდეგ მესამე რიგის ქვეყნებში გაყიდიან.

ეს წმინდა კომერციული საქმიანობაა, თუმცა სარისკოც, რადგან იარაღის ბიზნესი დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მაგალთიად, უკრაინული „უკრსპეცექსპორტი" თავად ცდილობს აითვისოს მესამე ქვეყნების ბაზარი და აფრიკაში თავისი Су-25-ები გაყიდოს (თავის დროზე თბილისიდან უკრაინაში განთავსებული საბჭოთა საავიაციო პოლკებში 60-მდე მოიერიშე გაიგზავნა, რომელთა დიდი ნაწილი უკრაინელებს ახლა ქ. ოვრუჩის სარეზერვო ბაზაზე უდგათ და ერთი სული აქვთ, გაასაღონ), რისთვისაც უკვე მკვეთრად უპირისპირდება „თბილავიამშენს".

ისიც საკითხავია, მისცემს კი „თბილავიამშენს" საქართველოს მფარველი — აშშ, მოიერიშეების დასავლეთთან დაპირისპირებული ქვეყნებისთვის მიყიდვის უფლებას? რა თქმა უნდა, არა. გავიხსენოთ ოთხვარსკვლავიანი გენერლის ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის ექვსი წლის წინანდელი ვოიაჟი მამა-პაპათა სამშობლოში. მაშინ მან ოფიციალურ თბილისს ვაშინგტონის გაფრთხილება გადასცა — ემანდ, არ შეცდეთ და Су-25-ები მართლა არ მიჰყიდოთ ირანსო. იმხანად ამერიკულ ადმინისტრაციას უტყუარი სადაზვერვო მონაცემები ჰქონდა, რომ თბილისი მართლაც აპირებდა ირანში ამ მოიერიშეების გაყიდვას, რაზეც საავიაციო ქარხანაში მომრავლებული ირანელი ემისრებიც მეტყველებდნენ.

მკითხველს ემახსოვრება სულ ახლანდელი მოვლენები — „კოლჩუგას" ტიპის მობილური რადიოლოკაციური სისტემების ერაყისთვის შესაძლო მიყიდვის გამო ვაშინგტონმა კიევს საშინელი ობსტრუქცია მოუწყო.

ამჟამადაც ვრცელდება ინფორმაცია — თითქოსდა „თბილავიამშენი" შემჩნეულია ირანისთვის სათადარიგო ნაწილების მიყიდვაში და სპეციალისტების გაგზავნაში, რომლებმაც ადგილზევე უნდა გაარემონტონ ირანული მოიერიშეები. თუკი ვაშინგტონი ყოველივე ამას დაუმტკიცებს თბილისს, მაშინ კუჩმასი არ იყოს, პრეზიდენტ შევარდნაძესაც დიდი გარჩევები მოუწევს თეთრ სახლთან.

საერთოდ, იარაღის ბიზნესი ძალზე საჩოთირო საქმეა, რადგან შეიძლება პოლიტიკურ პრობლემებში გადაიზარდოს, რაც ისედაც საკმაოდ აქვს საქართველოს. მაგრამ, მეორე მხრივ, სახელმწიფომ ათი წლის განმავლობაში ვერ შეძლო საავიაციო მშენებლობის არათუ გაძლიერება, არამედ შენარჩუნებაც კი. „თბილავიამშენის" სააქციო საზოგადოებად გადაკეთებამ გარკვეულწილად გამოაჩინა მომავლის პერსპექტივები და ამიტომაც მის კოლექტივს უწევს კომერციულ რისკზე წასვლა, რათა ეს საწარმო მომგებიანი გახდეს. წინაალმდეგ შემთხვევაში, თვითმფრინავმშენებლობის დარგი ისევე ჩაკვდება დამოუკიდებელ საქართველოში, როგორც ეს სამწუხაროდ, მანქანათმშენებლობის სხვა დარგებს მოუვიდათ.

საბჭოთა პერიოდში ამ ქარხანაში 15 ათასამდე ადამიანი მუშაობდა და წელიწადში 140-მდე მოიერიშეს უშვებდა. დღეს კი „თბილავიამშენში" 2.200 კაციღაა დარჩენილი, მაგრამ ორი-სამი წლის წინ მათაც გაჭირვებით უხდიდნენ ხელფასს. შარშან კი სახელფასო დავალიანებები მოისპო და მუშა-მოსამსახურეებმა, რომელთა საშუალო ანაზღაურება (გამომუშავების მიხედვით) 250 ლარამდეა, როგორც თავად გვითხრეს, ორი პრემიაც კი მიიღეს. ქარხნის ტერიტორიაზე დაიდგა ბანკომატი, ხოლო პერსონალს დაურიგდა ელექტრონული საკრედიტო ბარათები, რომლებითაც მათ წესით, დაუბრკოლებლად უნდა აიღონ ხელფასი.

2-ათასკაციანი კოლექტივის (რომელთა უკან ოჯახები დგანან) მუდმივი დასაქმება დღევანდელ საქართველოში ხუმრობა არ არის, მაგრამ ეს პროცესი მანამ გაგრძელდება, სანამ „თბილავიამშენი" აქტიურად იბრძოლებს იმ დაუნდობელი კონკურენციის პირობებში, რაც იარაღის მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო მძაფრად მიმდინარეობს.

# ყველაზე ჭკვიანი ცხოველი ადამიანმა მკვლელობის იარაღად აქცია



კაცობრიობა ერთმანეთის გასანადგურებლად მუდმივად აუმჯობესებს სხვადასხვა იარაღის სახეობებს, მაგრამ ის, რომ ჭკვიანი დელფინები მკვლელებად აქციო, უკვე მეტისმეტია.

სწორედ ინდოელი სამხედრო მეზღვაურების ასეთმა სურვილმა აღაშფოთა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები. ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობას განსაზღვრული აქვს, მოწინააღმდეგის ხომალდების დასანაღმავად დელფინები გამოიყენოს, რისთვისაც ინდოეთის დასავლეთ სანაპიროსთან უკვე ჩაატარეს წარმატებული ცდა.

დელფინებს ასწავლიან გამოიცნონ მოწინააღმდეგის ხომალდი ან წყალქვეშა ნავი და მასთან მიიტანონ მაგნიტური ნაღმი, რომელიც თავისით მიეკვრება ხომალდის კორპუსს.

მაგრამ დელფინების გასამხედროებაში ინდოელები პირველები ნამდვილად არ არიან. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ვიეტნამის ომში ჩაბმულმა პენტაგონმა აქტიურად დაიწყო საიდუმლო ექსპერიმენტები დელფინი-კამიკაძეების გამოსაყვანად. ეს მალე საბჭოთა სამხედრო დაზვერვისთვისაც გახდა ცნობილი და ამერიკელების პასუხად შავ ზღვაში, სევასტოპოლის ბუხტაში, ამოქმედდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო ცენტრი ზღვის ცხოველების გასაწვრთნელად. თუკი ამერიკელებმა ატლანტური დელფინებისა და ზღვის ლომების გაწვრთნა გადაწყვიტეს, საბჭოთა სამხედროებმა ყურადღება შავი ზღვის დელფინზე — აფალინზე შეაჩერეს, რომელსაც, როგორც ამბობენ, ტვინში უფრო მეტი ხვეულები აქვს, ვიდრე ადამიანს.

სამხედრო დელფინებს რამდენიმე კატეგორიად ჰყოფდნენ. დელფინ-კამიკაძეებს ზურგზე დამაგრებული ჰქონდათ საზღვაო ნაღმები, ისინი ძრავის ხმით გამოიცნობდნენ მოწინააღმდეგის ხომალდს და ეჯახებოდნენ მას.

დელფინ-გუშაგებს სამხედრო პორტებისა და აკვატორიების დასაცავად იყენებდნენ. ისინი წყალქვეშ 400 მ-ის დისტანციაზე აფიქსირებდნენ მოწინააღმდეგის მყვინთავ-დივერსანტებს და დიდი სისწრაფით ცხვირს ურტყამდნენ. ცხვირზე მათ მიმაგრებული ჰქონდათ ნემსები, რომლის მეორე ბოლოში მოთავსებული იყო ნახშირორჟანგით სავსე პატარა ბალონი. დელფინი-გუშაგი მყვინთავ-დივერსანტს მუცელში ნემსს ურჭობდა. გაფართოებული ნახშირორჟანგი ავსებდა დაჭრილი მყვინთავის მუცელს და ხეთქავდა მას.

სწორედ ასეთი სამხედრო დელფინები იცავდნენ 1975-1987 წლებში სევასტოპოლის სამხედრო პორტს, სადაც საბჭოთა შავი ზღვის ფლოტილიის ძირითადი ხომალდები იყო განთავსებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შავი ზღვის მებრძოლი დელფინები, ისევე როგორც წყნარი ოკეანის ფლოტში „მომსახურე" სხვა ჭკვიანი ზღვის ბინადარნი, კერძო ცირკებსა და აკვაპარკებში გადაბარგდნენ და ბავშვების გართობა ამჯობინეს. ზოგიერთი ცნობით, მებრძოლი დელფინების ნაწილი ირანმა შეისყიდა, სპარსეთის ყურეში მოდრეიფე ნავთობმოსაპოვებელი კოშკურების დასაცავად.



# რუსი მზვერავები ერაყს ეხმარებიან

## შევარდნაძის „დიდ მეგობარს“, ევგენი პრიმაკოვს ჯორჯ ბუში ჰუსეინის „დოსტად“ მიიჩნევს



ომი ერაყს კარს მიადგა. დღე-დღეზე პენტაგონი ბაღდადს დაარტყამს. ეს, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში მოხდება. 12 წლის წინ, თითქმის ამ დროს, აშშ-ის დღევანდელი პრეზიდენტის მამამ დაიწყო ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“.

გასულ კვირას პენტაგონმა სპარსეთის ყურეში დამატებით 35 ათასი საზღვაო ქვეითი გაგზავნა, რომელთა რიცხვი ოპერაციის დაწყების წინ 100 ათასამდე ავა. ამას დაემატება სახმელეთო ნაწილების დიდი კონტინგენტი. ისინი უკვე გადიან საბრძოლო მომზადებას ქუვეითისა და საუდის არაბეთის პოლიგონებზე. 12 სტრატეგიული ბომბდამშენი B-1B, რამდენიმე დღის წინ ჩრდილო ამერიკის კონტინენტიდან გადაფრინდა ინდოეთის ოკეანეში, ბრიტანულ კუნძულ დიეგო-გარსიაზე, საიდანაც ისინი განახორციელებენ „ხალიჩისებურ“ დაბომბვებს ერაყის წინააღმდეგ.

პენტაგონმა გამოაცხადა 12-თვიანი მორატორიუმი საზღვაო ქვეითთა თადარიგში დათხოვნაზე (ის 273 ათას კაცზე ვრცელდება), რაც საბოლოო დასტურია იმისა, რომ ამერიკა დაახლოებით ერთ თვეში ერაყს უსათუოდ დაარტყამს, მიუხედავად იმისა, აღმოაჩენენ თუ არა იქ გაეროს სამხედრო ინსპექტორები მასობრივი განადგურების იარაღის ერთ ნიმუშს მაინც.

ასეთ დროს ძალზე მნიშვნელოვანი ხდება ვაშინგტონიდან გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახური — СВР აქტიურად ეხმარება ერაყელ სამხედროებს და პრეზიდენტ სადამ ჰუსეინს აწვდის იმ საიდუმლო ცნობებს, რასაც რუსეთი გაეროში იღებს იმავე ამერიკელებისგან.

თეთრი სახლის წარმომადგენლებმა, რომლებიც გაეცნენ ამერიკული სადაზვერვო სამსახურების მონაცემებს, განაცხადეს, — СВР-ის მჭიდრო მეგობრობა ერაყთან მაშინ ჩაისახა, როდესაც ამ სპეცუწყებას ანტიამერიკულად განწყობილი ევგენი პრიმაკოვი ხელმძღვანელობდაო.

თავის მხრივ, ცნობილია პრიმაკოვის დიდი „სიყვარული“ საქართველოს პრეზიდენტის მიმართ. ამას განსაკუთრებით 1998 წლის 9 თებერვალს შევარდნაძეზე მოწყობილი თავდასხმის კომენტირებისას, პრიმაკოვის მიერ წარმოთქმული ფრაზებით ასკვნიან.

ამერიკული დაზვერვა ამზეურებს კიდევ ერთ სენსაციურ ინფორმაციას — მოსკოვი არა მარტო სადაზვერვო ინფორმაციებით ეხმარება ერაყს, არამედ თავადაც აპირებს სპარსეთის ყურეში გაგზავნოს სამხედრო ხომალდების ჯგუფი.

ამჟამად სპარსეთის ყურეში 4 ამერიკული ავიამზიდი და მათი დამხმარე ხომალდების ჯგუფი იმყოფება, რომელთა გასაძლიერებლად დიდი ბრიტანეთიდან უკვე დაიძრა ინგლისური ავიამზიდი ARK ROYAL-ი 5 დამხმარე ხომალდით.

ამის საპასუხოდ რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტმა მოსკოვიდან მიიღო ბრძანება, სასწრაფოდ მოამზადონ ორი დიდი ნავსაწინააღმდეგო ხომალდი და ერთი ტანკერი სპარსეთის ყურეში გადასასროლად. ამერიკული დაზვერვის მონაცემებით, სავარაუდოდ, ერაყის ნაპირებისკენ გაემართებიან დიდი ნავსაწინააღმდეგო ხომალდები — „მარშალი შაპოშნიკოვი“ და „ადმირალი პანტელეევი“, რომლებმაც უნდა დაიცვან რუსეთის ინტერესები ამ რეგიონში. ერთადერთი რუსული ავიამზიდი „ადმირალი კუზნეცოვი“ (ყოფილი „თბილისი“), რომელიც რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობაშია, კვლავ შესაკეთებლად დგას.

ჩანს, რომ რუსეთის ახალგაზრდა პრეზიდენტს კვლავ აწუხებს ველიკოდერჟავული ამბიციები და სურს მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახვოს რუსეთის ზესახელმწიფოებრიობა. თუკი რუსეთმა მაინც გაგზავნა თუნდაც სამი სამხედრო ხომალდი სპარსეთის ყურეში, მაშინ მისი წყნარი ოკეანის ფლოტის დანარჩენ ხომალდებს მთელი წელი პირსთან დგომა მოუწევთ, რადგან სპარსეთის ყურეში საბრძოლო მორიგეობა წყნარი ოკეანის ფლოტის წლიური საწვავის ფონდის ლომის წილს შეჭამს.

# არსენალი
## იარაღი... თითზე

მას შემდეგ, რაც ცეცხლსასროლი იარაღი გამოიგონეს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კონსტრუქტორი თუ თვითნასწავლი „ხელმარჯვე ოსტატი“ მუდმივად ცდილობს მის შემცირებას და შენიღბვას სხვადასხვა საგნის სახით.

ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში — რევოლვერისა თუ პისტოლეტის ამოღებას და ჩახმახზე შეყენებას ორი წამი მაინც სჭირდება,




მოწინააღმდეგეს კი შეიძლება უკეთესი რეაქცია აღმოაჩნდეს და დაგასწროს სროლა.

სულ სხვაა, როცა სროლას იწყებ ისეთი საგნით, რომელსაც თვით უდიდესი ფანტაზიის მქონე ადამიანიც კი ვერ მიიჩნევს ცეცხლსასროლად.

სწორედ ასეთი დაუჯერებელი იარაღის სახეობას წარმოადგენს ბეჭედი-რევოლვერი. იგი ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ბეჭედს ჰგავს, მაგრამ წამის მეასედში მის მფლობელს შეუძლია ბეჭდიანი თითი მოხაროს და... სროლა აგიტეხოს.

ბეჭედში იარაღის შენიღბვის იდეა ძალზე დიდი ხნის წინ წარმოიშვა.

თავდაპირველად ბეჭედში შხამს მალავდნენ — თვალს შეუმჩნევლად მოაბრუნებდნენ და საწამლავს მალულად უსხამდნენ სასმისიან ჭიქაში მეტოქეს.

რომის სახელგანთქმული კეისარი უფრო შორს წავიდა — თავისი ლომისთავიანი ბეჭდის თავს მოაბრუნებდა. ხელის ჩამორთმევისას ლომი ძლიერმოქმედ შხამში ამოვლებული პატარა ნემსით „კბენდა“ მსხვერპლს, რომელიც მალევე იღუპებოდა.

იმქვეყნად გასასტუმრებელ კანდიდატებს ასევე ძვირფას ბეჭდებს ჩუქნიდნენ, რომლის რკალის შიგნით დამაგრებული იყო შხამიანი ნემსი. ბეჭდის თითზე გაკეთებისას ნემსის წვერი აუცილებლად გაჩხაპნიდა კანს და...

მე-19 საუკუნეში „ხელმარჯვე ოსტატებმა“ პატარა ბეჭდებში უკვე ცეცხლსასროლი იარაღის ჩამონტაჟება ისწავლეს. ბეჭედი-რევოლვერის პირველი ნიმუშები 1870 წელს საფრანგეთში დაამზადეს. იგი 3,5-4,5 მმ კალიბრის 5-6 ტყვიას ისროდა. ეს ტყვიები მოთავსებული იყო ბეჭდის თავზე დამაგრებული რევოლვერის ბარაბნის მსგავს მოწყობილობაში. ყოველი ახალი გასროლის წინ თითით ატრიალებდნენ ბარაბანს.

ერთი საუკუნის შემდეგ, 1988 წელს, სამხრეთაფრიკელმა ინჟინერმა უიტინგმა შეიმუშავა ბეჭედი-პისტოლეტის თანამედროვე ნიმუში. მართალია, მასში მხოლოდ ერთი ვაზნა თავსდებოდა, მაგრამ იგი გაცილებით ძლიერი გახლდათ, თუმცა თავისი წინამორბედისნაირად — მცირეკალიბრიანი.

მართალია, ბეჭედი-რევოლვერი ან ბეჭედი-პისტოლეტი თავისი მცირეკალიბრიანი ტყვიებით დიდ ზიანს ვერ მიაყენებს მოწინააღმდეგეს, მაგრამ გასროლისას მოულოდნელობის და, რაც მთავარია, დაუჯერებლო-



ბის ეფექტი მართლაც რომ ძალზე შთამბეჭდავი და შეიძლება დამთრგუნველიც კი იყოს მისთვის.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## საქართველო კოსმოსში „გადის“

### აზერბაიჯანელ „კოსმონავტებს“ კი უკვე აქვეითებენ...

შეიძლება დაუჯერებლად ჩანდეს, მაგრამ მალე საქართველოს საკუთარი კოსმოსური სააგენტო ექნება. ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო.

ვისზე ნაკლები ვართ ქართველები, განა ჩვენი ეროვნების ერთმა კაცმაც არ უნდა გაინავარდოს კოსმოსში? მით უმეტეს, რომ ქართველი ინჟინრების ნახელავი უკვე დიდი ხანია დაფრინავს დედამიწის ორბიტაზე. სწორედ 1999 წლის ზაფხულში გაშვებულმა მსხვილგაბარიტიანმა რეფლექტორულმა ანტენამ დააჩქარა ქართული კოსმოსური სააგენტოს შექმნის შესაძლებლობა. ზემოხსენებული სამინისტროს მტკიცებით, ახალი ორგანიზაციის დაფუძნებაში აქტიურად დაგვეხმარებიან ევროპული კოსმოსური სააგენტოს მესვეურები.

სანამ ქართველები კოსმოსზე ფიქრს იწყებენ, მეზობელ აზერბაიჯანში ეროვნულ ავიაკოსმოსურ სააგენტოს მეცნიერების ეროვნულ აკადემიას უქვემდებარებენ, თანაც პრეზიდენტ ალიევის კატეგორიული მოთხოვნით ამ სააგენტომ პირადად პრეზიდენტს უნდა მოახსენოს ყოველწლიურად ჩატარებული (თუ კოსმოსში გაშვებული აზერბაიჯანელების) სამუშაოს შესახებ.

## პარიზსა და ლონდონში დაჭერილმა ტერორისტებმა საწამლავის მომზადება პანკისში ისწავლეს?

ამის დადასტურება ჯერჯერობით არავის შეუძლია, მაგრამ რუსულ მასმედიაში უკვე გამოაბეს კუდად „პანკისის ხეობა“ ლონდონში რამდენიმე დღის წინ დაჭერილ შვიდ ალჟირელ ტერორისტს.

სამი კვირის წინ პარიზის გარეუბანში ფრანგმა პოლიციელებმა ალჟირელთა ჯგუფი დააკავეს. მათი ბინის ჩხრეკისას გამომძიებლებმა ელექტრონული სქემები და ორი უცნაური ფლაკონი იპოვეს. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებული ალჟირელები სავარაუდოდ სპეციალურ მომზადებას ჯერ ავღანეთში, „ალ-ქაიდასთან“,




ხოლო შემდეგ ჩეჩნეთში, არაბ ვაჰაბიტებთან გადიოდნენ. სახლში აღმოჩენილი ელექტრონული სქემების დახმარებით ისინი ბომბების დამზადებას და ტერორისტული აქტების ჩატარებას გეგმავდნენ.

უცნაურ ფლაკონებზე მეტი ინფორმაცია აღარ გავრცელებულა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, შეგნებულად, რადგან პარიზში დაკავებული ალჟირელების საშუალებით სკოტლენდ-იარდმა ლონდონში მიაგნო მათ თანამზრახველებს, რომლებსაც ანალოგიური ფლაკონები აღმოაჩნდათ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფლაკონებში მოთავსებული იყო ძალზე საშიში შხამი — რიცინი.

თავისი ტოქსიკურობით იგი საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებებს უტოლდება. მას აბუსალათინის ზეთის ნარჩენისგან ხდიან. რიცინით მოწამვლის ნიშნებია: რამდენიმედღიანი გრიპისმაგვარი სიმპტომები, მას მოჰყვება საშინელი ტკივილი, რაც სიკვდილით მთავრდება. რიცინის გასაუვნებელყოფად წამალი არ არსებობს.

სკოტლენდ-იარდი ხაზს უსვამს, რომ 1978 წელს დიდ ბრიტანეთს თავშეფარებული ბულგარელი ანტიკომუნისტი-დისიდენტი გიორგი მარკოვი სწორედ რიცინით მოწამლეს — ბულგარეთიდან გამოგზავნილმა კომუნისტმა-დივერსანტმა მას ამ შხამში ამოვლებული სპეციალურ ნემსიანი ქოლგა უჩხვლიტა.

რიცინის გაბნევა და მისით ხალხის დიდი მასის მოწამვლა ტექნიკურად თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც სპეცსამსახურები ფიქრობენ, რომ რიცინის გამოყენებას ალჟირელი ტერორისტები კონკრეტული პიროვნებების, შეიძლება ქვეყნის პირველი პირების წინააღმდეგაც აპირებდნენ.

## მექანიკური „ჩიტები“ ქუჩების დასაზვერად

ამერიკელი სამხედროები ფულს არ იშურებენ მინიატურული სადაზვერვო საფრენი აპარატების შესაქმნელად. ასეთ სადაზვერვო აპარატებს ძირითადად გამოიყენებენ ქალაქის ქუჩებში მიმდინარე



ბრძოლების დროს, როდესაც ჩიტისხელა მზვერავი მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ შენობაში შეფრინდება და იქიდან დროის რეალურ მასშტაბში სადაზვერვო ტელეკადრებს გადასცემს თავისიანებს. ერთ-ერთმა ასეთმა მექანიკურმა „ჩიტმა“, რომელსაც კონსტრუქტორებმა „მიკრობატი“ შეარქვეს, უკვე დაამყარა მსოფლიო რეკორდი — ჰაერში 22 სთ და 45 წმ იფრინა. მისი ფრთების გაშლილობა 23 სმ-ია, ხოლო წონა — 14 გრამი. მას ლითიუმის ბატარეაზე მომუშავე ელექტროძრავა უყენია და შეუძლია შეუმჩნევლად იფრინოს მოწინააღმდეგის თავზე.

## ორი ათასზე მეტი რუსი სამხედრო უბრძოლველად დაიღუპა

შარშან რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ერთი სრულყოფილი ბრიგადა უბრძოლველად დაკარგა — 2 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა სხვადასხვა შემთხვევის შედეგად, მშვიდობიან პერიოდში. ეს ეხება როგორც არმიას, ისე მესაზღვრეებს, შინაგან ჯარებს, სამოქალაქო თავდაცვასა და საგანგებო სიტუაციათა სამსახურს.

მათი უმრავლესობა ისევ თანამოსამსახურეების მსხვერპლი გახდა, ათასგვარი დამცირებით გონდაკარგულმა ჯარისკაცებმა ავტომატებით მთელი ოცეულები დაცხრილეს...

## პარტიზანები მტრების სასქესო ორგანოებზე „ნადირობენ“...

ომის დროს ათასნაირი საზიზღრობა ხდება, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია ის, რომ ერთი მხარის მებრძოლები მაინცდამაინც ტყვეთა სასქესო ორგანოებს მიირთმევდნენ...

მაგრამ გაეროს საერთაშორისო წარმომადგენლებმა და ექიმებმა მოიპოვეს ინფორმაცია, რომ კონგოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც განუწყვეტელი ბრძოლები მიმდინარეობს, ამგვარ ამაზრზენ ფაქტებს ხშირად აქვს ადგილი.

აქ ამბოხებული პარტიზანები ებრძვიან სამთავრობო ჯარებს. ფრონტის ხაზის შუაგულში კი ველური პიგმეები მოექცნენ. სწორედ მათზე ნადირობენ პარტიზანი-კანიბალები. ისინი იჭერენ პიგმეებს და ანადირებენ. ის პიგმეი, რომელიც მშიერ პარტიზანებს ვერ მოუტანს ნანადირევს, თა-



ვად ხდება მათი ლუკმა. კანიბალებს მიაჩნიათ, რომ პიგმეების სასქესო ორგანოების შეჭმა მათ სხეულს მეტ ძალას მისცემს, ამიტომაც საწყალ პიგმეებს მალე გადაშენება ემუქრებათ.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# მამია ვარ, არ მესროლოთ...

## საახალწლო „ნადირობა“

ზედიზედ რამდენიმე ხელმოცარული ნადირობის ამბავმა თბილისშიც ჩამოაღწია და სხვები თუ სიცილისგან ბჟირდებოდნენ, თვითონ მონადირე, შესანიშნავი ლოტბარი, კომპოზიტორი და მომღერალი მამია ხატელიშვილი ისე განიცდიდა ამას, იმ დღის შემდეგ წარბი არ გაუხსნია.

— ვიცი სანდო არა ხარ (იმას გულისხმობდა, ნადირობის ამბავს ყველგან რომ ვყვებოდი), მაგრამ მინდა შენც გაგაჩუმო და ჩემი ბიძაშვილი ზურაბიც. დღე ერთია და თხუთმეტჯერ მახსენებს იმ ამბავს. მანქანა გაამზადე, 31 დეკემბერს ლაგოდეხში მივდივართ. იქ მონადირეები მელოდებიან. ნაკრძალში შევალთ. ოღონდ აქედანვე იცოდე, სამი ღორის მეტი არ უნდა მოვკლათ, სულ პატარას მე დავიტოვებ, საშუალო შენი იყოს. ყველაზე დიდი კი გამთენიისას ჩემი ბიძაშვილის, ზურაბის ბინის კარზე უნდა მივაყუდოთ. წარმომიდგენია, რა დაემართება, ახალი წლის დილას კარს რომ ვერ გააღებს. ვნახოთ, როგორ დამცინებს ამის შემდეგ...

ჩემს სიცოცხლეში სერიოზულად არასდროს მინადირია. ბეღურაც კი არა მყავს მოკლული, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ კარგა ხნის წინ ჩემმა მეგობარმა საშა შუბითიძემ, ლაგოდეხელმა იმერელმა რამდენიმე კაცი დაგვპატიჟა მდინარე კატეხზე სათევზაოდ. იმ ღამით საშას უფროსმა ვაჟმა, ზაზამ (იგი ახლა გენერალია და შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს) და მისმა ტოლებმა ხელაობით იმდენი თევზი დაიჭირეს, სად წაგვეღო, აღარ ვიცოდით. არ ვიცი იმის გამო, რომ ლაგოდეხი კარგად მქონდა დაცდილი, ან იქნებ სულაც იმისთვის, ნაკრძალი რომ იყო ნახსენები, გავბრიყვდი და დავთანხმდი. საღამოვდებოდა, ლაგოდეხში რომ ჩავედით. ისეთი თოვლჭყაპი იდგა, ძაღლს რომ არ გააგდებენ გარეთ. მონადირეები დაპირებისამებრ ადგილზე დაგვხვდნენ, თუმცა სამივეს უგუნებობა ეტყობოდა, — ამ ამინდში ტყეში შესვლას აზრი არ აქვს. ღორი ასეთ დროს გარეთ არ გამოდისო, გვითხრეს. თუმცა ამაზე ნუ იდარდებთ. თითოეული ჩვენგანი სახლში გაზრდილ თითო ბურვაკს გაჩუქებთ და ზედ დასაყოლებელსაც ვკისრულობთო. გვეშველა-მეთქი, ვიფიქრე. იმ ყიამეთში ტყეში შესვლის სურვილი სულ არ მქონდა, მაგრამ მამია სულ გადაირია.

— როგორ? შინაური ღორი რომ მნდომოდა, რაღა ამსიშორეს ჩამოვიდოდი, თბილისში, ავჭალის ბაზარზე ვიყიდდიო. მერე მოლბა, ალბათ იფიქრა, სულ არ დავაფრთხო მასპინძლებიო და ხვეწნაზე გადავიდა.

— ე, ბიჭო, სამი ღორი აღარ მინდა, იქნებ ერთი მაინც მოვკლათ, ჩემი ბიძაშვილი რომ გავაჩუმო როგორმე, თორემ ამას რომ უყურებთ, — ჩემზე მოუთითა, — ახლა დღევანდელ ამბავს დაბუქავს და თბილისში თავს ველარ გამოვყოფო. მონადირეებმა ჯერ მამიას, მერე ერთმანეთს გადახედეს და უხალისოდ შეუდგნენ სამზადისს, — კი, ბატონო, არ იფიქროთ წამოსვლა დაეზარათო. ჩვენ წამოვალთ, მაგრამ ღორის მოკვლის გარანტიას ვერ მოგცემთო. ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, მამიას იმის იმედი ჰქონდა, რომ ამ ნადირობისთვის ისე იყო მო-



მამია ხატელიშვილი მგლის ლეკვით ხელში

მზადებული, როგორც არასდროს და ნადირის გამოჩენის შემთხვევაში ტყვიის დაცილებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მთელი ნოემბერ-დეკემბერი იარა სამხედრო მფრინავებთან და როგორღაც ისეთი ელექტროფარნები იშოვა, თოფის ლულაზე რომ მაგრდებოდა და საკმაოდ შორ მანძილზე წრიულ განათებას უზრუნველყოფდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ტყვია ზუსტად იქ მოხვდებოდა, საითკენაც სინათლე იყო მიმართული. მონადირეს ისღა რჩებოდა, ნადირისთვის სინათლის რკალი გაესწორებინა და სასხლეტისათვის თითი გამოეკრა. ხუთი ცალი ასე გამართული თოფი წამოიღო მამიამ და ზედაც ქაღალდის ორი დიდი პარკი მოაყოლა, — ღამე მოგვშივდება და საჭმელი მომაქვსო ერთი პარკით, მეორე კი ცოლმა ამკიდა, ნაგვითაა სავსე. თუ ძმა ხარ, ქალაქიდან რო გავალთ, გამახსენე, სადმე გადავაგდებო. სართიჭალის ხიდზე რომ გადავდიოდით, შეხსენება აღარ დასჭირვებია და პარკი წყალში მოისროლა. ბნელოდა, გზიდან რომ გადავუხვიეთ და ნაკრძალის ერთ-ერთ ხევში შევრგეთ თავი. შუქფარები გამორთე და ისე იარე, თორემ ეგერები დაგვიჭერენ და ცუდად წაგვივა საქმეო, გაგვაფრთხილეს მეგზურებმა. ჯერ შუქით როგორია ღამით, თოვაში სიარული და უშუქოდ რაღა იქნებოდა. რის ვაი-ვაგლახით ტყის სიღრმეში შევაღწიეთ. მანქანა საგულდაგულოდ გადავმალეთ ვეებერთელა ხეების კორომში და ფეხით განვაგრძეთ გზა... ზამთრობით ჩვეულებრივ ნახევრად მშრალი ღელეები ოდნავ მოდიდებულიყო და მათზე გადასვლა საკმაოდ გაჭირდა. ერთი-ორგან ისე ამიცურდა ფეხი, კინაღამ წყალში მოვადინე ტყაპანი. მამიას გარდა, ყველამ მაინც მშვიდობიანად დავაღწიეთ თავი ღელეების ბარიკადებს. ფათერაკიანმა მამიამ კი ერთ-ერთ ღელეზე გადასვლისას წყალში ისეთი დგაფანი მოადინა, გვეგონა რაღაც უბედურება მოხდა, მაგრამ როცა მივუახლოვდით, იგი უკვე სამშვიდობოს იყო გასული და აქეთ დაგვამშვიდა — ცალი ფეხი გადამიცდა წყალში, მაგრამ რეზინის ჩექმამ დამიფარა, — არ დავსველებულვარო. როგორც იყო, მივაღწიეთ სავარაუდო ადგილს და ყველანი ჩვენ-ჩვენს ტერიტორიაზე, ანუ ე.წ. „ნომრებში“ გაგვამწესეს. ამასობაში, თოვლჭყაპი თოვამ შეცვალა, სიცივემაც იმძლავრა. დაახლოებით ორი საათი გაუნძრევლად ვიჯექი ვეებერთელა ხის ძირში. ნესტიანი სიცივე ისე ატანდა ძვალ-რბილში, ვიფიქრე, ცოტაც და გავიყინები-მეთქი. არადა, არც ის მინდოდა, ჩემი მიზეზით ჩაშლილიყო ნადირობა. ვიცოდი, სამუდამოდ დავკარგავდი მამიას.

ვზივარ ჩემთვის და სული კბილით მიჭირავს. უცებ მესმის, რაღაც ცხოველი ჯაგებში მოჯლიგინებს — ხმა თანდათან ახლოვდება. ამ შუაღამისას გარეული ღორის მეტს, არაფერს ველოდები და როცა ხმა საკმაოდ მომიახლოვდა, საბოლოოდ დავრწმუნდი, ასეთ დროს ნადირი გამოუცდელ მონადირესთან მიდის-მეთქი და თოფი შევმართე. ელექტროფარანი თოფის ლულასთან ერთად იმ მიმართულებით მივმართე, საიდანაც ნადირი უნდა გამოჩენილიყო. ნათურის ანთება და კაცის კივილი ერთი იყო — მამია ვარ, არ მესროლოო. რა მაცინებდა ერთიანად გათოშილს, მაგრამ თავი ველარ შევიკავე და ისე ჩავბჟირდი, სული ძლივს მოვიბრუნე. უბედურმა თურმე არ გაგვიმხილა, მდინარეზე გადმოსვლის დროს ერთიანად დასველებულიყო. რომ მეთქვა, აქაურები უკან დაგვაბრუნებდნენო და ამის შიშით ორი საათი სველი მჯდარა თავის „ნომერში“. ახლა იმაზე მომადგა, იქნებ რამე მშრალი ჩასაცმელი გაქვს და მომეციო. სანამ ჩვენ აქეთ ვფაციფუცობდით, მამიას ყვირილმა იქაური მონადირეებიც გამოაფხიზლა და ბანაკი აირია. ლაგოდეხელებმა კატეგორიულად გამოგვიცხადეს, აქ დგომა უაზრობააო და მამიას ჭირვეულობის მიუხედავად, უკან დავბრუნდით. ღმერთმა გაშოროთ, ჩვენ იქ დღე დაგვადგა: ვიდრე სამალავებში ვიჯექით, თოვლჭყაპს თავისი ექნა და ღელეები ისე მოდიდებულიყო, რომ ცირკის ჯამბაზი თუ გააღწევდა ნაპირზე. თოფებიდან ტყვიები ამოვყარეთ, მერე ქამრებით ერთმანეთს გადავაბით და ბაგირის ნაცვლად ვიხმარეთ. ხან ვინ მოადინა ტყაპანი წყალში და ხან — ვინ. მეც მომიწია ბარე ორჯერ რეზინის ჩექმების გახდა და შარვლის გაწურვა, მაგრამ ისე გამოვაღწიე, რომ წელზემოთ არ დავსველებულვარ. მამია კი უარეს ფათერაკში გაება. წყალმა მოიტაცა. წარმოიდგინეთ ყინვაში, სიბნელეში ვეებერთელა ლოდებით გაჭედილ ხეობაში თავაწყვეტილი მთის მდინარე კაცს მიაქანებს, შენ კი უძლური ხარ. ერთადერთი, რაც მოვიფიქრე, ის იყო, რომ თოფზე დამაგრებული ფარანი ჩავრთე და მდინარის მსხვერპლის ძებნა დავიწყე მის შუქზე. — არ გინდა, ნუ ანათებ, თორემ ეგერები შეგვნიშნავენ და დაგვიჭერენო, კიდევ ერთხელ რომ მომაძახეს იქაურმა მონადირეებმა, სიმწრისაგან ვიკივლე: — რისთვის დამიჭერენ ეგერები, ბეღურაც არ მომიკლავს ამ ნაკრძალში, წყალწაღებულის გადარჩენისათვის კი მედალს იძლევიან-მეთქი. არ ვიცი, ჩემგან მიწოდებულმა სინათლემ უშველა თუ თვითონ იყოჩაღა, მაგრამ დაბლა, მოსახვევში, მამია ხის ფესვს მოეჭიდა და რის ვაი-ვაგლახით ამოვათრიეთ მთლად გალუმპული. ამასობაში, სამშვიდობოსაც გავედით, მაგრამ ახლა მანქანა ველარ ვიპოვეთ. თოვლჭყაპში კიდევ შეიძლებოდა გზის გაგნება, მაგრამ ამ თოვას ისე შეეცვალა იქაურობა, კაცი ვერ გაარჩევდა, სად დავტოვეთ მანქანა. იმ ღამეს ჩვენზე ბედნიერი აღარავინ გვეგონა, როცა ბევრი ძებნის შემდეგ ბოლოს და ბოლოს, ვიპოვეთ ჩვენი „უაზი“. როგორც იყო, ძრავა გათბა და ცოტა შვება ვიგრძენით. მამია ზედ ძრავაზე დაჯდა და ერთიანად გალურჯებული ნელ-ნელა ფერზე მოვიდა. მერე გაახსენდა, რომ ყველანი მშივრები ვიყავით და სანოვაგით სავსე პარკს მისწვდა.

— ჩემს ცოლს თუ არყის ჭიქები ამჯერადაც დაავიწყდა, ცოცხალი ვერ გადამირჩება ის უბედურიო და თავისი ჭკუით არყის ბოთლისა და შემწვარი ვარიების ამოლაგება დაიწყო, მაგრამ გზაში ქაღალდის პარკი დასველებულიყო და თითქოს ამ მომენტს ელოდაო, ერთბაშად მოირღვა და სათბურის კიტრის ნათალებითა და გამოხრული ქათმის ძვლებით აივსო იქაურობა (წყალში სურსათით დატვირთული პარკი მოუსვრია და ნაგვით „გვიპირებდა“ გამასპინძლებას. — ვ.გ.) სიმწრისაგან ყველას კრიჭა შეეკრა. მე კი ამჯერადაც ვერ შევიკავე თავი და ისევ ჩავბჟირდი.

— წადი, ჰა, ერთი წელიწადი ახლა ეს გეყოფა სამასხარაოდ, შენთვის წამოვსულვარ. ორით ნოლია შენს სასარგებლოდ...

ლაგოდეხში მონადირეებმა თავი მოიკლეს, დარჩით ჩვენთან, გაშრით, დაპურდით. ბურვაკებსაც გაგატანთ, ბოლოს და ბოლოს, ახალი წელიაო, მაგრამ მამია ისეთ ხასიათზე იყო, მივხვდი, ამის თავი აღარ ჰქონდა და მეც თბილისისკენ გავიწიე.

დედაქალაქამდე ისე ვიარეთ, სიტყვა არ დაგვცდენია არც ერთს. მუხრანის ხიდთან, კიბალჩიჩის აღმართის დასაწყისში ქართულ პურს აცხობდნენ. გააჩერე, პურს მაინც ავიღებ, თორემ სადაცაა შიმშილით გული წამივაო, მთხოვა. მარტო პური რაა, ცოტაც მოიცადე ბარემ, ნანადირევს სუკები ავართვათ და ისე ვისაუზმოთ-მეთქი.

— შენ კიდევ არ იშლი შენსას, სანადიროდ კი არა, კინოში არ შეიძლება შენთან წამოსვლაო, — იყვირა. მანქანიდან გადახტა და მუხრანის ხიდისკენ გაიქცა. მაპატიოს მისმა ნათელმა სულმა. თბილისში ახალი წლის რიჟრაჟი შემოდიოდა.

# პირველი ნამდვილი ზანგი სოხუმში

*„მომავალ ხუთშაბათს მექნება, დაგენაცვლე, იმპორტული საროჩკები, მარა ადრიანად თუ არ მოხვალ, ეს გადარეული ხალხი რას შემანახვინებს? არ მინდოდა ამის გახმაურება, მარა შენნაირ პატიოსან ერთ-ორ კაცს ვეთხარი... ერთი სიტყვით, დილაადრიან რიგი დაიჭირე და იომე, თორემ თუ არ შეგხვდა, იცოდე, არ დამემდურო“, — ასე მოძლვრავდა ჩვენი უნივერმაღის გამყიდველი მოშია მაღაზიაში შესულ ნაცნობ-უცნობს საქონლის მიღებამდე ორი-სამი კვირით ადრე. მართლაც, დათქმულ დღეს აუცილებლად გამოჩნდებოდა იმპორტული საქონელი და იწყებოდა მეორედ მოსვლა. რა რიგი, რის რიგი, — ერთმანეთზე გადადიოდნენ, ოღონდ სანუკვარი რუმინული პერანგი ან ჩეხური ფეხსაცმელი ჩაეგდოთ ხელთ. ეს ზედახორა დიდხანს არ გასტანდა, სამაგიეროდ, უზარმაზარ რიგში დგომით გახვითქული და გაწევ-გამოწევით გასავათებული ხალხი მალე მიხვდებოდა, რომ უმრავლესობას იმპორტულის ნაცვლად, ზესტაფონის ან ხაშურის სამკერვალოს ნაწარმი შეაჩეჩეს.*

*— რა გიყო, დაგენაცვლე, შენი თვალით მაინც არ გენახა, რა დღეში ვიყავი. ყუთში რაც იყო, ის გავყიდე, სათითაოდ ხო არ დავუწყებდი სინჯვას, ვისი ნაწარმია-თქვა. ახლა რაც არი, არი, იქნება მეორე შემოსვლაზე გაგიხერხო რამე, — ანუგეშებდა გაწბილებულ კლიენტს მოშია, მაგრამ იმ „მეორეჯერ შემოსვლაზეც“ იგივე მეორდებოდა. ასე ცხოვრობდა „დიადი“ საბჭოთა კავშირი...*

*უცხოური საქონლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გავიდა ხანი და თვითონ უცხოელები გამოჩნდნენ. განა ისეთი რა ეცვათ ან რა ეხურათ, მაგრამ ჩვენში ისიც სანატრელი იყო. ჰოდა, იყო გახურებული ნადირობა მათზე, ამიტომ საკავშირო მთავრობის დირექტივით, ადგილობრივ სამართალდამცველებს უცხოელის გაძარცვის შემთხვევაში, სამი დღის მანძილზე უნდა ეცნობებინათ მოსკოვისთვის ძარცვა-ყაჩაღობის ფაქტების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სამ დღეში უნდა გახსნილიყო დანაშაული, თორემ ვაი იმის ბრალი, ვინც მოსკოვის წნეხის ქვეშ მოჰყვებოდა. ამიტომ ასე რომ არ მომხდარიყო, ჩვენში თითო ტურისტს ორ-ორი კაგებეშნიკი და იმდენივე მილიციელი მაინც დასდევდა. უცხოელებს კი მაინც ძარცვავდნენ.*

ყველაზე მეტად მაშინ გაგვიჭირდა, როცა იქ, ზემოთ, გადაწყვიტეს, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის საწარმოო ბაზაზე გაევლოთ პრაქტიკა კრასნოდარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებს, რომელთა შორის უცხოელებიც იყვნენ. თავდაპირველად, „თეთრი“ უცხოელები ჩამოდიოდნენ, მერე კი ერთ მშვენიერ დღეს სოხუმის პლაჟზე შავკანიანიც გამოჩნდა.

— ეს იყო პირველი ცოცხალი ზანგი, რომელიც იქაურებმა ვიხილეთ... ოღონდ ტრუსების ამარა, — მიამბობს ჩემი ძველი კოლეგა და მეგობარი მერაბ რაფავა, — ქუჩაში თითქმის დედიშობილა მიაბიჯებდა ორმეტრიანი გოლიათი. იმწამსვე დამცეცხლა, უეჭველად გაასუფთავეს-მეთქი და ჩემდა სამწუხაროდ, არც შევმცდარვარ. ცნობისმოყვარე ბიჭების გუნდმა სწორედ ჩემს ფანჯრამდე, ანუ საზღვაო მილიციის შენობამდე მოაცილა, სადაც იმ დროს ოპერრწმუნებულად ვმუშაობდი. კიდევ კარგი, ცოტაოდენი რუსული იცოდა და მიამბო: თურმე იქ, საცდელ მეურნეობაში, სადაც დააბინავეს კიდეც, ადგილობრივი ბიჭები გაუცნია, მერე ბანაობა გადაუწყვეტიათ და დანაძლევებულან: აბა, ვინ უფრო შორს გაცურავსო და ზანგს უყოჩაღია. აქაური რომ ჩამომრჩა, თვითონ მომაძახა — დაბრუნდი, წაგებული ვარო. უკან რომ მივცურავდით, ორივემ დავინახეთ, როგორ მოხვია ხელი ჩვენს ტანსაცმელს პლაჟზე ერთმა ბიჭმა და სადღაც გააქანა. ასე რომ, ორივე შიშვლები დავრჩით და ჩემს ნაცნობს შევთავაზე, მილიციაში განვაცხადოთ-მეთქი. არა, მილიციაში ასე შიშველი ვერ წამოვალ, მთელი ქალაქი მიცნობს და მრცხვენიაო, მითხრა. ზღვის ნაპირს გავყვები, სახლში რაიმეს გადავიცვამ და მერე ვნახოთო. არადა, ცოდოა, იმის ტანსაცმელი ჩემსას ბევრად სჯობდაო, წუხდა ჩვენი მომჩივანი ზანგი.

ჩვენთვის ძარცვის ეს მეთოდი ცნობილი იყო და არც იმაში შეგვიტანია ეჭვი, რომ სწორედ იმ „გაძარცულმა“ ბიჭმა გაითამაშა ყოველივე თავისი ნაცნობის დახმარებით. რა ვქნათ: იმ ბიჭის არც გვარი იცის და არც სახელი, ვერც გარეგნულ აღწერილობას იძლევა. ხან მე დამადო ხელი, შენი სიმაღლისაა და სახითაც ძალიან გგავსო, მერე ცხონებულ დათო ვაჩეიშვილს (აფხაზებმა დახვრიტეს სოხუმის დაცემის მეორე დღეს), ბოლოს ჩვენს მძღოლს. არადა სამივენი ზორბა ხალხი ვართ, მაგრამ ერთმანეთისგან ისე განვსხვავდებით, როგორც ცა და დედამიწა. ბევრი ვიჯახირეთ, მაგრამ როცა დავრწმუნდით, არაფერი გამოგვივიდოდა, ჩვენი სპორტული ტანსაცმელი ჩავაცვით, მერე დათომ გვითხრა — ეშიება ამ უბედურს, ჩემთან წავიდეთ, არც ჩვენ გვაწყენს ნაგვიანევი

ერთი სიტყვით, ბევრი ვიცინეთ... ზანგს ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევია და ისე მადიანად შეექცა ელარჯსა და ჩვენებურ ხარჩოს, დათომ დაასკვნა — ამას წინაპრებში აუცილებლად ვინმე მეგრელი ეყოლებოდაო.

სადილიო და მალე ვაჩეიშვილების ეზოს ჭიშკარი შევაღეთ. ის იყო, ზანგმა ეზოში ფეხი შედგა და უცებ იყვირა დათოს უფროსმა ბიჭმა: დედა, ნახე მამიკომ და ბიძია მერაბმა რამხელა მაიმუნი მოგვიყვანესო და მთელი უბანი შეიყარა. მაიმუნით სოხუმში ვის გააკვირვებდი, იქვე არ იყო მაიმუნთსაშენი, მაგრამ ნამდვილი ზანგის ხილვამ კი დიდი ინტერესი გამოიწვია. ერთი სიტყვით, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, ვიდრე ბავშვებს დავარწმუნებდით, ეს შავი არსება მაიმუნი კი არა, ადამიანი იყო. ერთი სიტყვით, ბევრი ვიცინეთ... ზანგს ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევია და ისე მადიანად შეექცა ელარჯსა და ჩვენებურ ხარჩოს, დათომ დაასკვნა — ამას წინაპრებში აუცილებლად ვინმე მეგრელი ეყოლებოდაო.

დათო იმ დროს უფროსის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა და ქუჩაში სასიარულოდ არ ეცალა. ზანგი მე გადმომილოცა — ატარე, ეგებ ვინმეს დაადოს ხელიო და ორი დღე — დილიდან შუაღამემდე — დავდიოდით მე და ჩემი ზანგი სოხუმის ქუჩებში. არ დამიკლია არც პლაჟები, არც დისკოთეკები, არც ზღვისა და რკინიგზის ვაგზლები. მეტი არაა ჩემი მტერი! ეს დალოცვილიც კაცებს ზედაც არ უყურებს, სულ ქალებისკენ აქვს თვალები დაქაჩული. ვიცი, ეს არავის ამომცნობი არაა, მაგრამ საქმეში ყალბ ცნობას ხომ ვერ ჩავაკერებ? ეს „გასეირნება“ სავალდებულო პროცედურაა და უნდა შესრულდეს. მესამე დღეს (უკვე მთელმა სოხუმმა იცოდა, რა უბედურებაც მჭირდა) მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამოვიყვანე ქუჩაში. ერთი ნაცნობი ფოტოგრაფი გადამეკიდა, — გინდა თუ არა, ამ ზანგთან სურათი უნდა გადაგიღოო. რომ ველარ მოვიშორე, ჯანდაბას-მეთქი შენი თავი და ზანგიანად აპარატის წინ გამოვიჭიმე. ის იყო, ფოტოგრაფი გადაღებას მორჩა და ზანგმაც ენა ამოიდგა, — მეო, — მითხრა, — ფოტოაპარატიც მაქვს, გადაღებაც ვიცი და თუ არ გჯერა, ვნახოთ. იმ დღეს, როცა გამძარცვეს, ის ბიჭი გადავიღე, რომელსაც ახლა მე და შენ ვეძებთ, აპარატი ბინაში მაქვს, შეგვიძლია ფირი დღესვე გავამჟღავნოთო. თუ აქამდე გულს ის მიხეთქავდა, ეს მესამე დღეც ჩათავდება და მოსკოვს რა პასუხი უნდა გავცეთ-მეთქი, ახლა სიხარულისგან ერთბაშად მუხლები მომეკვეთა. თუმცა გავბრაზდი კიდეც, ზანგს მკაცრად შევხედე და ასე უტვინო სად გაჩნდი-მეთქი — დავაპირე მეთქვა, მაგრამ უმალვე მივხვდი, საყვედურს ვერ გაიგებდა და ხელი ჩავიქნიე.

*P. S. ნაშუადღევს, როცა ფირი გავამჟღავნეთ და ფოტოც დავბეჭდეთ, მასზე ჩვენთან აღრიცხვაზე მყოფი ერთი დაგვაჯული (რა თქმა უნდა, ჩვენთან შედარებით) ლაწირაკი ამოვიცანი და ზანგს ვკითხე — თუ კაცი ხარ, ამიხსენი, რომელ ჩვენგანს ჰგავს ეს ქონდრიკაცი-მეთქი და მისივე ჩვენება შევახსენე, როცა ხან ერთს გვადებდა ხელს და ხან მეორეს — თქვენ გგავთო. ასე რომ, ჩემმა ზანგმა მესამე დღეს მოხსნა თავისივე უვიცობის რეკორდი.*

**ვაჟა გავაშელი**

# „სახლ-კარის აუქციონზე გაყიდვით მემუქრებიან...“

## „იძულებული ვარ, რაიონის „ფეოდალებს“ ხარკი ვაძლიო“

გლეხობას ადგილობრივი ხელისუფლება წილში უზის. გლეხს საშუალებას არ აძლევენ, დიდი გარჯით მოყვანილი ჭირნახულისგან მიღებული შემოსავლით ხელი მოინაცვლოს და მომავალი წლის ხვნა-თესვისთვის მოემზადოს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ე.წ. ქურდული კანონები ჰქონიათ და არიფებს, ანუ ფერმერებს, ჯერ მოუყვანელი მოსავლიდანაც კი „ობშჩიაკისთვის“ ათეულობით ტონა პროდუქციას აწერენ. ასე კოტრდება გლეხი და მიწაზე მუშაობასაც სამუდამოდ ანებებს თავს. ზემოთქმული ლიტონ სიტყვებად რომ არ ჩათვალოთ, რამდენიმე ფაქტს შემოგთავაზებთ.

ორიოდე კვირის წინ რედაქციაში ქიზიყელი გლეხი გვეწვია და ქართველი ფერმერების გასაჭირზე გვესაუბრა: „დედოფლისწყაროდან ვარ. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ შირაქის ველზე 50 ჰექტარი მიწა სახელმწიფოსგან იჯარით ავიღე. კარგი ნაკვეთი რომ მოეცათ, ადგილობრივ მიწის მართვის სამსახურსა და გამგეობას სამოცკაციანი სუფრა გავუშალე — სულ ზედაშე ვასვი. მოლხენილი ჩინოვნიკები ოქროს კოშკს მპირდებოდნენ. ერთი კვირა ვაცალე, შემდეგ ვეახელი და დაპირებული შევახსენე. მიწის მართვის რაიონულ სამსახურში დაუფარავად მითხრეს: კარგი კაცი ყოფილხარ, მაგრად გვაქეიფე, მაგრამ ხომ იცი, საქმე საქმეა — თუ კარგი ნაკვეთი გინდა, ჯიბეზე ხელი უნდა გაიკრაო. რაღას ვიზამდი, ცხვარძროხა გავყიდე, ცოტაოდენიც გადანახული მქონდა, ზედ ვალიც დავურთე და სულ ტკიცინა დოლარები ჩავუთვალე. მახსოვს, „მომიბოდიშეს“, არ გეწყინოს — თბილისს თავისი წილი უნდა, გამგეობას თავისი, თორემ ჩვენ დიდი-დიდი ორასი დოლარი თუ შეგვხვდესო. ვიფიქრე, ჯანდაბას მაგათი თავი, სამაგიეროდ, მიწა მექნება, შრომა და გარჯა არ მეზარება და ისევ წელში გავიმართები-მეთქი. მაგრამ უბედურება თურმე წინ მელოდა. მოსავალი ასაღები რომ გახდა, გამგეობას სანამ ქრთამი არ მივეცი, კომბაინი ჩემს ყანაში არ შემოუშვა. მერე მოსავალი არ გამაყიდვინეს. როცა გავუძალიანდი, შემომითვალეს, ან ჩვენს კაცს მიჰყიდი ხორბალს, ან შენს ბეღელს ცეცხლს მივცემთო. ასე გრძელდება დღემდე. ფერმერები კი არა, ყმები ვართ. ზოგიერთი გლეხის შვილი რაიონის ფეოდალების მამულში მოჯამაგირედ მუშაობს. ისიც გავიგე, ერთ ბობოლას ჩემი ნაკვეთი თვალში მოსვლია და მის წართმევას ცდილობენ. მე შენ გეტყვი, მიზეზს ვერ მონახავენ..“.

**— ჯიბეზე ხელი უნდა გაიკრაო. რაღას ვიზამდი, ცხვარძროხა გავყიდე, ცოტაოდენიც გადანახული მქონდა, ზედ ვალიც დავურთე და სულ ტკიცინა დოლარები ჩავუთვალე. მახსოვს, „მომიბოდიშეს“, არ გეწყინოს — თბილისს თავისი წილი უნდა, გამგეობას თავისი, თორემ ჩვენ დიდი-დიდი ორასი დოლარი თუ შეგვხვდესო.**

ეს წერილი კი ქარელის რაიონიდან მივიღეთ. გთავაზობთ მცირედი შემოკლებით (სტილი დაცულია): „ამ წერილს ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში მცხოვრები ხუთი შვილის მამა, 63 წლის **ივანე შალუტაშვილი** გწერთ. 1997 წელს დავინიშნე მეზობელი სოფლის, ტახტისძირის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს თავმჯდომარედ. ხორბლის მოსავლის აღებისთანვე, რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის დავალებით, გამგეობიდან ჩემთან რაიონის გამგებლის ნდობით აღჭურვილი პიროვნება მოვიდა და გამგებლის ბრძანება გადმომცა, რომ 30 ტონა ხორბალი რაიონის „ობშიაკში“ უნდა ჩამედო. ამასთანავე, ხუთ-ხუთი ტონა ხორბალი ცალკე რაიონის პროკურორმა, დიტო სამნიაშვილმა წამგლიჯა და ცალკე პოლიციის განყოფილებამ, კერძოდ, პოლიციელმა ხარაულმა წაიღო. ამ ხარჯის შემდეგ წელში ველარ გავსწორდი. მოგების მაგივრად ზარალი ვნახე. იძულებული გავხდი, რაც ძვირფასი ნივთები მქონდა ოჯახში, გამეყიდა, მათ შორის, რძლების ოქროულობა და დანაკლისი გაჭირვებით დავფარე. მომავალ წელს კიდევ დავთესე 67 ჰექტარზე ხორბალი. ამ დროს რაიონის გამგეობამ დამავალა 7 ჰექტარზე ბოსტნეულის დარგვა-დათესვა, რისთვისაც ქარელის რაიონის ბანკიდან ჩემს ანგარიშზე არსებული 1400 ლარის გამოტანა დავაპირე. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული თანხა რაიონის სახელმწიფო დაზღვევის განყოფილებას უკანონოდ, ჩემთან შეუთანხმებლად წაუღია, რაშიც ბანკის ზოგიერთ თანამშრომელს შეუწყვია ხელი. რაღას ვიზამდი, მოვიწვიე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საბჭოს სხდომა, რომლის ოქმის საფუძველზე გავყიდე 1000 ლარად სასოფლო-სამეურნეო საწარმოს კუთვნილი მინი-ტრაქტორი და მიღებული თანხით გამგეობის დავალება შევასრულე... მოახლოვდა ხორბლის და ბოსტნეულის აღების დროც. ამ დროს ქარელის რაიონის ახალდანიშნული გამგებლის, თემურ სანდოძის კაცმა მირჩია, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ხელმძღვანელის თანამდებობა დამეთმო. მეც ვიფიქრე, ვაითუ წელსაც წამგლიჯონ ხორბლის მოსავალი და სამუდამო ვალში რომ არ აღმოვჩენილიყავი, შემოთავაზებულ წინადადებას დავთანხმდი, ოღონდ იმ პირობით, რომ ახალ უფროსს ჩემთვის, რაც ხორბლის დათესვაზე და მის მოვლა-პატრონობაზე ხარჯი გავწიე, ის ნაწილობრივ მაინც აენაზღაურებინა. როდესაც ჩემი დანახარჯი მოვითხოვე, ნეტავ, არ მომეთხოვა — ცალკე ცემა-გინება არ დამაკლეს და ცალკე პროკურატურამ საქმე შემიკერა და ბრალი საწარმოს კუთვნილი ტრაქტორის უჩუმრად გაყიდვაში დამდო. მშრომელი გლეხი ქურდად მომნათლეს. იქნებ დაინტერესდეთ ჩემი წერილით და ქარელში ჩემი „ქურდობის“ შესასწავლად ჩამობრძანდეთ“.


ივანე შალუტაშვილი

წერილში მოყვანილმა ფაქტებმა დაგვაინტერესა და ქარელისკენ გავეშურეთ.

ქარელის რაიონში ჩასულები წერილის ავტორს შევხვდით, რომელმაც გვითხრა: „როდესაც მოთმინების ძაფი გამიწყდა და ერთი ამბავი ავტეხე, ქარელის პროკურატურამ ჩემ გარეშე შეამოწმა საწარმო. შემოწმების შემდეგ ქარელის პროკურორის გამომძიებელმა ნოზაძემ ოცდარვაჯერ ჩამიყვანა ქარელში და ერთი და იგივე კითხვა დამისვა — ტრაქტორი რატომ გაყიდეო. იმდენჯერვე ერთი და იგივე პასუხი გავეცი — რადგან საწარმოს ერთი ლარიც არ დაუტოვეს ბანკში 7 ჰექტარზე ბოსტნეულის დასათესად, ტრაქტორი საწარმოს წესდების დაცვით გავყიდე-მეთქი. ამის შემდეგ, ცხვედაძეს (ტრაქტორის ახალ მფლობელს), ფაქტობრივად ტრაქტორი პოლიციამ წაართვა და მალულად გაყიდა. ჩემ მიმართ კი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და მოსამართლე გიორგი გურასპაშვილმა 2 წელი პირობითი სასჯელი და ცხვედაძის სასარგებლოდ ტრაქტორის ღირებულების — 1.000 ლარის გადახდა დამაკისრა (ვითომ ტრაქტორი დაიკარგა). მოსამართლე გურასპაშვილმა სასამართლომდე სამასი ლარი წამგლიჯა.

**— რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ ეს?**

— 300 ლარი მას ჩემმა ადვოკატმა, მაია ქვრივიშვილმა მისცა და თანაც ადვოკატმა ამის შესახებ ხელწერილიც დამიწერა. აი, ისიც: „მაია შოთას ასულმა ქვრივიშვილმა — განსასჯელი ივანე შალუტაშვილისგან ჩავიბარე 300 (სამასი) ლარი — დავალიანების დაფარვის მიზნით“.

**— ამ ხელწერილით თქვენ ტრაქტორის ღირებულების გადახდა დაგიწყიათ და არა მოსამართლისთვის — ქრთამის.**

— თანხის გადახდა რომ არ დამეწყო, 2-წლიან პირობით სასჯელს არ მაკმარებდნენ... ვითომ ტრაქტორის ღირებულებას ვიხდიდი, სინამდვილეში კი ფული თურმე მოსამართლის ჯიბეში მიდიოდა. 300 ლარი სამჯერ მიმატანინეს. სამწუხაროდ, ადვოკატმა ხელწერილი ერთხელ დამიწერა... ახლა კი სასამართლოს აღმასრულებელი ტრაქტორის ფულის თავიდან გადახდას მთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლ-კარის აუქციონზე გაყიდვით მემუქრება.

**„გამოდის, რომ ამ მგლის ხროვამ ხორბალიც წამართვა, ქრთამიც შემაწერეს, რძლების ოქროულობაც გამაყიდვინეს, ქვეყნად კაცობა შემირცხვინეს და არც ფიზიკური შეურაცხყოფა დამაკლეს. ახლაც არ ცხრებიან — ცდილობენ პროვოკაციაზე წამომაგონ“.**

*ადვოკატ* ***მაია ქვრივიშვილს*** *შინ ვეწვიეთ, მის ყოფილ კლიენტს ქუჩაში მოცდა ვთხოვე და სახლში შევედი:*

**— ქალბატონო მაია, ჟურნალისტურ გამოძიებას ვაწარმოებთ თქვენი ყოფილი კლიენტის, შალუტაშვილის საქმესთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, შალუტაშვილს თქვენთვის სამასი ლარი მოუცია მოსამართლისთვის გადასაცემად.**

— ამ ფაქტს ვერ ვიხსენებ, შეიძლება იყო კიდეც ასეთი რამ.

**— აი, თქვენი ხელწერილი. რას იტყვით?**

— ხელწერილი მართლაც ჩემი დაწერილია, ვერაფრით ვიხსენებ, მაგრამ ფაქტია — გიჟი ხომ არ ვიყავი, ხელწერილი ისე დამეწერა, შალუტაშვილს ფული არ მოეცა.

ქარელის რაიონის პროკურატურის პროკურორს, **დიტო სამნიაშვილსაც** ვესტუმრეთ და კომენტარი ვთხოვეთ.

**— შალუტაშვილი აცხადებს, რომ მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებიათ. იქნებ ეს მასალები მაჩვენოთ?**

— გაჩვენებდით, მაგრამ შესაძლოა განადგურებულია. ახალმა თავმჯდომარემ მართლაც მიაყენა მას სხეულის მსუბუქი დაზიანება და რადგან ეს კერძო საჯარო ბრალდების საქმეა, ამის გამო პროკურატურა საქმეს ვერ აღძრავდა. რაც შეეხება ტრაქტორის გაყიდვის ფაქტს, იგი უკანონოდ გაყიდა შალუტაშვილმა და ამის გამო დაისაჯა კიდეც.

**— შალუტაშვილი აცხადებს, რომ მან ადვოკატის მეშვეობით მოსამართლეს თითქოს ვალის დასაფარავად თანხა გადასცა..**

— სასაცილოა ასეთი განცხადებები...

**— შალუტაშვილი დერეფანში იცდის, ხომ არ გაესაუბრებოდით ჩემი თანდასწრებით?**

*სამნიაშვილს უარი არ უთქვამს:*

**პროკურორი:** — თანასოფლელები ვართ და ჟურნალისტები რომ ჩამოიყვანე შენი საჩივრების გამო ქარელში, არა გრცხვენია?

**შალუტაშვილი:** — მაშ, რა მექნა, თქვენს ხელში სამართალი ვერ ვნახე — ამ ხნის კაცი ქურდად და თაღლითად გამომაცხადეთ.

**პროკურორი:** — ნუ დააშავებდი და უბატონოდ ხმას არავინ გაგცემდა. ტრაქტორი რომ გაყიდე, რატომ არ იფიქრე, რომ პასუხს მოგთხოვდნენ?

**შალუტაშვილი:** — ის საწარმოს წევრების უმრავლესობასთან შეთანხმებით გაიყიდა. უკანონოდ თქვენ გაყიდეთ, წაართვით მის კანონიერ მფლობელს და ჩუმად გაყიდეთ.

**პროკურორი:** — ვინ, მეე?

**შალუტაშვილი:** — დიახ, სწორედ შენ წაიღე ხუთი ტონა ხორბალი ჩემი საწყობიდან.

**პროკურორი:** — კაცმა ცილისწამებისთვის მართლა პასუხი უნდა გაგებინოს!...

ჩვენ მოსამართლესთანაც ვცადეთ შეხვედრა. სანამ გურასპაშვილი სამსახურში გამოცხადდებოდა, სასამართლოს მდივანმა ქარელის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის, ზაზა რამიშვილის კაბინეტში მიგვიწვია. სასამართლოს თავმჯდომარე ჩვენი ქარელში სტუმრობის მიზეზით დაინტერესდა, მერე ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებსაც გაეცნო.

**ზაზა რამიშვილი:** „კანონით მოსამართლეს აკრძალული აქვს, თუნდაც დავალიანების გადახდის მიზნით, განსასჯელისგან თანხის აღება. თანხა სააღმასრულებლო ბიუროში ან ადვოკატმა უნდა შეიტანოს, ან განსასჯელმა. არა მგონია, გურასპაშვილს ასეთი რამ ეკადრებინოს“.

როგორც იქნა, მოსამართლე **გიორგი გურასპაშვილიც** მოვიდა: „სიცრუეა, თითქოს ვინმესგან ფული ამეღოს. როდესაც შალუტაშვილის საქმის მასალებს გავეცანი, დანაშაულის ფაქტი სახეზე იყო, მაგრამ იმის გამო, რომ მას ტრაქტორი ბოროტი განზრახვით არ გაუყიდია, შედარებით იოლი სასჯელი დავადე და გაყიდული ტრაქტორის ღირებულების უკან დაბრუნება დავაკისრე. თუ განაჩენს არ ეთანხმებოდა, სრული უფლება ჰქონდა, ზემდგომ ინსტანციაში გაესაჩივრებინა“...

**ივანე შალუტაშვილი:** „გამოდის, რომ ამ მგლის ხროვამ ხორბალიც წამართვა, ქრთამიც შემაწერეს, რძლების ოქროულობაც გამაყიდვინეს, ქვეყნად კაცობა შემირცხვინეს და არც ფიზიკური შეურაცხყოფა დამაკლეს. ახლაც არ ცხრებიან — ცდილობენ პროვოკაციაზე წამომაგონ (მაგინებენ, ყველაფერს კადრულობენ და ელოდებიან, როდის ვუპასუხებ), რომ მერე ქარელელმა სამართალდამცველებმა სახრავი გაიჩინონ. მეტის მოთმენა მართლა აღარ შემიძლია. სამართალი ნუთუ მართლა აღარ არის საქართველოში?“

P.S. მართლაც, რა დარჩენია გლეხობას? უამრავი გრანტი და კრედიტი ჩამოდის უცხოეთიდან სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, მაგრამ სოფლამდე არაფერი აღწევს. არადა, ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ქალაქში მუშასა და სოფლად გლეხს მოთმინების ფიალა აევსოთ და მერე?!..

***ზვიად ჩაკვეტაძე***







CMYK

# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის პოზიცია საქართველოს სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით

ყველასათვის ცნობილია, რომ ბოლო დროს გააქტიურდა მსჯელობა საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ. მრავალი ადამიანი ღებულობს კამათში მონაწილეობას, მათ შორის მეცნიერებიც და პოლიტიკური მოღვაწეებიც. დავას იწვევს საკითხი იმის შესახებაც, თუ რამდენი ჯვარი უნდა იყოს გამოსახული სახელმწიფო დროშაზე: ხუთი, ერთი თუ არც ერთი.

თქმა იმისა, რომ ჩვენს დროშაზე ჯვარი არ უნდა იყოს, რადგან იგი შეურაცხყოფს და გააღიზიანებს საქართველოში მცხოვრებ სხვა რელიგიის წარმომადგენლებს, არასწორია.

თუ სხვა რელიგიის მიმდევრებში ერთეულებს არაქართულ მოსახლეობას ვგულისხმობთ, ყველამ ვიცით, რომ ისინი თავისი ნებით არიან აქ მოსულნი და, ბუნებრივია, იმ ქვეყნის წესებს და კანონებს უნდა სცემდნენ პატივს, რომელსაც თავისი ცხოვრება დაუკავშირეს. ასეა ეს ყველგან. ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელსაც ჯვრიანი დროშა აქვს (საბერძნეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, ნორვეგია, ახალი ზელანდია, შვედეთი, შვეიცარია და სხვ.), ამ ქვეყნის არც ერთი არაქრისტიანი მოქალაქე თავს შეურაცხყოფილად არ გრძნობს; იგივე ითქმის ისლამის თუ სხვა რელიგიის აღმსარებელ ქვეყნებზე, სადაც სახელმწიფო დროშა შესაბამისი სიმბოლოებითაა წარმოდგენილი. ამ ქვეყნებში მრავლად არიან ქრისტიანებიც, მაგრამ ამის გამო სახელმწიფო სიმბოლიკას არავინ ცვლის.

რაც შეეხება არაქრისტიან ქართველებს, მათ კარგად იციან, თუ ვინ იყვნენ მათი წინაპრები და მათთვის ჯვარი პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება დროშაზე ხუთი ჯვრის გამოსახვას, ეს უძველესი ტრადიციაა. ხუთჯვრიანი სიმბოლიკა ადრექრისტიანული პერიოდიდან არის ცნობილი და ძირითადად იერუსალიმის ეკლესიას უკავშირდება. ხუთი ჯვარი სხვადასხვა ვარიანტით უკვე IV საუკუნეების პალესტინის არქეოლოგიურ ძეგლებში გვხვდება და განასახიერებს მაცხოვარს ხუთი ჭრილობით. იგი ქრისტეს ჯვარცმისა და, ამასთანავე, აღდგომის გამომხატველი დიდი სიწმინდისა და ძალის მქონე სიმბოლოა.

თქმა იმისა, რომ ეს ნიშანი ჯვაროსნების ან ფრანცისკანელების (მით უმეტეს მასონების) წიაღში წარმოშობილი, შეცდომაა. დასავლურმა სამყარომ უბრალოდ გამოიყენა იგი, ისევე როგორც სხვა სიმბოლოები, ტერმინები და ატრიბუტიკა უძველესი ქრისტიანული, განუყოფელი ეკლესიისა.

ხუთჯვრიანი გამოსახულებანი სხვადასხვა სახით საქართველოში უძველესი დროიდან (კათოლიკური ეკლესიის დაარსებამდე) ფიქსირდება. იგი დაცულია ეკლესიების კედლებზე, მონეტებზე, ხატებზე, რიპიდებზე. ხუთჯვრიანი დროშა ყოველთვის იყო საქართველოს ეკლესიაში, დღესაც არის და მომავალშიც იქნება. ხუთი ჯვარი საქართველოს დროშებზეც იყო გამოსახული.

საერთოდ, როგორც ერში, ისე ეკლესიაში რამდენიმე სახის დროშა გამოიყენებოდა. დროშები იცვლებოდა სხვადასხვა ეპოქაშიც. ამიტომ თუ ხუთჯვრიანი დროშა რაიმე სერიოზული მიზეზის გამო არ იქნა აღიარებული სახელმწიფო დროშად, მაშინ ერთჯვრიანი დროშა მაინც უნდა მივიღოთ.

დროშაზე ჯვრის გამოსახვა არის უძველესი ტრადიცია ჩვენი ქვეყნისა, რაც სათავეს IV საუკუნიდან იღებს. ჯვარი თვით უფლის მიერ არის ძლევისა და გამარჯვების სიმბოლოდ დროშისთვის დადგენილი.

თავდაპირველად ასეთი დროშის აღმართვა პირველი ქრისტიანი ხელისუფალის, კონსტანტინე დიდის სახელს უკავშირდება. IV ს-ის დასაწყისში, როცა რომის იმპერიას მართავდა კონსტანტინე დიდი, მისი სახელმწიფო რამდენიმე ნაწილად იყო დაშლილი და მათ შორის ბრძოლა მიმდინარეობდა. და, აი, ცაზე გამოისახა ჯვარი, რომელიც ისიღა იმპერატორმაც და ხალხმაც და ბრძანება იყო ღვთისაგან: ჯვარი გამოსახე დროშაზე და ამით გაიმარჯვებ. მართლაც, კონსტანტინე დიდმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი სამეფლობელო ფაქტობრივად წარმართული იყო, მთავარ დროშაზე ჯვარი გამოსახა, მთ წარუძღვა ლაშქარს, დაამარცხა მოწინააღმდეგენი და საფუძველი დაუდო სახელმწიფოს გამთლიანებას.

ამის შემდეგ ჯვარი ქრისტიანული ქვეყნების დროშებზე მუდამ იყო და არის. საქართველოში კი ამ ტრადიციას თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

ჩვენ ადრეც წარმოვადგინეთ და ახლაც ვთავაზობთ საზოგადოებას ერთჯვრიანი დროშის ნიმუშს. ეს არის თეთრ ფონზე გამოსახული შინდისფერი სწორი ჯვარი ლურჯი ზოლებით. თეთრი ფონი სიმბოლურად ნიშნავს საქართველოს; შინდისფერი ჯვარი არის ძალა ღვთისა, სიმბოლო ვამარჯვებისა და საქართველოს მთლიანობისა. ფართო და ვიწრო ლურჯი ზოლი კი, ჯვარს, რომ დაჰყვება, უფრისი და უმცროსი თაობის აღმნიშვნელია, რომელიც ჯვრის გარშემო ერთიანდება და მასთან ერთად ერწმის უსასრულობას, — ღმერთს. მიგვაჩნია, რომ ეს ჯვრიან დროშათა შორის ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტია.

ვფიქრობთ, დადგა დრო, საბოლოოდ დადგინდეს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა და დამთავრდეს დავა ამ საკითხის გარშემო. ვიმედოვნებთ, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი დროულად მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.



# „უნდა გაიცეს სანქცია არძინბაზე"

## რას გვიქადის აფხაზეთის რუსიფიკაცია?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

**— როგორც ვიცი, ხშირად გიხდებათ ურთიერთობა ევროსტრუქტურებთან, ხომ არ გთავაზობენ ისინი რაიმე გამოსავალს?**

— იცით, ევროსტრუქტურის ერთ-ერთმა ყველაზე გათვითცნობიერებულმა (საქართველოს საქმეებში) მაღალჩინოსანმა, რომელთანაც გაეროსა და ევროსტრუქტურების კრიტიკას მოვყევი, ჩემთვის მოულოდნელი პასუხი გამცა: სამი წლის წინ თქვენს ხელისუფლებას ისეთი წინადადება შევთავაზეთ, რაც რუსეთს აფხაზეთში გაჩაღებულ პასპორტიზაციაში ხელს შეუშლიდა, მაგრამ თქვენმა ჩინოვნიკებმა ამაზე უარი გვითხრესო.

**— რა წინადადება?**

— 1993 წლიდან დღემდე აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობას არავითარი იურიდიული საბუთი არ გააჩნდა. ევროსტრუქტურების ინიციატივით, გაეროს სამსახურები აპირებდნენ მიეცათ აფხაზეთის მოსახლეობისთვის ცნობა, რომელშიც დაფიქსირდებოდა, რომ ისინი ცხოვრობენ კონფლიქტის ზონაში, ანუ დადგინდებოდა მათი სტატუსი და რუსეთს ხელში არ ჩაუვარდებოდა კოზირად მოქალაქეობისთვის საჭირო თავისუფალი კონტინგენტი.

ჩვენი სახელმწიფო მოხელეები ხაზგასმით არ ამბობენ, რომ აფხაზეთი არის კონფლიქტის ზონა, პირიქით, ისინი მსოფლიოს თავს აცნობენ, როგორც სტაბილურ ქვეყანას და ამშვიდებენ, რომ აფხაზეთში მალე წიგნებს გამოსცემენ, რომ აფხაზ პაციენტებს ოპერაციებს უფასოდ გაუკეთებენ და ა.შ. სანაცვლოდ, მოდის დაფინანსება, მაგრამ იკარგება ტერიტორია...

**— არსებობს თუ არა დღეს რეალური გამოსავალი, შესაძლებლობა, რომ აფხაზეთის იურიდიულად დაკარგვის საფრთხე მოიხსნას?**

— პასპორტიზაციის პროცესი უკვე თითქმის გადაწყვეტილია, რასაც დღეს თუ არა, მომავალში უდიდესი იურიდიული დარტყმები მოჰყვება ჩვენს საზიანოდ. გამოსავალი კვლავ იმ იურიდიულ ლაფსუსებზე გამოკიდება და აუიოტაჟის აჟიოტაჟია, რასაც დღემდე აქვს ადგილი აფხაზეთთან მიმართებაში. 1994 წლიდან ხელშეკრულებას, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარეც და გაეროც სულ ცხვირწინ გვიფრიალებს, დღემდე ვერ მივეცით შესაბამისი შეფასება. ამ ხელშეკრულებაში წერია, რომ ვინც აფხაზეთში იბრძოდა, იქ ვერ დაბრუნდება, სინამდვილეში კი თავდაცვით ომში მთელი აფხაზეთის ქართული მოსახლეობა იყო ჩართული. ჩვენ ხელი მოვაწერეთ იმას, რომ აფხაზეთში არ დაბრუნდეს ქართული მოსახლეობის 90%, ანუ მებრძოლი, მისი ოჯახი, მისი ნათესავები და ა.შ. მე ვურჩევდი მეომარ ბიჭებს, რომ შეიტანონ სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში. სასამართლო ამ ხელშეკრულებას ვერ განიხილავს, უბრალოდ, გამოიტანს განჩინებას, რომ ეს არ არის ნორმატიული აქტი, რადგან არ არის დადებული უცხო ქვეყანასთან და არ არის რატიფიცირებული პარლამენტის მიერ. ეს არის ფარატინა ქაღალდი, რაზეც აგებულია მთელი პოლიტიკა. სასამართლოს დასკვნის შემდეგ კი ამ დოკუმენტს შესაფერისი სახელი დაერქმევა. უნდა განიხილოს ქართულმა მხარემ ის სამტომიანი მასალა, სადაც კონკრეტულ დანაშაულებებზეა საუბარი და გაიცეს სანქცია არძინბაზე. საქართველოს პარლამენტმა უნდა განიხილოს აფხაზეთში გენოციდის ფაქტი. ქვეყანამ ყველაფერს უნდა დაარქვას თავისი სახელი. ხაზი უნდა გაუსვათ იმ ფაქტს, რომ [illegible] თანამშრომლებს იძულებითი წესით ახვევენ თავს რუსეთის მოქალაქეობას. 80 წლის მოხუცს, რომელმაც თავისიანის საფლავი არ მიატოვა, სხვა გამოსავალი არა აქვს. ან მიიღებს რუსეთის მოქალაქეობას, ან შეავიწროებენ, უარეს შემთხვევაში, მოკლავენ.

საქართველოს მხრიდან აქტიურობამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს გაეროზე და ერთადერთი გამოსავალია ამოქმედდეს გაეროს რეზოლუციის მე-7 თავი, ანუ აფხაზეთში მშვიდობა ძალით დამყარდეს.

**— ხომ არ იცით, რამდენად იქნება დაცული თვითონ აფხაზების ეროვნულობა რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, არსებობს რაიმე პირობა მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის?**

— აფხაზებზე საუბარიც კი ზედმეტია. ისინი ყველა შემთხვევაში დაზარალებულები იქნებიან. მათ წესით, ჩვენი არც დამარცხება უნდა ახარებდეთ და აღარც გამარჯვება. რუსეთის მოქალაქეობის მიღებით მათ რუსეთი ეხმარება სოციალურად შეჭირვებული აფხაზეთიდან გასვლაში; სამაგიეროდ, ჩამოვლენ ბიზნესმენები რუსეთიდან და შეისყიდიან ყველაფერს, როგორც ეს უკვე გააკეთა ჩერნომირდინის ვაჟმა. აფხაზები რუსეთში გაითქვიფებიან და როგორც ერი, აღარ იარსებებს. ქართველების მოძულე ლაკობა წერდა, როგორც არ უნდა გვძულდეს ქართველები, რუსეთთან შეერთებას სჯობს ავტონომია საქართველოში, რადგან მხოლოდ ასე თუ შევინარჩუნებთ ჩვენს ისტორიასო. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში კი მით უმეტეს, მათ ყველანაირი უფლება ერთმევათ, რადგან იქ დაბრუნებული ქართველების გვერდით, საქართველოს ტერიტორიაზე, ისინი უცხო ქვეყნის მოქალაქეები იქნებიან და ხმის უფლებაც კი არ ექნებათ.

*რუსუდან ხუბულავა*

# რას გვეტყვი, მამაო?

**— როგორ უყურებს ეკლესია დღეს ესოდენ გავრცელებულ პლასტიკურ ოპერაციებს გარეგნობის შეცვლის მიზნით?**

— როგორ შეიძლება ეკლესიამ დადებითად შეხედოს იმას, რომ ადამიანი გარეგნობის შეცვლის მიზნით ათასგვარ გვემას მიმართავს და უფლის მიერ ნაბოძებ სხეულს ფორმას უცვლის? სილამაზე, რის მიღწევასაც ამ ოპერაციებით ცდილობს ადამიანი, სინამდვილეში გულის სილამაზიდან მოდის. თუ ადამიანის გული მოყვასის სიყვარულით და სათნოებით არის გამთბარი, მისი ყოველი ნაკვთი ლამაზია და წარმოიდგინეთ, ამ დროს ფიზიკური ნაკლიც კი რაღაც მომხიბვლელობას იძენს. გაიხსენეთ ძველი კანონიკური ხატებიც, განა მათ კლასიკური სახის ნაკვთები აქვთ? — სულაც არა, მაგრამ განა მათზე მშვენიერი არის რაიმე? გარდა ამისა, ხშირად გავმხდარვართ მოწმენი, მოკლე დროში როგორ ხელოვნურ იერს იღებს ნაოპერაციები სახე და სხეული. ძალიან მალე უშნოვდება კიდეც. სულ სხვაა სამედიცინო მიზნით ჩატარებული პლასტიკური ოპერაცია. ეკლესია მედიცინას არ ებრძვის.

**— ჩემს ახლობელს დაარქვეს იესო. შეიძლება თუ არა ეს და ჩამეთვლება თუ არა ცოდვად მისი ლოცვებში მოხსენიება?**

— საქართველოში იესოს სახელად დარქმევის ტრადიცია არ ყოფილა. ქართველი კაცი კრძალვით შეჰყურებდა უფლის სახელს და უბრალო მოკვდავისთვის მის დარქმევას ერიდებოდა (სასურველია ეს ტრადიცია ახლაც გაგრძელდეს), ეს სახელი საბერძნეთში იყო ფართოდ გავრცელებული. ასე რომ, იესოდ წოდება ყრმათათვის არ არის აკრძალული საეკლესიო კანონიკით. ამიტომ ჩვილის მოხსენიება ლოცვაში ცოდვად არ ჩაგეთვლებათ.

**— როგორ მოვეპყრათ გაზეთში დაბეჭდილ საეკლესიო ხატებს და წარწერებს?**

— არ შეიძლება გაზეთში დაბეჭდილ ხატებს და წარწერებს უდიერად მოეპყრათ და შეურაცხყოთ. მათზე უფლისა და წმინდანების სახე და სახელია გამოსახული. ისინი სუფთა ადგილზე უნდა დაწვათ.

**— იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრი 23 წლის გოგო არასათნო ცხოვრებით ცხოვრობს, უსაქმურობს და ღამის 2-3 საათზე ბრუნდება შინ, თუკი ვერა და ვერ დავიმორჩილეთ, მეთვლება თუ არა მასთან ჩხუბი ცოდვად, მით უფრო, მარხვის დროს?**

— პირველ რიგში, იმ ადამიანისთვის, რომელიც უფლისათვის საწყენ გზაზე დგას, მართლმადიდებელმა ქრისტიანმა უნდა ილოცოს. ამით ცოდვილს უფლის მადლი მოეფინება. რაც შეეხება ჩხუბს, უნდა გითხრათ, რომ მცდარ გზაზე დამდგარი ადამიანის გაკიცხვა ან მკაცრად მოპყრობა ცოდვად არ ჩაგეთვლებათ, ოღონდ ამ შემთხვევაშიც უნდა იგრძნობდეს, რომ თქვენ გიყვართ იგი. საერთოდ კი, გირჩევთ ფრთხილად მოეპყრათ მას. დააკვირდით, რა უფრო მოქმედებს მასზე — მოფერება თუ გაჯავრება. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანს გულისხმიერება და სათნოება გადაარჩენს ხოლმე.

**— ორი წლის წინ გარდამეცვალა მეუღლე. მისი გადიდებული ფოტოები დღემდე მიკიდია თითქმის ყველა ოთახში. ახლობლები მირჩევენ, ფოტოები ჩამოვხსნა და შევინახო. როგორ მოვიქცე?**

— იმ ადამიანის ფოტო, რომელიც თქვენი წინაპარი ან საყვარელი ადამიანი იყო, ყოველთვის უნდა შეინახოთ, ოღონდ არა იმ ფორმით, რომ უხერხულობა შეუქმნათ ახლობელ ადამიანებს და საკუთარ თავს. იქონიეთ მისი ფოტოები ალბომში, ან მოათავსეთ სახლის ერთ მოკრძალებულ ადგილას. დანარჩენი კი შეგიძლიათ დაწვათ ან მიცვალებულის გულზე დაფლათ.

**— ამბობენ, მიცვალებულის სული შვიდი წელი ინარჩუნებს კავშირს ცოცხალ სამყაროსთან და მერე საბოლოოდ წყდება ეს კავშირი. უნდა ვილოცოთ თუ არა მიცვალებულთა სულებისთვის შვიდი წლის შემდეგ?**

— მიცვალებულის სული არათუ 7 წელი, არამედ მარადიულად ინარჩუნებს ცოცხალ სამყაროსთან კავშირს. გახსოვთ ალბათ ის ამბავი, როგორ სთხოვა საიქიოში გაუსაძლის ტანჯვაში მოხვედრილმა მდიდარმა უფალს, შეატყობინეთ ჩემს ძმებს, გლახაკი ლაზარესავით კეთილი საქმეები აკეთონ აქ რომ ჩემსავით არ დაიტანჯონო, თუკი გაუსაძლის ადგილზე მოხვედრილი ადამიანის სული ახერხებს იმას, ცოცხლად დარჩენილი თავისიანებისთვის იზრუნოს, ამ ზრუნვას უფრო ადვილად არ შეძლებენ სიამეში მოხვედრილი სულები? ჩვენც განუწყვეტლივ უნდა ვიზრუნოთ და ვილოცოთ მათთვის. ვისი სახელიც გვახსოვს, ვთქვათ, ვისიც არა — „საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა..." წარმოთქმით მოვიხსენიოთ". ამით ჩვენ მათ დავეხმარებით საუკუნეო სასუფეველში მშვიდად დამკვიდრებაში.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*


სამედიცინო ცენტრი „მედი"
MEDI

მუდმივად გლუვი კანი

ლიპოსაქცია
ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
სახის კანის დაჭიმვა
ბლეფაროპლასტიკა
[illegible]
ეპილაცია
თმის გადანერგვა
კონტურული მაკიაჟი



ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატურით

ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება

■ სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
■ ჩხვლეტის გარეშე
■ უმტკივნეულოდ
■ სწრაფად

ფასდაკლება ექიმებზე და სტუდენტებზე

ალ. ყაზბეგის გამზ №1 ტელ: 250 202 306 307

ლიცენზირებულია

# ისტორიულ გზაჯვარედინზე...

## „თუ ხელისუფლება მიხვდება, რომ ომს წააგებს, შეეცდება, ბრძოლა არ შედგეს“

გაივლის ათიოდე თვე და უკვე ცხადად დავინახავთ, თუ რომელ გზას დაადგა ქვეყანა და საით მივდივართ ყველანი. ამ დროისათვის აშკარა გახდება, თუ რამდენად გამართლდა გამოთქმული ვარაუდები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის უახლესი ისტორიის განმსაზღვრელი მოვლენები სწორედ 2003-2004 წელს განვითარდება. ახალდამდგარი წლის მიწურულს ყველას გვეცოდინება, ჭაობს ვირჩევთ, თუ იქიდან თავის დაღწევის გზას. წელს სამომავლო ბერკეტებისათვის ბრძოლა იმდენად მწვავე იქნება, რომ შეიძლება უახლესი ისტორიის ცხელი ეპიზოდები გადაფაროს. დღეს მხოლოდ იმ ვერსიებზე ვსაუბრობთ, რომელთაგან ერთი სავსებით რეალური შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ახლა სწორედ გზაჯვარედინზე ვდგავართ და ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, საით წაგვიყვანენ ისინი, ვისაც ქვეყნის საჭე უპყრიათ.

ომი, არეულობა, დიქტატურა, კონდახით შენარჩუნებული ტახტი, სახტად დარჩენილი ერი და კიდევ ერთხელ დაჩოქილი ქვეყანა — ეს სცენარი უკვე აღარავის აოცებს, რადგან ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისიდან კეთდება პროგნოზი, რომ შევარდნაძე სწორედ ასე გაიხანგრძლივებს პრეზიდენტობის წლებსა თუ დღეებს. მართლაც, შავი ღრუბელი ქვეყნის თავზე სულ უფრო სქელდება, განუკითხაობა და ქაოსი თითქოს ნებისმიერ სოციალურ ფენაში, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იდებს ბინას. შიში იმისა, რომ ყველაფერი შეიძლება იმ საწყის წერტილს დაუბრუნდეს, რომლის გახსენებაც არავის სიამოვნებს, მძაფრდება. როცა ქვეყანა დენთის კასრს ემსგავსება, აფეთქება რეალურია. ამ აფეთქების ყველას გვეშინია, თანაც იმდენად, რომ შეიძლება ასეთი ცეცხლის გაჩენას პოლიციელებისათვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭება ვამჯობინოთ. მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ საფრთხეშ იძალა და არეულობა კარსაა მომდგარი, პოლიციის დიქტატურა ხსნის ერთადერთ გზად ცხადდება. ქვეყანაში ახალი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად შევარდნაძე პროგნოზის მიხედვით იქცევა და საგანგებო ვითარებას აწესებს. ჩვენ მის გადაწყვეტილებას ვეთანხმებით. საპარლამენტო არჩევნები არ ტარდება, ნარჩემაშვილის უწყებას კარტ-ბლანში ეძლევა და შეუზღუდავი უფლებების სანაცვლოდ, პრეზიდენტისა და ერის(?!) გადარჩენა ევალება. უბედურებას თავიდან ვიცილებთ და... რა ხდება მერე? ის, რაც ყველამ კარგად ვიცით — იმის წარმოდგენა, თუ როგორ გამოიყენებს ფრთაშესხმული პოლიცია მინიჭებულ უფლებებს, ძნელი არ არის. სულ მცირე ხანი დაგვჭირდება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს ის მშვიდობაა, რომლისაც უნდა გვეშინოდეს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ტყვიის საპასუხო ტყვია ქვეყანაში ნამდვილად მოიძებნება და „პაგონებით“ დიდხანს ვერავის დაიმორჩილებ. ეს კი რას ნიშნავს? იმას, რისიც გვეშინოდა, ანუ ომს, სისხლს, ქაოსს, ჭაობს. ეს გზა ტაძართან და სტაბილურ ქვეყანასთან კი არა, პატარა ფარდულთანაც ვერ მიგვიყვანს, მეტიც, ზოგიერთი პოლიტიკური ძალა თუ მისი ლიდერი იჩქარებს კიდეც, პირველმა გაისროლოს და გამათავისუფლებლის სახელი დაირქვას. ასე კი ვერც ერს დაიცავ და ვერც პრეზიდენტს, პირიქით, ამ მდინარემ შეიძლება ქვეყანა თავის პრეზიდენტიანად წაღეკოს.

სხვათა შორის, ამისათვის სტრიქონებს შორის კითხვის უნარი არ არის საჭირო, სრულიად საკმარისია შავით თეთრზე დაწერილის წაკითხვა შეძლო.

არსებობს მოვლენათა განვითარების განსხვავებული, ნაკლებად ანონსირებული ვერსიაც — საპარლამენტო არჩევნები თავად პარტიათა შეუთანხმებლობის გამო არ შედგება. ამით ერთგვარი ვაკუუმი შეიქმნება და ამ ვაკუუმს ან შევარდნაძე შეავსებს, ან ძველი პარლამენტი. სხვათა შორის, ეს საუკეთესო გამოსავალია არა მარტო პრეზიდენტისა და მმართველი პარტიისათვის — მოვლენათა ასეთი განვითარება ხელს აძლევს ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელსაც მოქკავშირის მსგავსად დრო სჭირდება პოზიციების გასამყარებლად.

როგორც ხედავთ, იანვრის პირველი სამუშაო დღეებიდანვე უკიდურესად გამწვავდა პაექრობა საარჩევნო კანონმდებლობისა თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გარშემო. სავარაუდოდ, მსგავსი დავები კიდევ უფრო დრამატულ ხასიათს მიიღებს. გასაკვირი არ იქნება, რომ ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის კომპრომისი ვერ მოინახოს და შეიძლება საშემოდგომოდ ვერშემდგარი თუ ვერმოსწრებული არჩევნების ნაცვლად, სრულიად მშვიდობიანი გზით აბსოლუტური უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტი ან ვადაგახანგრძლივებული პარლამენტის ნაშთი მივიღოთ. ამ შემთხვევაში, თუ რამდენ ხანს ვერ შედგება არჩევნები, ძნელი სათქმელია. შეიძლება ეს ყოველივე ისე გაჭიანურდეს, რომ პრეზიდენტის სკამსა და საპარლამენტო სავარძლებზე იერიში ერთდროულად იქნეს მიტანილი.

რაც შეეხება იმ იდეალურ ვარიანტს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს, ეს საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება და ძირითადი პოლიტიკური ბლოკების მადის მეტნაკლებად დაკმაყოფილება იქნება. პარლამენტის დაკომპლექტების ყველაზე ამბიციური პრეტენდენტები არიან ნაციონალური მოძრაობა თავისი ლიდერით; გაერთიანებული დემოკრატები, რომლებიც ბოლო დროს აქტიურად ცდილობენ პარტიის რეიტინგის გაზრდას; ლეიბორისტები შალვა ნათელაშვილით სათავეში; ასევე, ცხადია, მოქალაქეთა კავშირი ახალი თავმჯდომარითურთ და აღორძინება, რომლის ლიდერი თბილისში ხანგრძლივ „სტუმრობას“ გეგმავს. ამათ შეიძლება დაემატონ ახალი მემარჯვენეები. დანარჩენ პარტიებს ძირითადად ჩამოთვლილთა შორის მოუწევთ გადანაწილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტარის მანდატი მათთვის აუხდენელ სიზმრად დარჩება. ეს ნაკლებად ეხება თითქმის მითოლოგიურ პერსონაჟად ქცეულ იგორ გიორგაძეს, რომელსაც მისი ერთგული ძალები გულის ფანცქალით ელიან. წინასაარჩევნო გარიგება-დარიგებები ჩვეულებრივი მოვლენაა, რასაც ამჯერად ვერ ავუვლით გვერდს. პოლიტიკოსები უკარებას იმიჯის დამკვიდრებას კი ცდილობენ, მაგრამ ეს მათ „ვაჭრობაში“ ხელს არ შეუშლის. ყველაზე მაღალი ფასი, ანუ მოთხოვნები ბოლო არჩევნების გამარჯვებულს — მიხეილ სააკაშვილს ექნება, თანაც ნაციონალები სერიოზულ კომპრომისებზე ნამდვილად არ აპირებენ წასვლას. „მოსანადირებლად“ ყველაზე მიმზიდველი ძალა მაინც ლეიბორისტული პარტიაა. სავარაუდოდ, ნათელაშვილს საკუთარი წინადადებების ნაკლებობა არ ექნება. პარტნიორის მონახვა გაუჭირდებათ გაერთიანებულ დემოკრატებს და გამორიცხული არ არის, რომ გულმა მემარჯვენეებისაკენ გაუწიოთ. მოქკავშირსა და აღორძინებას კი „თანამგზავრები“ არასოდეს აკლდათ და ახლაც ამ ამალით დააპირებენ მოსვლას. თუმცა, შეიძლება ამ ძალთაგანაც ორი-სამი ძირითადი ბლოკი ჩამოყალიბდეს და გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ მათ შორის შედგეს. აი, როგორ გადანაწილდებიან ეს ძალები პარლამენტში მოსვლის შემდგომ ერთმანეთში, ეს ცალკე თემაა.

კიდევ ერთი — საპარლამენტო არჩევნების ჩატარება-არჩატარების საკითხი კულუარებში, სავარაუდოდ, ზაფხულისათვის გადაწყდება — თუ ამ დროისათვის მოქალაქეთა კავშირმა, თავის სატელიტებთან ერთად, ძლიერი ბლოკი ვერ შექმნა, საიმედო ბერკეტები თავისად ვერ დაიგულა და პოზიციები ვერ გაიმყარა, ხელისუფლება ამ ომს წააგებს და, შესაბამისად, შეეცდება ბრძოლა არ შედგეს. ამ შემთხვევაში კი, ზემოთ ხსენებული ორი ვარიანტიდან ერთი ამუშავდება, ალბათ მცირეოდენი სახეცვლილებებით.

***მაია გაბუნია***




# სტალინი რომ ქართველი არ ყოფილიყო...

## აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებს

გასული წლის ბოლოს ბაქოში შედგა აზერბაიჯანულ-ქართული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის საკითხებზე. დიალოგმა შედეგი არ გამოიღო. აზერბაიჯანი კვლავ უყენებს ტერიტორიულ პრეტენზიებს მეზობელ ქვეყანას.

თუ ვის ეკუთვნის საზღვრის მახლობლად მდებარე სოფლები, ამის შესახებ დავა საბჭოთა კავშირის დაშლამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. გასული საუკუნის დასაწყიში, როგორც კი აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა, საბჭოთა აზერბაიჯანმა ძირძველ ქართულ მიწებზე თავისი უფლებები წამოაყენა. იმავდროულად მუსავატელებმა პრეტენზია განაცხადეს ყარაბაღზე, ზანგეზურსა და ნახჭევანზე. ანკარის და მოსკოვის მხარდაჭერით ბაქომ თავისი აგრესიული გეგმები განახორციელა. და ვინ იცის, რა დარჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოდან, სტალინი რომ ქართველი არ ყოფილიყო...




ახლა კი, მიუხედავად ქართულ-აზერბაიჯანული ძმობის დეკლარირებისა, თბილისმა ბაქოსგან სიურპრიზი მიიღო — ტერიტორიული პრეტენზიები. აზერბაიჯანს სიღნაღის და მარნეულის რამდენიმე სოფელზე აქვს თვალი დადგმული. წითელი ხიდის მოზრდილ ტერიტორიასაც უმიზნებს. სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის თაობაზე საქართველოს და აზერბაიჯანის წარმომადგენელთა მრავალგზის მოლაპარაკების დროს ყურადღება გამახვილებულია ქართველებით დასახლებულ სოფელ ერისიმედზე. როგორც კახეთის გუბერნატორი ბიძინა სონღულაშვილი ამბობს, ეს სოფელი ოდითგან საქართველოს ნაწილია და აზერბაიჯანის პრეტენზია უგუნუროდ მიმაჩნია. ბაქოს სოფელი ყარაჩ-მუღანლოც აინტერესებს, სადაც მოსახლეობის უმეტესობა აზერბაიჯანელია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ასეული ჰექტარი სახნავ-სათესი მიწების მოწყვეტაზე არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქართულ რაიონებში — მარნეულსა და გარდაბანშიც ლაპარაკობენ. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ლიდერმა ალიბალ ასკეროვმა, რომელიც არარეგისტრირებული პარტიის „გეირათის" მეთაურია, ბაქოელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ყარაჩ-მუღანლოს მიწები აზერბაიჯანს უნდა ეკუთვნოდესო. სეპარატიზმის ასეთი აშკარა პროპაგანდა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს უშიშროებას. ამიტომ საჭიროა თბილისმა აღკვეთოს აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი „მეხუთე კოლონის" საქმიანობა, თუმცა საქართველოს ლიდერებს ალბათ ძალიან გაუჭირდებათ მათთან გამკლავება, რადგან ყველა საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანი თავის საყვარელ არგუმენტს — ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს — იშველიებს. ჯერჯერობით ამ პროექტიდან ქართველებს ცენტიც არ მიუღიათ, თუმცა საქართველოს ლიდერები უფრო და უფრო დამოკიდებულნი ხდებიან მეზობელი სახელმწიფოს მეთაურებზე. აზერბაიჯანი ამ ჰიპოთეზურ მილს საქართველოზე ზეწოლის ბერკეტად იყენებს, საქართველო კი მგონი, უკვე ეგუება ისეთი სახელმწიფოს როლს, რომელსაც შეიძლება პირობები უკარნახო.

ცნობილია, რომ საზღვრის დემარკაციაზე საუბრისას არაერთხელ წამოტივტივდა ნავთობსადენის საკითხი...

***პან არმენიან ნიუსი***



ი. მენაღარიშვილი და ვლ. ჩხიკვიშვილი

# „ხავერდოვანი ანექსია"?

9 იანვარს სოხუმს სამდღიანი ვიზიტით ეწვია რუსეთის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში ვალერი ლოშჩინი. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას ცნობით, რუსი შუამავლები მოლაპარაკების პროცესზე ახალი ინიციატივებით წარდგნენ. რუსეთი ცდილობს საქართველო-აფხაზეთის ურთიერთნდობის აღდგენას, მაგრამ უპირველესად საჭიროა ნდობის აღდგენა საქართველოსა და რუსეთს შორის.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, რომ 31 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მოითხოვს განმარტებას აფხაზეთის პრობლემის გარშემო. რუსეთის საელჩოს წინ კი ისევე, როგორც მდინარე ენგურზე, საპროტესტო მიტინგებზე ითხოვენ: შეწყდეს აფხაზეთში რუსეთის პასპორტების გაცემა და საქართველოს უნებართვოდ აღდგენილი რუსეთ-აფხაზეთის სარკინიგზო კვანძის ფუნქციონირება. მოპიკეტეთა აზრით, ის, რაც დღეს ხდება, შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ძირძველი კუთხის, აფხაზეთის „ხავერდოვან ანექსიად". ამ შეხედულებას იზიარებს ოფიციალური თბილისიც. იქ იმასაც ამბობენ, რომ მთავარი, რაც აღიზიანებს მოსკოვს, საქარველოს ნატოში შესვლის პერსპექტივა და კასპიის ნავთობსადენია. საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი წლევანდელ უმთავრეს ამოცანად თვლის ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ ორი ქვეყნის მორიგებას. კომპრომისს მივაღწევთ, თუ მხარეები პოლიტიკურ ნებას გამოავლენენო — ამბობს ელჩი.

***ვრემია ნოვოსტეი***

# ისინი პანკისის ხეობაში ან ჩეჩნეთში იწრთობოდნენ

გასულ კვირას ლონდონში ტერორიზმში ეჭვმიტანილი 7 მოჯაჰედი დააკავეს. ტერორისტებს მომაკვდინებელი ნივთიერება, რიცინი აღმოუჩინეს. ამბობენ, რომ ამ ჯგუფის წევრებმა მომზადება გაიარეს ავღანეთში, საქართველოს პანკისის ხეობაში ან ჩეჩნეთში.

ექსპერტების დასკვნით, რიცინი იდეალური იარაღია პოლიტიკური მკვლელობებისთვის. სწორედ ის გამოიყენეს 1978 წელს ლონდონში ბულგარელი დისიდენტის გიორგი მარკოვის მკვლელობისთვის — მას ფეხში უჩხვლიტეს ამპულამიმაგრებული ქოლგა. ბრიტანელების მხარეზე გადასული ერთ-ერთი საბჭოთა ჯაშუშის ცნობით, ლონდონში გამოყენებული მოწყობილობა (რიცინიანი ქოლგა), დამზადებული იყო სუკის ლაბორატორიებში.

ათი წლის შემდეგ ეს დაადასტურა გენერალმა კალუგინმაც.

***ტაგეს შპიგელი***

# შევარდნაძეს საკუთარმა პარლამენტმა თავი მოაბეზრა

**საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადაწყვიტა მთავრობის მიერ მომზადებული კანონების ნაწილი პარლამენტს განსახილველად არ გაუგზავნოს...**

შევარდნაძემ კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე წინადადება შეიტანა, გაიზიარონ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და კონგრესის ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თურმე აშშ-ში, დროის დაზოგვის მიზნით, მრავალ საკითხს თავად პრეზიდენტი წყვეტს. შევარდნაძემ საქართველოს პარლამენტის უკეთ მუშაობის სურვილიც გამოთქვა. მან კურიოზული უწოდა იმას, რომ უპასუხოდ დარჩა პრეზიდენტის მიერ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში გაგზავნილი 100-ზე მეტი მიმართვა და წერილი. გამოდის, რომ პრეზიდენტს ამერიკული გამოცდილების გაზიარება საქართველოს პარლამენტის უპასუხისმგებლობის გამო დასჭირდა. ის, რომ შევარდნაძისთვის ამერიკა იდეალია, დიდი ხანია ცნობილია. მაგ. შარშან ზაფხულს აშშ-ის ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორთან კენ უილაკთან შეხვედრისას შევარდნაძემ თქვა: „ვოცნებობ, რომ საქართველომ ისეთი პოლიტიკური კულტურის დონეს მიაღწიოს, როგორიც აშშ-შია. ეს პროცესი დაწყებულია და რაც მთავარია, გარდაუვალია". საკვირველია, რომ შევარდნაძემ ამერიკული გამოცდილების გადაღება ასე გვიან გადაწყვიტა — არჩევნები საქართველოში 2005 წელს ჩატარდება და ალბათ შევარდნაძე მასში მონაწილეობას არ მიიღებს. მეორე მხრივ, მან უკვე ილაპარაკა რეფორმების აუცილებლობაზე, მათ შორის ცვლილებებზე კონსტიტუციაშიც — საჭიროა პარლამენტის რიცხობრივი შემცირება. 80-100 სადეპუტატო მანდატი სრულიად საკმარისი იქნება და პარლამენტიც უფრო მოქნილი და მაღალკვალიფიციური გახდებაო. მოკლედ, შევარდნაძე ახლანდელ პარლამენტს იწუნებს. საინტერესოა, რეფორმები რად სჭირდება — ხელისუფლების შესანარჩუნებლად თუ ამერიკელების გულის მოსაგებად? საქართველო აქტიურად ცდილობს იმიჯის შენარჩუნებას, განსაკუთრებით კი ამერიკელების თვალში. ამის მაგალითია მთავარი ქართველი ლობისტი — ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილი თამარ მოსაშვილი-შევარდნაძე, რომელიც ატლანტაში იურისტად მუშაობს. ის ამჯობინებს იმოქმედოს ჯორჯიის შტატის კონგრესმენების საშუალებით. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ინგლისურად „საქართველო" და „ჯორჯია" ორივე შემთხვევაში GEORGIA-ა. აი, ამ დამთხვევით სარგებლობს ქ-ნი მოსაშვილიც...

***დნი რუ***

***მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**პატარა გივიკო ლომინეიშვილმა** ბებიას თოვლის პაპის დახატვა სთხოვა.

ნახატი უხეირო გამოვიდა. გივიკომ შეათვალიერა ბებიის „ნაშრომი“ და ჰკითხა:

— ეს კაცი რატომ იტყუება, თოვლის პაპა ვარო?!

***

**2 წლის ინგულა ბაქრაძეს** მამიდამ რუსულად დაუწყო ლაპარაკი. ბავშვმა უსმინა, ვერაფერი გაიგო და მიმართა:

— რას მერაკარაკები (მელაპარაკები) — წესიერად მერაკარაკე!

***

**7 წლის თათია მუკბანიანი** დედას ეკითხება:

— დედიკო, არ გინდოდა ცისფერი თვალები მქონოდა?

— არა, — პასუხობს დედა.

— აბა, რა ფერის თვალები მოგწონს?

— ყავისფერი, როგორიც შენ გაქვს.

— რატომ, ჭუჭყის ამტანია?

***

**4 წლის მაკა** ბებომ ბიძასთან წაიყვანა. ბინაში ლიფტით ავიდნენ. მაკას ლიფტი მოეწონა, ოთახში კედლის კარადაში შეძვრა, კარი მომიხურეთო — თქვა და კარადა რომ არ დაიძრა, აყვირდა, — ბებო, რატო არ მიდის, ბებო?

***

**პატარა ნიკო კოზიაშვილი** პაპა კოტემ თოვლში სასრიალოდ წაიყვანა. ნასიამოვნებმა ნიკომ დიდი თოვლის გუნდა მიიტანა შინ და ბებოს ეუბნება:

— ბებო, ნახე, რა დიდი ზამთარი მოგიტანე!

***

**4 წლის ანა ჯანგირაშვილმა** მამას ცარცი სთხოვა. მამიკომ მისცა. ანა ეკითხება:

— ახლა სად დავცარცო?

## I ანა, გამოიცანი

1) როგორი ჰაერი უფრო მსუბუქია — ცხელი თუ ცივი?
2) რომელი ადამიანი გადარჩება დენის დარტყმის შემთხვევაში — რომელიც მიწაზე დგას, თუ რეზინზე?
3) წყალი და ნავთი ერთმანეთს რომ შეურიოთ, რომელი აღმოჩნდება ზედაპირზე?
4) საით აქვს მიმართული ბოლოები ახალ მთვარეს — მარცხნივ თუ მარჯვნივ?
5) თუ ბუშტში ცხელ ჰაერს შევუშვებთ, ბუშტი ზევით ავა თუ ქვევით დაეშვება?
6) ყინულს თუ ქურქში გავახვევთ, მისი დნობა დაჩქარდება თუ შენელდება?
7) ამბობენ, პოლუსზე მთელი ზამთარი დღეც ბნელა და ღამეც. მთელი ზაფხული კი — დღედაღამ მზე ანათებსო, მართალია?
8) ყინულის ნაჭერი წყალში ჩაიძირება თუ იტივტივებს?
9) რა ერქვათ ღვთისმშობლის მშობლებს?
10) რომელია სწორი — ნუ კნავი თუ ნუ კნავიხარ?

**გამოიცანი, მოცემული საგნებიდან რომელი დნება, რომელი ათბობს, რომელი ყინავს და რომელი ცხელდება?**



## II რებუსი







**გამოიცანი, რომელი ჩასაცმელი აკლია და რომელია ზედმეტი**



## კროსვორდი-მძივი

**უპასუხე ქვემოთ მოცემულ კითხვებს და ჩაწერე ნაძვის ხეზე დაკიდებულ მძივში მოცემული ნუმერაციის მიხედვით:**

1-5 მაღალი ხარისხის მინა; 1-6 — რა ჰქვია ძაღლს კინოფილმში „კუჩხი ბედინერი“?; 6-9 — იგივეა, რაც იალქანი; 7-11 — დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 10-13 — შეთანხმება ომის შეწყვეტის თაობაზე; 12-20 — არაფრის მაქნისი; 14-17 — „.... მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“; 18-22 — აბო თბილელის ეროვნება; 21-27 — საქმიანობა, საქმოსნობა; 23-25 — ხასიათი, ბუნება, თვისება; 26-29 — გაშლილი ხელის შემოკვრა ყბაში; 28-31 — თავისუფალი, თამამი, ამაყი; 30-35 — უხმო სიცილი; 32-35 — მანძილის საზომი ერთეული ზოგიერთ სახელმწიფოში.




**III** დათვალე, რამდენი ბუშტია ნაძვის ხესთან და იპოვე ორი ერთნაირი

მოძებნე 9 განსხვავება მულტფილმის კადრებში

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ...მხოლოდ საკუთარ ორბიტაზე არ უნდა ვიტრიალოთ

**„პატრიოტიზმი პროფესია არ არის, პროფესიონალიზმი არის პატრიოტიზმი", — უბრძანებია ერთხელ ბატონ რეზო თაბუკაშვილს და ასეცაა, თუ შენი საქმის ნამდვილი პროფესიონალი ხარ, ქვეყნის პატრიოტიც მაშინ ხდები, რადგან საქმეს ისე აკეთებ, ერს და ქვეყანას რომ წაადგება, სახელს გაუჩენს და ფეხზე დააყენებს, ამას კი სახელმწიფოებრივად აზროვნებაც სჭირდება.**



ამას წინათ, სრულიად შემთხვევით, მხატვარ-პორტრეტისტ **გიორგი გეგეჭკორის** ნამუშევართა შესაშური გემოვნებით გამოცემული კატალოგი ჩამივარდა ხელთ და რაკი მასში მხატვრისა და გამომცემელ-დამფინანსებლის სახელმწიფოებრივი აზროვნება და პროფესიონალიზმი ერთდროულად დავინახე, მასთან შეხვედრაც გადავწყვიტე.

ერთი შეხედვით სხვებისგან არაფრით გამორჩეული, გახეხილ ჯინსებში გამოწყობილი და წვერმოშვებული, მეფეთა და საზოგადო მოღვაწეთა ჩინებული მხატვარი, საუბრის დასაწყისშივე გაგრძნობინებს, რომ იგი მრავალთაგან სწორედ აზროვნების სიღრმითა და დიდი პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

**— ამდენი დიდებული მეფის ფონზე, რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება გაგიჭირდათ თუ რატომ, რა ნიშნით მოხვდა კატალოგის გარეკანზე საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ნაკლებად ცნობილი ქუჯი ეგრისელი?** — ვეკითხები გიორგის გზაში, ჯერ კიდევ სახელოსნოში მისვლამდე.

— ქრისტიანობამდელი, ძვ. წ-აღ-ის IV-III საუკუნეებში მოღვაწე კოლხეთის ლეგენდარული ერისთავის, უდიდესი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის გონივრულმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა კოლხეთისა და იბერიის ერთიან ქართულ სახელმწიფოდ გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი. მიზეზიც ეს გახდა და მიზანიც ესაა — ბოლოს და ბოლოს, ჩვენი წინაპრებისგან ვისწავლოთ ის, რამაც დღემდე მოგვიყვანა და რამაც წინ უნდა წაგვიყვანოს. ერთ მუჭა საქართველოში ამდენი პარტიის არსებობა დაქსაქსულობის პირველი წყაროა, არადა, ჩვენი წინაპრების დარად, ერის გაერთიანებაზე, მის კონსოლიდაციაზე უნდა ვზრუნავდეთ და არა კერძო, პარტიულ ინტერესებზე.



თამარ მეფე

**— ეგებ დავაკონკრეტოთ, რას ისახავდა მიზნად გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ფარნავაზის სასარგებლოდ გადადგმული ეს პოლიტიკური ნაბიჯი?**

— ქუჯი ეგრისელი დასავლეთ საქართველოში მეფობდა. მან კარგად იცოდა, საქართველოს გაერთიანება აღმოსავლეთიდან სჯობდა და როცა ფარნავაზი ღვთის ნებით უზარმაზარი განძის მფლობელი გახდა, ფინანსურად მოძლიერებულს, ჯერ ბიძისაგან წართმეული ტახტის დაბრუნებაში დაეხმარა და მერე თავისი გვირგვინიც უყოყმანოდ დაუთმო: „თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები ხართ. ამიტომ შენ გმართებს მეფობა ჩემი და მე ქვეშევრდომობა შენი". მას რომ ვიწროფეოდალური, თავკერძა ამბიციები ჰქონოდა, მაშინ ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯის გადადგმას ვერ მოახერხებდა, ამიტომაცაა ქუჯი ეგრისელი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცის ჭეშმარიტი ნიმუში და კატალოგის გარეკანზეც ამიტომ დაიდო ბინა. გაერთიანებულ ქვეყანაში გამეფებულმა ფარნავაზმა კი „ერთმთავრობაც შექმნა და მწიგნობრობაც ქართული", რადგან საქართველოს გაერთიანების იდეა მხოლოდ ხმლით ბრძოლას კი არა, მის დამწერლობასა და ქართულ ანბანს, საზოგადოდ, კულტურის აღორძინებასაც გულისხმობდა.

**— მეფეებით თქვენი ესოდენი დაინტერესებაც სახელმწიფოებრივად აზროვნების ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ?**

— რა თქმა უნდა, თუ შენი წინაპრების „საქმენი საგმირონი" მუდამ თვალწინ არა გაქვს, ვერაფერს გააკეთებ კარგსა და მნიშვნელოვანს. ვეცადე თანამედროვეთათვისაც შემეხსენებინა ისინი, ვინც გამორჩეული ღვაწლი დასდო ერის ცხოვრებას, ამით კი იმ სიმებს შევხებოდი, პატრიოტულ გრძნობებს რომ აღვიძებენ ადამიანის სულში. მე ასე მწამს, როცა ბავშვს ეცოდინება, რომ ვთქვათ, დემეტრე მეფის შთამომავალია, უზნეო საქციელს ველარ ჩაიდენს, ველარ იქურდებს, ცუდ საქმეს ვერ გააკეთებს. ამ ყველაფრისთვის მტვრის წაყრაა, უკან რომ ბუმერანგივით აგრესიისა და ძალადობის სახით გვიბრუნდება.

...ძველ თბილისში განთავსებულ გიორგი გეგეჭკორის სახელოსნოში, ჩვენი საფიცარი წინაპრების მეტყველი თვალებისა და მგრძნობიარე სახეების პირისპირ მდგარს ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ თავს ხმის ამოღების უფლებასაც ველარ აძლევ. გარინდებული შეჰყურებ ამ უმშვენიერეს პორტრეტებს და ხვდები, რომ ქართული გენისა და ჯიშის უნიკალურობაზე თაობიდან თაობაში გადმოცემული ცნობები ჭეშმარიტად უტყუარია.

**— როდის და როგორ დაგებადათ საქართველოს წარსულის გაცოცხლების იდეა?**

— ჩვენს ოჯახში ტრადიციების, საერთოდ, წინაპრის პატივისცემის კულტია. ჩემი დიდი ბაბუა მარტვილის მონასტრის დეკანოზი გახლდათ და იქვეა დაკრძალული. მისი სახე დავით აღმაშენებლის სულიერი მამის, მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელის სახეზე მუშაობისას გამოვიყენე, როგორც ცოცხალი მაგალითი ქართველობისა და მაღალზნეობრიობისა. შემიძლია ისიც თამამად გითხრათ, რომ მშობლებიც საქართველოს სიყვარულითა და ქართული პოეზიის მარგალიტებით მზრდიდნენ. დედაჩემს ხშირად უთქვამს, ბავშვს 3-4 წლიდან უნდა უკითხო „ვეფხისტყაოსანი", რათა მის ცნობიერებაში მაღალმხატვრული ლიტერატურის ჟღერადობა დამკვიდრდეს, სიტყვათა საუკეთესო წყობის მოსმენას მიეჩვიოს და კარგი გემოვნება ჩამოუყალიბდესო. ამიტომაც ვუმადლი მათ წარსულის მიმართ ჩემი დამოკიდებულების ამ ფორმით გამოხატვა რომ შევძელი. მერე ერთ ნამუშევარს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, შეკვეთებიც მივიღე. ასე თანდათან შეივსო და გამდიდრდა ჩემი გალერეა.

**— შემკვეთები სახელმწიფო დაწესებულებები არიან თუ კერძო პირები?**

— სამწუხაროდ, ე.წ. „პარადული" პორტრეტის ჟანრი დღეს საქართველოში დამკვიდრებული არ არის, მაშინ, როცა ევროპასა და ამერიკაში კი არა, აფრიკის თვით ყველაზე მიყრუებული ქვეყნების ოფისებსა და სასამართლოს დარბაზებშიც კი ნახავთ ქვეყნის ღირსეულ შვილთა პორტრეტებს. სხვაგან რა გვინდა, აგერ, რუსეთში ჰუსარი არ არის დარჩენილი, დახატული არ ჰყავდეთ. ამას სახელმწიფოებრივი მიდგომა ჰქვია. ყოველივე ეს ჩვენში თუმცა ძალზე ნელა, მაგრამ მაინც იკიდებს ფეხს.

**გიორგიმ ჩამომითვალა ის სამინისტროები, ფონდები, კომპანიები, დაწესებულებები და პიროვნებები, რომლებსაც ლომის წილი უძევთ მისი შემოქმედების თუ კატალოგების შექმნის საქმეში, მაგრამ იმის გამო, რომ წერილი გვარ-სახელთა ნუსხას არ დამსგავსებოდა, მათი გამოქვეყნებისგან თავი შევიკავეთ, თუმცა გიორგი ამის გამო ოდნავ ნაწყენი დაგვრჩა და გაოცებულმა იკითხა:**

— სხვაგვარად როგორ შეიძლება... მადლიერება ქართველის ბუნების განუყოფელი ნაწილია, უმადურობა კი კაცთა მოდგმის ყველაზე ცუდ თვისებად მიმაჩნია. დავუშვათ, აკაკი ხოშტარიას ღვაწლის შესახებ არავის დაეწერა რამე. მაშ, როგორ უნდა გაგვეგო, რომ ირანში მოღვაწე, შაჰის კართან დაახლოებულმა ამ დიდმა ქართველმა კაცმა ჯერ ოთხი გემი გამოუგზავნა საჩუქრად დამოუკიდებელ საქართველოს, შემდეგ კი დიდძალი ფული გაუგზავნა ლენინს, რათა საქართველოს გასაბჭოება გადაეფიქრებინა. აი, როგორი ხალხი გვყავდა, შეიძლება მათ შესახებ არაფერი ვიცოდეთ? მოზარდი თუ ზრდასრული რომ ჩვენი ერის სასახელო შვილების პორტრეტებს ნახავს და გაიგებს, რით დაიმსახურა ერის თუ ხალხის სიყვარული, თავადაც კეთილშობილური ზრახვებით აივსება. ჩემი შრომის მიზანიც ესაა. კატალოგების გამოშვებაც ამავე მიზანს ემსახურება და ვინც ამ საქმეში მიდგას გვერდით, მასაც იგივე მიზანი ამოძრავებს. კონტროლის პალატის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ ფორუმზე რომ თბილისში სტუმრად ჩამობრძანებულ 80-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელს სულხან მოლაშვილის შემწეობით გამოცემული ჩემი ნამუშევრების კატალოგი დაურიგდა საჩუქრად, მართლაც შესანიშნავი საქმე გაკეთდა. ყველა სტუმარმა თავისთვის გასაგებ ენაზე, მოკლე ანოტაციების წყალობითაც კარგად გაიგო, „რანი ვართ და საიდან მოვდივართ".

**— მეჩვენება, რომ რაღაც გაწუხებთ, ეგებ გამიმხილოთ გულის ნადები?**

— ქვეყანაში სახელმწიფოებრივად აზროვნების არცოდნა ყვავის და მისი ვერშეგრძნების დეფიციტია გამეფებული. ჩვენი აზროვნება, ქმედება და ცხოვრების წესი, მხოლოდ პირადულს აყენებს წინ და გვინდა მას დავუმორჩილოთ სხვა ყველაფერი. არადა, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას" გმირს — სანდრო კარიძეს უნდა ვბაძავდეთ და ვიცოდეთ, რომ „სახელმწიფოსათვის დაშურება საკუთარი თავისათვის დაშურებას" ნიშნავს. უნდა მივხვდეთ, რომ ქვეყანა მარტო იმისთვის კი არ მოგვცა ღმერთმა, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილებმა მხოლოდ საკუთარ ორბიტაზე ვიტრიალოთ, ერისთვისაც უნდა ვიცოცხლოთ,

**— ალბათ, ბედნიერებაა მუზების ამ ლამაზ საუფლოში მუშაობა?**

— უდავოდ: ისტორიული ფონი, ძველი თბილისის ხედები, ზარების გუგუნი სულ სხვა განწყობას ბადებს, მერე შემოქმედებითი აღტკინებაც მოდის და თანდათან ესხმება ხორცი იდეებს, წარმოსახვებსა და ფანტაზიებს.

**— მუშაობისას კონკრეტულ პროტოტიპებს იყენებთ, ისტორიულად ცნობილ მასალას ეყრდნობით თუ ფრესკულ ხელოვნებას მიმართავთ?**

— ქრისტიანული, ფრესკული კედლის მხატვრობა, თავისი შინაარსით, წინააღმდეგი იყო მეფის ნამდვილი, პორტრეტული ასლი გაკეთებულიყო. ამდენად, იგი ზუსტ წარმოდგენას მაინც ვერ მომცემდა. ამასთან, ფრესკები მრავალგზისაა გადაწერილი და, როგორც წესი, ყოველ მხატვარს შეაქვს მასში ცვლილება. ამიტომ ჩვენამდე მოღწეულ, მუზეუმებში დაცულ გრავიურებს, ხმლებს, ჯვრებს და ფოტოებზე აღბეჭდილ ტანსაცმელს ვიყენებ. კონსულტაციებისათვის ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძესა და აწ განსვენებულ ბატონ ვახტანგ ბერიძეს მივმართავდი ხოლმე. ბაგრატოვანთა მეფეთა სამოსსა და გარეგნობაში, ტრადიციულად, მუხისა და რკოს სიმბოლიკაა გამოყენებული და მეც მას ვიყენებ. ნიშანდობლივია, რომ გრიგოლ რობაქიძემ მუხა სიძლიერის, რკო კი ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნია. სახეზე მუშაობისას, ზოგჯერ ცნობილ ადამიანთა გარეგნულ ნიშნებსაც ვიყენებ, თუმცა მთავარი ისაა, რა როლს ასრულებდა თითოეული მათგანი ერის ცხოვრებაში. ვთქვათ, ცოტნე დადიანი — ვინ რჯიდა, რა ძალა ადგა, რომ გაშიშვლდა და თაფლი წაისვა? მისმა თავგანწირვამ თვით დაუძინებელი მტერიც კი მოხიბლა, მოდრიკა და შეთქმულნი გაათავისუფლებინა. დემეტრეს რაში სჭირდებოდა მონღოლი ნოინის ქალიშვილი რომ შეირთო, რა, ცუდი ცოლი ჰყავდა? — ურთულეს ეპოქაში ცხოვრობდა და მცირე ხნით მაინც რომ ამოესუნთქა ქართველობას, იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა. განდგომილი სამცხე-ათაბაგის ქალიშვილი რომ დაისვა მესამე ცოლად, ესეც ქვეყნის გაერთიანებისთვის საჭირო გონივრული ნაბიჯი იყო. ამ კავშირის შედეგად დაბადებულმა გიორგი ბრწყინვალემ კი მონღოლები განდევნა საქართველოდან და ასე, დაუსრულებლად, ყველა მათგანი სამშობლოზე ფიქრობდა და პირადულს ივიწყებდა. ყველა მათგანი მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც სამშობლოს წაადგებოდა და, რასაც საღვთო წერილი აკისრებდა.

**— იმედი გაქვთ, რომ თქვენი მეფეებიც პატრიოტულ გრძნობებს აუშლიან მის მხილველთ?**

— სამწუხაროდ, წიგნიერება აღარ არის ახალგაზრდობაში. ტელევიზიამ გადასწონა წიგნის სიყვარული. მუსიკალური ნაწარმოები დროშია განფენილი, ფერწერული ნამუშევარი, როგორც ჩემი მოძღვარი, მამა დავითი (შაქარაშვილი) იტყვის ხოლმე, მძლავრ ენერგეტიკულ მუხტს ინახავს, ამიტომ მისგან მიღებული შთაბეჭდილება წამის მეათასედში შემოდის ცნობიერებაში და, თუმცა მუსიკაც და მხატვრობაც ღვთის შექმნილია და სრულ ჰარმონიაშია სამყაროსთან, პრიორიტეტი, როგორც ვიზუალურსა და ხელშესახებს, მაინც მხატვრობას ენიჭება. ეგებ, ამ ნამუშევართა ნახვამაც აღმოფხვრას ადამიანთა შეგნებიდან დღევანდელობის ყველაზე დიდი დეფიციტი — სახელმწიფოებრიობის არცოდნა და ვერშეგრძნება.

**— რას გვეტყვით გამოფენების შესახებ?**

— ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა თეატრალურ მოღვაწეთა კავშირში მოეწყო. იქ, ძირითადად, მსახიობებისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები იყო წარმოდგენილი. ეროვნულ ბიბლიოთეკასა და გალერეაში უკვე მეფეებითაც გამიცნო საზოგადოებამ. გარდა ამისა, წილად მხვდა პატივი, ჩემი ნამუშევრებით გახსნილიყო საქართველოს კულტურის დღეები უკრაინაში, სადაც რუსთაველის თეატრი იყო მიწვეული რამდენიმე სპექტაკლით. ყოველივეს ჩვენმა იქაურმა ელჩმა, ბატონმა გრიგოლ ქათამაძემ დიდად შეუწყო ხელი. ჩემს კატალოგებში უკრაინულ ენაზე თარგმნილი ანოტაციებიც მის დიპლომატიურ ნიჭსა და ნამდვილ ქართველობაზე მეტყველებს. მან უკრაინელებსაც მიაგო ამით პატივი და ჩვენი კულტურის პოპულარიზაციასაც შეუწყო ხელი.

**— ვინ დააფინანსა კულტურის დღეები?**

— უკრაინაში ცხოვრობენ საქართველოდან წლების წინ წასული ქართველი ებრაელები, ძმები ილია და რეზო მიხელაშვილები, არცთუ მთლად მდიდარი ფირმის „ევროსერვისის" მფლობელები. ხარჯი მათ გაიღეს. დიდი მხარდაჭერა გაგვიწია ყოფილმა შს მინისტრმა შოთა გორგოძემაც. ივან ფრანკოს სახელობის თეატრში მოსულმა 3 ათასზე მეტმა მაყურებელმა, რუსთაველელთა სპექტაკლებთან ერთად, ჩემი შემოქმედებაც იხილა და კიდევ უფრო შეგვიყვარა. ნეტავ განახათ, როგორი მოწიწებით უვლიან ისინი დავით გურამიშვილის საფლავსა და სახლმუზეუმს. ჩემი მათდამი კეთილგანწყობისა და მადლიერების გამოსახატავად ჩაფიქრებული მაქვს დიდი უკრაინელი ფილოსოფოსის — სკავარადას და დავით გურამიშვილის პორტრეტები მივართვა საჩუქრად.



ქუჯი ეგრისელი

**...მაშ ასე, იყო დრო, როცა გიორგი გეგეჭკორი-უმცროსს, როგორც ჩვენი უსაყვარლესი გოგი გეგეჭკორისა და ნათელა ურუშაძის ვაჟს, ისე მოიხსენიებდნენ.**

**ახლა არც თვითონ აკლია სახელი და დამსახურება. იგი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიისა და ფესტივალ „თბილისური გაზაფხულის" ლაურეატი, მრავალი სპექტაკლისა და შოუპროგრამის მხატვრულად გამფორმებელია.**

**მისი უდიდებულესობა — მხატვრის ფუნჯით გაცოცხლებული ქართველი მეფეებისა და საზოგადო მოღვაწეების სახეები. საქართველოს სიყვარულით შთაგონებულს შეუქმნია მხატვარს და ქართველში ეროვნული სულისა და ცნობიერების გაღვიძებასაც ამ გზით ცდილა. ვინ იცის, ეგებ, ისევ აინთოს ქართველის გულში რაღაც წმინდა და მნიშვნელოვანი?**

**და კიდევ, გიორგი ახალ პროექტზე იწყებს მუშაობას. იმედია, სულ მალე ამ პროექტის შესახებ მთელი საქართველო შეიტყობს, ექსკლუზივის უფლებას კი ჩვენ გვიტოვებს. ამდენად, მკითხველს სასიამოვნო სიახლის მოლოდინში ვტოვებთ. ვეტყვით მხოლოდ ერთს — ეს იქნება სახელმწიფოებრივი აზროვნების ისეთი ცოცხალი მაგალითი, ქუჯი ეგრისელმა რომ ჩაუყარა საფუძველი და, რომელიც ასე ენატრება მთელ საქართველოს...**

***თამარ კაპანაძე***

CMYK

კიდევ ერთხელ (ღმერთმა ინებოს, უთვალავჯერ) ამაყენი აღვნიშნავთ 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, რომლის წინაც შესანიშნავმა რეჟისორმა, ბატონმა რობერტ სტურუამ სიურპრიზი მოგვიწყო და საქვეყნოდ განაცხადა, „ვეფხისტყაოსანს" ვდგამო. ისე, აბა, თუ არა ქართველს, სხვას ვის უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი. თანაც, ნიჭი, ბატონებო... ნიჭი დროს, ყოფიერების დოგმებს არ ემორჩილება. რასაც ჩვენი რუბრიკის სტუმრები, შესანიშნავი მსახიობები მერაბ ნინიძე და ნინო თარხან-მოურავიც ადასტურებენ. დრომ ვერც მათი შეჩერება შეძლო.

# სიამოვნებით ვითამაშებ თუნდაც ერთ-ერთ ქაჯს

80-იანი წლების დასასრულს ქართულ კინოში გამოჩნდნენ ახალი და საინტერესო სახეები და ისინი მყისვე მაშინდელი ახალგაზრდობის კერპებად იქცნენ — მერაბ ნინიძე, ლევან აბაშიძე, ნინო თარხან-მოურავი და სხვები. როგორც ჩვენში ხშირად ამბობენ, ეს ქვეყანა რომ არ დაქცეულიყო და ქართულ კინემატოგრაფსაც რომ არ შექმნოდა სერიოზული პრობლემები, ჯერ კიდევ 10-12 წლის წინ, ქართული კინოს უკვე კაშკაშა ვარსკვლავების ცხოვრებაც ალბათ სხვანაირად წარიმართებოდა — მერაბს დიდი ხნით არ მოუწევდა სამშობლოს დატოვება, ლევანი დღესაც ცოცხალი გვეყოლებოდა და ნინო რუსთაველის თეატრის პარალელურად კინოში გადაღებებითაც იქნებოდა დაკავებული და უცხოური მხატვრული ფილმებისა და ტელესერიალების გასახმოვანებლად არც ეცლებოდა. ჩემი რესპონდენტი ამჯერად სწორედ **ნინო თარხან-მოურავია** — გიორგი სააკაძის ერთ-ერთი შთამომავალი, რომელსაც სულ მალე ისევ ვიხილავთ ეკრანზე. მოკლედ, ყველაფერს თავად ნინო გვიამბობს:

— ძალიან სასიხარულოა, რომ კინოს ისევ იღებენ და საქართველოში ხელოვნების ეს დარგი ისევ ცოცხლობს. „არტ-იმედის" დაკვეთით ზაზა ხალვაში იღებს სერიალს, რომლის სახელიც არ ვიცი, მაგრამ უკვე გავიარე სინჯები და ფილმში გადამიღებენ. ბოლოს ნანა ჯორჯაძის „27 დაკარგულ კოცნაში" მივიღე მონაწილეობა და იმის მერე ძალიან ხანგრძლივი „ტაიმ-აუტი" მქონდა კინოში.

— **სამწუხაროდ, თქვენი მონაწილეობით არც „27 დაკარგული კოცნა" და კიდევ ბევრი სხვა ფილმი თითქმის არ იცის ქართველმა მაყურებელმა.**

— გეთანხმებით, სულ 14 ფილმში ვარ გადაღებული და აქედან მხოლოდ „საფეხურს", „ხარებას და გოგიას" და „მჭედელი თავის ბედისას" თუ იცნობს მაყურებელი.

— **თქვენი კინოდებიუტი მგონი სომხურ ფილმში შედგა.**

— დიახ. პირველ კურსზე ვსწავლობდი თეატრალურ ინსტიტუტში კინოსტუდია „არმენფილმმა" რომ „მასოვკისთვის" წაგვიყვანა სტუდენტები. მე სრულიად მოულოდნელად ეპიზოდური როლი მერგო, ძალიან ვღელავდი, ისე, რომ მთელი ხმით გავკიოდი ტექსტის წაკითხვისას. ჩემი პედაგოგი გიზო ჟორდანია ძალიან გამიბრაზდა, რატომღაც არ მოეწონა, რომ პირველკურსელმა უკვე ფილმში ვითამაშე.

— **ნინო, თქვენ ფილმებში ხშირად ჩნდებოდით მერაბ ნინიძესთან ერთად და მახსოვს, ბევრი ქართველი გოგო თითქმის ვერ გიტანდათ ამის გამო.**

— (იცინის). ჰო, მერაბი იმ დროს ქართული კინოს მსახიობ მამაკაცებში სექს-სიმბოლოს იმიჯით სარგებლობდა და ამიტომაც ჩვენი მუდმივი პარტნიორობა ხშირად კურიოზულ მდგომარეობაში მაგდებდა. ერთხელაც ერთ-ერთი ფილმის პრემიერაზე შევდიოდით, ჩვენი უზარმაზარი პლაკატი ეკიდა კინოთეატრ „ყაზბეგთან". ირგვლივ უამრავი ხალხი ტრიალებდა და უცებ გავიგონე — ამ ნინო თარხან-მოურავმა ხომ წაიღო ტვინი, ყველგან ნინიძესთან ერთად არის გამოკვეხებულიო. მოკლედ, მაგარი ამბები იყო, მირეკავდნენ, მეკითხებოდნენ — მართლა წაჰყევით ნინიძეს ცოლადო? მეც ვამშვიდებდი, არა, რას ამბობთ, ჩვენ მეგობრები ვართ მხოლოდ-მეთქი.

— **ნინო, ახლა ფილმებს ახმოვანებთ „რუსთავი-2"-ის ეთერისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ამით კინოს მონატრებას იკლავთ?**

— არა, რას ამბობთ. ზოგჯერ, როცა კარგ მსახიობსა და კარგ როლს ვახმოვანებ, მეც როლში ვარ, მაგრამ ეს ვერანაირად ვერ მიკლავს კინოს მონატრებას, რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩემს თავს არ ტრიალებს.

— **საიდან მოდის თქვენი უცნაური სიმშვიდე, თავმდაბლობა? ალბათ თქვენი წარმომავლობის ბრალია, არადა რა ბობოქარი წინაპარი გყავდათ, გიორგი სააკაძე.**

— დიახ. ცნობილია, რომ თარხან-მოურავები გიორგი სააკაძის შთამომავლები არიან, მაგრამ მე არასდროს მიმინიჭებია ამ საკითხისთვის მნიშვნელობა. ამით უფრო ჩემი ძმები და ბიძაშვილები არიან დაინტერესებულნი და ჩვენს წარმომავლობაზე უამრავი ნაშრომიც არსებობს. რაც შეეხება ჩემს სიმშვიდეს და როგორც თქვენ ამბობთ, თავმდაბლობას, ეს ალბათ ჩემი აღზრდის ბრალია. დიახ,



ბრალია, ხშირად ეს თვისებები ჩემს მინუსად და კომპლექსად მიმაჩნია.

— **ნინო, რუსთაველის თეატრი მორიგი სიურპრიზისათვის ემზადება. რობერტ სტურუამ „ვეფხისტყაოსნის" თეატრალიზაციის მოლოდინში უკვე „დაგვზაფრა". ალბათ როლს თქვენც ელოდებით.**

— რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვითამაშებდი ნებისმიერ როლს, თუნდაც ერთ-ერთი ქაჯისას, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი განაწილება არ მომხდარა და წარმოდგენა არა გვაქვს, ვის რა ერგება „ვეფხისტყაოსნიდან".

— **მსახიობებს რეჟისორებთან მუშაობისას ზოგჯერ პრობლემები ექმნებათ. თქვენ თუ შეგქმნიათ რაიმე სირთულე ამ მხრივ?**

— არავითარი. ვცდილობ, გავუგო და გამიგოს რეჟისორმა. ძალიან მიყვარდა ალექსანდრე რეხვიაშვილთან და გიორგი შენგელაიასთან მუშაობა. ორივენი ყოველთვის განსხვავებულ ფილმებს იღებდნენ. გიორგი შენგელაიასთან არაჩვეულებრივად იოლია მუშაობა, ისე ხსნის ყველაფერს, რომ საქმეც უპრობლემოდ გამოდის.

— **ფილმის პრემიერას როგორ უყურებდით ხოლმე?**

— (სახეზე ხელებს იფარებს და თითებიდან ნელა ბედავს გამოხედვას) აი, ასე, მერე რომ დავრწმუნდებოდი, ყველაფერი რიგზე იყო, ვმშვიდდებოდი და უკვე ხელებს ვიშორებდი თვალებიდან. საბედნიეროდ, სულ შესანიშნავ რეჟისორებთან მიწევდა მუშაობა და ფილმის ხარისხში არასდროს მეპარებოდა ეჭვი (იცინის), უბრალოდ, სულ მეშინოდა, ეკრანზე მახინჯი არ გამოვჩენილიყავი. ხომ გამოგიცდიათ სურათის გადაღების შემდეგ მის დაბეჭდვამდე ღელვა. აი, მეც ასე მჭირს, სანამ ჩემი მონაწილეობით ფილმს ვნახავ.

— **ალბათ, თქვენც, როგორც ყველა ხელოვანს, ბევრი ოცნება გაქვთ.**

— ძალიან ბევრი. მაგრამ სასწაულების მჯერა და ვიცი, ოცნებებიც ახდება.

— **მიუზიკლში თამაშზე ოცნებობდით ჯერ კიდევ 12-13 წლის წინ.**

— (იცინის) სამწუხაროდ. ეს ისევ ოცნებად რჩება. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ახდება. ეტყობა, ჯერ ძალიან არ მომნდომებია. ახლა „ვეფხისტყაოსნის" დადგმას ველოდები მოუთმენლად.

**ეკა ლომიძე**

# მერაბ ნინიძეს თბილისში თეატრალური სარდაფის სცენა და შეილოკის როლი ელოდება, საფრანგეთში კი — ერიკ რომერი

იანვრის ბოლოს — მაყურებელი „ვენეციელი ვაჭრის" ახალ, ლევან წულაძისეულ ვერსიას იხილავს ახალ თეატრალურ სარდაფში... მთავარ — შეილოკის როლს მერაბ ნინიძე განასახიერებს... თითქმის ათწლიანი შესვენების შემდეგ, ის პირველად შედგამს ფეხს ქართულ სცენაზე ევროპაში განხორციელებული უამრავი კინოპროექტის შემდეგ, რადგან თვლის, რომ მისი სასცენო ენა მხოლოდ და მხოლოდ ქართულია... თუმცა თავიდან მაინც გაუჩნდა გაუცხოების გრძნობა ახალი თეატრის მიმართ...



— თავიდან ყველაფერი საოცრად უცხო მომეჩვენა, სულ მეგონა, რომ უცხო სხეული ვარ — ახლაც ყველანაირად ვცდილობ არაბუნებრივად არ შევეზარდო მათ, არ მქონდეს განცდა, რომ არ ვჯდები მათ სტილში. პირველი ძლიერი უხერხულობის განცდა ორ საათში გაქრა... მსახიობობა საოცარი რამ არის — თუ შევძელი კენიელ პარტნიორთან ერთად თამაში და ამით სიხარული მივიღე, ქართველებთან და ქართულ ენაზე თამაში ასმაგ ბედნიერებას განმაცდევინებს — ძალიან მომენატრა მშობლიურ ენაზე მეტყველება, ქართველი მაყურებელი. როცა ტექსტებს გერმანულად ვკითხულობ ხოლმე, სულ ვფიქრობ, რა დავაშავე ისეთი, რომ იძულებული ვარ ეს ვაკეთო. ფრანგული ენა სასიამოვნო მოსასმენია, ინგლისურიც, იტალიურიც... რომ დამჭირდა, კიუზუელთა ენაც ვისწავლე, სერბებისაც... გერმანული ძალიან უხეშია. სულ მეუბნებიან, ამ სიუხეშეს შენ უფრო ამძაფრებო. ქართულად როცა ვლაპარაკობ, ალბათ იმიტომ არა მაქვს უცხოური აქცენტი, რომ ჩემს ქართულს ვუფრთხილდები, ვინახავ. თუ ადამიანი მოინდომებს, ყოველთვის მოახერხებს უცხო ენის გავლენას დააღწიოს თავი.

— **ამ ბოლო დროს თბილისში თუ ნახე რომელიმე სპექტაკლი?**

— მხოლოდ რამდენიმე — „ცხვირი", „მედეა", „მეტამორფოზა", „ფაუსტი", „ანტიგონე"... შენ თუ ნახე „ანტიგონე"?

— **ვნახე...**

— მოგეწონა?

— **ძალიან, ასე მგონია, რომ მთელი სპექტაკლი ანტიგონეს როლის შემსრულებელს — ნანუკა ხუსკივაძეს ჰგავს...**

— ასეც უნდა იყოს. გახსოვს თამაზ ჭილაძის პიესა — „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის"? მასში ასეთი ფრაზაა, „ვითომ იცის ვინმემ, როგორი იყო ნამდვილი „ოფელია", მართლაც არავინ იცის. ალბათ, ჩვეულებრივი ადამიანი იყო. „ჰამლეტს" რომ ვდგამდით, გიზო ჟორდანიამ მითხრა — არ ითამაშო არც ინტელექტუალი, არც — გიჟი. ჰამლეტი ჩვეულებრივი ბიჭია, ოღონდ განსხვავებულად ფიქრობს. ვიღაც ბომბს იღებს ხელში და ისვრის, მას ბომბი ტვინში „ეხარშება". ერთი უბრალო გამვლელია — მეტროში რომ ათასობით გხვდება, ისეთი, მხოლოდ პრინციპით გაზარდეს და მეტი პრეტენზიები აქვს... მე მიყვარს ასეთი დამოკიდებულება, ასე მუშაობა. არასდროს ვცნობ დოგმებს. ის, რასაც ვნახულობ, ან მომწონს და მედება გულზე, ან არა... თორემ შენიშვნები და დაკანონებული წესები — ეს აუცილებლად ასე უნდა იყოს და არა სხვაგვარადო — სისულელეა...

— **ფილმის „არსად აფრიკაში" გადაღების დროს რამდენიმე თვე აფრიკაში ცხოვრობდი...**

— აფრიკა გაფიქრებინებს, რომ ძირი და ფუძე მაინც ყველაფერს ერთი აქვს. იქ უცნაურად ეხამება ერთმანეთს ძველი ადათი და ექსპორტირებული კათოლიციზმი. იქ თვლიან, რომ ღმერთი ერთია — შენ გინდა კათოლიკე იყავი და გინდა მართლმადიდებელი — განსხვავებას ვერ ამჩნევენ. ეს აღრევა საოცრად ეგზოტიკური და საინტერესოა — წარმართულისაც სჯერათ და ქრისტიანულისაც, თუმცა, თუ დააკვირდები, იოლად შენიშნავ, რომ მათთან ქრისტიანობა ჩანერგილია, გვიან მოტანილია...

— **ვიცი, რომ საოცრად დაუახლოვდი შენს აფრიკელ პარტნიორს — სიდედეს...**

— მართლაც საოცარი ადამიანია. მაისში თბილისში აპირებენ „არსად აფრიკაში" ჩვენებას. მინდა, რომ სიდედეც ჩამოვიყვანო და დავათვალიერებინო ჩემი ქვეყანა. აფრიკელები საოცრად დაჩაგრეს ინგლისელებმა, ამიტომ თეთრკანიანთა ნდობა ნაკლებად აქვთ. ისინი შინ არასდროს დაგპატიჟებენ, რადგან ჰგონიათ, რომ არ იკადრებ. სიდედე უცებ მიხვდა, რომ სულაც არ ვარ დასავლეთში გაზრდილი, განებივრებული პრინცი და ხშირად მიმეორებდა — ტიპურ თეთრკანიანს არ ჰგავხარო. მე კი ვეუბნებოდი — ალბათ იმიტომ, რომ მეც პატარა კოლონიაში დავიბადე-მეთქი. ის უნიჭიერესი მახიობია, არაჩვეულებრივი ლიტერატორი და მხატვარი. პროფესიით — იურისტია. შექსპირის ინგლისურით საუბრობს — მაღალფარდოვნად და ჩახლართულად, ზეპირად იცის ციტატები ჯოისის ნაწარმოებებიდან, მაგრამ უკვე 10 წელია პურის ფული არ ჰქონია. ასეთი პარადოქსები ხშირად ხდება იქ — აფრიკაც ზუსტად ესაა... სიდედე ნაციონალურ კოსტიუმს მხოლოდ აფრიკის გარეთ ატარებს — ასეთ ტანსაცმელში ჩამოვიდა ჰამბურგში ფილმის პრემიერაზე. საოცრად დამწყდა გული, როცა 6 წლის ბიჭი გარდაეცვალა. გადაღებებზე ბავშვი სულ ჩემთან იყო, ქართულს ვასწავლიდი, გურიაზე ვუყვებოდი, ის თავის დიალექტს მასწავლიდა. სამწუხაროდ, მალარია შეეყარა... ეს სენი აფრიკის ყველაზე დიდი უბედურებაა, ძირითადად ბავშვები იღუპებიან. როცა გადაღებაზე ჩავედით, უამრავი აბი დაგვალევინეს, რაიმე დაავადება რომ არ შეგვყროდა. იქაურებს კი ელემენტარული პირველადი დახმარების საშუალებებიც არ გააჩნიათ, წამალი იქ განსაკუთრებული ფუფუნებაა...

— **იტალიაში მთავარი როლი შეასრულე ფილმში „კატოლიკა"...**

— ეს არის ამბავი ორი ძმისა, რომლებიც ჯერ უნახავ მამას ეძებენ. ძმები ძალიან განსხვავდებიან, გზაში კი საოცრად უახლოვდებიან ერთმანეთს. მე უფროს ძმას ვთამაშობდი. სცენარი უჩვეულოდ კარგად და საინტერესოდ იყო დაწერილი. ვიღებდით ადრიატიკის ზღვისპირა პატარა ქალაქში. 3 თვე დავყავი იტალიაში. ამ ქვეყანამ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. თუ სადმე ვიცხოვრებდი საქართველოს და ავსტრიის გარდა, ეს არის, იტალია. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ იქ უცხო არ ვარ. რომი ჭრელი და არეულია, რაც უფრო სამხრეთით მიდიხარ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს შუაგულ საქართველოში ხარ, უბრალოდ, ქართული არავინ იცის და ამაზე ნერვები გეშლება.

— **შენს ქალაქში ბევრი რამ არის გაუცხოებული?**

— არ არიან გაუცხოებულები ჩემი მეგობრები — ყველა ისეთივე ახლობელია, როგორიც უწინ... ბევრ რამეს ვერ შევეგუე. მაგალითად, ვერ ვუყურებ ტელევიზორს — ჯერაც ვერ გავერკვიე, ვინ ვინ არის, თანაც ახალსაც არაფერს ამბობენ. მხოლოდ MTV-ს ვრთავ ხოლმე. ყოველდღე ფეხით დავდივარ ქუჩებში — ერთი და იგივე რამ ერთდროულად ახლობელიც არის და შორეულიც... კონკრეტულად ვერ აგიხსნი — არ გამომივა სწორი პასუხი... ალბათ, ასეც უნდა იყოს...

— **არც ისე დიდი ხანია, რაც ბატონმა რობერტ სტურუამ დადგა „ვენეციელი ვაჭარი"... ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ლევან წულაძე შეიძლება საკუთარი მასწავლებლის გავლენის ქვეშ მოექცეს...**

— მე ის დადგმა არ მინახავს. ყველას ვიღაცის გავლენა აქვს. ბატონ რობერტსაც ვიღაცის გავლენა ჰქონდა ოდესღაც, მანაც ვიღაცისაგან ისწავლა. თუ კარგი გამოვიდა, ვისიც უნდა, იმის გავლენა ჰქონდეს... ისე, მინდა გითხრა, რომ სანამ აქ ჩამოვიდოდი, კალიაგინი — ანუ ბატონი რობერტის სპექტაკლის შეილოკი, ერთი თვით ჩემს სახლში ცხოვრობდა.

— **ალბათ დაგიტოვა კიდეც მუხტი...**

— მე მგონი — ასეა. კალიაგინი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობია. პატარა რომ ვიყავი, ვფიქრობდი, არტისტი მხოლოდ ასეთი უნდა იყოს-მეთქი. საოცარი ძალა მოდის მისგან...

— **მერაბ, ალბათ გაიგებდი, ჩვენში ნელ-ნელა ისევ დაიწყეს ფილმების გადაღება... ხომ არ გაქვს რაიმე მიწვევა?**

— თეატრსაც და კინოსაც ერთდროულად ვერ მოვასწრებ. დიდი ხანია შეილოკის როლისთვის ვემზადებოდი. შეიძლება ახლო მომავალში რაღაც ერთობლივად ზაზა ხალვაშთანაც მოვიფიქროთ...

— **როგორც ვიცი, მთავარ როლზე მიგიწვია ისეთმა საინტერესო და ცნობილმა რეჟისორმა, როგორიც ერიკ რომერია...**

— გადაღებები მარტის ბოლოს დაიწყება საფრანგეთში. ფრანგულს ბავშვობაში ვსწავლობდი და არასდროს მისაუბრია ამ ენაზე. მოთხოვნა რომ მოვიდა, გავიფიქრე — ვცდიმეთქი. 3 კვირაში 4-გვერდიანი მონოლოგი უნდა მესწავლა. დღეში ორ-ორ წინადადებას ვამატებდი. ბოლოს ტექსტი ჩავწერე, გავაგზავნე და მთავარი როლიც მივიღე. ახლა მთელი სცენარი მაქვს სასწავლი.

— **თბილისიდან როდის მიემგზავრები?**

— ალბათ, თებერვლის ბოლოს... წლის განმავლობაში ჩამოვალ და თეატრალური სარდაფის სცენაზე შეილოკს ვითამაშებ ხოლმე. ძალიან მახარებს, რომ აქ სცენა და როლი მელოდება...

**ეკა მახარაშვილი**



# ნეტავ იმ დროს, ოჯახის ცხვირით რჩენა რომ შეიძლებოდა, — ზურა ბერიკაშვილი



ზურა ბერიკაშვილი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ვნახე. მისი ცხოვრება ამ თეატრს ადრეულ ასაკში დაუკავშირდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სულ პატარა დაჰყავდათ სცენაზე მამის — გივი ბერიკაშვილის სანახავად. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ზურა უკვე თვითონ დგას სცენაზე, ოჯახის წევრები ახლა მის სანახავად მიდიან თეატრში. რა მნიშვნელობა აქვს, რამხელა როლი უნდა შეასრულო, დიდი თუ პატარა, მთავარი თუ მეორეხარისხოვანი, პროფესია ორივე შემთხვევაში სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს. ახლაც განსაკუთრებული ფუსფუსია მარჯანიშვილის თეატრში, წინასაპრემიერო რეპეტიციებია. თემურ ჩხეიძე დგამს სპექტაკლს „პილატე“.

**— როგორია ემოციური დატვირთვა პრემიერის წინ?**

— ერთხელ, მაშინ თეატრში ახალი მოსული ვიყავი, სპექტაკლის შემდეგ, ელენე ყიფშიძესთან შევიდა ერთი და უთხრა: ძალიან კარგად შეასრულეთ როლი, მაგრამ ღელავდითო. მოუტრიალდა ქალბატონი ელენე და უპასუხა: აბა, თუ არ ვიღელვე, თეატრში რა მინდაო?! ასეა, შინაგანი ღელვა ჩვენი პროფესიის განუყოფელი ნაწილია. საერთოდ, ასე ვფიქრობ: ფარდის იქიდან მაყურებლის ფუსფუსი რომ გესმის, დარბაზი რომ სავსეა და მსახიობებს ელოდებიან, საოცარი შეგრძნება გაქვს: თან სასიამოვნო, თან შემძვრელი.

**— მოდი, ის პერიოდი გაიხსენეთ, როცა თქვენ მაყურებელი იყავით და სცენაზე მამას უყურებდით.**

— 3 წლიდან დავდიოდი თეატრში და თითქმის ყველა სპექტაკლი მახსოვს, მაგრამ მამაჩემის გამოსვლის გამო ღელვა მხოლოდ ინსტიტუტში სწავლისას დამჩემდა. არნახულად ვნერვიულობ, ოჯახის წევრს რომ ვუყურებ სცენაზე. მირჩევნია, მე გავიდე სცენაზე, გადაბმულად პრემიერები ვითამაშო, უფრო ნაკლებს ვინერვიულებ. რა სჭირს გივი ბერიკაშვილს ჩემი სანერვიულო, მაგრამ რა ვქნა... ჯერ ხომ დარბაზში არ ვჯდები, იარუსზე ვარ მიკუჭული ჩემთვის. განცდები მაქვს.

**— თვითონ ბატონი გივი რომ ესწრება თქვენს სპექტაკლებს, ისიც იარუსზე ადის?**

— არა, ის დარბაზშია ხოლმე, მაგრამ მაშინ მოდის, როცა სპექტაკლის ჩაბარებაა, კიდევ აქვს დრო, რომ შენიშვნები მომცეს. ისიც ღელავს, რა თქმა უნდა.

**— ბატონი გივის ხსენებისას კეთილი ემოციები მოდის წინა პლანზე, ოჯახშიც ასეთი ღიმილიანია?**

— არ მახსოვს კონფლიქტი მამასთან, მისი ხმამაღალი სიტყვა ან უხეში მომართვა. გივი ისეთი კაცია, მასთან კონფლიქტი ვერ გექნება. მოუსვენარია. ხან ისეთ ტომარას ან ყუთს დაეჭიდება, მაგ ასაკის კაცმა ხელი რომ არ უნდა მოჰკიდოს. თუ არ მიასწარი შენით, დასახმარებლად არ დაგიძახებს. ზოგჯერ დამირეკავს: ჩამოდი, ბაზარში ვიყავი, დიდი ტვირთი მოვიტანე და აიტანეო. რატომ არ მითხარი, წამოგყვებოდი, იქ როგორღა ათრიე-მეთქი, ვეკითხები. ძალიან უპრობლემო კაცია, არ შეგაწუხებს არაფრით.

**— არადა, ამბობენ, მსახიობები რთული და პრობლემური ხალხია ოჯახშიო, როგორც ჩანს, ბერიკაშვილებს ეს არ გეხებათ.**

— არა, ნამდვილად არ გვეხება. ზოგიერთ კაცს არ შეუძლია სადილის კეთება, თავის მოვლა; როცა ოჯახიდან ქალები მიდიან, გასარეცხი თეფშებით ივსება ყველაფერი, ასეთი რამ ჩვენთან არ ხდება. მე თავისუფლად შემიძლია სადილი მოვიმზადო, შარვალი გავიუთოო, თუკი ქალები შინ არ არიან... მამაჩემი ხომ შესანიშნავი კულინარია. ხორციანი კერძების მომზადებაში ვერავინ შეედრება. მე ჯერ მისი დონის კულინარი ვერ ვარ.

**— რაც შეეხება თქვენს საფიქრალს...**

— რაც ოჯახი შევქმენი, ხშირად ვფიქრობ ჩემი შვილის მომავალზე. მინდა, მან მაინც იცხოვროს ისე, რომ მხოლოდ სულიერ ფასეულობებზე იფიქროს. არ მინდა სხვა არაფერი. თუნდაც არ ვიცოდე მინისტრების ვინაობა, პრეზიდენტის სახელიც კი, ოღონდ ვიცხოვრო სულიერი ფასეულობებით. მახსენდება ხშირად, მამას რომ ვკითხე ერთხელ: ეს რამხელა ცხვირი გქონია-მეთქი. ეს ცხვირი გაჭმევთ მთელ ოჯახს პურსაო. ნეტავ იმ დროს, ცხვირით ოჯახის რჩენა რომ შეიძლებოდა...

**— თქვენს ოჯახში ყველა თეატრალია და ერთხელ მაინც არავინ შეგაჩერათ, არ დაენანეთ მსახიობობისთვის, ეს ხომ რთული და სხვაზე დამოკიდებული პროფესიაა?**

— არც ხელი შეუშლიათ და არც მაინცდამაინც გახარებიათ. მაშინ კიდევ სხვა დრო იყო: არსებობდა კინო. არ ვიცი, მოკლედ ის დრო იყო, ცხვირით ოჯახის რჩენა რომ შეიძლებოდა. ახლა მიკვირს, თეატრალურ ინსტიტუტში აბარებენ ფასიან განყოფილებაზე, ფულს იხდიან იმაში, რომ მთელი ცხოვრება უფულოდ იყვნენ... ალბათ მოვა უკეთესი დრო. ზოგმა იცის თქმა: რა გენაღვლებათ, თან საყვარელ საქმეს აკეთებთ, თან მხიარულობთ, თან ფულს გიხდიანო. ასე არ არის... ზოგს საერთოდ ჰგონია, რომ თუკი კომედიური ჟანრის მსახიობი ხარ, სულ ანეკდოტებს უნდა ჰყვებოდე. გამაჩერებენ საგზაო პოლიციელები: ერთი ახალი ანეკდოტი მოგვიყევიო, არაფერი არ მახსენდება. ე, მამაშენი ყოფილიყო, მოგვიყვებოდაო, მეუბნებიან.

**— ბევრი თავისებურება აქვს თქვენს პროფესიას.**

— ერთ-ერთს გეტყვით. გაცინება ისე გემრიელი არსად არ არის, როგორც სცენაზე, როცა უადგილოდ იცინი. ხან ზურგით შევბრუნდებით მაყურებლისგან, სიცილს რომ ველარ ვიკავებთ... ეს არნახული განცდაა...

**— როცა ილლებით, სად გენატრებათ ყოფნა, სად გრძნობთ თავს კარგად?**

— პირველ რიგში ჩემს ოჯახში... მეგობრებთან და მარჯანიშვილის თეატრში... სულ ეს არის, რაც მე მჭირდება კარგი შეგრძნებებისთვის.

*ლელა ჯიყაშვილი*



# ვინ არის ფაბიანა ჯამბურია და როგორ იცელქა თიკამ...



*„საყვარელო თოვლის ბაბუ, გინდ დაიჯერე და გინდ არა, სხვა ბავშვებივით მთელ წელს შენს მოლოდინში ვატარებ. მათგან კი მხოლოდ იმით განვსხვავდები, რომ ძალიან საქმიანი და თითქმის სულ მოუცლელი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარული და ცნობილი ბავშვი ვარ, მეც ისეთივე საჩუქრებს გთხოვთ, როგორსაც სხვა ბავშვები. ახლა გადავიდეთ საქმეზე, ანუ რა მინდა: მინდა ბიორკის ორი სიდი ან კასეტა, კასეტის „პლეერი“, სკოლისათვის შავი ზურგჩანთა, „სონის“ ფირმის კომპიუტერი და მთელი ჩემი ოჯახის ბედნიერება — არაფერი რომ არ ჰქონდეს სანერვიულო. თოვლის ბაბუ, სხვა რაც გინდოდეს, ის წამომიღე. გკოცნის შენი თიკა.“*

*ამ წერილის ავტორი პატარა მომღერალი —* ***თიკა ჯამბურიაა****, რომელიც სწორედ თხის წელშია დაბადებული, სულ მალე დაბადებიდან 12 წელი შეუსრულდება და ისევ უნდა სჯეროდეს, რომ არსებობს თოვლის ბაბუა.*

— ბავშვობაში მატყუებდნენ, თოვლის ბაბუ მოგიტანს საჩუქრებსო. ბიძაჩემი გვეცხადებოდა „სანტა-კლაუსის“ სამოსით. ერთხელაც შემთხვევით ვიდეოჩანაწერი ვნახე — როგორ ემზადებოდა მატყუარა ბაბუ და მას მერე აღარ მჯერა საახალწლო სიურპრიზისა. მაგრამ ახლა ფაქტია, რომ თოვლის ბაბუები ნამდვილად არსებობენ. თქვენს გაზეთშიც წავიკითხე მათთან ინტერვიუები. ამიტომაც ავდექი და წერილი მივწერე, მაგრამ რად გინდათ, „კონკიასა“ და მისი ბოროტი ოჯახის წევრებივით მომივიდა. მართალია, ძალიან საყვარელი დედ-მამა და დები მყავს, მაგრამ ჩემს საახალწლო სურვილებს ანგარიშს არ უწევენ და თავიანთი გემოვნებით მირჩევენ საჩუქრებს. მოკლედ, მათი წყალობით „წერილი თოვლის ბაბუასადმი“ ადრესატამდე მიუსვლელი დარჩა...

**— თიკა, როგორც გავიგე, სიმღერის გარდა, ერთი დიდი საზრუნავი გაგიჩნდა „შვილობილის“ სახით. გვიამბე შენს ფაბიანაზე.**

— დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ამისრულეს ოცნება და მაჩუქეს პატარა ფაბიანა, ნაცრისფერი უსაყვარლესი პუდელი, რომელსაც ჩემთან ერთად აქვს დაბადების დღე. ფაბიანა ბიჭია და გოგოს სახელი ჰქვია. პასპორტშიც ასეა მითითებული — ფაბიანა ჯამბურია, დედა — თიკა ჯამბურია. იცით როგორ მიყვარს ამის წაკითხვა (იცინის)?

**— თიკა, 2002 წელს აქტიურობით ნამდვილად არ გამოირჩეოდი, ახალიც არაფერი შემოგითავაზებია, 2003 წელშიც ასე აპირებ გაგრძელებას?**

— უკვე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ წელს უამრავ საინტერესო პროექტს შემოგთავაზებთ. ეს თხის წელს არ დააბრალოთ... საერთოდ არ მჯერა ზოდიაქოების და ჰოროსკოპების. თუ ხელს და ტვინს არ გაანძრევ, ზევით ვარსკვლავებმა რაც არ უნდა ქნან, არა მგონია რამე გამოუვიდეთ და უსაქმური ადამიანი პოპულარული გახადონ. სულ მალე „უცნობთან“ ერთად ჩავწერ დუეტს და კლიპსაც გადავიღებთ, მერე კი ვლადიმერ პრესნიაკოვ-უმცროსთან ერთად ჩავწერ ახალ სიმღერას და, რაღა თქმა უნდა, კლიპიც გაკეთდება. ჩემმა მომავალმა პარტნიორმა მოსკოვში მომისმინა და თავად გაუჩნდა ამის სურვილი. ვფიქრობ, კარგი რამ გამოგვივა.

**— უფროსი თაობის მომღერლები ამბობენ, რომ ზოგჯერ სულ არ ემღერებათ, მაგრამ მაინც მღერიან. შენც გემართება ასე?**

— ზოგჯერ კი. ეს ხდება სცენაზე გასვლამდე, მაგრამ როგორც კი მაყურებლის წინაშე ვდგები, სიმღერის მეტი აღარაფერი მინდა.

**— თიკა, ვიცი, რომ შენ ზუკა ხუციშვილთან და ნინი ქარსელაძესთან მეგობრობ, დიდებივით იქცევით?**

— არა, რას ამბობთ, ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ არ წაგიკითხავთ? დიდობა სულაც არ არის საინტერესო და არც მე, არც ზუკას და ნინის ამაზე სული არ მიგვდის. ჩვენ ბავშვები ვართ და ბავშვურად ვურევთ ყოველთვის. ნინი ხშირად რჩება ჩემთან და იმ დღეს ყველაფერი თავდაყირა დგას. აქ ვერ შემოხვალთ. როგორც ჩემი უფროსი და, ნინო ამბობს — სახლში ორი ველური იმყოფება — თიკა და ნინი. ამას წინათ სარდაფის თეატრში ვიყავით სპექტაკლზე. იქიდან წამოსულებმა, მე და ნინიმ „ბომბორჩკები“ ვიყიდეთ და მთელი რუსთაველი ავიკელით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაფეთქებდით. ერთი შეხედვით იმ აურზაურში დაფეთებული ხალხი ვერ გვცნობდა და თუ ვინმე გვისაყვედურებდა, — აბა, რას შვრებითო, ვირცხვენდით, მაგრამ მერე მაინც ჩვენსას ვაგრძელებდით. თქვენც ხომ გამოგიცდიათ ბავშვობა? ჰოდა, გაგვიგეთ ამდენი მღერა, ამდენი ცეკვა ცოტათი ძნელია, ჩვენ ვცელქობთ, რომ არ დავბერდეთ.

*ეკა ლომიძე*




# ...და მოგონებად დარჩა წარსული

## მისი გაუხარელი ქალობა მეც მაწევს ცოდვად

რაც თავი მახსოვს, ძია სერგოს ვიცნობ, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ მისი გოროზი და საკმაოდ კუშტი გარეგნობის მიღმა ასეთი ფაქიზი სული იმალებოდა.

ადრე არც მეზობლებთან უყვარდა ეზოში ჯდომა და არც ეცალა ალბათ. საკმაოდ დიდი თანამდებობის პირს შინაურებიც კი იშვიათად ნახულობდნენ თავისუფალს...

ორი წელია, რაც პენსიაში გავიდა და ეზოშიც გამოჩნდა. მის გამოჩენაზე კაცები ფეხზე დგებოდნენ და სალაპარაკოდაც არ უჩერდებოდნენ, სანამ პროტესტი არ გამოთქვა: ხალხი არა ხართ, სად გარბიხართ, სანამ დირექტორი გავხდებოდი, ჩვეულებრივ ადამიანად დავიბადე, მეც თქვენი მსგავსი ვარ, მით უმეტეს, ახლა, როცა აღარავის ვჭირდები და ისინიც კი აღარ მკითხულობენ, ადრე ჩემს მზეს რომ იფიცებდნენო!..

როცა ახლოს გაიცნეს ძია სერგო, ენაკვიმატმა ვანომ თქვა: — ვაჰ, რა კაცს ჩრდილავდა თურმე თანამდებობა. რომ მცოდნოდა, ასეთი კარგი იყო, იმ ქარხანაში როგორ მოვაცდენდიო!..

ძია სერგოს ზაფხულში 70 წელი შეუსრულდა. მთელმა ეზომ აღნიშნა ეს თარიღი და პრეზიდენტის მიერ მისთვის გამოგზავნილი „ღირსების ორდენი“ თაფლივით ტკბილი გულაბი მსხლის ხეზე დაჰკიდეს: „ნამდვილად უხდება და დაიმსახურაო!“ სუფრაც სწორედ იმ მსხლის ძირში გაშალეს. ზეიმს მერაბი თამადობდა, რომლის მარტოობას ისე განიცდიან მეზობლები, რატომ დღეში ორ გოგოს არ გააცნობენ...

იმ დაბადების დღეზეც რომ შეუჩნდნენ და არ მოასვენეს, გამოტყდა: — ერთი გოგო მომწონს, მაგრამ ისეთი ანგელოზია, მე როგორ გამომყვება!.. თანაც ჩემზე მაღალია. სანამ არ გათხოვილა, სხვა ქალს ვერც შევხედავო!..

ამის გაგონებაზე [illegible] კაცები, — გვითხარი, ვინ არის და ახლავე აქ გავაჩენთ — მოტაცებაც დაუპირეს უცნობ მზეთუნახავს. [illegible] და არ გაამხილა მერაბმა მისი ვინაობა: ის რომ ჩემს გვერდით დავინახო, გული გამისკდება და მოვკვდებიო!..

ამ დროს ითხოვა ძია სერგომ სიტყვა:

— დიდი ხანია მიცნობთ და იცით, არასოდეს მაკლდა არც სიმაღლე და არც მხარბეჭი, მაგრამ საკუთარი თავი მაინც არ მომწონდა. ღარიბიც ვიყავი. 30 წლის ისე გავხდი, არც გამოსაცვლელი შარვალი მღირსებია და ფეხსაცმელშიც წყალი შემდიოდა ზამთარზაფხულ. ცოლი გვიან შევირთე. გარიგებით მოვიყვანე ნათელა და ახლა მასზე ძვირფასი არავინ მყავს, მაგრამ მაშინ არ მიყვარდა და ჩემთვის ამ ნაბიჯის გადადგმა სიკვდილის ტოლფასი იყო.

ვინც მიყვარდა, მართლა ანგელოზს ჰგავდა. მდიდარი ოჯახის ერთადერთი შვილი იყო. ბევრს რჩებოდა მასზე თვალიც და გულიც, მაგრამ ისე მოკრძალებით და ღირსებით ეჭირა თავი, ვაგლახად ვერავინ შეჰლიმებდა. ექიმი იყო. 30 წელს გადააბიჯა, გათხოვებას კი არ ფიქრობდა. ხმა დაუგდეს: — ამპარტავანია, ყველას დასცინის და ახლოს არავის იკარებსო!.. ჰოდა, ისედაც დამფრთხალს, რა მაფიქრებინებდა და გამაბედვინებდა მეთქვა, რომ მისი სიყვარული მწვავდა და მდაგავდა... ავდექი და ნათელა ვითხოვე ცოლად. მერე ეს სახლი ავაშენე და თქვენს მეზობლად გადმოვედი. იმ ქალს ვეღარც ვხედავდი. თავიდან ვკითხულობდი მის ამბავს და როცა მეუბნებოდნენ, — ისევ მარტოა, არ გათხოვილაო, — ბოლომით გავიფიქრებდი: — ახია შენზე ეგ მარტოობა, აბა, რა გეგონა, შემოხედვასაც რომ გვამადლიდი-მეთქი!.. მერე თითქოს თანდათან მიმავიწყდა...

ამ შვიდიოდე წლის წინ ერთმანეთს ისევ შეგვახვედრა განგებამ. ინფარქტით მომაკვდავი წამიყვანეს საავადმყოფოში. იმ ანგელოზის ხელში მოვხვდი, მან მაჩუქა სიცოცხლე, თან გადამყვა, ღამეებიც გამითენა.

პატარები აღარ ვიყავით, აღარც ის შიში და მორიდება მქონდა უკვე ქალის მიმართ, როგორც ახალგაზრდობაში და როგორც კი მოვიკეთე, პირდაპირ ვუთხარი: — ნეტავი იცოდეთ, როგორ მიყვარდით და რამდენი წელიწადი მაქვს გატარებული თქვენზე ოცნებაში,



სიზმარშიც მხოლოდ თქვენ გხედავდით-მეთქი!..

შემომხედა, ცრემლი გაუბრწყინდა თვალებში, მერე კი გაბზარული ხმით მითხრა: — თუ გიყვარდი, რატომ არაფერი მითხარი, შე ჩემო ცოდვით სავსევ, რად დამაბერე მოლოდინში?!. მეც, ვინ იცის, რამდენჯერ მიოცნებია: აი, ახლა მოვა, ხელს ჩამკიდებს, მომეფერება-თქო... [illegible]

— თქვენ ამბობთ ამას მაშინ, როცა ყველას გვონია, რომ არავინ მიგაჩნდათ ღირსად და ყველა ბიჭს სასაცილოდ იგდებდით?!

— ქალებს დაგვცინით და ჭორიკნებს გვეძახით, თქვენ კი განა უკეთესები ხართ? ვინ გითხრათ, რომ ამპარტავანი ვიყავი, ან ვინ დავცინე, ვის დავცინე... მარტოობისთვის გამწირეთ და გამიმეტეთ!..

ისე საცოდავი იყო იმ წუთში, მეც ავტირდი. შეეშინდა: — წარსულს უკან ვეღარ დავაბრუნებთ. შენი აღელვება არ შეიძლება... უბედური გავჩენილვარ ამ ქვეყანაზე და ჩემმა უბედობამ ვერ გაგაბედვინა სიყვარულის გამხელა. აბა, რა შენი ბრალიაო?!. — იქით დამამშვიდა.

ეეჰ, ეს რა ჩავიდინე... ქალი თავდავიწყებით მიყვარდა და სიყვარულის გამხელა როგორ ვერ გავუბედე...

ისევ მარტო იყო 60 წელს მიღწეული, ძველებურად ლამაზი, ოღონდ თვალები ჩაშრეტოდა, სევდა მოძალებოდა...

ასე მგონია, მისი გაუხარელი ქალობა მეც მაწევს ცოდვად. მე მეუღლე მიდგას გვერდით, შვილები და შვილიშვილები მახარებენ, ის კი?! — ისევ ცრემლი აუკიაფდა თვალებში ძია სერგოს.

...მერაბს გავხედე — თავი ჩაექინდრა და აშკარად ღელავდა!..

ამ ამბის შემდეგ სამ თვეზე ცოტა მეტი გავიდა და... მეზობლებმა ჩურჩული დაიწყეს: მერაბს ულამაზეს გოგოსთან ერთად ვხედავთ ხშირად. ისე შესციცინებენ ერთმანეთს თვალებში, ალბათ მალე ქორწილსაც გვაჭმევენო.

ძია სერგოს ნაამბობმა მერაბის სიყვარული გადაარჩინა და ძალიან გამიხარდება, თუკი სხვებიც სწორ დასკვნას გააკეთებენ: ვინ იცის, რამდენი მართლაც ანგელოზივით გოგო ელის მოთმინებით ბედს მხოლოდ იმიტომ, რომ კაცებს არასწორი წარმოდგენა აქვთ სიყვარულზეც და სილამაზეზეც!...

*ინგა ჯაყელი*

# უნდა ატაროს თუ არა მამაკაცმა სამკაული



ქალს ნებისმიერი სამკაულის გაკეთების უფლება აქვს, უხდება კიდევაც და მშვენიერებასაც მატებს. ამ მხრივ მამაკაცები დაჩაგრულები არიან. ეს კი უსამართლობაა, ასე თვლის ზოგიერთი ძლიერი სქესის წარმომადგენელი. სხვები კი ამბობენ, რომ კაცს სამკაული არ სჭირდება, რადგანაც ეს მხიარული სამშვენისი მის ვაჟკაცურ იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს.

ასევე ორად იყოფა ამ საკითხზე ფილოსოფოსთა მოსაზრებაც. ინგლისელი ფილოსოფოსი თომას კარლაილი ამბობს: — ბარბაროსებს დეკორატიულობისკენ ჰქონდათ მისწრაფება და ეს გადმონაშთი ჩვენი ცივილიზებული საზოგადოების მამაკაცებშიც იგრძნობა, რაც მათ ბარბაროსებთან აახლოებსო. კარლაილის კოლეგა თომას ელიოტი კი 1531 წელს პირიქით წერდა: — კეთილშობილ მამაკაცს მდიდრულად და შთამბეჭდავად, ღირსების შესაბამისად უნდა ეცვასო. და მაინც, უნდა ატაროს თუ არა მამაკაცმა სამკაული? ალბათ კი. სამკაულის შერჩევა ძნელია, მაგრამ შესაძლებელი. მთავარია, როგორ დაიმშვენებს მამაკაცი ამა თუ იმ სამკაულს. მაგალითად, ანტონიო ბანდერასს, ცეცხლოვან ესპანელს, აქვს უფლება ნებისმიერი სამშვენისი გაიკეთოს და კეკლუცობაში არავინ ჩამოართმევს, თუკი ყელზე რამდენიმე მონეტას დაიკიდებს, ჯონი დეპს არავინ გაკიცხავს იმის გამო, რომ ყელზე ჰკიდია მედალიონი კუბის რევოლუციის ერთ-ერთი ბელადის, ერნესტო ჩე გევარას გამოსახულებით, თმაჭაღარა ჰოლივუდის ვარსკვლავის რიჩარდ გირისთვის სწორედ რომ უპრიანია ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ბუდისტური სამაჯური, ანდა ვითომ რატომ არ უხდება სოსო პავლიაშვილს ძვირფასი ლითონის ჯვარი და ბეჭედი?

ბარბაროსად რომ არ ჩაითვალოს, მამაკაცმა უპრეტენზიო სამკაული უნდა გაიკეთოს. ოცი წლის და ოდნავ მეტი ხნის გრძელთმიან ჭაბუკს თუ გაღეღილ მკერდზე უბრწყინავს ოქროს ძეწკვი, ეს ვაჟკაცურ და ახლა მეტად მოდურ, მეკობრულ იერს ანიჭებს.

მართალია, დროის ნიშანია, რომ მამაკაცებისთვის სამკაულების ტარება შეზღუდულია, მაგრამ არის მონოკლი, რომელიც მათ პიკანტურობას მატებს. ძალიან უხდება მამაკაცს ოქროს ან ვერცხლის ღილები ან მანჟეტის საკინძი. ერთკარატიანი ძვირფასთვლიანი საკინძების ტარების უფლება საკუთარ თავს შეუძლიათ მისცენ 50 წელს გადაცილებულმა მამაკაცებმა.

# იღბლიანები და უიღბლონი

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობითო, — ამბობენ ხშირად და მართლაც ასეა. ყოველი შემთხვევისთვის, მთავარია, მზად ვიყოთ, თორემ კურიოზი არ აგვცდება, რასაც ჩემი რესპონდენტების ნაამბობიც ადასტურებს. მთელი წლის განმავლობაში ერთგულ რესპონდენტ მამაკაცებს ამგვარი კითხვით მივმართავ: რა იყო თქვენთვის მოულოდნელი მიმდინარე წელს და როგორ შეხვდით სიურპრიზებს?



**ლუკა (29 წლის):** — წლის დასაწყისშივე მოულოდნელი ამბის გამო კინაღამ სიხარულით შევიშალე. 10 წლის ცოლ-ქმარს ბავშვი არ გვიჩნდებოდა. სად არ ვიყავით, მკურნალობის რა ხერხს არ მივმართეთ, მაგრამ ამაოდ, ყველგან ერთსა და იმავეს გვეუბნებოდნენ — ჯანსაღები ხართ, მაგრამ სანამ ღმერთი არ ინებებს, შვილი არ შეგეძინებათო. 15 იანვარს ჩემი მეუღლე მოულოდნელად ცუდად გახდა. გული წაუვიდა. გავგიჟდი, სასწრაფო სამედიცინო დახმარება ვიხმეთ... ექიმმა რომ მითხრა, — გილოცავთ, მამა გახდებითო, გიჟივით მივვარდი, ვხარხარებდი, ვაჯანჯღარებდი და ჩავძახოდი, — კიდევ, კიდევ გაიმეორე-მეთქი. უკვე შეგვეძინა ბიჭი — გიორგი.

**თემური (38 წლის):** — ბიზნესს ვეწევი. წელს წავაგე კიდეც და მოგებაც ვნახე. თანაც, მოულოდნელად მიმუხთლებდა ხოლმე ბედი, იმედგაცრუებულს კი უცებ საქმე გამომისწორდებოდა. ამნაირ უცნაურ მდგომარეობაში არასდროს ვყოფილვარ.

**გიორგი (56 წლის):** — ჩემთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა ქართულ პოლიტიკაში ხდება, ვინ ვის უძვრება და ვინ რას ქმნის, ვითომ პარტიების სახით, ვეღარ გავიგე. ეს ქვეყანა კი არა, უცნაურობების სამყაროა, სადაც უმრავლესობა იმ მდგომარეობაშია, ირაკლი ჩარკვიანი რომ მღერის — „შენ აფრენ...“ ყველანი ვაფრენთ და ვეღარ გამიგია, როდის მოვალთ გონს...

**ბექა (19 წლის):** — ეჰ, აღარ გამახსენოთ ეგ მოულოდნელობები... გამოცდებისთვის თუ მოვემზადე, სამიანებს ვიღებ, თუ არა — 4-იანებს და 5-იანებს. ტოტალიზატორში — თუ ბევრს ვიფიქრებ და ისე დავდებ ფსონებს, ვაგებ, თუ არა და, ვიგებ; გოგო თუ მომეწონა და გაცნობა გადავწყვიტე, აღმოჩნდება რომ გათხოვილია. გზაზე მოძრაობის წესებს თუ დავარღვევ — პოლიცია თითქოს მიწიდან ამოძვრება ჩემ წინ. ბებიაჩემს ფულს თუ მოვთხოვ, იმ თვეში პენსიას უყინავენ... დიდი უიღბლო ვინმე ვარ.

**გურამი (52 წლის):** — რაგბისტებმა რომ სირცხვილი არ გვაჭამეს, ეგ მართლა მოულოდნელობა იყო. ისე იმოქმედა, რომ სტადიონიდან წამოსული ჩემთვის ქუჩაში მივდიოდი, მკერდში მჯიღს ვიცემდი და „ბორჯღალი“-„ბორჯღალიო“, გავიძახოდი. კახეთში ყურძნის მოსავალი რომ მოვიდა, ეგეც მოულოდნელი ამბავი იყო ჩემთვის. პიტერ შოუა თუ პეტრე-სანახაობა, მაგის გაქრობა და გამოჩენაც რაღაც საეჭვოდ ჩანდა.

მე თუ მოვიგონე რამე? რა ვიცი, აბა? მეზობელი მყავს ერთი, თემურა მღებრიშვილის ორეულია თითქმის. ერთ კაცს დავენაძლევე, თემურასთან გაქეიფებ ამ საღამოს, ჩემი ძმაკაცია-მეთქი და მოვიგე. კიდევ რა — თვალებს რომ ვაფახულებ და მიწაზე დავდივარ, ე.ი. კიდევ ერთი წელი მოვიგე.

*ეკა ლომიძე*

# მილიონერობამდე... ერთჯერადი ჭიქა!



1907 წელს ამერიკელი ჰიუ მური ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩაირიცხა და ვინ იცის, რა გამოვიდოდა მისგან, რომ არა მისი ნათესავი ლოურენს ლუელენი, რომელიც თვლიდა, რომ სწავლა დროის ფუჭი ფლანგვაა და გაუნათლებლადაც შეიძლება წარმატების მიღწევა, თუ რაიმე საჭირო და მომგებიან ნივთს გამოიგონებს კაცი. ერთ დღეს ჰიუს უნივერსიტეტში მიადგა და უთხრა, — გაზიანი წყლის ავტომატის პატენტი ავიღე. გავმდიდრდებით, თუ შენ სწავლას თავს დაანებებ და ბიზნესში გვერდში ამომიდგებიო. ჰიუმ ჯერ უნდობლად გაიღიმა, მაგრამ, როცა ლოურენმა გეგმა დაუსახა, ჰარვარდიდან მაშინვე გუდა-ნაბადი აიკრა.

მალე რკინიგზის სადგურებსა და ქალაქის ქუჩებში წყლის გასაყიდი ავტომატები გაჩნდა, მაგრამ ვაჭრობა დუნედ მიდიოდა, რადგან ამერიკის ყველა ქალაქში ონკანში წყალი მოჩხრიალებდა, მაშ, რატომ გადაიხდიდნენ ფულს ავტომატში? საქმე მას შემდეგ გამოკეთდა, რაც ჯანმრთელობის სამინისტრომ გამოაცხადა — ონკანებთან ჩამოკიდებული საერთო სარგებლობის ჭიქები მიკრობების გამავრცელებელიაო. გაიხარეს ყმაწვილებმა — ისინი თავისი ავტომატისთვის ერთჯერად ქაღალდის ჭიქებს იყენებდნენ, მაგრამ წყალს მაინც არავინ ეკარებოდა...

უეცრად ჰიუ მიხვდა, რომ წყლით კი არ უნდა ევაჭრათ, არამედ ჭიქებით. ტუბერკულოზით ან გრიპით დაავადების შიშით ხალხი ერთჯერად ჭიქებს ყიდულობდა. ჰიუმ დააჯერა ნათესავი, რომ ნიუ-იორკში გადაბარგებულიყვნენ და „ინდივიდუალური ჭიქების“ ფირმა გაეხსნათ. იდეალური სპონსორიც იშოვეს — ამერიკის საკონსერვო კომპანიის პრეზიდენტი გრეჰემი, რომელსაც მიკრობებისა პანიკურად ეშინოდა. ის ყმაწვილებს ფირმაში 200 ათასი დოლარის ჩადებას დაჰპირდა. სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა სკოლებში ჩატარებული გამოკვლევების მონაცემები, სადაც გამოვლინდა უამრავი ვირუსი, რომელთაც უსასყიდლო სასმელი კასრები ავრცელებდნენ. მშობლები დაფრთხნენ. იხელთა დრო ჰიუმ და თავისი ჭიქებით ვაჭრობა დაიწყო.

ასი წელი გავიდა მას შემდეგ. ერთჯერად ჭიქებზე კი დღესაც დიდი მოთხოვნაა: ოფისებში, სკოლებში, მატარებლებში, სასადილოებში და ცოტამ თუ იცის, რომ ყველასათვის ნაცნობი ჭიქა ოდესღაც მხოლოდ გაჯანსაღებისათვის მებრძოლთა დამხმარე ატრიბუტი იყო...

# მატყუარა მამაკაცები



ცოლიან მამაკაცს მეუღლესთან შეუძლია ყველაფერზე იცრუოს — დაწყებული სასიყვარულო კავშირებით და დამთავრებული მეგობრებთან ურთიერთობით — ამტკიცებენ ფრანგი სოციოლოგები.

როგორც გამოკითხვამ ცხადყო, მამაკაცების უმრავლესობას საყვარელი ჰყავს ან მზად არის, გაიჩინოს.

ერთ მეხუთედზე მეტი ქორწინებისას დარწმუნებული არ ყოფილა, ნამდვილად უყვარდა თუ არა საცოლე; ბევრმა აღიარა, ქორწილის შემდეგ მალევე გავგრიალდი ქალებშიო; მამაკაცების ნაწილი ნანობს, რომ ცოლი შეირთო, ზოგმა განაცხადა, — რომ წარმოვიდგენთ, მთელი სიცოცხლე ერთ ქალთან უნდა ვიწვეთ, ლამის გული გაგვისკდესო; ბევრს მიაჩნია, რომ დროთა განმავლობაში ცოლთან ურთიერთობა გაუუმჯობესდა, უმეტესობამ კი ცოლი საუკეთესო მეგობრად აღიარა.

# მე მხოლოდ ერთი ქალი მიყვარდა

## როცა „ავტორიტეტები“ ალაპარაკდებიან...

ნინასაახალწლო პერიოდში ჩემი მეგობარი შემითანხმდა, ერთ საინტერესო ადამიანს გაგაცნობ, სხვათა შორის, კრიმინალურ სამყაროში ავტორიტეტით სარგებლობს და თავის ამბავსაც გულახდილად გიამბობსო. კი, მაგრამ, როდის იყო „ავტორიტეტები“ თავის ამბავს ჟურნალისტებს უამბობდნენ-მეთქი, — ვერ დავმალე გაოცება. მაგაზე ნუ ინაღვლებ, ის უკვე თანახმაა, შენ კი მაინცდამაინც სახელით და გვარით ნუ გამოაჭენებო.

როცა მეგობართან მივედი, სუფრა გაშლილი დამხვდა. ოჯახის უფროსმა თავისი მეგობარი გამაცნო. მივხვდი, სწორედ ის იყო ჩემი რესპონდენტი...

თამაზი (პირობითი სახელია) ახალი ჩამოსულია მოსკოვიდან და იანვრის ბოლომდე აპირებს დარჩენას. როცა ვკითხე, რას საქმიანობთ მოსკოვში-მეთქი, ღიმილიანი დუმილით „მიპასუხა“. ჩემმა მეგობარმა ჯერ ჩახველებით, მერე კი ხელით მიმანიშნა, „უტაქტო“ შეკითხვებს თავი დაანებეო.

მეც საქმეზე გადავედი. დიქტოფონი მოვიმარჯვე. თამაზს კვლავ გაეღიმა: თუ და ხარ, დიქტოფონი გამორთე, ისეთს არაფერს გეტყვი, რომ ვერ დაიმახსოვრო, ვისაუბროთ შინაურულად, თორემ თავი დაკითხვაზე მგონიაო.

სურვილი უსიტყვოდ შევუსრულე...

— რასაც გეტყვი, შეულამაზებლად დაწერ? — მკითხა.

**— რა თქმა უნდა!**

— იცი, რატომ გეკითხები? ქალებს არ გიყვართ ერთმანეთის გაკრიტიკება... რასაც მოგიყვები, იმის მიხედვით შეიძლება, „ის“ სულაც არ გაამტყუნო; თუმცა არავისგან, მათ შორის, არც ჟურნალისტისგან, არ მჭირდება მტყუან-მართლის გარჩევა. ისე, ორთა შორის, წარმოუდგენელია, რომ ერთი ყველაფერში მართალი იყოს, მეორე კი ყველაფერში მტყუანი... რაღაც-რაღაცებში მეც მიმიძღვის ბრალი, მაგრამ ის ქალი ისე მიყვარდა, იმ სიყვარულისთვის ღირდა „სხვა რამეებზე“ თვალის დახუჭვა...

**— ყურადღებით გისმენთ.**

— მთელმა სკოლამ იცოდა, რომ ლიკა მიყვარდა, რას არ ვაკეთებდი მისი გულისთვის... ერთხელ დაიჩივლა, ისტორიის მომზადება ვერ მოვასწარი, არადა გული მიგრძნობს, გამიძახებსო. სკოლაში კომისია იყო მოსული. ისტორიის მასწავლებელს ორი დამსწრე შემოჰყვა. ლიკას ვარაუდი გამართლდა — პედაგოგმა საუკეთესო მოსწავლე გაიძახა... მივხვდი, ჩემ გარდა ლიკას ვერავინ „გადაარჩენდა“. გავაკეთე რამდენიმე ქაღალდის წერო და სტვენა-სტვენით კლასში გავუშვი. ეს ყოვლად წარმოუდგენელი რამ იყო მაშინ, მით უფრო ისეთი მკაცრი მასწავლებლის გაკვეთილზე, თანაც კომისიის წევრთა თანდასწრებით. ყველანი გაშეშდნენ. გარეთ გადიო, — მკაცრად მითხრა მასწავლებელმა. არა-მეთქი, — ვუთხარი და კვლავ გავაგრძელე „საქმიანობა“. სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ „წეროების“ შრიალი და ჩემი სტვენა ისმოდა.... რაღა თქმა უნდა, გაკვეთილი ჩაიშალა, ლიკა „გადარჩა“, სამაგიეროდ, ჩემი საკითხი პედსაბჭოზე გაიტანეს. სკოლიდან არ გამრიცხეს, რადგან დამრიგებელი და კლასელები ჩაერივნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემს ამხანაგებს დამრიგებლისთვის და ისტორიის მასწავლებლისთვის სიმართლე უთქვამთ და მათაც დიდსულოვნად მაპატიეს სიყვარულისთვის ჩადენილი ხულიგნობა.

ლიკას გამო მეორე „დანაშაულსაც“ ვერ ავცდი. ხაზვის მასწავლებელი გვყავდა ერთი, შერეკილი ტიპი იყო. ისეთ დონეზე გვასწავლიდა და გვთხოვდა ურთულესი დეტალების დახაზვას, გეგონება „გეპეის“ სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტები ვიყავით. ერთხელაც, დაფაზე დახაზა რაღაც და დაგვავალა, გადახაზეთო. მერე დავალება შეგვიმოწმა. არც ერთი ფრიადოსნის ნახაზი არ მოეწონა, ლიკაც გვარიანად გამოლანძღა. თვალთ დამიბნელდა, როცა ლიკას ცრემლები დავინახე და წამოვუხტი... კაცი გაშრა, ქეჩოში ხელი ჩამავლო და გარეთ



გამაგდო. ასე არ უნდა-მეთქი, დერეფანში ყველა ფანჯარა ჩავლეწე...

**— ალბათ კვლავ პედსაბჭოზე „გაგიწვიეს“.**

— არა, რადგან ცუდად გავხდი — მარცხენა ხელის ვენა გადაჭრილი მქონდა... ხაზვის მასწავლებელს დირექტორმა აქეთ უსაყვედურა: ხომ იცი, რომ ემოციური ბიჭია, პედაგოგი ხარ და მეტი ტაქტი უნდა გქონდესო...

გაკვეთილების მერე ლიკას მუდამ სახლამდე ვაცილებდი. ერთხელ გამიბრაზდა: რას გადამეკიდე, რა გინდა, შენი შიშით ხმას ვერავინ მცემსო. გამოვბრუნდი უკან, ვიშოვე წითელი საღებავი და მის სადარბაზოში ყოველ სართულზე დავაწერე: „თაზო+ლიკა=შეყვარებულებს“. ბოლო ორ სართულზე საღებავი აღარ მეყო (მერვე სართულზე ცხოვრობდა), ჯაყვით თითი გადავიჭერი და სისხლით დავაწერე: „ლიკა, მე შენ მიყვარხარ“. მერე ტელეფონზე დავურეკე და ვუთხარი, სართულ-სართულ ჩამოიარე და წაიკითხე, რაც დავწერე-მეთქი. მეორე დღეს ლიკამ კლასში დამინახა თუ არა, გაეცინა, საფეთქელთან თითი დაიტრიალა, — გიჟი ხარ, საქმე გამიჩინე. დედაჩემს რომ არ ენახა, მის მოსვლამდე მე და ჩემმა მეზობელმა გოგონამ ძლივს წავშალეთო...

მაშინ მომავალს სულ სხვანაირად ვსახავდი, ლიკას ჩემს ცოლად წარმოვიდგენდი... თუმცა მოგვიანებით იგი მაინც გახდა ჩემი ცოლი... სკოლა რომ დავამთავრეთ, ვთხოვე, ცოლად გამომყევი-მეთქი. ჯერ უნდა ვისწავლოო. დავუთმე, ვიფიქრე, მოეწყობა ინსტიტუტში, სადღა წამივა, თუ კიდევ უარს მეტყვის, მოვიტაცებ-მეთქი. სამწუხაროდ, უბნის ბიჭებმა ბინის გაქურდვა შემომთავაზეს... ჩავვარდით. 6-6 წელი მოგვისაჯეს. ერთადერთი, რაც მაფორიაქებდა, ის იყო, რომ ლიკა არ გათხოვილიყო. წერილი მივწერე — ვემუდარებოდი, დამლოდებოდა. პასუხი არ მაღირსა. ოთხ წელიწადში გამოვედი. მაშინვე ლიკას მივაკითხე. მეგობრებისაგან ვიცოდი, რომ იგი თანაკურსელს გაჰყვა ცოლად, მალევე გასცილდა. პატარა ნიკუშასთან ერთად დედ-მამასთან ცხოვრობდა. საყვედურის მსგავსიც კი არაფერი დამცდენია, ეგრევე ვუთხარი, ახლა მაინც გამომყევი ცოლად, ნიკუშას მე გავუწევ მამობას-მეთქი. გამომყვა. შეგვეძინა ტყუპი ქალ-ვაჟი, მაიკო და ცოტნე. მაშინაც ძალიან ბედნიერი ვიყავი. ერთადერთი, რაზედაც კონფლიქტი მოგვდიოდა მე და ლიკას, ჩემი უმუშევრობა იყო, მაგრამ მაშინ არ მესმოდა, რატომ მედავებოდა, მას ხომ არაფერი აკლდა? ფინანსურად ჩემი მშობლები და უფროსი ძმა გვეხმარებოდნენ, არც მე მაკლდა ფული, „საქმეს“ ავიღებდი და იქიდან კარგი წილი მრჩებოდა. მეორედ სულ ტყუილუბრალოდ ჩავვარდი. ერთმა მეგობარმა იარაღის შენახვა მთხოვა. ეტყობა, კუდი გამოჰყვა (ციხიდან ახალი გამოსული იყო) და მეორე დღესვე მილიცია დამადგა თავს... ამიყვანეს. ორ წელიწადში გამოვედი. იქიდან სისტემატურად ვუგზავნიდი ლიკას ფულს, არც ჩემებისგან აკლდა ყურადღება, მაგრამ ქალი ქალია, რას გაუგებ, რა აქვს გულში? სევდიანი დამხვდა, გულჩათხრობილი. ვიფიქრე, უჩემობას განიცდიდა-მეთქი. ყველანაირად ვცდილობდი, სევდა გადაეყარა. თითქოს გახალისდა. მეხვეწებოდა, რომ აღარაფერი ჩამედინა ისეთი, რაც კვლავ დაგვაშორებდა. ვპირდებოდი, მართლა გულით ვპირდებოდი, მაგრამ...

ერთხელ მეგობარმა სანაპიროზე, რესტორან „ქალაქურში“ დამპატიჟა, თან მთხოვა, ლიკას გარეშე მოდი, ერთი საქმის გარკვევაში შენი დახმარება მჭირდებაო. გასაჭირი მიამბო. თურმე ვიღაცისთვის მანქანა მიუყიდია. მყიდველს უთხოვია, ახლა მხოლოდ ბეს დამჯერდი, გადამიფორმე მანქანა და ფულს სრულად ორ კვირაში ჩაგაბარებო. ახლობელი იდგა შუაში, რას ვიფიქრებდი, თუ გამაცურებდა. მას შემდეგ, 7 თვე გავიდაო. დავამშვიდე, ხვალვე მოგიტან ფულს-მეთქი. მალე დარბაზში სწორედ ის მყიდველი შემოვიდა ამფსონებთან ერთად (ეტყობა გაიგო, სადაც ქეიფობდა). აშკარად მისი შეშინება უნდოდათ, მაგრამ მე რომ დამინახეს, უკან დაიხიეს. ბევრი არ მილაპარაკია, ვუთხარი, ხვალ, საღამოს 10 სთ-ზე დარჩენილი ფული დაეხვედრებინა, თუ არადა, მესამე დღეს ორმაგს მოვთხოვდი. მეორე დღეს კარს მივადექით. იმ დეგენერატმა ფულის მაგივრად რევოლვერი დააძრო და ჩემი ძმაკაცი დაჭრა, გავგიჟდი, მეც მქონდა იარაღი, ვესროლე და... მე რომ არ მესროლა, ის დაგვხოცავდა. ისევ „სროკზე“ წავედი. ამჯერად ციმბირში მოვხვდი. ლიკა სასამართლოზე არ გამოჩენილა. მივხვდი, ისეთი ნაწყენი იყო, დანახვაც აღარ უნდოდა ჩემი. კვლავ წერილებში ვთხოვდი პატიებას, მაგრამ ამაოდ. სანახავად მხოლოდ მშობლები, ჩემი ძმა და ნათესავები მოდიოდნენ. ცოლ-შვილი სიგიჟემდე მენატრებოდა. ასე არასოდეს გამჭირვებია ციხეში ყოფნა. როგორც იქნა, 7 წელი მიილია, ბოლო ორი წელი ხონის კოლონიაში გადმომიყვანეს. მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ლიკა ნიკუშას მამას დაბრუნებოდა. გონება დამებინდა, ვერ ვაზროვნებდი რას ვაკეთებდი. მივედი იმათ სახლში. ლიკამ მითხრა, დავიღალე შენს მოლოდინში, წყნარი ცხოვრება მინდა, არ მინდა ჩემს შვილებს ვინმემ წამოაძახოს, ქურდი მამა გყავთო. გავცოფდი. ლიკასთვის უკადრებელი არასოდეს მიკადრებია, მაგრამ იმ წუთებში ძალიან მინდოდა მეცემა. ხელი მაინც ვერ ავწიე, ესღა მივაძახე, — შუბლს გაგიხვრეტ-მეთქი... ორი კვირა გათიშული ვიყავი. მერე გავიგე, რომ ლიკა და მისი ქმარი ისე შეშინებულან, მილიციისთვის შეუტყობინებიათ ჩემი მუქარის შესახებ. ზაფხული ისე მიილია, ახლოსაც არ გავკარებივარ. სექტემბერში სკოლაში ჩავუსაფრდი ბავშვებს (ჩემი შვილები უკვე მეოთხე კლასში იყვნენ). მაიკოს და ცოტნეს ძალიან გაეხარდათ ჩემი დანახვა. თუმცა კი ცოტა შეშინებულები ჩანდნენ. მანქანაში უამრავი საჩუქარი დავახვედრე და ორჯონიკიძისკენ დავუბერე. ბავშვებს ავუხსენი, რომ მათ გარეშე ცხოვრება არ შემეძლო, ლიკა იდარდებდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეეგუებოდა, რადგან ნიკუშაც ჰყავდა და ქმარიც. ცოტნემ უფრო კაცურად გადაიტანა ეს ამბავი, მაიკომ ცოტა ხანს იტირა, მაგრამ ბავშვი მაინც ბავშვია. პირველი დღეები ყირაზე დავდექი, ისე გავართე და მანაც გამოიდარა. ორჯონიკიძიდან მოსკოვში წავედით. იქიდან ლიკას შევატყობინე, ბავშვებს მე გავზრდი, არაფერს მოვაკლებ და თუ ჭკვიანად იქნები, ზაფხულობით ერთი თვე შენთან გამოვუშვებ-მეთქი. ლვოვში წავედით... იქ დავამთავრებინე ბავშვებს სკოლა. მეგონა, ლიკამ იოლად გადაიტანა შვილების გარეშე ცხოვრება, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წელიწადში ორჯერ ვაჩვენებდი ბავშვებს, მაინც ძალიან იდარდა და 5 წლის წინ, იანვარში გარდაიცვალა. მისი სიკვდილი ძალიან განვიცადე. ქალივით ვღრიალებდი. ისევ მაიკომ და ცოტნემ გამომიყვანეს მდგომარეობიდან. ნიკუშას მამას ვთხოვე, რომ დაკრძალვის ხარჯები და საფლავის გაკეთება ჩემთვის მოენდო. ნება დამრთო... მას მერე ყოველ იანვარში თბილისში ჩამოვდივარ. მაიკო აქ გათხოვდა, ორი წლის ლიკა ჰყავს. მე და ცოტნე კი მოსკოვში ვცხოვრობთ.

**— ცოლი აღარ შეგირთავთ?**

— მე მხოლოდ ერთი ქალი მიყვარდა, მის შემდეგ ვერავის სიყვარული ვერ შევძელი. შარშან, მოსკოვში ჩემი მეგობარი მეწვია სტუმრად. ვიცი, რომ მასაც სიყვარულით ჰყავდა ცოლი მოყვანილი. ვკითხე, რატომ დალი არ წამოიყვანე-მეთქი. გაუკვირდა: რას ამბობ, ბიჭო, რუსეთში ვიყო და ისევ ცოლთან ვიწვეო? მაცადე ცოტა ხანს გალაღება, საბოლოოდ კვლავ დალის დავუბრუნდები, აბა რა ჯანდაბას ვიზამო? მწარედ გამეღიმა... სანამ ლიკა ჩემ გვერდით იყო, ფიქრადაც არ გამივლია სხვა ქალთან ყოფნა. ერთმანეთზე უკეთესს რა დალევს, მაგრამ როცა ქალი გულწრფელად გიყვარს, იგი ყოველთვის სასურველია შენთვის...

გამომშვიდობებისას ბედნიერება ვუსურვე თამაზს. ეგ კარგა ხანია წარსულს გადავაბარე, ახლა შვილების სიხარულილა მახარებსო.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# იმ ალქაჯმა მანქანის „კრიშა“ გამიხვრიტა

**ამ საახალწლო დღეებში ხშირად მიწევდა ტაქსით მგზავრობა. მანქანაში ჩაჯდომისთანავე მე და მძღოლები კეთილ სურვილებს არ ვიშურებდით ერთმანეთის მიმართ და ტკბილი სიტყვით გულგახსნილები კიდეც ვჭორაობდით. ჩვენს ქვეყანაში კი გასაჭირი რომ ცოტა არ არის, კარგად მოგეხსენებათ.**

**მოკლედ, ერთ-ერთი ტაქსისტის მონაყოლმა მეტისმეტად მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, საბრალო, ახალი წლის ღამეს ლამაზმანებს დაუყაჩაღებია და შიშით კინაღამ გული გახეთქია.**

**მძღოლის მონათხრობის შემდეგ გადავწყვიტე, ქალების ნაცვლად კითხვით ტაქსისტებისთვის მიმემართა: — რა ასოციაციებს იწვევს თქვენში ქალი და ტაქსი-მეთქი.**



**გურამი:** — ქალი და ტაქსი? ჟრუანტელი მივლის, ამ სიტყვების გაგონებაზე. ადრე ქალი ხელს რომ დამიქნევდა, თუ ლამაზი იყო, ვცდილობდი, განსაკუთრებული მოწიწებით გამეჩერებინა ტაქსი და ხშირად ფულიც კი არ გამომირთმევია, მაგრამ 31 დეკემბრის შემდეგ ქალი, თუ ახალგაზრდაა და თანაც ლამაზი, უკვე ვყოყმანობ, გავუჩერო თუ არა-მეთქი.

2002 წელი იწურებოდა და ვიფიქრე, სანამ შევძლებ, ვიმუშავებ, იქნებ ორიოდ გროში გავაკეთო „სეზონზე“-მეთქი გამიმართლა, მგზავრების მიყვან-მოყვანას ვერ ავუდიოდი. გასამრჯელოსთან ერთად, ზოგი რას მიტოვებდა მანქანაში და ზოგი რას. ტკბილეულით ამივსეს სალონი.

იქნებოდა ასე პირველის ნახევარი, ტელევიზიის პირდაპირ, ბარის თუ რესტორნის წინ სამი შხვართალა, დახატული გოგო იდგა. ხელი დამიქნიეს. შევაჩერე. შემოცვივდნენ. ერთი წინ დამიჯდა. გილოცავ ახალ წელსო, — შემომღიმა, ბეწვის ქურქიდან იარაღი დააძრო და საფეთქელზე მომადო — აბა, ახლა გარეკე და თან რაც გიმუშავია, მაიტაო. გამეცინა. რას ვიფიქრებდი, რომ არ მეხუმრებოდნენ. ის ორი უკან მჯდომიც აჰყვა. „მარიგებდნენ“ — ბიჭო, ეგ მაგარი ცოფიანი ნაშაა, ფრთხილად, რასაც გეტყვის, ყველაფერზე დაეთანხმეო. სიცილს რომ ვუმატე, მიხვდა, მისი რომ არ მჯეროდა და იმ ალქაჯმა მანქანის „კრიშა“ გამიხვრიტა ტყვიით. საბურთალოზე სადღაც ჩიხებში მატარეს. ერთ ყრუ ადგილზე გადაცვივდნენ მანქანიდან და ალბათ ჯანდაბაში წავიდნენ. კაცს არ გაუკეთებია ჩემთვის ის, რაც ქალებმა გამიკეთეს.

**გარიკა:** — ღამე მუშაობა მიყვარს. დღისით ვისვენებ. ღამე უფრო კაი ფულს ვაკეთებ. თავგადასავლებიც ბევრი მაქვს. ქალსაც ბევრს შევხვედრივარ უცნაურს, მაგრამ ერთი რომ იყო, იმას ვერ დავივიწყებ ვერასდროს. რესტორნიდან დამირეკა ერთმა მუდმივმა კლიენტმა — მოდი, მგზავრი უნდა გაგატანოთო. მივედი, ჩამისვეს რუსის გოგო მანქანაში და მითხრეს, — სადაც გეტყვის, იქ მიიყვანეო. გოგო თავისი ფეხით ჩაჯდა. იცინოდა, ლაპარაკობდა. ხუთ წუთში გაითიშა. რომ მივუბრუნდი და ვკითხე, სად გნებავთ მიყვანა-მეთქი, ერთი გადაატრიალა თვალები და „სიდენიაზე“ გაწვა. ვაი, ჩემს პატრონს-მეთქი. მივატრიალე მანქანა და მივადექი ისევ რესტორანს. რად გინდა! იქ აღარავინ დამხვდრია. რას ვიზამდი... ის შტერი გოგო გონზე ვერ მოდიოდა. ისეთი მთვრალი იყო, გრძნობა არ ჰქონდა. ჩემთან ვერ წავიყვანდი — ცოლი გააფრენდა. პოლიციაში მისათრევად შემეცოდა. დავაყენე მანქანა ერთ „სტაიანკაზე“ და დაველოდე გათენებას. გათენდა, გაილვიძა. იმან ამბავი დამაწია, გახსენება არ მინდა. ერთი კვირა პოლიციაში დავდიოდი იმის დასამტკიცებლად, რომ იმ უნამუსო გოგოსგან არაფერი მინდოდა. სანამ ის ჩემი ნაცნობი არ შემეხმიანა ტელეფონით და მორიგი მგზავრის გადასაყვანად არ მიხმო, მანამ ვერ მოვიშორე რუსი ლოთი გოგო და პოლიცია. ეს „ბასიაჩკა“ ფულს მძალავდა, ვითომ როგორც თავისი „წმინდა“ ნამუსის ამხდელს... მას მერე რუსის დედაკაცს, მთვრალს კი არა, ფხიზელსაც არ ვიკარებ!..

**თამაზი:** — რაც ქვეყანა აირია, მას მერე „ვტაქსაობ“. „მხედრიონის“ „პარადი“ რომ იყო, მაგრად მეშინოდა, მაგრამ ლუკმაპურისთვის მაინც დღე და ღამე ვმუშაობდი. ერთ საღამოს ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა გამაჩერა. თემქაზე უნდოდა წასვლა. მანამდე ლოტკინზე უნდა გამატარო ახლობელთანო. ხუდადოვი ავათავეთ და სამი ავტომატიანიც გადაგვიდგა წინ. გარშემო კაცის ჭაჭანება არ იყო. გავაჩერე მანქანა. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, იქვე მიმაკლავდნენ. ქალისკენ მივიხედე — მშვიდად იჯდა.

გადმოდი მანქანიდანო — ყაჩაღებმა. გადავედი. გასაღები მომეციო, მანიშნა ერთმა. მაშინ ახალი მანქანა მყავდა. რატომ უნდა მოგცემეთქი, რომ შევეპასუხე, დამეტაკნენ და კაპოტზე წამაწვინეს ხელებაწეული.

ამასობაში, მანქანის კარი გაიღო და ის ქალი მანქანიდან გადმოვიდა. ამათ შეხედეს, — ქალბატონო, თუ გეჩქარებათ, ფეხით მოგიწევთ წასვლა. თუ არა და, ცოტა მოითმინეთ, საქმეს მოვრჩებით და მოგაცილებთ შინამდეო.

არ მახსოვს, როგორ გაიშხლართა ამის მთქმელი ყაჩაღი ძირს. მისი ავტომატი კიდევ იმ ქალის ხელში აღმოჩნდა — კარატისტი ყოფილა დალოცვილი. სამივე მამაძაღლი გაკოჭა, მანქანაში ჩამასმევინა და მითხრა, ახლა სადაც გითხარი, იქ წამიყვანე ამათთან ერთად და მერე თქვენი გზით წადითო.

მას მერე არც იმ ყაჩაღებისა ვიცი რამე და არც ქალისა.

დღემდე მჯერა, რომ იმ ქალის თავი ღმერთმა იმ საღამოს მხსნელად გამომიგზავნა.

***ეკა ლომიძე***

## იუმორი

**— შვილო, ის ვაჟი, რომელსაც ხვდები, — ობოლია, ღარიბი და ამასთან კოჭლიც... გთხოვ, ნუ გაჰყვები ცოლად!**

**— დედა, მე ლამაზს არ ვეძებ!**

**— არა, მე ამას კი არ გეუბნები, შეიცოდე ბიჭი, ის ხომ ცხოვრებისგან ისედაც დაჩაგრულია...**







- სამარხვო პროდუქტი
- ჯუჯა სახელმწიფო
- ფრანგი კინომსახიობი
- ვოლგის უდიდესი მარჯვენა შენაკადი
- პოეტი ქალი კუნძულ ლესბოსიდან
- რცხილა, წიფელა, კოპიტი
- პავაროტი, კარერასი, დომინგო
- საქონლის შემოტანა უცხოეთიდან
- საბავშვო „ტრანსპორტი“
- გფრ-ის დედაქალაქი
- მაუგლის მეგობარი
- ერთეულოვანი ვექტორი
- მიზღვა თამაშში დამარცხებისათვის
- დიასახლისის საოცნებო საკერავი მანქანა
- იტალიური ვალუტა
- სპილენძის სასულე საკრავი
- სამკურნალო მცენარე
- დრეზდენის ცვინგერის ნაგებობის სტილი
- ნერვულფსიქიკური დაავადება
- სრუტე საფრანგეთსა და ინგლისს შორის ლა...
- „სამკაული“ ჩლიქზე
- სასყიდელი დროებითი სარგებლობისათვის
- წელიწადის ყველაზე ცივი თვე
- მაღალი ხე
- იგივეა, რაც ბეგი
- მუდმივი ნეიტრალიტეტის ქვეყანა
- ფრაბც იოსიფის საყვარელი მეუღლე
- პატარა კახი
- კომპიუტერის „მანიპულატორი“
- სესხი
- დ'არტანიანის მსახური
- ფრანკის 1/100
- მიდამო
- დიდი საზოგადოებრივი ბაღი
- არხის ჩამკეტი მოწყობილობა
- განის დედაქალაქი
- ესტონეთის უძველესი ქალაქი
- დიდი მტაცებელი ფრინველი
- ბიძია ბუშის „ძღვენი“
- გამორჩენა, ანუ ...
- ჩემპიონატში გამარჯვებული
- მულტსერიალი „... და ჯერი“
- ვიოლინოზე დიდი ხემიანი საკრავი
- პერსონალური შეცდომა კალათბურთში
- სანახაობა
- ნოტი
- დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი
- კოსმეტიკის მოხმარების ხელოვნება
- მოსაცდელი დარბაზი თეატრში
- „სამი სიცოცხლე“ (პერსონაჟი)
- ყველასათვის სავალდებულო წესი
- რაიონული ცენტრი საქართველოში
- საზეიმო წვეულება, დარბაზობა
- ბურთის გასვლა თამაშიდან
- ორნელა ...
- აშშ-ის უდიდესი მდინარე
- არარსებული სიდიდის აღმნიშვნელი ნიშანი
- „სამი მეგობარი“ (ავტორი)
- ავგაროზი
- თოფის წამალი
- სინაგოგაში ინახება







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. — მასნე; 2. — ფიალა; 3. — იანი; 4. — ფუფალა; 5. — იელი; 6. — ზორგე; 7. — ტრასა; 8. — ტირი; 9. — ბუზი; 10. — ეფე; 11. — ციცქა; 12. — ტელეპათი; 13. — დედოფალა; 14. — არი; 15. — ლოთი; 16. — ალა; 17. — ლუდი; 18. — ნესვი; 19. — ქარი; 20. — რიყე; 21. — ლაყე; 22. — ინტრიგანი; 23. — ფიუზელაჟი; 24. — კურბე; 25. — შოლტი; 26. — ნო; 27. — თმა; 28. — მაზრა; 29. — თავლა; 30. — ლა; 31. — მიუ; 32. — ვაცი; 33. — მაო; 34. — მეი; 35. — ყეფია; 36. — ცა; 37. — ცივილური; 38. — ია; 39. — იდო; 40. — ლიანა; 41. — „კია“; 42. — სოფა; 43. — ბე; 44. — ლევი; 45. — რომული; 46. — არია; 47. — მული; 48. — ვარია; 49. — ხეობა; 50. — ველური; 51. — კუბა; 52. — კაზინო; 53. — გოლფი; 54. — ნიუ; 55. — იორღა; 56. — მორზე; 57. — მი; 58. — ბეილი.

1. — მუზიფიცირებული ნაძვის ხე; 2. — ფეიერვერკი; 3. — ზამთარია, ცივა, ყინავს; 4. — ბენგალური ცეცხლი; 5. — კალიგულას შთამომავალი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**

**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა **რამაზ ალანიამ**

# მართლმადიდებლურ ეკლესიას აზერბაიჯანელი მრევლი ემატება

შობადღეს ბოლნისის რაიონის დაბა თამარისის ქრისტიანულ მოსახლეობას 4 აზერბაიჯანელი მართლმადიდებელი შეემატა. ჩატარდა ჯვრისწერის რიტუალიც. **მამა კვირიკემ**, რომელიც ორი წელია ქეთევან წამებულის სახელობის მონასტერში ეწევა ღვთისმსახურებას, ახალგაზრდა წყვილი — ბერძენი პატარძალი და აზერბაიჯანელი ნეფე ქრისტიანული წესით დალოცა. იქაურებისგან ბევრი საინტერესო ამბავი მოვისმინეთ, რომელიც მამა კვირიკეს მოღვაწეობას ეხება და მოძღვარს მცირე კომენტარი ვთხოვეთ.

დასაწყისისთვის მამა კვირიკეს მრევლის, **ბესო ბურდულის** ნაამბობს შემოგთავაზებთ: „უფროსი შვილი ნაადრევი მშობიარობის შედეგად დაიბადა. მისი გადარჩენისთვის ექიმებმა იბრძოლეს, მაგრამ დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მითხრეს, რომ ჩემი პატარა არ გადარჩებოდა. არ მინდოდა ამის დაჯერება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ექიმს ვესაუბრე, გავიდა რამდენიმე საათი და ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი — ბავშვს უკვე სუნთქვა აღარ შეეძლო. მორწმუნე ვარ. არ მინდოდა ჩემი პირველი შვილი მოუნათლავი ყოფილიყო და მამა კვირიკესთან გავიქეცი. შევეხვეწე: გამომყევით, იქნებ ცოცხალს მივუსწროთ-მეთქი. სასწაული მოხდა. ექიმები თვალებს არ უჯერებდნენ და ბავშვს დახედავდნენ თუ არა, პირჯვარს ისახავდნენ. მონათვლის შემდეგ მას შუბლზე ბოლნისის ჯვარი გამოესახა. დღემდე ასეა. დროდადრო გადადის, მერე ისევ მკვეთრად ესახება. მამა კვირიკეს ექიმებმა უთხრეს, სასწაულის მხილველები გავხდითო და მონათვლიდან 1 კვირის შემდეგ ბავშვი სახლში გამოგვატანეს. დარწმუნებული ვარ, განსაცდელი ჩემი ცოდვების გამო მელოდა. მე მორჩილი ვიყავი, მაგრამ ვერ შევძელი საერო ცხოვრებაზე ბოლომდე მეთქვა უარი. მაგრამ ღმერთმა მომიტევა და შვილი მაჩუქა. მამა კვირიკეს განსაკუთრებული მადლი აქვს. ყველა, ვისაც მასთან გვქონია ახლო ურთიერთობა, ერთხმად ვაღიარებთ, რომ არსად არ ვგრძნობთ თავს ისე მშვიდად, როგორც მის გვერდით. არ ვიცი, შეამჩნიეთ თუ არა აზერბაიჯანელებისა და იეზიდების მონათვლის დროს, როდესაც თავზე ადებს ხელს მოსანათლ ადამიანს, როგორ თრთიან და რა მორჩილებით იხრებიან ისინი წყალში. მონათვლის შემდეგ კი, უკვე ქრისტიანები ვერ ხსნიან, რატომ თრთოდნენ და რატომ იხრებოდნენ წყალში ნათლობის რიტუალის დროს“.

— *მამაო, როგორც ამბობენ, თქვენ მიერ მონათლულ ბავშვს, დღემდე შუბლზე ბოლნისის ჯვარი ესახება.*

— ბავშვი მოვნათლე. პალატაში, სადაც ინკუბატორი იდგა, მის მდგომარეობაში მყოფი კიდევ 6 ბავშვი იმყოფებოდა. ექიმმა ყურში მიჩურჩულა: მამაო, არც ეს ბავშვები გადარჩებიან და ნაკურთხი წყალი იქნებ მათაც აპკუროთო. ვაპკურე და დავლოცე ბავშვები. ყველა გადარჩა. მას კი, რომელიც მოვნათლე, შუბლზე ბოლნისის ჯვარი გამოესახა.

— *აქ მცხოვრები აზერბაიჯანელები მოგვიყვნენ, რომ საქონელი, თუკი მონასტრის ეზოში გადავა, ფეხზე ვერ ჩერდება.*

— მონასტრის ტერიტორია საძოვრად იყო გადაქცეული, თვითონ მონასტერი კი ბოსლად. აქ რომ მოვედით, 40 მანქანა ნაგავი გავიტანეთ


ტაძრის გალავანი

ამ ადგილიდან. მერე ვთხოვეთ აქაურებს, საქონელს ნუღარ გადმოუშვებთ-მეთქი. ჯერ ჩვენს თხოვნას ყურადღება არავინ მიაქცია, მაგრამ მერე მოხდა ასეთი შემთხვევა: მონასტერში მხოლოდ მორჩილი იმყოფებოდა. გადმორეკეს საქონელი და შემოაბიჯა თუ არა ნახირმა მონასტრის ტერიტორიაზე, მაშინვე ფეხი მოეკვეთა და ჩაიჩოქა. ამის შემდეგ მსგავსი თხოვნის განმეორება აღარ დაგვჭირვებია. ამ ადგილზე დიდი მადლია გადმოსული, თავის დროზე აქ მცხოვრები ქართველობა დიდი რწმენით გამოირჩეოდა. სულ პატარა მონაკვეთზე 7 ქრისტიანული ეკლესიაა აშენებული.

— *მონასტრის გარშემო სულ აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს. ნაწილი გაგიქრისტიანებიათ. ამის გამო მოლასთან რაიმე უსიამოვნება ხომ არ გქონიათ?*

— არა. იმიტომ, რომ თვითონ მოლამაც იცის ქრისტიანობის ძალა და მადლი. ამას წინათ დედა და შვილი გამომიგზავნა. ქალს ბავშვი ჰყოლია ავად. მოლას უთქვამს: ქრისტიანები


გაქრისტიანება

რომ ინათლებიან, ის წყალი მომიტანეთ და ბავშვს მოგირჩენო. წყალი გავატანე და თან შევუთვალე, ნაკურთხი წყლის ძალა რომ იწამე, ღმერთი ჭეშმარიტიც თუ იწამე-მეთქი. აქაურების დამოკიდებულება ჩვენი მოღვაწეობის მიმართ არაერთგვაროვანია. სოფელი უკვე ორ ნაწილად გაიყო. სულთმოფენობის დღეს 60 აზერბაიჯანელი, ბოშების ბარონი და მთელი მისი ბანაკი მოვნათლეთ. მთელ სოფელს მოვაქცევდით, სულ მცირე ყურადღება და მხარდაჭერა რომ გვქონდეს. მხოლოდ უფალს ვართ მინდობილები და თუ რამ შევძელით, მხოლოდ მისი შეწევნით. 60 აზერბაიჯანელის და ბოშების გაქრისტიანების შემდეგ, მე და ჩემი მორჩილი მუსლიმანებმა ალყაში მოგვაქციეს და ჩაქოლვა დაგვიპირეს. უფლის შეწევნით გადავრჩით. პირველად აქ რომ ჩამოვედით, ამ ეკლესიის ამოქმედების ყველაზე დიდი წინააღმდეგი ვინც იყო, უფლის ძალით, პირველი მოინათლა. დღეს სწორედ იმ ბიჭის ჯვრისწერას ესწრებით. იცით, რა შეგრძნება მეუფლება, როდესაც აქ შემოსული აზერბაიჯანელი ბავშვები ქართულად ჩურჩულებენ „მამაო ჩვენოს“? შემოდიან აზერბაიჯანელი ქალები, სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ. ძალიან თბილი ხალხია. დაიფაროს ყველა ღმერთმა.

— *როგორც ვიცი, თქვენს სახელთან 7 მიტოვებული ეკლესიის აღდგენაა დაკავშირებული.*

— ერთი აღვადგინე — ნიჟნი-ნოვგოროდში, შვიდი კი საქართველოში. უფლის შეწევნით და ქველმოქმედი ადამიანების დახმარებით ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი. ზოგჯერ გავდივართ ქუჩაში და შეწევნას ვითხოვთ. ზოგჯერ კი ისეთი ქველმოქმედი ადამიანებიც გვევლინებიან, როგორიცაა რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვასიკო ჩიგოგიძე. ყოველ საეკლესიო დღესასწაულზე ჩვენი მრევლისათვის საჩუქრებს გზავნის. ბევრი საქართველოდან გაიქცა იმიტომ, რომ ქართველების მშიერი თვალების ყურებას ვერ გაუძლო — ეს კაცი კი ასეთ თვალებს თვალს უსწორებს და რითიც შეუძლია, ეხმარება.

— *მითხრეს ისიც, რომ ბერობისათვის ამზადებთ თავს.*

— ეს ყველა ღვთისმსახურის სურვილია. მთავარია, მზად იყო ამისათვის.

— *მრავალშვილიანი მამაც ბრძანდებით თურმე...*

— ხუთი შვილი მყავს. ორი შვილობილიც მყავდა. ისინი უკვე დავაბინავე.

— *მანამდე, სანამ ღვთისმსახურებას შეუდგებოდით, ვინ იყავით?*

— ერთ-ერთი უბინძურესი ადამიანი. ვიგინდარა, რომელიც ცოდვების ჩადენის მეტს არაფერს აკეთებდა. ვნახე ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ენახა ადამიანს, რომელიც ე.წ. ამქვეყნიურ სიამეებში ეძებდა თავდავიწყებას და ბოლოს, 12 წლის წინ მივხვდი, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი გზა არის ქრისტეს გზა და ამ გზიდან არც გადამიხვევია. ვერც ერთი მღვდელი, ბერი და წმინდანი იმ მდგომარეობას და გრძნობას ვერ აღწერს ზუსტად, როდესაც ღმერთი მიდის მასთან ახლოს და თავისკენ უხმობს.

— *თქვენ ამბობთ, რომ თუ ყურადღება და მხარდაჭერა იქნება, მთელი სოფლის მოქცევა შეგიძლიათ. ბოლნისის გამგებელი ან გამგეობა თუ არის თქვენ გვერდით?*

— ბოლნისის გამგებელთან, ზურა ჯაფარიძესთან მე არასოდეს მისულვარ. მაგრამ თუ მივალ, იმედი მაქვს, გულნატკენი არ წამოვალ. საქმის გამკეთებელი ადამიანის სახელი აქვს და მისი მხარდაჭერა ჩვენც გადმოგვწვდება.

ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის მშენებლობა ერეკლე -ის თანამესაყდრეს დარეჯან დედოფალს წამოუწყია. მეფე ვერ მოსწრებია მშენებლობის დამთავრებას. თავის დროზე ეკლესია მრევლის სიჭარბით ყოფილა ცნობილი. როგორც ამბობენ, ბოლნისის ჯვარს განსაკუთრებული ძალა აქვს, ამ ეკლესიაში მოსულ მლოცველს კი განსაკუთრებული მადლი მიჰყვება თან. მამა კვირიკე გამუდმებით ლოცულობს ახალმოქცეული მრევლისთვის. დარწმუნებულია, რომ მისი ღვაწლი ნაყოფს გამოიღებს და აზერბაიჯანელი მოსახლეობით გარემოცულ ტაძარს მრევლი არასოდეს მოაკლდება.

**ნანა ქიბიშაური**



## „კვირის პალიტრა“ თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო

უკვე მეოთხე წელია, ყოველწლიურად მკითხველს „კვირის პალიტრის“ შესახებ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება ეძლევა.
გთავაზობთ ჩვენს ტრადიციულ კითხვარს, გთხოვთ, შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით

**წინასწარ მადლობას მოგახსენებთ დახმარებისათვის**

**1. თქვენი სქესი**
- ☐ ქალი
- ☐ კაცი

**2. ასაკი**
- ☐ 18 წლამდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-34
- ☐ 35-44
- ☐ 45-54
- ☐ 55-64
- ☐ 65 წელზე მეტი

**3. განათლება**
- ☐ არასრული საშუალო
- ☐ საშუალო/საშუალო სპეციალური
- ☐ არასრული უმაღლესი
- ☐ უმაღლესი
- ☐ სამეცნიერო ხარისხი

**4. ძირითადი სამუშაო, საქმიანობის სახე**

____________________

**5. დასაქმების სექტორი (რა ტიპის ორგანიზაციაში მუშაობთ?)**
- ☐ კერძო (არასახელმწიფო)
- ☐ სახელმწიფო

**6. რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი**
- ☐ 50 ლარამდე
- ☐ 50-200
- ☐ 200-700
- ☐ 700-1500
- ☐ 1500-ზე მეტი

**7. რამდენად ხშირად კითხულობთ „კვირის პალიტრას“?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**8. თქვენ გარდა რამდენი ადამიანი კითხულობს გაზეთის თქვენს ეგზემპლარს?**
- ☐ მხოლოდ მე
- ____ *(ჩაწერეთ რაოდენობა)* ადამიანი

**9. „კვირის პალიტრის“ გარდა რომელ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობთ სისტემატურად?**
*(დაასახელეთ რიგითობის მიხედვით)*
1. ____________________
2. ____________________
3. ____________________

**10. რამდენად ხშირად კითხულობთ თქვენ მიერ I რიგში დასახელებულ სხვა გამოცემას?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**11. ზოგადად, რა სამი უმთავრესი ფაქტორია გადამწყვეტი თქვენთვის გაზეთის/ჟურნალის არჩევისას?**
- ☐ ფასი
- ☐ შეჩვევა
- ☐ სტატიების სიმძაფრე
- ☐ გვერდების რაოდენობა
- ☐ პოლიგრაფიული ხარისხი
- ☐ ოპერატიულობა
- ☐ დიზაინი
- ☐ ზომიერება
- ☐ მრავალფეროვნება
- ☐ იმიჯი
- ☐ ობიექტურობა/არატენდენციურობა
- სხვა *(დაასახელეთ)* ____________________

**12. როგორ შეაფასებთ „კვირის პალიტრას?“**
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უკეთესია
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უარესია
- ☐ ჩვეულებრივია, ჰგავს სხვა გაზეთებს

**13. დაახლოებით რამდენი ხანია, რაც „კვირის პალიტრას“ კითხულობთ?**
- ☐ ეს პირველი ნომერია
- ☐ 1-3 თვე
- ☐ 3-12 თვე
- ☐ 1-2 წელი
- ☐ 2-5 წელი
- ☐ დაარსებიდან

**14. რომელ რუბრიკას კითხულობთ ყველაზე მეტი ინტერესით?**

____________________

**15. რომელი რუბრიკაა თქვენთვის ყველაზე ნაკლებად საინტერესო?**

____________________

**16. რა სიახლეს შესთავაზებდით „კვირის პალიტრას“?**

____________________

____________________

____________________

**17. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი, სოფელი), სადაც ცხოვრობთ**

____________________

☒ შესაბამისი უჯრა გადახაზეთ

*(ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 36-ე გვერდზე)*

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

# მედიცინა

## ქარაბადინი

**ძვირფასო რედაქციავ! ძალიან მომწონს თქვენი რუბრიკა „კარაბადინი“. ბევრ საინტერესო რეცეპტს გავეცანი და ერთი ასეთი აზრი დამებადა. იქნებ თქვენი გაზეთის მეშვეობით ჩემი გასაჭირის შესახებ ვუამბო მკითხველს და ვინმემ იცოდეს მისი სამკურნალო საშუალება. ისევ ჩვენ თუ არ გავუმართეთ ხელი ერთმანეთს, სახელმწიფო ხომ დიდი ხანია აღარ ზრუნავს ადამიანებზე.**

**მაწუხებს კუჭის წყლული, რომელიც პერიოდულად მიმწვავდება ხოლმე. ორი წლის წინ ვიმკურნალე ექიმთან, მაგრამ შედეგი დროებითი აღმოჩნდა. საშუალება არ მაქვს ყოველთვის ანალიზი და გამოკვლევა ჩავიტარო. იქნებ მირჩიოთ რაიმე ხალხური საშუალება წყლულის სამკურნალოდ?**

***დამსახურებული პედაგოგი ლადო მ.***

იმედია, მკითხველი გულგრილი არ დარჩება ბატონი ლადოს შეკითხვისადმი და გამოგვეხმაურება.

## რატომ არიან გამხდრები იაპონელები?



**იაპონელები გვირჩევენ:** — დაღლილობის მოსახსნელად ხელისგულებით ვსრისოთ ორი ცალი კაკალი. თუ შევეცდებით ფეხებით ვატრიალოთ კაკლები, ეფექტი გაცილებით ძლიერი იქნება.

— სტრესის მოსახსნელად თვალები დახუჭეთ, ღრმად ამოისუნთქეთ, ცერი საჩვენებელი და შუა თითების ქვეშ მოიქციეთ და ამოსუნთქვისას მაგრად მოუჭირეთ.

— ვარჯიში გაიმეორეთ 5-7-ჯერ.

— ყაბზობის საწინააღმდეგოდ — თუნდაც დღეში 3 წუთით დაიზილეთ ორივე ხელის ნეკი, რომლის წვერზე იწყება წვრილი ნაწლავის ენერგეტიკული მერიდიანი. ეს პროცედურა ფიზიკურ დაღლილობასაც ხსნის, კარგია რადიკულიტის პროფილაქტიკისთვისაც.

— გახდომის მსურველებს ურჩევენ ჭამის შემდეგ 5-10 წუთი ენერგიულად იმოძრაონ, რადგან ამ დროს ენერგია 7-ჯერ მეტი იხარჯება, ვიდრე ჩვეულებრივ და დაგვიცავს ზედმეტი კალორიებისაგან.

— სასარგებლოა შემდეგი ვარჯიში: მოვხაროთ ხელები მკერდამდე, გადავაჭდოთ საჩვენებელი თითები, ღრმად ამოვისუნთქოთ და შევწიოთ მუცელი. ჩასუნთქვისას თითების დაძაბულობა სუსტდება.

— ვარჯიში მეორდება 10-15-ჯერ.

***მეგაპოლის-ექსპრესი №50***

## ფრთხილად, თევზის ქონია!

ახლა მეცნიერებმა ალმაცერად დაუწყეს ყურება ერთ დროს ბავშვის ჯანმრთელობისთვის უებარ საშუალებად აღიარებულ თევზის ქონს. დაადგინეს, რომ მისი დიდი რაოდენობით მიღება უარყოფითად მოქმედებს მამაკაცის სპერმაზე და საგრძნობლად ანელებს სპერმატოზოიდის მოძრაობას. ასეთი შედეგი მოჰყვა იმ მამაკაცთა სპერმის გამოკვლევას, რომლებიც რეგულარულად იღებდნენ დღეში ერთ ან ორ კოვზ თევზის ქონს.

აუცილებლობის შემთხვევაში თევზის ქონი მიიღეთ ექიმის დანიშნულებით.

***ვერსია №49***


## მოილხინეთ, იქეიფეთ შობა-ახალი წელი მოდის . . .

Aventis

მოდის შობა-ახალი წელი. დიდი თუ პატარა ემზადება ამ ნამდვილად საოჯახო დღესასწაულების აღსანიშნავად ...

საახალწლო სადღესასწაულო სუფრა ისეთი მიმზიდველი და მადისაღმძვრელია, რომ ძალიან ძნელია თავი შეიკავო და არ გასინჯო სიდედრის მიერ მომზადებული საცივი თუ დედამთილის გაკეთებული გოზინაყი, ახალშეძენილი რძლის მიერ გამომცხვარი ნიგვზიანი ნამცხვარი თუ მოყვრების მორთმეული მოხარშული ბურვაკის ხორცი და სხვა ათასი შემაცდენელი გემრიელი კერძი. დილიდან სამზარეულოდან გამოსული გემრიელი სურნელი თავბრუს დამხვევია და აუცილებლად შეგაცდენს კაცს. ბოლოს და ბოლოს, შობა-ახალი წელი ხომ ერთხელ დგება წელიწადში და ცოდვაცაა, რომ არ შეირგო ეს ტრადიციული კერძები. მაგრამ მეორე დღეს გულძმარვა, გულის რევის შეგრძნება, დისკომფორტი და საჭმლის მონელების სხვა პრობლემები უცებ დაგავიწყებს წინა დღის სიამოვნებას და ზოგჯერ თავს ტუქსავ ასეთი ცდუნებისათვის. თუმცა, ხომ არსებობს საშუალებები, რომლებიც მოგეხმარებიან ამ პრობლემების თავიდან აცილებაში, მაგალითად:

***თუ გაწუხებთ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, მიიღეთ:***

**მაალოქსი ტაბ ან სუსპენზია** რომელიც სწრაფად და ხანგრძლივად გაგიყუჩებთ კუჭის ტკივილს, მოგიხსნით გულძმარვას, თავიდან აგაცილებთ თქვენი დაავადების გამწვავებებს; გარდა მჟავის ძლიერი გამანეიტრალებელი მოქმედებისა, მაალოქსს ახასიათებს იმავდროულად შემომგარსველი თვისება, აქვს კარგი გემო, ორგანიზმისათვის ადვილად შესათვისებელია, არ იწვევს ყაბზობას და აქვს სუსტი საფაღარათო ეფექტი. თუ ვერ გაუძელით ცდუნებას და მიიღეთ საკვები რომელიც იცით, რომ გამოიწვევს თქვენი ჩივილების გამწვავებას, არ დაგავიწყდეთ ჭამის შემდეგ და ძილის წინ მიიღოთ მაალოქსი. რეგისტრირებულია საქართველოში MP №001277; MP №001276.

***თუ გაწუხებთ სანაღვლე გზების, ნაღვლის ბუშტის და ღვიძლის დაავადება მიიღეთ:***

**ხოლაგოგუმის კაფსულები** რომელიც შეიცავს შესანიშნავად შერჩეულ მცენარეთა: პიტნის, ქრისტესისხლას და კურკუმას აქტიურ ნივთიერებას, რაც უზრუნველყოფს ანთების ჩაქრობას სანაღვლე გზებში და საჭმლის მონელების ნორმალიზებას, ცხიმიანი არადიეტური საკვების მიღებისას ნაღვლის გამოყოფის ნორმალიზებას და მონელების პროცესის გაადვილებას: არ დაგავიწყდეთ, როცა ემზადებით სტუმრად წასასვლელად, დარწმუნდით, რომ ჩანთაში გაქვთ ხოლაგოგუმის კაფსულები, ვინაიდან მისი 2 კაფსულა უნდა მიიღეთ უშუალოდ ჭამის დროს მცირე რაოდენობის წყლით, თორემ მერე გვიან იქნება. რეგისტრირებულია საქართველოში MP №003016

***თუ გაწუხებთ საჭმლის მომნელებელი ფერმენტების ნაკლებობით გამოწვეული დისპეფსიური ჩივილები მიიღეთ:***

**ფესტალის დრაჟე** კომბინირებული პრეპარატი საჭმლის მონელების მოსაწესრიგებლად. მის შემადგენლობაში მყოფი ფერმენტები აადვილებს მძიმე, განსაკუთრებით ცხიმიანი, უჩვეულო ან დაუღეჭავი საკვების მიღების შედეგად განვითარებულ ისეთ დისპეფსიურ ჩივილებს, როგორიცაა სიმძიმე კუჭში, გადავსების შეგრძნება და მეტეორიზმი. პრეპარატი კი არ თრგუნავს, არამედ ხელს უწყობს ორგანიზმს, გამოყოს საკუთარი ფერმენტები. არ დაგავიწყდეთ დარწმუნდეთ, რომ თან გაქვთ ფესტალის დრაჟე, იგი უნდა მიიღოთ ჭამის დროს – 2-3 დრაჟე დაუღეჭავად. რეგისტრირებულია საქართველოში MP № 0002174


## როდის დავლიოთ წყალი და როდის ვჭამოთ ხილი?

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმში წყალი სხეულის მასის 65-70%-ს შეადგენს და შეიძლება მერყეობდეს 2-დან 4 ლ-მდე.

წყლის მიღებასთან დაკავშირებით აი, რას გვირჩევს გერმანელი სპეციალისტი კნეიპი თავის რეკომენდაციებში: „დალიეთ, როდესაც გსურთ, მაგრამ ბევრი არა“, მაგრამ...



წყალი, კომპოტი, წვენი და სხვა სასმელები უნდა სვათ ჭამამდე 15-40 წუთით ადრე, არაფერი სვათ ჭამის პროცესში და არც ჭამიდან 1,5-2 საათის განმავლობაში.

გერმანელი სპეციალისტი თავის რეკომენდაციებს ასე ხსნის: წყალი გადადის ჭამიდან 10 წუთის შემდეგ კუჭიდან წვრილ ნაწლავში, სადაც მისი ლორწოვანი გარსის მეშვეობით მაშინვე ხვდება სისხლში. ამ შემთხვევაში ადამიანი იკმაყოფილებს წყლის მოთხოვნილებას და ადრე მიღებული წყალი ან სასმელები ხელს არ შეუშლის საჭმლის ნორმალურ მონელებას.

თუ წყალს მიიღებთ ჭამის დროს, ის გააზავებს კუჭის წვენს, რითაც ასუსტებს მის ზემოქმედებას, რაც იწვევს საჭმლის მონელების პროცესის დარღვევას და შენელებას. საქმე იმაშია, რომ კუჭი იწყებს რა მუშაობას, საჭმლის მონელებისთვის ქმნის გარკვეულ გარემოს. წყლის ან სხვა სასმლის ყოველი ყლუპი ჩამორეცხავს საჭმლის მომნელებელ წვენს, მნიშვნელოვნად ცვლის მის კონცენტრაციას, რაც თავისთავად იწვევს დამატებით მთელი საჭმლის მომნელებელი სისტემის დაძაბვას.

ამ შემთხვევაში წვრილ ნაწლავში წარმოიქმნება მჟავე გარემო ნაცვლად ტუტიანისა, რაც იწვევს დუღილსა და ლპობას, რის შედეგადაც ირღვევა საჭმლის ნორმალური მონელების პროცესი.

განსაკუთრებით საზიანოა ცივი წყლისა და სასმელების სმა ჭამის პროცესში და ჭამის შემდეგ, რადგან კუჭი და მასში ჩასული საჭმელი მაშინვე ცივდება, რაც ანელებს მისი მონელების პროცესს.

ჭამიდან 1,5-2 საათის შემდეგ საჭმელი თითქმის მონელებულია და გადასულია წვრილ ნაწლავში, ამიტომაც დროის ამ შუალედში შეგიძლიათ მიიღოთ იმდენი წყალი, რამდენსაც ორგანიზმი გთხოვთ.

***ტრუდ-7 №177***

## ოზონი დაგვიცავს კარიესისაგან

ბელფასტის სამეფო უნივერსიტეტის ექიმებმა აღმოაჩინეს კბილების მკურნალობის ახალი საშუალება. კერძოდ, ლაპარაკია კარიესით დაზიანებულ კბილებზე.

ექიმები სამკურნალოდ გამოიყენებენ არა ტრადიციულ ბორმანქანებს, არამედ კბილს ჩამოაცვამენ რეზინის საფარს, შემდეგ გამოწოვენ კბილს და სივრცეს ოზონით შეავსებენ. ამ ხერხით დაიღუპება ყველა მავნე მიკროორგანიზმი და კბილი გადარჩება ამოღებას.

***ოჯი***

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მეშვიდე კლასელი ბავშვი გაგზავნეს ყავის მოსადუღებლად. ცოტა ხნის შემდეგ სამზარეულოში შესულებს გოგონა იატაკზე უგონოდ დაგდებული, დახვდათ. პირზე ქაფი ჰქონდა მომდგარი. ძლივს მოასულიერეს. გაზი რომ მოვუშვი ასანთებლად, თვალებში წითელ-ყვითელი ძაფები გამება, თავბრუ დამესხა და მეტი არაფერი მახსოვსო, — თქვა. გამოიწვევდა თუ არა ამას გაზი? ბავშვი ავად არ იყო, მხოლოდ ახველებდა.**

***ლანჩხუთის რაიონი, სოფელი წყალწმინდა***

როგორც ჩანს, ბავშვმა გაზი მოუშვა და დროულად ვერ შეძლო ასანთის ანთება, რის გამოც სამზარეულოში გაზის დიდი კონცენტრაცია წარმოიქმნა, რამაც ბავშვის მოწამვლა გამოიწვია. მკითხველი აღნიშნავს, რომ ბავშვი ახველებდა. ეს მნიშვნელოვანი მომენტია გაზით მოწამვლისას, რადგან სასუნთქი გზების დაავადებების დროს ორგანიზმის მოშხამვა უფრო სწრაფად ვითარდება. გამორიცხული არ არის, რომ გაზით მოწამვლამ, ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნების გამო, ეპილეფსიური შეტევის პროვოცირება გამოიწვია (როგორც მკითხველი გვიამბობს, ბავშვს პირზე ქაფი ჰქონდა მომდგარი), ამიტომ მაინც გირჩევთ, იგი ნევროპათოლოგს აჩვენოთ კონსულტაციისათვის. აღნიშნული კონკრეტული შემთხვევიდან კი ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: მშობლებო, დაიცავით სიფრთხილის ნორმები! ნუ ანდობთ ბავშვებს ისეთ საპასუხისმგებლო საქმეს, როგორიც გაზქურისა და გაზის გამათბობლის ანთებაა. სავსებით შესაძლებელი იყო, ასეთი შემთხვევა კიდევ უფრო სავალალო შედეგით დასრულებულიყო.

**გთხოვთ, ამიხსნათ, რით შეიძლება ვუშველოთ შარდშეუკავებლობას მოზრდილ ბავშვებში. რომელ ექიმს ან რა წამლებს შეუძლია თითქმის დასაქორწინებელი ახალგაზრდების შველა.**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

შარდის შეუკავებლობა საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რომელიც მრავალ ბავშვსა და მშობელს ტანჯავს. უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ასეთი ბავშვების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, რაც საზოგადოებაში ნევროზული ფონისა და დაძაბული ცხოვრების რიტმის ზრდასთანაა დაკავშირებული. შარდის შეუკავებლობის ყველაზე ხშირი მიზეზი მოზარდის ნერვული სისტემის გადაძაბვა, მისი ჭარბი ფსიქიკური აღგზნება გახლავთ. ნიშანდობლივია, რომ ასეთი პრობლემები უპირატესად ნევროზული მშობლების შვილებს აქვთ ხოლმე. ამ დროს მოსაწესრიგებელია არა მარტო ბავშვის, არამედ მშობლის ფსიქიკაც, მოსაგვარებელია მათ შორის ურთიერთობა. ამ პრობლემების გადასაჭრელად უნდა მიმართოთ ექიმ-ფსიქონევროლოგს. მაგრამ მანამდე უნდა გამოირიცხოს საშარდე სისტემის ორგანული პათოლოგია, რისთვისაც საჭიროა შარდის გამოკვლევა და უროლოგის კონსულტაცია. როცა შარდის შეუკავებლობა ორგანული დაზიანებითაა გამოწვეული, ადამიანი შარდს დღის განმავლობაშიც ვერ იკავებს ხოლმე, ხოლო თუ შეუკავებლობა მხოლოდ ღამით აქვს, ასეთ დროს უფრო აღნიშნული პათოლოგიის ფსიქოგენურ ხასიათზე გვებადება ეჭვი. ეცადეთ, მოუხსნათ ბავშვებს სტრესის გამომწვევი ფაქტორები, დამშვიდდით და დაამშვიდეთ ისინი შეძლებისდაგვარად, დატვირთეთ სპორტით, მოაგვარეთ ოჯახური ურთიერთობები. უფრო კონკრეტულ რჩევებს კი ექიმთან კონსულტაციის შემდეგ მიიიღებთ.

**ჩემს ვაჟს აღმოაჩნდა ჰეპატიტი. როგორც ვიცი, ეს ნარკომანების დაავადებაა, მაგრამ შვილი მარწმუნებს, ნარკოტიკებს არასოდეს გავკარებივარო. საიდან უნდა დამართოდა ეს დაავადება?**

***მკითხველი***

მკითხველი არ აკონკრეტებს, კერძოდ რომელი ჰეპატიტი აქვს მის ვაჟს. მართლაც, B და C ჰეპატიტით დაავადებულთაგან უმრავლესობა ნარკოტიკების მომხმარებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა დაავადებული ნარკომანია. B ჰეპატიტი ადამიანს შეიძლება გადაედოს საყოფაცხოვრებო ნივთებით, მათ შორის პირსახოცითაც, ხოლო C ჰეპატიტით შესაძლოა არასათანადოდ გასტერილებული სტომატოლოგიური ინსტრუმენტებით დაავადდეთ.

**მენსტრუაციის დროს მიდიდდება და მტკივა სარძევე ჯირკვლები.**

***თ.ვ. თქვენი მკითხველი***

მენსტრუაციის წინ სარძევე ჯირკვლების გადიდება ბუნებრივია, მაგრამ არ უნდა გტკიოდეთ. ეს იმას მოწმობს, რომ ორგანიზმსა და სარძევე ჯირკვლებში დარღვეულია ჰორმონალური ბალანსი. შიში სრულიად უსაფუძვლოა, თუმცა მთლად უყურადღებობაც არ ივარგებს, მიმართეთ გინეკოლოგს, რომელიც რომელიმე სამკურნალო კომპლექსს შემოგთავაზებთ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

# სალამი სუპერმარკეტიდან!



**ვანილი** ხსნის სპაზმებსა და ახალისებს ადამიანს. მისი მოტკბო სურნელი ამშვიდებს ნერვებს და აღადგენს სულიერ წონასწორობას, შვების მოთენთილობას.

**დარიჩინი** ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას. ის შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რომელიც ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას და მაღლა სწევს არტერიულ წნევას, ასე რომ, ის „ჰიპერტონიკების“ წამალია. გარდა ამისა, დარიჩინი ბრწყინვალე ანტისეპტიკია, აძლიერებს მადასა და აწესრიგებს საჭმლის მონელების პროცესს.

**მიხაკი** შველის ანთებით პროცესებს. იგი არა მარტო ყველაზე პოპულარული სანელებელია, არამედ სამკურნალო საშუალებაც. მისი ეთეროვანი ზეთები ამცირებს ბაქტერიებისა და ვირუსების ზრდას, აუმჯობესებს სუნთქვასა და ამაგრებს ნერვულ სისტემას, ხსნის ტკივილს, აქვს ანტისეპტიკური თვისება.

მიხაკიანი ჩაი ბრწყინვალე პროფილაქტიკური საშუალებაა გრიპისა და სხვა რესპირატორული ვირუსული დაავადებების დროს.

**ანისული** შველის ხველებასა და მეტეორიზმს. ანისულის თესლის ეთეროვანი ზეთი ბრწყინვალე ამოსახველებელი საშუალებაა — ათხელებს ლორწოს და გამოდევნის სასუნთქი გზებიდან, აუმჯობესებს საჭმლის მონელების ტრაქტის მუშაობას, შველის მეტეორიზმს, ხელს უწყობს კუჭის წვენისა და ნაღვლის სეკრეციას, ანელებს ტკივილსა და აღადგენს კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკას.

**ილი** ასუფთავებს ორგანიზმს წიდებისგან. უძველესი დროიდან იყენებენ ილს არა მარტო კულინარიაში, არამედ მედიცინაშიც. მისი აქტიური ნივთიერებები აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ხსნის შაკიკით გამოწვეულ სპაზმებსა და შველის გულ-სისხლძარღვოვან დაავადებებს, და რაც მთავარია, ორგანიზმიდან გამოდევნის წიდებს. ბევრ ქვეყანაში ილს იღებენ ასთმის დროს.

*ლიზა №52*

# ასისთავა კუჭ-ნაწლავს კურნავს

გარეგნულად არაფრით გამორჩეული ბალახი ასისთავა გვხვდება ყველგან: მინდორ-ველად, ტყის პირას. არის მომწარო გემოსი და შეიცავს მწარე გლიკოზიდებსა და ალკალოიდებს.

ასისთავა არა მარტო კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალო საშუალებაა, არამედ ის ხელს უწყობს საჭმლის უკეთესად ათვისებას, აძლიერებს მადას, აადვილებს ნაღვლის გამოყოფას, ხელს უშლის ნაწლავებში გაზების წარმოქმნას. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბალახის შემადგენელი ალკალოიდი ერითრიცინი სპობს ჭიებს, ამისთვის საჭიროა მომზადდეს თანაბარი რაოდენობის ნეგოს, ასფურცელას ყვავილისა და ასისთავას სქელი ნახარში.

გარდა ამისა, ასისთავას იყენებენ ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ (ის შედის ისეთი წამლის შემადგენლობაში, როგორიცაა „ნარკოდელი“): ცნობილია ასეთი რეცეპტი: ასისთავას და ავშანის (აბზინდას) ნარევიდან (4:1) აიღეთ 2 ს/კ და დაასხით 0,5ლ მდუღარე წყალი და 10 წუთით შედგით დაბალ ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე, გააჩერეთ 30 წუთი, გაწურეთ და მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში. ამბობენ — ყოველდღიურად მისი მიღება თანდათანობით გადაგაჩვევთ ალკოჰოლს.



*ჟენსკიე დელა №1*


**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**

**100ც. ტესტ-ჩხირით — 170ლ.**

**ერთჯერადი ნემსები 50ც. — 3 ლ.**

**შპს „კონტრასტი“**

**ბორჯომის ქ. 4**

☎ 35-44-05;

899-19-60-55

სარეკლამოჲ



**ვმკურნალობთ ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**




**გთხოვთ მოგვითხროთ იმუნიტეტის შესახებ. როგორ ფასდება იმუნური სისტემის მდგომარეობა?**

*ლ. კვაჭანტირაძე, თბილისი*

# იმუნიტეტი

იმუნიტეტი არის გაზრდილი მდგრადობა ბიოლოგიური აგრესიის (დაავადებათა გამომწვევი ბაქტერიები, ვირუსები და სხვ.) მიმართ. იმუნური სისტემის მიერ პასუხის გაცემა ხდება იმ უჯრედების საშუალებით, რომლებიც წარმოიქმნება სისხლმბად ქსოვილებში. არსებობს სპეციფიკური უჯრედი-მკვლელები (კილერები). ასევე არსებობენ უჯრედები, რომლებიც „იმახსოვრებენ“ და „ინახავენ“ დაავადების გამომწვევი ინფექციების აგენტის შესახებ მონაცემებს. სწორედ ესენი აყალიბებენ შეძენილ იმუნიტეტს. იმუნიტეტის მდგომარეობა რეგულირდება ორგანიზმში ჯირკვლის — თიმუსის საშუალებით, რომელიც მკერდის ძვლის უკან არის მოთავსებული. თიმუსი განსაკუთრებით დიდი ზომის არის ახალშობილებში, ადამიანის ასაკის მატებასთან ერთად ჯირკვლის მოცულობა მცირდება. თიმუსში ხდება იმუნური სისტემის უჯრედების — ლიმფოციტების „სპეციალიზაცია“, ასევე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სინთეზირება, რომლებიც არეგულირებენ იმუნიტეტს. ლიმფოიდურ ორგანოებს მიეკუთვნება აგრეთვე ლიმფური ჯირკვლები, ელენთა, ნუშურა ჯირკვლები (გლანდები), ჭიანაწლავი და სხვა. იმუნური სისტემის ფუნქციონირების დარღვევა შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

**იმუნური უკმარისობა.** ყალიბდება გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით ან თანდაყოლილია.

**ჰიპერმგრძნობელობა**. მას მიეკუთვნება ყველა ტიპის ალერგიული რეაქცია.

**აუტოაგრესია.** იმუნური სისტემის ცვლილებების გამო ორგანიზმი საკუთარ ქსოვილებს ვერ ცნობს და „ებრძვის“ მას. შედეგად — გამომუშავდება ანტისხეულები.

**სიმსივნური პროცესები**. იმუნური სისტემა კარგავს „ჯანმრთელი“ და „დაავადებული“ უჯრედების გარჩევის უნარს.

**იმუნოდეფიციტი**. პირველადი იმუნოდეფიციტი გენეტიკური დეფექტია. ეს მძიმე პათოლოგიაა, რომელიც ბავშვებში გვხვდება. მას ხშირად თან ახლავს ფიზიკური და ზოგჯერ გონებრივი განვითარების შეფერხება, შესაძლოა ლეტალური შედეგი 20 წლამდე. ამ მდგომარეობის ეფექტიანი მკურნალობა — ჩანაცვლებითი თერაპიაა (მაგ. იმუნოგლობულინებით).

**იმუნიტეტის შემცირებას განაპირობებს:**

**ასაკი:** მოხუცები და ბავშვები უფრო ხშირად ავადმყოფობენ.

**კვება:** ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მიკროელემენტების ნაკლებობა.

**ცხოვრების წესი:** მუდმივი გადაადგილება ამცირებს იმუნიტეტს.

**ალკოჰოლი და ნარკოტიკები** უარყოფითად მოქმედებენ იმუნურ პასუხზე.

**სტრესი:** ძლიერი, უჩვეულო დაძაბულობა, ემოციური გადატვირთვა.

**ეკოლოგია:** ქიმიკატები, რადიაცია.

**დაავადებები:** არსებობს ერთი დაავადება, რომელიც უშუალოდ იმუნურ სისტემას ანადგურებს — შიდსი. თუმცა, ნებისმიერი დაავადება ასუსტებს იმუნურ სისტემას.

იმუნოდეფიციტს იწვევს მწვავე და ქრონიკული ინფექციები, კუჭ-ნაწლავის, ნერვული სისტემის, ფილტვების პათოლოგიები.

**იმუნური სისტემის დაქვეითების ნიშნები:**

— თუკი თქვენ ავადმყოფობთ რესპირატორული (გაციება, გრიპი) ინფექციებით წელიწადში 4-ზე მეტად.

— თუკი თქვენს ორგანიზმში არის ჩირქოვანი კერები (ჰაიმორიტი, ფურუნკულოზი, ოტიტი, ბრონქიტი და სხვ.).

— თუ გაქვთ კანის სოკოვანი დაავადება, ასევე ლორწოვანი გარსისა და ფრჩხილებისა.

იმუნური სისტემის დაქვეითების შემჩნევისას გირჩევთ, მიმართოთ იმუნოლოგს. პირველ ეტაპზე ფასდება ზოგადი მაჩვენებლები, რომელიც იმუნურ სისტემაში ცვლილებებს აღმოაჩენს; უმეტეს შემთხვევაში ეს საკმარისია, ზოგჯერ კი საჭირო ხდება უფრო ღრმა კვლევა. მხოლოდ ერთი პარამეტრის განსაზღვრა — მაგ. ლიმფოციტების რაოდენობისა, საკმარისი არ არის, აუცილებელია კომპლექსური შეფასება:

— საჭიროა სისხლის კლინიკური ანალიზი, სისხლის ბიოქიმიური და შარდის საერთო ანალიზი.

— რეალური ინფორმაცია იმუნოგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ (20-დან 40%-მდე).

იმუნური სისტემის დარღვევების მკურნალობა სპეციფიკურია და მხოლოდ კვალიფიციური ექიმის პრეროგატივაა. ზოგჯერ საჭირო ხდება თიმუსის ჰორმონების მიცემა, რადიკალური თერაპია — ძვლის ტვინის გადანერგვა. უმეტეს შემთხვევაში საკმარისია იმუნომოდულატორებით მკურნალობა. ხშირად გამოიყენება ტაქტივინი, თიმალინი, პლაფერონი. ინტერფერონი გამოიყენება ქრონიკული ინფექციური პროცესების დროს (ვირუსული ჰეპატიტი, ჰერპესი...)

— მძიმე ქრონიკული ინფექციებისას იმუნოგლობულინის პრეპარატები ინიშნება (ენცეფალიტი, ტუბერკულოზი და სხვ.).

— იმუნურ სისტემაზე დადებით ზეგავლენას ახდენს — ალოეს ექსტრაქტი, ჟენშენის პრეპარატები, ელეუტეროკოკი და სხვ.

**გაითვალისწინეთ:** თითქმის ყველა იმუნოსტიმულატორი აკრძალულია — აუტოიმუნური დაავადებების (რევმატოიდული, ართრიტი, წითელი მგლურა), ალერგიების, გლაუკომისა და ფეხმძიმობის დროს.

*მაია მუხიგული*

# თუ ფეხებმა გიმტყუნათ...

თითქმის ყველასათვის ცნობილია ფეხებში უსიამოვნო შეგრძნება: კრუნჩხვები, დაჭიმვა, დაბუჟება და ჩხვლეტა, რომელსაც თან სდევს აუტანელი ტკივილი. პირველი დახმარება: სანამ კუნთები დაგეჭიმებოდეთ, მანამდე ფეხის თითები თქვენკენ გადმოხარეთ.

ასევე კარგად მოქმედებს თბილი აბაზანა. დაჭიმვის შეგრძნებასა და კრუნჩხვებს არცთუ იშვიათად იწვევს მინერალურ ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, კერძოდ, მაგნიუმის ნაკლებობა. ამ დისბალანსის შესავსებად საჭიროა მიიღოთ ამ ელემენტით მდიდარი პროდუქტები: გაღივებული ხორბალი, ნუში, ლუდის საფუარი, წიწიბურა, თხილი, არაქისი, კაკალი.

ჩვენი ორგანიზმი ყოველდღიურად საჭიროებს დაახლოებით 400გ მაგნიუმს, რომელსაც ორგანიზმი იოლად აითვისებს კალციუმსა და B ვიტამინთან ერთად.



**ფეხების დაღლილობასა და სიმძიმის შეგრძნებას მოგიხსნით:** 10 გ ცხენის წაბლის გამხმარ ყვავილს ან ნაყოფს დაასხით 2,5ლ ცხელი წყალი, 0,5 საათით შედგით ნელ ცეცხლზე, შემდეგ გაწურეთ, ჩაასხით ღრმა ტაშტში, დაამატეთ ცხელი წყალი და დაღლილი ფეხები 10-15 წუთით წვივამდე ჩააწყვეთ. შეიმშრალეთ და წაისვით ფეხის კრემი.

*ზდოროვიე*

# რაც შეიძლება ხშირად დაისვენეთ...

სტატისტიკით დადგენილია, რომ ვინც წელიწადში 5-ჯერ მაინც მიდის შვებულებაში, უეცარი სიკვდილის რისკი, რომელიც დაკავშირებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებასთან, 40%-ით მცირდება, ვიდრე მათი, რომლებიც წლობით მუშაობენ უშვებულებოდ. ეს განსხვავება თურმე მაშინაც კი არ იცვლება, როდესაც ითვალისწინებენ უეცარი სიკვდილის რისკის სხვა ფაქტორებს: მოწევა, სისხლის წნევის დონე და ასაკი.

*ჯენტი*



# არ აჭამოთ მწოლიარე ჩვილებს!

პედიატრები წლების მანძილზე აფრთხილებდნენ დედებს — ჩვილებს ლოგინში საწოვრიანი ბოთლი არ ჩაუდოთ, კბილები გვიან ამოუვათო. მაგრამ მათ რჩევას ბევრი ყურად არ იღებდა. დღეს კი ასეთი აკრძალვის ახალი მიზეზი გამოჩნდა. ამერიკელი ექიმები 448 ჩვილს აკვირდებოდნენ და დაადგინეს, რომ ასთმისკენ მიდრეკილების მქონე ბავშვებს, რომლებსაც ლოგინში მწოლიარეებს კვებავენ, ასთმის რისკი 50%-ით მაღალი აქვთ.

მიზეზი კი ის გახლავთ, რომ პატარები, წოლის დროს საკვების მიღების შემდეგ, განიცდიან „რეფლუქსს“ — სითხე საყლაპავ მილში უკან ამოდის, რაც აღიზიანებს სასუნთქ გზებს; ამან შესაძლოა გამოიწვიოს სულის ხუთვა და საბოლოოდ, ასთმად იქცეს.

საშიშროება არ ემუქრებათ იმ ჩვილებს, ვისაც დედის რძით კვებავენ. გახსოვდეთ: ჭამის დროს პატარა უსათუოდ ხელში უნდა აიყვანოთ.

*ნიუზუიქი*

# ასკილი შველის მტვრის ალერგიას



თუკი დანამდვილებით იცით, რომ თქვენი ალერგიის მიზეზი მტვერია, უსათუოდ ჩაიტარეთ ფიტოთერაპია.

გთავაზობთ ასეთ რეცეპტს:

შეურიეთ ერთმანეთს 5 ს/კ ფარსმანდუკი, 4 ს/კ კრაზანა, 3 ს/კ ბაბუაწვერას ფესვები, 1 ს/კ შვიტა, 1 ს/კ სიმინდის თმა და 2 ს/კ ასკილი (ასკილისა და ბაბუაწვერას ფესვები დააქუცმაცეთ). 2 ს/კ ნარევს დაასხით 2,5 ჩ/ჭ ცივი წყალი და გააჩერეთ ერთი ღამე. დილით შედგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე (არ აადუღოთ!). მიიღეთ 0,3 ჩ/ჭ ნახარში 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

*ოტდოხნი! №1*



**აშშ**

## ჟურნალისტები ცხელ წერტილებში

2002 წელს 19 ჟურნალისტი დაიღუპა მოვალეობის შესრულებისას, — ნათქვამია ნიუ-იორკის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის ყოველწლიურ მოხსენებაში. 2001 წელს დაიღუპა 37 ჟურნალისტი. ამ სამწუხარო ციფრის შემცირებას რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. უპირველეს ყოვლისა იმან, რომ ამჟამად პლანეტაზე ნაკლებია შეიარაღებული კონფლიქტები, რომელთა გამწვავების დროსაც იღუპებიან ჟურნალისტები. მაგალითად, 1994 წელს ალჟირის, ბოსნიისა და რუანდის სამოქალაქო ომებს 66 ჟურნალისტი შეეწირა. ახლა ფრონტის ხაზზე მიმავალი რეპორტიორები ადრინდელზე უკეთ არიან მომზადებულნი. შარშან პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის გამწვავებისას ორი ჟურნალისტი მხოლოდ იმის წყალობით გადარჩა, რომ ქურთუკზე ეწერა „პრესა“, ვენესუელაში ჟურნალისტები გადაარჩინა ტყვიაგაუმტარმა ჟილეტმა.

შეიარაღებული კონფლიქტების გარდა, ტყვიით იღუპებიან პრესის მუშაკები, რომლებიც კორუფციასა და კრიმინალურ დანაშაულზე წერენ. იმ ქვეყნებს შორის, სადაც ჟურნალისტები პროფესიული მოვალეობის შესრულებისას იღუპებიან, დასახელებულია ბანგლადეში, ბრაზილია, ვენესუელა, ინდოეთი, კოლუმბია, ნეპალი, პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია, პაკისტანი, უგანდა და ფილიპინები.

*ნიუზუიქი*

**ლიტვა**

## ლიტვის პრეზიდენტად მფრინავი აირჩიეს

ლიტვის ახალ პრეზიდენტად სეიმის წევრი როლანდას პაქსასი აირჩიეს, მას ამომრჩეველთა 54%-მა მისცა ხმა. პაქსასი მოვალეობის აღსრულებას 26 თებერვლიდან შეუდგება, როცა ამოიწურება ახლანდელი პრეზიდენტის, ვალდას ადამკუსის უფლებამოსილება. ახალარჩეული პრეზიდენტის თქმით, ლიტვის საგარეო პოლიტიკა არ შეიცვლება. „ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში სამი პრიორიტეტია — ევროკავშირი, ნატო და კეთილმეზობლური ურთიერთობა. ვფიქრობ, მიზანს მივაღწევთ,“ — განაცხადა როლანდას პაქსასმა.



ახალ პრეზიდენტს ლენინგრადის სამოქალაქო ავიაციის აკადემია აქვს დამთავრებული — მფრინავია. საარჩევნო კამპანიის დროს კარგად გამოიყენა პროფესიონალი მფრინავის იმიჯი, მთელი ლიტვა შვეულმფრენით შემოიფრინა, იგი ოდესღაც აკრობატულ პილოტაჟში, საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც კი შედიოდა, ლიტვის მრავალგზის ჩემპიონიცაა აკრობატულ ფრენაში.

სერიოზული პოლიტიკური საქმიანობა 1997 წელს დაიწყო, 1998 წელს ლიტვის დედაქალაქის მერი იყო. 2000 წელს სეიმში აირჩიეს, პარლამენტარებმა კი პრემიერის პოსტზე დაამტკიცეს, მაგრამ 2001 წელს მმართველ კოალიციაში მომხდარი განხეთქილების გამო პოსტი დატოვა. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

*იზვესტია №2*

**ინდოეთი–პაკისტანი**

## ბირთვული გამოცდა გრძელდება

ინდოეთსა და პაკისტანს შორის რამდენიმეთვიანი მოჩვენებითი მშვიდობა დაძაბულობამ შეცვალა — დელიმ ბირთვულქობინიანი ახალი ტიპის რაკეტის გამოცდა დაიწყო, უფრო ადრე ისლამაბადმაც გამოსცადა თითქმის იმავე ტიპის რაკეტა. ერთი სიტყვით, დაიწყო შეჯიბრების ახალი რაუნდი. ამ ორი სამხრეთაზიური ბირთვული ქვეყნის ურთიერთსიძულვილი მათი რაკეტების სახელწოდებებშიც აისახა — ინდოეთის რაკეტას მათი ღმერთის სახელი Gni ჰქვია, პაკისტანისას კი მუსლიმთა ჯარის მხედართმთავრის Chauri-ს სახელი. ამ უკანასკნელმა X საუკუნეში დაამარცხა ინდოეთის არმია.

შარშან, წლის დამლევს, ორივე ქვეყნის წარმომადგენლები ცდილობდნენ, საზღვრიდან გაეყვანათ ჯარები და გარკვეულ შედეგებსაც აღწევდნენ — ახლა კი პაკისტანის პრეზიდენტმა მუშარაფმა ინდოეთი გააფრთხილა — თუ ისლამაბადს დაარტყამთ, ბირთვული ომის საფრთხე წარმოიშობაო. ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა ამის საპასუხოდ განაცხადა — დიდი-დიდი, ერთი-ორი ბომბი ჩამოაგდონ, სამაგიეროდ, ჩვენ პაკისტანს გავანადგურებთო.

*ლა რეპუბლიკა*

# 2003 წლის საერთაშორისო ახალი ამბები

**დიდი ბრიტანეთის** პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ეგვიპტეში საახალწლო არდადეგებზე ყოფნისას შეხვდა პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს. მათ განიხილეს პალესტინის სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივა. საერთაშორისო საზოგადოებრიობის გეგმის თანახმად, ახალი სახელმწიფოსთვის ტერიტორია შეიძლება გამოიყოს სირიასა და ქუვეითს შორის.

**სადამ ჰუსეინის** პირადმა დაცვამ, საერთაშორისო ინსპექტორების პროტესტის მიუხედავად, დააზიანა ვიდეოკამერები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ერაყის პრეზიდენტის 42 სასახლეს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამასთან დაკავშირებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „ეს არის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის უხეში დარღვევა.“ ამის საპასუხოდ თეთრმა სახლმა ერაყში მყოფ ამერიკელ სამხედროთა რიცხვი 500 კაცით გაზარდა.

**კუბის** რევოლუციური მთავრობის მეთაურმა ფიდელ კასტრომ ახალი წლის დღეებში ხალხს მიმართა, — თავს მშვენივრად ვგრძნობ, მტრები კი ჭორებს მივრცელებენ, თითქოს მძიმე ავადმყოფი ვიყოო. ამ ჭორის საბაბად იქცა პრესით გავრცელებული ცნობა, რომ ფიდელ კასტრო ჯანმრთელობის გაუარესების გამო პირველად არ დაესწრო კუბის ნაციონალური ასამბლეის გახსნას. ფიდელმა განაცხადა, მართალია, გარკვეული პერიოდი შეუძლოდ ვიყავი — ჭიანჭველამ მიკბინა ფეხზე, მაგრამ ახლა ისევ ჩემი ხალხის გვერდით ვარ და კუბელებსაც მოვუწოდებ, გააძლიერონ რევოლუციური ბრძოლა იმპერიალისტთა წინააღმდეგო.

*ბი-ბი-სი*

## ჩრდილოეთ კორეა ხელშეკრულებიდან გამოდის

ჩრდილოეთ კორეამ აასრულა მუქარა — გამოდის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან; თუმცა ფჰენიანმა ისიც განაცხადა, რომ არ აპირებს ბირთვული იარაღის წარმოებას და ამ ეტაპზე მისი აქტიურობა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნების განსახორციელებლად იქნება მიმართული.



ჩრდილოეთ კორეის ამ ნაბიჯს წინ უძღოდა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ულტიმატუმი — დააბრუნეთ ქვეყანაში გამოყრილი ინსპექტორები, რომლებიც თქვენს ბირთვულ საქმიანობას იკვლევდნენო.

ჩრდილოეთ კორეის ამ ნაბიჯმა დაძაბა ურთიერთობა ფჰენიანსა და ვაშინგტონს შორის, თუმცა აშშ ყველანაირად ცდილობს შექმნილი კრიზისული მდგომარეობის განმუხტვას.

ტოკიოც დაბეჯითებით სთხოვს ფჰენიანს, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესახებ, — განაცხადა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ძუნიტირო კოიძუმიმ. მისი თქმით, იაპონია ყველაფერს იღონებს, რათა კორეამ შეწყვიტოს თავისი ბირთვული პროგრამის რეალიზაცია.

*გარდიანი*

## ბუში და პუტინი ფიქრობენ, სად გადაასახლონ სადამ ჰუსეინი

ამერიკის და რუსეთის სამთავრობო და დიპლომატიური წრეებიდან მიღებული ცნობების თანახმად, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ერაყში ომის თავიდან ასაცილებლად მოამზადა „რუსეთის მშვიდობიანი ინიციატივის“ პროექტი. უკვე 2002 წლის ნოემბრიდან რუსეთის ოფიციალური პირები ხშირად დადიან ბაღდადში იმის შესასწავლად, თუ რა შემთხვევაში იტყვის სადამ ჰუსეინი უარს ძალაუფლებაზე და თანხმობას განაცხადებს რუსეთში ემიგრაციაზე. თუ ჰუსეინისთვის მისაღები იქნება შეთავაზება, მაშინ პუტინი ცალკეული დეტალების დასაზუსტებლად ერაყის დედაქალაქში თავის ემისარს გაგზავნის ან თავად ჩავა.

პრეზიდენტმა ბუშმა, ტელეფონით საუბრის დროს, პუტინს მეტი აქტიურობის გამოჩენა სთხოვა. ისიც დასძინა, რომ სიამოვნებით იტყოდა ერაყთან ომზე უარს, ჩრდილოეთ კორეასთან კონფლიქტის ესკალაციის გამო.

*ტაგესცაიტუნგი*

## მასხადოვი დაჭრილია?!

ჩეჩნეთში მეხუთე წელია გრძელდება კონტრტერორისტული ოპერაცია. 1998 წლის ოქტომბრიდან აქ 4.700 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, დაიჭრა 13 ათასზე მეტი. „ბოევიკების“ მოუხელთებელ ლიდერებად ერთმანეთის დაუძინებელი მტრები — მასხადოვი და ბასაევი რჩებიან. საველე მეთაურთა შეკრებაზე მასხადოვმა ბრძანა, — ბასაევი უნდა დავაპატიმროთ და შარიათის სასამართლოს გადავცეთო. არ გამორიცხავენ, რომ საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად მასხადოვი ბასაევს ფედერალებს ჩააბარებს.

საველე მეთაურთა სამხედრო საბჭოს სხდომიდან რამდენიმე დღის შემდეგ მასხადოვი ფედერალებმა საკუთარ სოფელ ალეროში „გამოიჭირეს“. ამბობენ, ინფორმაცია, მის იქ ყოფნაზე, რუსებს ბასაევის თანაშემწეებმა მიაწოდესო. ფედერალებთან სასტიკი შეტაკების შემდეგ მასხადოვის ბანდა მთებში მიიმალა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, შეტაკების დროს მასხადოვი მუცელში დაჭრეს.

თავად ბასაევი ვედენოს რაიონში, მთებში აპირებს გამოზამთრებას. მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ ძალიან ახლობლებმა და პირადმა მცველებმა იციან. მის სამოთახიან ბუნკერზე ლეგენდებს ჰყვებიან — კომფორტი არ აკლია, ერთ-ერთ ოთახში კი კომპიუტერებითა და სათანამგზავრო კავშირით აღჭურვილი „სამეთაურო პუნქტია“ მოწყობილიო. საჭმელს მზარეული უმზადებს, ორი მსახური დღედაღამ თავს ადგას. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ბასაევი მძიმედაა დაჭრილი. საჭიროების შემთხვევაში იგი ხელში აყვანილი გამოჰყავთ გარეთ ჰაერის ჩასაყლაპად.

რუსეთის სპეცსამსახურებისათვის ცნობილი გახდა ნორდ-ოსტში მომხდარი ტერაქტის მომზადების დეტალები. ბარაევი მოსკოვში ბასაევს გაუგზავნია დანაშაულის გამოსასყიდად. უცხოელ სპონსორებს ჩეჩნეთში რამდენიმე კურიერის ხელით მორიგი ფულადი დახმარება გაუგზავნიათ — 1 მლნ 200 ათასი დოლარი. ერთ მათგანს სწორედ ბარაევმა წაართვა 50 ათასი დოლარი. მართალია, საყვარელ თანაშემწეს ბასაევმა ქურდობა ვერ დაუმტკიცა, მაგრამ შესარიგებლად მოსკოვში ტერაქტის განხორციელება დაავალა.

*არგუმენტი ი ფაქტი №2*

## იტალიამ ტაივანჩიკი აშშ-ს გადასცა



ვენეციის სააპელაციო სასამართლომ მიიღო ალიმჟან ტოხტახუნოვის (ტაივანჩიკის) ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის გადაწყვეტილება. ორი კვირის განმავლობაში ამ გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება გადაეცემა ტოხტახუნოვის დამცველს, რომელიც მის გასაჩივრებას აპირებს. ამის შემდეგ მეორედ გაიმართება სააპელაციო სასამართლო, რომელიც საბოლოო დადგენილებას მიიღებს. ტაივანჩიკის ადვოკატმა განაცხადა, რომ შეეცდება გაახანგრძლივოს ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის პროცესი.

შეგახსენებთ: ტაივანჩიკი შარშან იტალიაში დააპატიმრეს ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს მოთხოვნით. მანჰეტენის სასამართლომ მას დაუსწრებლად წაუყენა ბრალდება — სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადაზე მსაჯების მოსყიდვა იმ მიზნით, რომ ოლიმპიური ოქროს მედალი საფრანგეთის მოცეკვავეებს — მარინა ანისიმოვასა და გვენდელ პეიზერს მიეღოთ, რაც მოხდა კიდეც.

პროკურატურა ირწმუნება, რომ ტაივანჩიკს ამ გზით სურდა საფრანგეთის საიმიგრაციო ხელისუფლების გულის მოგება, რათა ქვეყანაში თავისი ყოფნის ვადა გაეგრძელებინა. ტოხტახუნოვს ბრალი სხვა რამეშიც ედება — კერძოდ, ჭუჭყიანი ფულის ჩამორეცხვასა და საბანკო ოპერაციების გაყალბებაში. ბრალდების ყოველი პუნქტი 5-წლიან პატიმრობასა და 250-ათასდოლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

რომისა და ვენეციის პროკურატურა დამოუკიდებლად იძიებდა ტოხტახუნოვის საქმიანობას ოპერაცია „აღმოსავლეთის ფულის“ ფარგლებში.

*რია ნოვოსტი*

## ფინელებს ნატოში შესვლა არ სურთ



ფინეთის პრეზიდენტმა ტარია ჰალონენმა განაცხადა, რომ ფინეთი მიესალმება ნატოს გაფართოებას, თუმცა თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობას არ აპირებს. ტარია ჰალონენისგან განსხვავებით ფინეთის თავდაცვის მინისტრი იან-ერიკ ენესტამი შიშობს, რომ თუ ქვეყანა ნატოს წევრი არ გახდა, შეიძლება საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდეს. ფინეთში საზოგადოებრივმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მოსახლეობის დაახლოებით სამი მეოთხედი სახელმწიფოს მეთაურის აზრს იზიარებს.

*ინტერფაქსი*

## ერაყის ნავთობი დიდ ბრიტანეთსაც იზიდავს

150 უცხოელი ელჩის წინაშე გამოსულმა ბრიტანეთის პრემიერმა ტონი ბლერმა სიამოვნებით აღნიშნა თავისი ქვეყნის მოკავშირეობრივი ერთგულება. ბრიტანეთი რჩება აშშ-ის უახლოეს თანამოაზრედ რეგიონული კრიზისების გადაწყვეტაშიო, — თქვა პრემიერმა. ამაში იგულისხმებოდა სერბეთის დაბომბვა, ავღანეთში ხელისუფლებიდან თალიბების ჩამოშორება, ერაყში სადამ ჰუსეინის ჩამოსაგდებად მზადებაც. „თუ მსოფლიო მასობრივი განადგურების იარაღის პრობლემის გადაწყვეტაზე არ იზრუნებს, ჩვენ საკუთარი უნიათობის მსხვერპლი გავხდებით, — თქვა პრემიერმა ბლერმა, თუმცა ისიც დასძინა, — უფროს პარტნიორს მართალია, მხარში ვუდგავართ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მორჩილად შევასრულებთ აშშ-ის ყველა მოთხოვნას. მთავრობა არასოდეს გაგზავნის თავის ჯარისკაცებს ომში, რომელსაც „უსამართლო ომად“ მიიჩნევს.“ — განუცხადა ტონი ბლერმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. თუმცა ერაყში შეჭრას ეს არ ეხება — ამ დღეებში დიდმა ბრიტანეთმა სამხედრო სამსახურში გამოიძახა რეზერვისტები — 1.500 ჯარისკაცი. სამხედრო გემი „ოუშენი“ კი სპარსეთის ყურისკენ წავიდა. ერაყის ნავთობის მარაგი 3 ტრილიონ დოლარადაა შეფასებული, ამიტომ ლონდონი საბაზრო კატეგორიებით აზროვნებს — ნავთობი დიდი ძალაა.

*ლენტა.რუ*

## მთელ მსოფლიოში აცივდა

ახალი წლიდან მოყოლებული **მოსკოვში** ყინვისგან 35 კაცი დაიღუპა, 253-ზე მეტი ხელფეხმოყინული მიიყვანეს საავადმყოფოებში, უმეტესად — ბომჟები ან მთვრალები.

ყინვას 200-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა **პოლონეთში**, ტემპერატურა -30⁰C-ს აღემატებოდა, დაიხურა ყველა საბავშვო დაწესებულება.

**ბუდაპეშტში** უამინდობამ 16 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ჩეხეთსა და სლოვაკეთში — 13. ცნობილ კურორტ კარლოვი-ვარში პოლიციამ 6 გაყინული მაწანწალა იპოვა.

ასეთი ყინვა **პარიზს** არ ახსოვს, მსხვერპლმა 10-ს გადააჭარბა. აქ უსახლკაროებისთვის თავშესაფრებს ხსნიან.

დიდთოვლობაა **დიდ ბრიტანეთშიც**, ზოგან თოვლის საფარი 20 სმ-ს აღწევს, ტემპერატურა -8-15⁰C-მდე დაეცა. ასეთი ზამთარი 1991 წლის შემდეგ აღარ ყოფილა.

**ლონდონის** ქუჩებში 200 ტონა მარილი დაყარეს. კენტის საგრაფოში დაიხურა უდიდესი სავაჭრო ცენტრი Bluewater-ი, რომელშიც ყოველდღიურად 500 ათასი მყიდველი შედის. საავტომობილო გზებზე მოძრაობა ჭირს.

**ჩრდილოეთ ინდოეთში** სრულიად უჩვეულო სიცივემ 150 ადამიანი იმსხვერპლა. ტემპერატურის მკვეთრი დაცემის მიზეზი ჰიმალაიდან წამოსული ცივი ჰაერის ნაკადი უნდა იყოს. ქარბუქი



შეუძლებელს ხდის ტრანსპორტის მუშაობას. დახურულია დელის აეროპორტი. ათასობით მგზავრი უცდის საჰაერო რეისების აღდგენას.

*ნოვოსტი*

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# ოჰ, ეს მოუსვენარი „გაზეტჩიკები", ანუ ჟურნალისტური კურიოზები

**ჟურნალისტებს მასალის შესამზადებლად ხანდახან გვიყვარს ხოლმე კურიოზების გახსენება. ზოგი რესპონდენტი სიამოვნებით გვეთანხმება „გაზეტჩიკებს" ასეთი ეპიზოდის გახსენებაზე, ზოგიც — არა.**

**ამჯერად, რესპონდენტების კი არა, ჩვენი, ჟურნალისტების კურიოზებს შემოგთავაზებთ. რაღა თქმა უნდა, ეს ეპიზოდები თქვენთვის ცნობილ პიროვნებებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ მთავარი მოქმედი გმირები ჩვენ გახლავართ, „ეპიზოდურ როლში" კი — ისინი.**

**სადღესასწაულო პერიოდში სასიამოვნოა ღიმილიანი, ღიმილის მომგვრელი და მხიარული ამბების წაკითხვა. ჩვენც გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ ის საინტერესო და ორიგინალური ფრაზები, რომლებიც, გასაგები მიზეზების გამო, თავის დროზე არ გავიდა, ან სულაც გავიხსენოთ ის კურიოზები, რომლებმაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო მასალის მომზადების დროს, მოგვიანებით კი ბევრი გვაცინა.**

**დავიწყებ ჩემი კურიოზით...**

ბევრი ჩემი კოლეგა დამეთანხმება, რომ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის უფროსი, თემურ მღებრიშვილი, ფრიად არაორდინარული პიროვნებაა. ჟურნალისტები ვუყვარვართ და იუმორთანაც არ არის მწყრალად.

მასთან საუბარი უკვე ერთი დიდი კურიოზია. ერთხელ, მეგობრებმა მირჩიეს: თუ გინდა კარგი მასალა გამოგივიდეს, სახალისოც და ოპერატიულიც, მიტინგზე უნდა მიხვიდე, იქ აუცილებლად დაგხვდება მღებრიშვილი, ინტერვიუსაც აიღებ და გვარიანად იმხიარულებ კიდეცო. გავიგე თუ არა, პენსიონერებს მიტინგი აქვთ მთავრობის სასახლესთანო, მაშინვე იქ



სტატიის ავტორი მღებრიშვილის ნაჩუქარი „კასკით" ხელში

გავჩნდი. შორიდანვე დავლანდე მანქანაში მჯდომი, შავ ფორმაში გამოწყობილი ჭაღარა მღებრიშვილი. მივედი, თავი წარვუდგინე და ვკითხე, რა ხდება, რას ითხოვს ეს ხალხი-მეთქი? — რავი, გენაცვალე, მეც ეგ მაინტერესებს და ამიტომაც მოვედიო.

ამ დროს ჩოჩქოლი ატყდა. სპეცრაზმის შეფი მანქანიდან გადმოვიდა, ოხვრით შემომჩივლა, ჩემი მოსვენება ხომ არ იქნებაო და შუაგულ ორომტრიალისკენ გაეშურა, თან გადმომილაპარაკა, შენც წამოდი და ნახე, როგორებთან მიწევს ურთიერთობაო. რაღა თქვა უნდა, გავყევი. ერთ ხანშიშესულს გული წასვლოდა და აბრუნებდნენ... მღებრიშვილის დანახვას აყიოტაჟი მოჰყვა. ზოგი ქოქოლას აყრიდა, ზოგიც წყევლიდა. ბატონი თემური კი ხმამაღლა იძახდა: ხალხო, ჭკვიანად იყავით, ჟურნალისტი მომყვება და იცოდეთ, ყველას გაზეთში გაგვწერსო.

როგორც იქნა, ის ქალი მოასულიერეს. ერთ-ერთმა მომიტინგემ ყურში ჩამჩურჩულა (ხმამაღლა ვერ გაბედა): ამ ვაჟბატონის რაზმელმა „დუბინკა" სთხლიშა გვერდში და გული იმიტომ წაუვიდაო.

— ქალბატონო, რა მოხდა, ხელით ხომ არ შეგეხნენ? — ვცადე დაზარალებულთან დამეზუსტებინა სიმართლე.

ქალი დუმდა და თვალებში მომჩერებოდა. კითხვა გავუმეორე.

— უპასუხე, ადამიანო, ეს გოგო ჟურნალისტია და აინტერესებს, ჩემმა ბიჭებმა რამე ხომ არ გაწყენინეს? — ვეღარ აიტანა იმ ქალის სიჩუმე მღებრიშვილმა.

ქალი ხმას ვერ იღებდა, მხოლოდ კვნესოდა.

— შვილო, სანამ ჟურნალისტი გახდებოდი, ადამიანი ხომ იყავი, ხომ ხედავ, ქალს ლაპარაკის თავიც არა აქვს. ამ გიჟს (მღებრიშვილზე მიმითითა) რას აჰყოლიხარ — მითხრა ერთმა ხანშიშესულმა ქალმა.

— აბა რა უნდა გელაპარაკოთ, თქვენთვის ვზრუნავ, თქვენთვის ვწვალობ. არ მინდა, ამ სიცივეში ერთმანეთს დაერიოთ, ტანსაცმელი შემოახიოთ... მერე გაცივდებით, სიცხეს მოგცემთ და ყველაფერი მე დამბრალდება... გიჟიო? გიჟი მამაშენია! — გაცხარდა სპეცრაზმის უფროსი.

ღიმილი ძლივს შევიკავე. ამ დროს ერთ-ერთი რაზმელი მოგვიახლოვდა.

— უფროსო, ერთი კაცი მიწაზე გაწვა და ყვირის, ჩემი ფული მომეცითო, რა ვქნათ, მანქანაში შევაგდოთ?

— რას ჰქვია, შეაგდო, წამოაყენე, პალტო დაუბერტყე და ტკბილად მიაცილე სახლამდე! — ჩემ გვერდით მთლად თაფლად დაიღვარა ბატონი თემური.

— წამოხვალ, გენაცვალე, ნახავ იმ კაცსა? — ჩამეკითხა მღებრიშვილი.

— აუცილებლად! — მოკლედ მოვუჭერი.

როცა მწოლიარე პენსიონერს მივუახლოვდით, — რა გინდა, ძია-კაცო, რა გაგჭირვებიაო, — ისე მზრუნველად მოიკითხა „შეფმა", რომ მომიტინგე ცოტა არ იყოს, დაიბნა კიდეც. ჯერ დაგვაცქერდა ორივეს, მერე მიხვდა, რომ საჭირო იყო პროტესტი ხმამაღლაც გამოეთქვა და აყვირდა:

— სანამ პენსიას არ მომცემს მთავრობა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

— ადე, ძია, ადე... არ გაცივდე. აბა, მიწაზე წამოწოლა როგორ შეიძლება? ერთი რაღაც უნდა გკითხო, გვერდზე გავიდეთ!

— არ გაყვე, არა... მანქანაში ჩაგსვამს და წაგიყვანს, დაგიჭერს, იცოდე! — იკივლეს ქალებმა.

— არა, ქალებო, აბა მაგას როგორ ვიზამ, თანაც, აგე, ჟურნალისტი მახლავს! — მომიშველია მე.

ირგვლივ მყოფნი დავაწყნარე და წამომდგარ პენსიონერს მეც გავყევი. ჩვენს ირგვლივ კვლავ შეიკრიბა ხალხი.

— ჭკვიანი კაცი ჩანხარ, რომ გაჰყვირი, მთავრობამ ახლავე მომცეს ფულიო, ხომ იცი, რომ ვერ მოგცემს, არა? — დინჯად დაიწყო „შეფმა".

— რათა, კაცო, რათა? ჩემს ფულს ვთხოულობ, სხვისას ხომ არა? — ისევ აღშფოთდა პენსიონერი.

— ეჰ... (ხელი ჩაიქნია) შენა იცი, რომ ათმა კაცმა ერთ ქალს ნიფხავი ვერ გახადა? (მომიტრიალდა და შენთან ბოდიშიო, — მითხრა).

— რაო? — არ მოელოდა ასეთი კითხვის დასმას, — რატომ ვერ გახადა?

— იმიტომ, ძმაო, რომ იმ ქალს საერთოდ არ ეცვა ნიფხავი... ჰოდა, ასეა ჩვენი მთავრობაც... რაც არა აქვს, რა უნდა მოგცეს?

ისეთი ხარხარი ატყდა, სულ დაავიწყდათ, რისთვის იყვნენ თავშეყრილები...

იმ დღეს არ გამოვიდა ინტერვიუ, ამიტომაც სამომავლოდ შევითანხმე მღებრიშვილი, თან გავაფრთხილე: მიტინგზე, მასალის მომზადებისას თქვენმა ბიჭებმა „დუბინკა" მეც არ მომილერონ, თორემ ჩემი სახით მტერს გაიჩენთ-მეთქი. თავში ხელი შემოირტყა: ვინც შენ სიტყვა ან ხელი შეგიბრუნოს, მე იმის დედაცო...

ინტერვიუზე როცა მოხვალ, „კასკას" გაჩუქებ, ზედ დააწერე „კვირის პალიტრა" და ზედმეტს ვერაფერს გაგიბედავენო... სხვათა შორის, რამდენიმე ხნის შემდეგ ინტერვიუც შედგა და მღებრიშვილმა ის შეპირებული „კასკაც" მაჩუქა, თან ორი „დუბინკა" (თავად რომ ჩურჩხელებს ეძახის) მოაყოლა, ჩემგან თქვენს რედაქციას სამახსოვროდ ჰქონდესო.

ჟურნალისტები იმაშიც დამეთანხმებიან, რომ ენაწყლიან თემურ მღებრიშვილზე ნაკლები არაორდინარული რესპონდენტი არც სიტყვაძუნწი დავით თევზაძეა. სწორედ მასთან დაკავშირებით სურს კურიოზის გახსენება ჟურნალისტ ნანა ქიბიშაურს (იგი „კვირის პალიტრასა" და ჟურნალ „გზაში" მუშაობს).

**ნანა ქიბიშაური:** „გზის" რედაქტორმა, გოჩა ტყეშელაშვილმა „საბრძოლო დავალება" მომცა — დავით თევზაძესთან ინტერვიუ უნდა გამიკეთო: შენ ცოტა მორიდებული ხარ, ამიტომ მეც გამოგყვები, რომ თამამად იყო, თანაც ფოტოკორესპონდენტს „მაგარ" სურათებს გადავაღებინებ. მინისტრის პრესმდივანი უკვე გველოდებაო. რა გაეწყობოდა, სამივენი წავედით: მე, გოჩა და ფოტოკორესპონდენტი ნუგზარ კეთილაძე. გული მიგრძნობდა, რომ კურიოზის გარეშე არ ჩაივლიდა ინტერვიუ. საუბრისას გავწამდი. კითხვას კითხვაზე ვუსვამდი, თევზაძე კი „ჰო" და „არა"-თი მპასუხობდა. ის-ის იყო გამწარებულმა გავიფიქრე, მასალა ჩამივარდა-მეთქი, რომ გოჩამ ხელით მანიშნა, ყველაფერი კარგად იქნებაო (თითქოს ჩემი ფიქრები წაიკითხაო). მინისტრთან აუდიენცია დასასრულს უახლოვდებოდა, რომ უცებ გოჩამ ჩასაფრებული კაცივით ჰკითხა:

— ორიგინალური ფოტო გვჭირდება და ხომ გადაგვაღებინებთ?

— მაინც როგორი გინდათ? — კითხვა შეგვიბრუნა თევზაძემ.

— აი, ამერიკელ დესანტებს რომ აქვთ სახის ნახევარი შეფერადებული და ბენდენა გაკრული... ხომ კარგი იქნება? — თავისივე „მიგნებით" აღტაცებულმა გოჩამ სახეში შესცინა ბატონ დავითს.

მინისტრს ნაკვთიც არ შესტოკებია. „გაყინული" მზერა მიაპყრო „ორიგინალურ" რედაქტორს.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. პაუზა დიდხანს გაგრძელდა. პრესმდივანმა ჩაახველა და მანიშნა, წასვლის დროაო, მაგრამ გოჩას სულაც არ სურდა იოლად „დანებება" და კვლავ ახალი იდეა შესთავაზა:

— მაშინ, კარატეს ილეთი შეასრულეთ და ორი თითი მოისვით თვალზე!

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. სასოწარკვეთილმა ისღა მოვახერხე, რომ დასამშვიდობებლად წამოვდექი.

— ასეთ „ტრიუკებს" მე არ გავაკეთებ! — კბილებში გამოცრა თევზაძემ.

— კარგით! მაშინ, „დაიფოთლეთ!" — იყო



ახალი თხოვნა.

— ბა-ტო-ნო?! — კიდევ უფრო ნელა დამარცვლა მინისტრმა.

— სამხედრო ფორმა ჩაიცვით და სურათს გადაგიღებთ! — განუმარტა გოჩამ.

ამაზე უარი აღარ უთქვამს დავით თევზაძეს... მისი კაბინეტიდან გამოსული ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ მშვიდობიანად დამთავრდა შეხვედრა.

მეორე კურიოზსაც მოგიყვებით. მასალის მოსამზადებლად სექსოლოგთან უნდა მივსულიყავი. კუზანოვთან ერთი ინტერვიუ მქონდა აღებული. ასე რომ, მის თანამშრომელ ქალებთან ვმეგობრობდი კიდეც. იმედი მქონდა, მათი წყალობით სექსოლოგთანაც (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) იოლად შევაღწევდი. სანამ კლინიკამდე მივიდოდი, ტრანსპორტში იმისთანა ჭყლეტაში მოვყევი, რომ პალტოდან თითქმის ყველა ღილი ამწყდა. ნერვები ამეშალა: ასეთი აჯაჯული როგორ შევიდე ინტერვიუზე-მეთქი. მერე გამახსენდა კუზანოვის კლინიკა (პირველ სართულზე), ჩემი მეგობარი ქალები და გადავწყვიტე, რომ ისინი მომიგვარებდნენ ნემსის და ძაფის პრობლემას (მოწყვეტილი ღილები ხელთ მქონდა). სანამ კლინიკაში შევიდოდი, მეგობარმა დამირეკა, სად ხარ და რას აკეთებო. შევჩივლე ღილების გამო, საქმის კურსში ჩავაყენე, რასაც ვაპირებდი და ერთ საათში დამირეკე-მეთქი, შევუთანხმდი. მართლაც, კუზანოვის თანამშრომლებმა ღიმილით მიმიღეს, პრობლემა იოლად მომიგვარეს და მეც მშვიდად ავედი მეორე სართულზე... სექსოლოგის კაბინეტთან კაი გვარიანი რიგი დამიხვდა (რა თქმა უნდა, სულ კაცები იდგნენ). ეჭვით შემათვალიერეს. შემრცხვა ურიგოდ შესვლა, ამიტომაც მორიდებით ვიკითხე: ბოლო ვინ არის-მეთქი და რიგშიც ჩავდექი. ისე, რა ჟურნალისტი ვარ, თუკი ადამიანებთან იოლად ვერ შევალ კონტაქტში, ჰოდა, ცოტა ხანში ტკბილი მუსაიფი გავაბი. აღმოჩნდა, რომ ყველა იქ მდგომს რაღაც პრობლემა ჰქონდა: ზოგი დასავლეთ საქართველოდან იყო ჩამოსული, ზოგიც ქართლ-კახეთიდან, ერთი კახელი სიტყვაძუნწობდა მხოლოდ, დანარჩენები იოლად ავიყოლიე საუბარში. ზოგიერთი მამაკაცი ისეთი პრანჭვით მელაპარაკებოდა, კეკლუცი ქალი შემირცხვენია... ერთი საათი ისე გავიდა, ვერც გავიგე. ჩემმა მეგობარმა, შეთანხმებისამებრ, კვლავ დამირეკა და ისევ მკითხა, რას შვრებიო. ნათქვამია, ქართულ სიტყვას დაფიქრება და მოზომვა სჭირდებაო, ეს სიბრძნე სულ გადამავიწყდა, ისიც ამომივარდა თავიდან, თუ სად ვიმყოფებოდი და მოკლე პასუხებით შემოვიფარგლე: კუზანოვთან უკვე ვიყავი და მივიკერე, ახლა კი სექსოლოგს ველოდები, რიგში ვდგავარ-მეთქი. მობილი რომ გავთიშე, მერეღა დავაფიქსირე ირგვლივმყოფთა გაკვირვებული სახეები. განსაკუთრებით ის კახელი კაცი შემომყურებდა დანანებით... ორი წუთიც არ გასულა და ერთმა მოკეკლუცე ბიჭმა თავისი ადგილი დამითმო, მერე ორმაც წინ გამიშვა და უცებ აღმოვჩნდი სექსოლოგის კართან. რადგანაც მეჩქარებოდა, თავი აღარ გამომიდვია, საეჭვო ორიენტაციის მქონე ან გადაკეთებული არ გეგონოთ, ჟურნალისტი ვარ-მეთქი, არც ვაციე, არც ვაცხელე, მადლობა გადავუხადე რიგში მდგომთ და სექსოლოგთან შევედი. ინტერვიუ 15-20 წუთში ჩავიწერე. როცა გამოვედი, ხელი ნარნარად ავწიე და რიგში გაცნობილებს გაპრანჭულად დავემშვიდობე. რამდენიმე ნაბიჯი გავიარე და იმ კახელი კაცის სიტყვები გავიგონე: „აი, და-და-და, ახლა ამის ცხოვრებასა რაღა აზრი აქვს?" უკან არ მიმიხედავს, ისე სწრაფად დავტოვე კლინიკა.

**ზვიად ჩაკვეტაძე:** ერთხელ, ბაზრის თემა „წამოვიკიდე". საქონლის და ღორის ხორცზე უნდა გამეკეთებინა მასალა. ახლობელმა წინასწარ გამაფრთხილა, თუ გინდა, რომ კაი კრიტიკული მასალა გამოგივიდეს, ბაზარში დილის 4-5 საათზე უნდა მიხვიდე. ამ დროს მიწაზე ყრია აუარებელი ხორცი. მოგვიანებით კამეჩისას ძროხად ასაღებენ, ხოლო საუკეთესოს დირექციისთვის ინახავენო... აბა, რად ივარგებს პუბლიკაცია, თანაც კრიტიკული, თუ მას პაპარაცული ფოტო არ ახლავს. წავიყვანე ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ნუგზარ კეთილაძე. ბაზარში ისეთი ორომტრიალი დამხვდა, თითქოს ქალაქს არც ეძინა. ხორცის გროვა ცალკე (მიწაზე!) ეყარა, კამეჩის, ძროხის და ღორის თავები კი — ცალკე. ყველა თავისი საქმით იყო გართული, ჩვენ ყურადღებას არავინ გვაქცევდა, მაგრამ აშკარად სურათის გადაღება მაინც ვერ გავბედეთ (ახლობელმა ამაზეც მკაცრად გამაფრთხილა — ყასბებმა არ დაგინახონ ფოტოაპარატი, თორემ თავზე დაგაფშვნიანო). ბოლოს ასეთი რამ მოვიფიქრე: ავიდოდი შემაღლებულ ადგილზე, ფეხებს განზე გავდგამდი, მერე ვითომ შარვლის შესაკრავი „ელვა" გამიფუჭდა და მის „გაკეთებაში" დამეხმარებოდა ფოტოკორესპონდენტი. სინამდვილეში, ამ დროს იგი ჩემს ფეხებს შორის ფოტოაპარატს გაყოფდა და საჭირო კადრებს გადაიღებდა. ასეც მოვიქეცით, მაგრამ ნუგზარი აპარატის „მორგებას" დიდხანს მოუნდა. გული შემიწუხდა ლამის. „ე ბიჭო, ჩქარა... ე, ბიჭო არ დაგვინახონ" — ვბურტყუნებდი შეუჩერებლად. ის-ის იყო ნუგზარმა „ჩააჩხაკუნა", რომ ერთი ახმახი კაციც მოგვადგა:



— თქვენა, მეტი ადგილი საამისოდ, ვერსადა ნახეთ?

ნუგზარი „მორცხვად" გამოძვრა ჩემი ფეხებიდან, მე კი „თავის გამართლება" ვცადე:

— რა იყო, შე კაცო, შარვლის შესაკრავი გამიფუჭდა და მიკეთებდა...

— მე ვიცი თქვენი „შესაკრავები"... აქ მშრომელი ხალხი ღამითაც არ ისვენებს, თქვენ კიდე კაცობა და ნამუსი დაგიკარგამთ და აღარ იცით, სად გაერთოთ. აქედან დამეკარგეთ ორივე, თორე აი, იმ კამეჩის თავებს ხომ ხედავთ, არა? აი, ისე დაგაყრევინებთ თქვენც მაგ უსირცხვილო თავებს. აქა თქვენი ადგილი არ არის, წადით და ცირკის მიდამოებში გაისწორეთ ეგ თქვენი შარვლის „შესაბნევები".

ისე აბრიალებდა თვალებს, თანაც გალესილ დიდ ცულს ისე ატრიალებდა აქეთ-იქით, ხმა აღარ გავეცით, ძუნძულით გამოვედით ბაზრიდან.

***მარინა ბაბუნაშვილი***

„ტოპსერვისის" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, ყაზბეგის ქ. 2 (ყოფ. კავშის)
11.00-19.30 სრ-მდე კვირის გარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 11 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2090 |
| ევრო | 2,3232 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5538 |
| რუსული რუბლი | 0,0693 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3271 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## პატიოსანი გამყიდველი



ერთხელ დიდი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი იუსტინე აბულაძე უნივერსიტეტიდან შინ ბრუნდებოდა. წესად ჰქონდა, გზად თითქმის ყოველ წიგნის მაღაზიაში შეივლიდა ხოლმე. ამჯერადაც ასე იყო და როდესაც ბატონი იუსტინე სახლს მიადგა, აღმოჩნდა, რომ ხელნაწერით სავსე ჩანთა სადღაც დარჩენოდა. დაბრუნდა უკან და მიადგა იმ მაღაზიას, რომელშიც სულ ბოლოს შევიდა:

— ძალიან დიდი ბოდიში, აქ ჩანთა ხომ არ დამრჩენია?

— არა, ბატონო იუსტინე, აქ არ არის თქვენი ჩანთა, — უპასუხეს თავაზიანად.

იგივე პასუხი მიიღო დიდმა მეცნიერმა თითქმის ყველა წიგნის მაღაზიის გამყიდველისგან.

ბატონმა იუსტინემ ბოლოს, როგორც იქნა, იმ მაღაზიას მიაკითხა, სადაც თავდაპირველად შევიდა.

— დიდი ბოდიში, აქ ჩანთა ხომ არ დამრჩა?

— ბატონო იუსტინე, აი თქვენი ჩანთა, ჩვენთან დაგრჩენიათ. — აქაც თავაზიანად უპასუხეს და ჩანთა გადასცეს.

— თქვენ გენაცვალეთ, რა პატიოსანი ხალხი ხართ!.. აქამდე რომელ მაღაზიაშიც შევედი, ყველამ უარით გამომისტუმრა!

***დურმიშხან ყიფიანი, თბილისი***

## კაკო და „ჟიგული-ტაქსი"



ქვემო სურებელმა კაკო ხავთასმა დიდი ქადილის შემდეგ, როგორც იქნა, იყიდა „ჟიგული-06" და სამი დღე აღარც გამოფხიზლებულა.

მეოთხე დღეს მიუჯდა სანუკვარ საჭეს და ჩოხატაურისკენ გაისეირნა. იქ ძმაკაცებმა მიულოც-მოულოცეს და გვარიანადაც გამოთვრა. ქალაქი მშვიდობიანად გამოიარა და სურების დასაწყისში ძლივს გაჩერდა თონესთან — ლავაშს წოვულებ ბაღნებსო.

ლავაშები იყიდა და მუდამ სხვის მანქანას მიჩვეული, საკუთარში მძღოლის სავარძლის გვერდით ჩაესვენა პურებიანად და ჩაყვინთა კიდეც. მერე, რომ „ამოყვინთა", მძღოლის უყურადღებობით აღშფოთებული, გამეტებით დააწვა სიგნალს.

გაბმულ სიგნალს კაკოს მეზობელმა („გადამდგარმა" ავტობუსის მძღოლმა) თამაზ ღლონტმა მიაქცია ყურადღება, ყველაფერს მიხვდა, საჭეს მიუჯდა და 15 წუთში მიიყვანა „კლიენტი" თავის ჭიშკართან. კაკომ 5-ლარიანი ამოიღო, მძღოლს ხელში მიაჩეჩა და თამაზმაც გამოართვა (მერე ვიცინებთო!). ჩასვლისას კაკომ ფეხი აითრია.

— მოვედით, ბატონო კაკო, მოვედით!

— კი მარა, ასე უნამუსო რომელი ხარ, ორი მანეთი ხურდა არ მეკუთვნის ახლა მე?! — აიფოფრა კაკო...

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## სად სკამი და...



ამ რამდენიმე წლის წინ სამი ქართველი მეგობარი გოჩა, ნოდარი და ზურა რუსეთში წავიდნენ სამუშაოდ ეგრეთ წოდებულ „შაბაშკაზე". ზურას ცოტა უჭირდა, რადგან ასეთ საქმეზე პირველად იყო, თანაც რუსულთან მწყრალად გახლდათ. მრავალგზის „ნაშაბაშკარი" გოჩა და ნოდარი კი, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობდნენ თავს.

ყველა უბედურებასთან ერთად უცხო მხარეში ზურა ექიმთან მისასვლელიც გახდა მუცლის ტკივილის გამო. იქიდან მობრუნებულს კი ერთი უცნაური რამ დასჩემდა — გაგანია მუშაობის დროს საქმეს მიატოვებდა და ზუსტად ერთი საათი სკამზე გაუნძრევლად იჯდა.

უთმინეს, უთმინეს მეგობრებმა და ბოლოს უსაყვედურეს ასეთი საქციელი. მან კი ექიმის დარიგება მოიშველია: — ლეკარსტვა პრინიმატ ჩერეზ ჩას პოსლე სტულა — ეწერა დანიშნულებაში...

ბიჭებმა ამაზე გულიანად იხარხარეს და მეგობარს აუხსნეს, რომ რუსულ ენაში „სტულ" მეორენაირად კუჭის მოქმედებას ნიშნავს და პატივცემული ექიმი ამ შემთხვევაში სწორედ ამას გულისხმობდა და არა სკამს...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## „დაკარგული" ჯარისკაცი



იმერეთში შინმოუსვლელებს „ომში დაკარგულებად" მოიხსენიებენ. ასე რომ, აქ სიტყვა „დაკარგვა" სულაც არ არის მხოლოდ რაიმეს დაკარგვის სინონიმი. ერთი სიტყვით, როცა იტყვიან, ორი ძმიდან ერთი ომში დაიკარგაო, ეს თავისთავად ომში დაღუპვას ნიშნავს.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მივლინებით ვიყავით ერევანში. იმ წლებში იყო, თითქმის ყველა მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქში რომ შინმოუსვლელთა მემორიალები ააგეს და სომეხმა მასპინძლებმაც საკავშირო სემინარის ყველა მონაწილეს შინმოუსვლელი ჯარისკაცის საფლავის მონახულება შემოგვთავაზეს სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად.

ზესტაფონის ელემენტების ქარხნიდან ორნი ვიყავით, მე და ბატონი კოსტა კვირიკაშვილი. სომხებმა რომელიღაც პარკთან მიგვიყვანეს და ჩამოქვეითების შემდეგ (იქამდე ავტობუსებით მივედით) ფეხით ბარე 3-4 კილომეტრი გაგვატარეს ტყე-პარკში. ბატონ კოსტას უჭირდა სიარული და ნელ-ნელა დელეგაციას ჩამოვრჩით კიდეც. ბოლოს, რომელიღაც ძელსკამამდე ძლივს მივიტანეთ სული... კიდევ კარგი, აქედან შორს აღარ იყო შინმოუსვლელის საფლავამდე...

— ერთ რამეს გეტყვი ახლა მე შენ, — მეუბნება კოსტა, — ერთი საათია მოვდივართ ამ ტყე-ღრეში ფეხით, ამნაირ დაკარგულ ადგილას რაფერ იყო ის საცოდავი დამარხული, რო ამოთხარეს და წამოასვენეს აქ, ხელმეორედ დასაკარგად?!

ბუნებრივია, გულიანად გაგვეცინა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვეცით პატივი „ხელმეორედ დაკარგულის" ხსოვნას და რის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ დანიშნულების წერტილამდე.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

# მკითხველის —— —— საყვარელი ანეკდოტი



პატარა რაჭველები თოვლის ბაბუას აკეთებდნენ.

— ვაჟა, სტაფილო წამოვიღო? — ეკითხება ერთი მეორეს.

— ორი ცალი წამოიღე, ბარემ ცხვირიც გავუკეთოთ! — იყო პასუხი.

***გიორგი ყუფარაძე, თბილისი***



კვლავ პაციენტს აჩვენებს:

— ამაზე რაღას იტყვით?

— ესეც შიშველი ქალია!

— თქვენ, ჩემო კარგო, სექსუალური მანიაკი ყოფილხართ! — გადაირია ექიმი.

— შიშველ ქალებს შენ ხატავ და კიდევ მე ვარ მანიაკი?

***შოთა ტყეშელაშვილი, ქუთაისი***



ზაქრომ მიხოს „კვირის პალიტრა" სთხოვა.

— ვერ გათხოვებ!

— რატო, კაცო?!

— თუ გინდა, გადაიწერე!

***ლადო კაკაბელი, სიღნაღი***



## ცოცხალი ანეკდოტი

ერთი მეგობარი მყავს, გიზო კაკაურიძე და მის ამბავს გიყვებით: ახალი წლის წინა დღეებში უშუქობით შეწუხებულმა ღამის 2 საათზე ქელასში დარეკა, — 5 წამი ამინთეთ შუქი, მეტს არ გთხოვთო!

— რა იყო, ბატონო გიზოო, — ჰკითხეს გაოცებულებმა.

— რა იყო და, „სპიჩკას" ვნახავ და გამორთეთ მერეო...

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

ორი კახელი ოპერის სკვერში ზის.

— ნეტა გამაგებინა, ვინ დაწვა ოპერა.

— გაჩუმდი, თორემ ჩვენ დაგვაბრალებენ!

— არა, ნეტა მართლა ვინ დაწვა?

— ვინ დაწვა და ვირებმა! — უპასუხა ერთმა გამვლელმა.

— ხომ გითხარი, ჩვენ დაგვაბრალებენ-მეთქი!

***ვანო შავდათაშვილი, თბილისი***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# რას უწევენ რეკლამას პარლამენტარები?

— თითქმის ყოველდღიურად, პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან „კოკა-კოლა“ საკუთარ პროდუქციას შეფარულ რეკლამას უწევს (ტრიბუნაზე და სპიკერატის მაგიდაზე „კოკა-კოლას“ ბოთლები აშკარად ჩანს). რეკლამისათვის პარლამენტის თავმჯდომარეზე, ნინო ბურჯანაძეზე სასურველ და მისაბაძ სახეს სად იშოვის კაცი და თანაც უფასოდ! თქვენ რა აზრის ხართ აღნიშნულის შესახებ?

*მიხეილ ერაძე*



კითხვაზე უპასუხებს **გიორგი მელაძე**, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილე.

— საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ შეფარული რეკლამის განმარტებას არ იძლევა. ხოლო, რაც შეეხება თვით რეკლამას, — თუ ტელემაყურებლის თვალისათვის კონკრეტული პროდუქციის სასაქონლო ნიშანი აღქმადია, იკითხება ეტიკეტი და სხვა, ეს უდავოდ რეკლამაა! ამ საკითხის თაობაზე რატომღაც არასოდეს გვიფიქრია. თუმცა, ის ფაქტი, რომ „ბორჯომი“ თუ „კოკა-კოლა“ პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან მთელი დღის მანძილზე თვალსაჩინოდ ჩანს ტელეეკრანზე, თამამად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ამ პროდუქციათა რეკლამა.

*ამავე კითხვით მივმართეთ „კოკა-კოლასაც“.*

კითხვაზე უპასუხებს **ჟაბა ჩართოლანი**, — „კოკა-კოლას“ სარეკლამო მენეჯერი.

— „კოკა-კოლას“ წინასწარ არ განუზრახავს და არც ჩანაფიქრში ჰქონია საკუთარი პროდუქციის რეკლამა პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან. სიმართლე გითხრათ, მიხარია, როდესაც ვხედავ, რომ „კოკა-კოლა“ კარგად ჩანს პარლამენტის ტრიბუნიდან და მას პარლამენტარები მიირთმევენ... *(ბ-ნი ჟაბას პასუხს აღარ გავაგრძელებთ, რადგან იგი უკვე „კოკა-კოლას“ ნამდვილი რეკლამა გამოვა. თუმცა, აქვე დავამატებთ, რომ ჩვენც დავინტერესდით, ითვლებოდა თუ არა შეფარულ რეკლამად „კოკა-კოლას“ გამოჩენა პარლამენტის სხდომათა დარბაზში. აღმოჩნდა, რომ ეს არ ყოფილა შეფარული რეკლამა. უბრალოდ, იგი აშკარა რეკლამა გახლავთ! — რ.ჟ.).*

# როგორ ვაჯილდოებთ ჩემპიონებს...

— მაინტერესებს, რა ვალდებულებას იღებს სპორტის ფედერაცია, როდესაც სპორტსმენი რომელიმე სახეობაში ხდება მსოფლიო ჩემპიონი და მით უმეტეს, ბავშვები. რით აჯილდოებენ გამარჯვებულებს — პრიზით, სიგელით თუ თანხით?..

*პაატა ხინგავა*

კითხვაზე უპასუხებს **ვანო მეკრავიშვილი**, სპორტის სამმართველოს უფროსი.

— სამწუხაროდ, ბავშვებს მადლობის, დიპლომის, თასის და სამახსოვრო მედლის გარდა ვერაფერს ვჩუქნით. ეს მხოლოდ ჩვენს სურვილზე როდია დამოკიდებული. ფინანსურ დახმარებას ვუწევთ ძირითადად ეროვნულ ნაკრებებს. მაგალითად, 2002 წლის 30 დეკემბერს პრიზები გადავეცით ოლიმპიურ სახეობებში გამარჯვებულ სპორტსმენებს. წინააღმდეგნი როდი ვართ იმისა, რომ ბავშვებმაც მიიღონ ფულადი ჯილდოები, მაგრამ სამწუხაროდ, ბიუჯეტით შარშან მხოლოდ 2,5 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი სპორტის 90 სახეობაზე. ამის მიუხედავად, ვცდილობთ, არავინ დავტოვოთ უყურადღებოდ. ხშირად ჩვენივე სახსრებით ან შუამდგომლობით ვგზავნით ბავშვებს სხვადასხვა ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. რაც შეგვიძლია, იმის მაქსიმუმს ვაკეთებთ. 22 წლამდე ასაკის 23 მოზარდს 2003 წლისათვის დაენიშნა პრეზიდენტის სტიპენდია 150 ლარის ოდენობით.

ოლიმპიურ სახეობებში გამარჯვებულ ჩემპიონებს ყოველთვიურად 500 ლარი აქვთ ხელფასი და იმედისმომცემ, ნიჭიერ ახალგაზრდებს — 80-დან 120 ლარამდე.

რაც შეეხება ფულად ჯილდოებს, ოლიმპიურ სახეობებში გამარჯვებულ ოქროს მედალოსნებს 10.000 დოლარი გადაეცა. ვერცხლის მედალოსნებს — 7.000, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელებს 5.000. ევროპის ჩემპიონატის ადგილის მფლობელებს 5.000, და ადგილზე გასულთ შესაბამისად 3 და 2 ათასი დოლარი.

სიმართლე გითხრათ, საზღვარგარეთ სპორტის რომელიმე სახეობის ფედერაციას გაცილებით დიდი თანხა აქვს ხარჯებისთვის გამოყოფილი, ვიდრე ქართული სპორტის დეპარტამენტს მთლიანად...

# «მერსედესი» თუ «მაიბახი»

— შარშან „დაიმლერ-კრაისლერის“ კონცერნმა გამოუშვა სუპერლიმუზინი „მაიბახი“, რომელიც წლის ჰიტად იქცა. გამიგია, რომ ადრე არსებობდა ფირმა ასეთივე სახელით. იქნებ რაიმე ინფორმაცია მოგვაწოდოთ მის შესახებ.

*ნიკა მაისურაძე*



„მაიბახი“ „გუშინ“...



...და „დღეს“

„დაიმლერ-კრაისლერის“ „მაიბახი“ მეტი არაფერია თუ არა უძველესი ტრადიციების გაგრძელება. ბობოლა ფაშისტები ხშირად სარგებლობდნენ „მაიბახებით“. მაშინ მათ „დაიმლერი“ არ აწარმოებდა. ეს ფირმა დაარსდა 1921 წელს კარლ მაიბახის მიერ. კარლი გახლდათ ვაჟი იმ ვილჰელმ მაიბახისა, რომელიც ძრავებს ამზადებდა სახელგანთქმული „ცეპელინებისთვის“ (გრაფ ცეპელინის აგებული დირიჟაბლები). ომის შემდეგ ფირმამ ფუნქციონირება შეწყვიტა, ხოლო მისი ქარხნები „დაიმლერმა“ შეიძინა. და აი, არცთუ ისე დიდი ხნის წინ „მერსედესის“ მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ ბოლო მოუღონ „როლს-როისის“ ჰეგემონიას ბაზარზე და ღირსეული კონკურენტიც დაამზადეს.

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

# ქეთა თოფურია შეყვარებული იყო...

— უბრალოდ მაინტერესებს, თუ ძალიან პირადული არ არის, ჰყავს თუ არა ქეთა თოფურიას შეყვარებული, თუ არა ჰყავს, მაშინ, იქნებ ისიც გვითხრათ, როგორი ბიჭები მოსწონს?

*თაყვანისმცემელი*



კითხვაზე უპასუხებს **ქეთა თოფურია**.

— შეყვარებული ამჟამად არ მყავს, თუმცა გარკვეული სიმპათიები ზოგიერთი პიროვნების მიმართ გამაჩნია. პირველი სიყვარული 13 წლის ასაკში მეწვია. ეს დრო ახლაც ძალზე კარგად მახსოვს. წყნეთში ვისვენებდი... ჩვენი ურთიერთობა ერთი თვის მანძილზე გრძელდებოდა. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი (ახლა 16 წლისაა. — რ.ჟ.). მომწონს შავგვრემანი, ჭრელთვალება ბიჭები, განსაკუთრებით მწვანე ფერის თვალები. რა თქმა უნდა, ვაფასებ დიპლომატიის უნარს, ჯენტლმენობას და ერთგულებას. ტინეიჯერებსა და ცანცარებს ვერ ვიტან. უპირატესობას ვანიჭებ სპორტულ აღნაგობას... ყველაზე მეტად კი დავაფასებ იმ ადამიანს, ვინც ჩემ გამო ძალზე ბევრ რამეს დათმობს, ხშირად შემახსენებს, რომ ვუყვარვარ და იქნება ჩემი ერთგული.

# რატომ აღარ მღერის «ოთხი გია»?

— ყველა თაობას ჰყავს საყვარელი მომღერალი და არც ჩემი თაობა გახლავთ გამონაკლისი. მაინტერესებს, რატომ აღარ მღერის ოთხი გია. რას საქმიანობენ ისინი ამჟამად?

*ნანა წურწუმია*

კითხვაზე უპასუხებს **გია ნაცვლიშვილი**.

— საბედნიეროდ, ოთხივე გია საკუთარი პროფესიით მუშაობს. დიდი მადლობა ყველას, ვისაც ვახსოვართ. მე სახელმწიფო უნივერსიტეტში, გამოთვლითი ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიაში ვმუშაობ. აგრეთვე, გახსნილი მაქვს საბავშვო სტუდია. ავაგუმაშვილი ამჟამად მოსკოვშია. იგი მსახიობიცაა და იურისტიც. მუშაობს პოლიციის აკადემიაში. ბეროშვილი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ძლიერ დაკავებულია (სექსოლოგი გახლავთ). ღარიშვილი ფიზიკოსია და უნივერსიტეტში, ზოგადი ფიზიკის კათედრაზე მუშაობს. მეგობრობისა და ერთად გატარებული წლების გარდა ჩვენ ნათესავებიც ვართ. ხშირად ვიკრიბებით, ვმღერით, კიდეც ვქეიფობთ. რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ აღარ გამოვდივართ ესტრადაზე, ჩემი აზრით, სცენის „ეპოქა“ დასრულდა. თუ შევქმნით ახალს (იმაზე უკეთესს, რასაც ადრე ვმღეროდით), სიამოვნებით გავაცნობთ მსმენელს. თუმცა, გამოგიტყდებით და ამისი ხალისი არც გვაქვს, საკუთარ პროფესიებს დავუბრუნდით და ამჟამად ვმღერით, როგორც მოყვარულები და არა პროფესიონალები. ერთი სიტყვით, ჩვენ ჩვენი უკვე ვიმღერეთ, დანარჩენი სხვებისთვის მიგვინდვია.

# ყველაზე ცნობილი ქვრივი

— შამპანური ღვინოების სახელწოდებათა შორის არის „მადამ კლიკო“. გთხოვთ, გვიპასუხოთ, ვინ იყო ეს ქალბატონი და რით დაიმსახურა ასეთი პატივი, რომ მაღალი ღირსების ღვინოს მისი სახელი დაარქვეს?

*მამუკა ხეცურიანი*




შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ სწორედ ღვინით მოვაჭრეთა (სირაჯთა) ქვრივებმა ითამაშეს განსაკუთრებული როლი შამპანური ღვინოების ისტორიაში. ქმრების გარდაცვალების შემდეგ ისინი შესაშური გულმოდგინებით და სიბეჯითით აგრძელებდნენ მეორე ნახევრების საქმიანობას. ქვრივი კლიკო-პონსარდენი, ქვრივი ლორან-პერიე, ქვრივი პომერი, ქვრივი ენრიო... მათი სახელები სავაჭრო მარკებად იქცა. ამ ქალებს დღესაც ასე მოიხსენიებენ საფრანგეთში — შამპანურის ცნობილი ქვრივები. ნიკოლ პონსარდენი 21 წლის იყო, როცა 1798 წელს ცოლად გაჰყვა ფრანსუა კლიკოს. ამგვარად გაერთიანდა ორი ოჯახი, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი ვენახი. 6 წლის შემდეგ ახალგაზრდა ქალი დაქვრივდა და ქმრის წარმოება გადაიბარა. ნიკოლ კლიკო-პონსარდენმა, რომელსაც მეწარმის განსაკუთრებული ტალანტი და ფანტაზია აღმოაჩნდა, საყოველთაოდ გაუთქვა სახელი თავის გარდაცვლილ ქმარს. სანამ ევროპა ომის ცეცხლში იყო გახვეული, მადამ კლიკომ მოახერხა შამპანურის გატანა სხვა ქვეყნებში, სადაც ეს პომპეზური სასმელი სწორედ რომ დროული აღმოჩნდა. ომის დამთავრების შემდეგ ქალბატონ კლიკოს ღვინოებს უდიდესი კომერციული წარმატება ელოდა. ის-ის იყო დადუმდა რუსული ქვემეხები, რომ მადამ კლიკომ 10 ათასი ბოთლი საზეიმო შუშხუნა გაგზავნა სანქტ-პეტერბურგში ნაპოლეონის დამმარცხებლებთან. სამეფო სასახლე დაიპყრო მადამ კლიკოს შამპანურმა, რომელიც სულაც არ წარმოადგენდა მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს. იგი საქმიანობდა სხვა კომერციულ სფეროებშიც. ასე, მაგალითად, 1822 წელს შექმნა მატყლით მოვაჭრე კომპანია. მადამ კლიკო თვალს ადევნებდა შამპანურის დამზადების მთელ პროცესს: ყიდულობდა საუკეთესო ვენახებს, აკონტროლებდა ყურძნის ხარისხს, ღამღამობით ამოწმებდა შამპანურით სავსე ბოთლებს გრილ სარდაფებში და სხვა. ნიკოლ კლიკო-პონსარდენი 1866 წელს გარდაიცვალა, მან 89 წელი იცოცხლა. გარდაცვალების შემდეგ კი დატოვა თავისი სახელობის უზარმაზარი სახლი და უზადო ხარისხის მქონე საუკეთესო ტრადიციების შამპანურის შემქმნელის სახელი...

# ყინულის სასტუმრო არსებობს...

— ორიოდე წლის წინ ერთ-ერთ ჟურნალში ამოვიკითხე, რომ თითქოს ევროპაში (სახელმწიფო არ მახსოვს) გაიხსნა ყინულის სასტუმრო. მაინტერესებს, სინამდვილეს შეეფერება თუ არა ეს ინფორმაცია. ფუნქციონირებს თუ არა ყინულის სასტუმრო ამჟამად და რომელ სახელმწიფოში ააშენეს იგი?

*დათო მენაღარიშვილი*

— ყინულის სასტუმრო მართლაც არსებობს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფუნქციონირებს მხოლოდ ზამთარში. აგერ უკვე მე-4 წელია, რაც შვედეთის პატარა ქალაქი იუკასარვი სეზონზე ათასობით „გაკაჟებულ“ ტურისტს მასპინძლობს. ქალაქი მდებარეობს ჩრდილოეთ პოლარული წრიდან 200 კმ-ის დაშორებით და ზამთარი იქ ცივი და სუსხიანი იცის. ყინულის სასტუმროს ფართობი შეადგენს 4 ათას კვმ-ს. მის „ასაშენებლად“ ყოველწლიურად გამოიყენება 3 ათასი ტონა ყინული და 30 ათასი კუბმ თოვლი. ყინულის „სასახლეში“ ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც ჩვეულებრივ სასტუმროში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ ყველაფერი ყინულისგანაა დამზადებული — ოთახი, ჰოლი, ბარი, საგამოფენო დარბაზი, კინოთეატრი და სამლოცველო... კარ-ფანჯარა, მაგიდა, საწოლი, სკამები და მთლიანად ავეჯი ყინულისგან მზადდება. ერთი ღამის გათენება სასტუმროში 200-დან 500 აშშ დოლარი ღირს. სასტუმრო გაზაფხულის მოსვლასთან ერთად დნობას იწყებს, ხოლო ზამთრის მოახლოებისას მშენებლობა იწყება...

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

## მილოცვა

ჩემს ძმიკოს – **ვალტერ განერელიას** ვულოცავ დაბადების დღეს, შობა-ახალ წელს. ვუსურვებ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ზღვა სიხარულს, საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად.

*შენი კეთილისმსურველი ფ.ც.*

სულითა და გულით ვულოცავ შობა-ახალ წელს გულისხმიერ და არაჩვეულებრივ ქალბატონს – **ქეთინო ქუთათელაძეს** და მის ჯუნდს! დაესწარით მრავალს. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და უხვ სიხარულს. შობის მადლი შეგეწიოთ. ღმერთმა დაგლოცოთ.

*დიდი სიყვარულით და პატივისცემით, ც. დევდარიანი*

ქალაქ ფოთის საქინფორმის №7 ჯიხურის ჟურნალ-გაზეთების რეალიზატორ ქალბატონ

**ნარი ხარებავას**

ვულოცავთ შობა-ახალ წელს და მადლობას ვუხდით კეთილსინდისიერი მომსახურებისათვის. ვუსურვებთ ოჯახურ ბედნიერებას.

*აქტიური მკითხველების სახელით, ენგული იობაძე*

## გთავაზობთ სამუშაოს

ამერიკა-იტალია-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს, მზარდი ანაზღაურებით. ხელფასი გამოსაცდელით — $200-300 თვეში. საუკეთესო თანამშრომლები სტაჟირებას გაივლიან საზღვარგარეთ. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46 ნეკა

გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო საოფისეა, კონტრაქტით. საუკეთესო თანამშრომლებს, წელიწადში 2-ჯერ ეძლევათ შანსი, სტაჟირება გაიარონ მსოფლიოს ქვეყნებში. ანაზღაურება მზარდია — თვეში 300-600 ლარიდან. მიღება — გასაუბრებით. მიმდინარეობს შერჩევა. საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი მიხეილი. მის. მ. „დიღუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78

ელექტრონის მაღაზიებს ესაჭიროება 23 დირექტორი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება-დასაქმებაც. ანაზღაურება — მაღალი. გვაინტერესებს რაიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 34-56-71; 52-44-10; 893 33-18-86

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

## მომსახურება

კომპიუტერული სერვის-ცენტრი „ლინი"? ტექნიკური და პროგრამული მომსახურება; ინდივიდუალური სწავლება; საგამომცემლო-პოლიგრაფიული სერვისი; თარჯიმანთა ბიურო. ტელ: 99-78-95

გთავაზობთ დასვენებას ბაკურიანის და გუდაურის სასტუმროებში და კერძო სექტორებში. ინფორმაციისთვის: http://dilaplus.gol.ge; დასვენება თურქეთის ზამთრის კურორტებზე; მოგზაურობა ესპანეთში; ვიზები ევროპის ქვეყნებში; სწავლას გერმანიის და საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში. დაგეხმარებით ყველა საბუთის მომზადებაშიც. მის: აბულაძის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტ: 98-69-51; 899 54-00-79

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაჭარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ჭარბთმიანობის სამუდამო განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემჩნევა მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ნებისმიერი სახის ავეჯის რესტავრაცია! შეკვეთით მზადდება სამზარეულო, დივნები — ნებისმიერი ფორმისა და ზომის. ტელ: 76-01-33. გია

## მკურნალობა

თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, მეტყველების ცენტრის, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიციური ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი — თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი-მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟით, ალბდეგი აპარატებით და სხვა ალტერნატიული მეთოდებით აგიდგენთ: ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას — ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, გულს; გავკურნავთ: ნევროზს, ჩიყვს, კუჭქვეშა და ლიმფურ ჯირკვლებს, პროსტატიტს, ჭარბთმიანობას, თმის ცვენას; ოპერაციის გარეშე შეგიცვლით ტუჩების ფორმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური მეთოდით, ანონიმურობის სრული გარანტიით ტ: 96-62-58; 899 14-64-95

ვამეცადინებ სკოლის მოსწავლეებს საშინაო დავალებებში, ყველა საგანში, მე-6 კლასის ჩათვლით; უფროსკლასელებს – ქიმიასა და ბიოლოგიაში. ტელ: 76-65-73. თამრიკო; 22-60-38. მანანა

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, საახალწლო 40%-იანი ფასდაკლებით, მხოლოდ 1 თებერვლამდე. შეისწავლება კანის დეფექტები, მკურნალობა, კანის გაწმენდა, მასაჟები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ეპილაცია, მასაჟი, ეპილაცია, ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: დადიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

## იყიდება

სუფთა სისხლის კავკასიური ნაგაზის ლეკვები (მსოფლიო ჩემპიონის — სიმბას შვილიშვილები). ტელ: 899 50-48-61

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ავზი-თერმოსი, 25-ტონიანი, კვების პროდუქტებისათვის (ღვინომასალები, ხილის წვენები), მაღალი მჟავაგამძლეობის, გამძლე, უჟანგავი ლითონის, ქარხნული წარმოების. ფასი 15000$. ტ: 899 97-26-33

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

შევისყიდი ძველ ლეიბებს, საბნებს, ბალიშებს, მაკულატურის სახით, ნაღდი ანგარიშსწორებით. 30 კგ-ზე მეტი წონის შემთხვევაში, მოგემსახურებით ჩვენი ტრანსპორტით. მის: წერეთლის გამზ. №118. ტელ: 33-40-48. 34-66-64

## ხსოვნა

### აჩიკო კვანტალიანი



ოცჯერ სიხარულით გათენებული 16 იანვარი, ოცდამეერთედ მწარე ტკივილით თენდება ჩემთვის — შენი ოცდამეერთე დაბადების დღე უშენოდ. როგორ მოგეფერო, როგორ მოგწვდე სიტყვით ან ფიქრით? ძალიან მიჭირს ცხოვრება, დარჩენილი სიცოცხლე ერთი იმედით — შენთან შეხვედრაზე ოცნებით და მტანჯველი მოლოდინით...

*მამა, თამაზ კვანტალიანი*

### ვახტანგ ბაბუნაშვილის ხსოვნას!



ცრემლსა და დარდში გავიდა ეს ერთი წელი. შენი წასვლით დაცარიელდა ირგვლივ ყველაფერი. მალე შენი დაბადების დღეც მოვა უშენოდ. სადაც არ უნდა ყოფილიყავი, ამ დღეს მუდამ შენ გვერდით ვიყავი. ძალიან გვიჭირს უშენობა. შენს შვილებს, შვილიშვილებს და ნათესავებს უცრემლოდ არ ახსენდები, მაგრამ ყველაზე სასოწარკვეთილი მე ვარ, რადგან ჩვენ მარტო მეუღლეები კი არა, კარგი მეგობრებიც ვიყავით. შენ ირგვლივ ყველაფერი ლამაზი, მშვენიერი და ამაღლებული იყო, რადგან თავად შენ იყავი ხალისიანი, იმედიანი და მხიარული. ყველა გიყვარდა, ყველას გვინაწილებდი სითბოს და სიხარულს. ერთი ნუგეში მასულდგმულებს მხოლოდ: მწამს, რომ უფალთან სასუფეველში ხარ. შენს ხსოვნას სანთლად ანთებულს ვატარებ მთელი ჩემი ტვირთად ქცეული სიცოცხლე.

*შენი მეუღლე*

### ალიკა ქარქუსაშვილის მონატრება



14 იანვარს ერთი წელი გახდება, რაც უშენოდ ვიტანჯებით. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ჩვენს გულებში მუდამ ცოცხალი იქნები. შენ ხომ ცოლ-შვილის ერთგული იყავი და ამიტომაც მოგვიტანე ძველ ახალ წელს შამპანური, რომლითაც ჩვენ სუყველა მოვიწამლეთ, შენ კი აღარაფერმა გიშველა და დატოვე შენი ტკბილი ოჯახი.

27 იანვარი ხომ შენი დაბადების დღეა. გვიჭირს უშენოდ აღნიშვნა, მაგრამ შენს საფლავთან მოგილოცავთ. ძალიან მოგვენატრა შენი ღიმილი და ხუმრობა.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*შენი მეუღლე და შვილები*

### ციცო შენგელიას ხსოვნას!

ციცო, ყოველთვის მიყვარდი,
ციცო, ყოველთვის მახსოვხარ.



*გაზაფხულდება, მაისის ბოლოს*
*აფრინდებიან თეთრი პეპლები,*
*თეთრი წინსაფრით და თეთრი ბაფთით,*
*ყოველ გაზაფხულს შემოფრინდები.*
*... და შემოიტან პირველ სიყვარულს,*
*ალუბლის ყვავილს თეთრს და ქათქათას,*
*დედამ და ღმერთმა ულამაზესი,*
*ორივემ ერთად ალბათ დაგხატა.*
*მარად დარჩები შენ ჩვენს გულებში,*
*პატარა დროში დიდს მიაღწიე,*
*შენ დავიწყება არ გიწერია,*
*ამდენი ხალხის გული დაიპყრე.*

*ეთერი დეიდა*

### სულიკო ქურდაძის გახსენება



ჩემი სულის მეგობარო! მიიწურა რვა ტკივილიანი წელი, 19 იანვარი შენი გარდაცვალების დღეა. ნათლიღების ამ ბრწყინვალე დღესასწაულს მიიბარა შენი კეთილი სული ზეცამ, ჩვენ კი დაგვრჩა მოუშუშებელი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება.

მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის, ნათელში გამყოფოს უფალმა.

*შენი საყვარელი ოჯახი*

### ზიტა გელაშვილის მონატრება



ერთი წელი გაუსაძლისი ტკივილის, სევდის, დარდის, ვარამის, ცრემლის... უშენობის ერთი წელი, ჩვენო საყვარელო, ალალმართალო, სათნოვ, სულით მდიდარო, სიკეთით სავსევ, გარშემო სიყვარულის მთესველო, მეორედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. ვაი, ამ შეხვედრას, და დიდი გულისტკივილით და სევდით, მწუხარებით გილოცავთ მას.

ჩვენო უსაყვარლესო შვილო ზიტო, საკვირველია, როგორ გავძელით ეს ერთი გამწარებული წელი, არა, არ გვჯერა, რომ შენ აღარ შემოაღებ შენი გაცივებულ სახლის კარს, საითაც გავიხედავთ, სულ შენ გველანდები, მოუშუშებელო ტკივილო, ჩვენზე მუდამ დარდიანო. ახლა აღარ გედარდებით, ჩვენო დიდო იმედო, ჩვენო სიცოცხლის მიზეზო.

უშენოდ არაფერს აქვს სითბო და სიხარული. გაცივებულია უშენოდ სახლ-კარი. შენმა ყვავილებმაც იგრძნეს უშენობა და დაკარგეს ის ელფერი, რაც ჰქონდათ.

მძიმე ავადმყოფობამ დაგრია ხელი, რომელსაც დიდი მოთმინებით იტანდი. ორი თვე ებრძოდა შენი ნაზი და უმანკო სული იმ უბედურებას, ექიმებიც უსუსურები აღმოჩდნენ მის წინააღმდეგ და უბედურების მეხი დაგვატყდა თავს. აბა როდის იყო, რომ ობლის კვერი გამომცხვარა. ჩვენ ხომ გიყვებივით ვართ და გვენატრები, ჩვენო უფრთო ანგელოზო. ვანთებთ წმინდა სანთლებს, რომ გაგინათოთ ის წმინდა სამყოფელი და უფალს ვევედრებით, იქ გამყოფოს, სადაც შენნაირი მართლები განისვენებენ.

*შენი უბედურები: დედა ლენა, დეიდა მარიამი, ბიძია მიშა; მეგობრები: ჟუჟუნა, აბრამი, ბიჭიკო.*

### ბორის სილიკაშვილის ხსოვნას!



14 იანვარი შენი დაბადების დღეა. ამ თარიღს გილოცავს ოჯახი წუთიერიდან მარადისობაში. ბედნიერები ვიქნებოდით, ერთად რომ ვყოფილიყავით. შენმა წასვლამ სულიერად გაგვანადგურა, ვცოცხლობთ მხოლოდ შენი მიზნების შესასრულებლად, შენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და მოსიყვარულე სული.

*ოჯახი*

### დათო პატურაშვილის მონატრება



დათო, უკვე ერთი უფერული წელი გავიდა იმ დღიდან, როცა შენი ლამაზი სიცოცხლე დასრულდა. 13 იანვარი შავი ასოებით ჩაიწერა ჩვენს ცხოვრებაში. ჩემო დათო, დრო ვერ გაანელებს იმ ტკივილს და მწუხარებას, რასაც ჩვენ განვიცდით. შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ. წახვედი და დატოვე სახელი კაცისა. ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია, შევთხოვოთ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, კეთილი სული.

გვიყვარხარ, გვენატრები, ვლოცულობთ შენთვის.

*შენი ოჯახი*

### ნინო ქართველიშვილს!



უკვე ერთი წელი შესრულდა, საყვარელო ნინი, რაც შენი სული მარადისობაში გადავიდა. ჩუმად, უპრეტენზიოდ დატოვე შენი ლამაზი სიცოცხლე. ყველას გვაკლიხარ და გვენატრები. გაუსაძლისი ყოფილა უშენობა, ყველას დაგვეტყო შენი არყოფნა. მხოლოდ იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ცათა სასუფეველში ხარ, ერთ ლამაზ ვარსკვლავად ანთიხარ და იქიდან ლოცავ ყველას.

*მეგობრები*

### ვაჟა ფილაურის გახსენება



13 წელი გადის, ვაჟა, შენთან განშორებიდან, ცამეტი მძიმე და აუტანელი წელი. ტკივილი კი უფრო ძლიერია, დედისერთა ბიჭო. იარას, რომელიც შენი წასვლით გაგვიჩინე, ჯერაც არ შეუკრავს პირი. მხოლოდ და მხოლოდ წამიერად თუ დაგივიწყებთ და ისიც იმიტომ, რომ ზოგჯერ ასეა აუცილებელი შენივე დისშვილების ბედნიერებისათვის. ვაჟა, 16 იანვარს შენი დაბადების დღეა, 30 წლის გაგვიხდებოდი. ამ დღის უშენოდ აღნიშვნა კიდევ ერთი დიდი ტრაგედიაა ჩვენთვის, მაგრამ ყველაფერს შენი სულის საამებლად და მოსახსენებლად ვაკეთებთ. იძინე მშვიდად, უშფოთველად, ჩვენო ვაჟკაცო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სუფთა სული.

*მშობლები, დები*

### ვაჟა შანიძის ხსოვნას!

უშენოდ მეორედ მოვიდა 12 იანვარი — შენი დაბადების დღე. მძიმეა უშენობა და გაუსაძლისი მონატრება. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი, ჩემო ვაჟა. ოდნავადაც ვერ შეასუსტა მან შენი უდროოდ წასვლით მიყენებული ტკივილი.

მუდამ ღიმილიანო, სიყვარულით და სათნოებით გულანთებულო, სულიერად და გარეგნულად ლამაზო, უსაზღვროა შენი მონატრება, ძალიან გვენატრები. ყველასათვის სიცოცხლით სავსე, ლამაზი, მოსიყვარულე და არაჩვეულებრივი იყავი. შენს ცივ სამარეს არ აკლია სიყვარულის ცრემლი და ყვავილები. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენ ყოველთვის ჩვენ გვერდით ხარ. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. შენ შენი ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობ და იცხოვრებ მანამ, სანამ ვიცხოვრებთ ჩვენ.

იმქვეყნად გილოცავთ დაბადების 34-ე წელს.

ნათელში იყავი, შენი ლამაზი სულით, ჩვენო ვაჟა.

*ნელი დეიდა*

### აჩი ჯვარშეიშვილის გახსენება



მეორე ახალი წელი მოვიდა უშენოდ, შვილო, მეორედ ხვდება შენი ოჯახი, ჩემო ერთადერთო, შენს დაბადების დღეს მწუხარებით. ახალი წელი და შენი დაბადების დღე — აი, აქედან იწყება წელთა აღრიცხვა შენი უბედური მშობლებისათვის.

აჩი, საყვარელო, დასრულებულია შენი დედისთვის თეთრად ნათევი ღამეები, თითქოს დრო გაჩერდა და წარსული დამრჩა მარტო. გიხსენებ დაბადებიდან, იმ ავადსახსენებელი დღის ჩათვლით და ერთადერთი კითხვა სულს მიმწარებს: რატომ, რატომ და რატომ?

ჩემო ერთადერთო, ლამაზო და კეთილო ვაჟკაცო, რომელსაც საკუთარი ცხოვრებით არასოდეს გიცხოვრია. შენ ყოველთვის ჩემთან ხარ, ჩემს სულში ზიხარ, ჩემთან ერთად სუნთქავ და მოძრაობ. მართალია, შენი უბედური დედის სისცოცხლე ჩაქრა, მაგრამ შენი სიცოცხლის გასაგრძელებლად ისევ ვიბრძვი და მინდა გითხრა, რომ შენთვის ცხოვრება ნამდვილად ღირდა.

არ იდარდო, ჩემო საყვარელო. იმედი გქონდეს, რომ შენი შვილები სულით და სხეულით ლამაზები დაიზრდებიან და ივლიან ამქვეყნად, შენდა გასახსენებლად.

ძალიან მენატრები, საყვარელო. იმედს ვიტოვებ, იმქვეყნად სამოთხეში იმყოფები. ნათელში ყოფილიყოს შენი ლამაზი სული.

აჩი, ჩემო სიცოცხლევ, მადლობას გიხდი, ძვირფასო (მიუხედავად ყველაფრისა), განუმეორებელი, კარგი შვილი რომ იყავი.

*შენი უბედური მშობლები*

### აჩიკო ჯვარშეიშვილს!

თბილისში ერთი ლამაზი, კეთილი და ღიმილიანი დედისერთა ახალგაზრდა დადიოდა, მაგრამ უკვე ორი წელია, მისი შემახილი აღარ ახმიანებს მის ქუჩას, მის სახლს და სიახლოვეს. მუხთალი წუთისოფელი არავის არაფერს შეარჩენს ბოლომდე, თორემ რა უნდოდა აჩიკო ჯვარშეიშვილთან სიკვდილს...

ჩემო აჩიკო, მოგმართავთ შენი დედიკოს მეგობრები, რომ მანდ მაინც ნუ შეგაწუხებს დარდები, ფიქრები. აქ იზრდებიან შენი ლამაზი შვილები. ჩვენ კი, ზამთრის სუსხიან დღეს, 17 იანვარს ყოველთვის მოვალთ შენს საფლავზე ტირილით, ცრემლებით და დავანთებთ შენი ლამაზი სულის მოსახსენიებლად წმინდა სანთლებს.

*კაცურკაცობის სარკე იყავი, მართლაც ნამდვილი ადამიანი,*
*აქაც კაცურად იცხოვრე არჩილ, იქაც რომ მართლაც წამებით წადი.*

*დედის მეგობრები*

### დათო მაღრაძის გახსენება!

ჩემო საყვარელო შვილო დათო! ერთი წელი გავიდა უშენოდ. არც ერთ დღეს შენი მოგონების გარეშე არ ჩაუვლია. რომ იცოდე, რამხელა სიყვარული და რამდენი ტკბილი მოგონება დაგვიტოვე...

შენ მარტო შენს ოჯახს არ დაჰკლებიხარ, დააკლდი ყველას, ვისაც შენეულ სითბოს გვინაწილებდი.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

გვენატრები ძალიან, ჩემო სანუკვარო შვილო დათო. ღმერთს ვთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*დედა, ძმა*

### მამუკა პაჭკორიას ხსოვნას!



ჩვენო მამუკა, გავიდა ცრემლიანი და ტკივილიანი ექვსი თვე. უშენობა ყველაზე მოუშუშებელ ტკივილად გვექცა, ჩვენო კარგო, ალალ-მართალო, სიყვარულით სავსე, კეთილო ბიჭო. იმ საბედისწერო დღიდან შენს დედას ცრემლი არ შეშრობია. ტირის დღითა და ღამით, ხმით და ჩუმად, ხშირად კი გულში იკლავს სევდას. ასევეა შენი გულდათუთქული მამაც. გვიყვარხარ, გვენატრები, ვერავითარი დარდი და დრო ვერ წაშლის შენს ნაკვალევს ჩვენს ხსოვნაში. დარდიან გულს მხოლოდ კეთილი მოგონებები ასულდგმულებს.

*ოჯახი*

## ნეკროლოგი



თბილისის ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა რიგებს გამოაკლდა ღირსეული წევრი, საუკეთესო პედაგოგი, ბრწყინვალე პროფესიონალი, ჭეშმარიტი მოქალაქე.

გარდაიცვალა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მეთოდიკის კათედრის დოცენტი

**ქეთევან (გულიკო) დეკანოზიშვილი**

უაღრესად სასიამოვნო, სათნო, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი, დახვეწილი ინტელიგენტი, უკეთილშობილესი ქალბატონი, სტუდენტების საყვარელი მასწავლებელი, ერთგული მეგობარი, საუკეთესო მეუღლე, თავგადადებული დედა და ბებია — ყოველივე ეს ზუსტად მიესადაგებოდა ჩვენს გულიკოს, რომელიც ვალმოხდილი, მაგრამ უსაზღვროდ ტრავმირებული წავიდა ამ ქვეყნიდან.

დაე, მუდამ სასუფეველში იყოს მისი სული.

*მეთოდიკა-პედაგოგიკის კათედრა*



# სანამ შენი ჟამი არ დაჰკრავს...

დაახლოებით სამი წლის წინ შემზარავი ტრაგედია დატრიალდა ქუთაისი-ამბროლაურის გზაზე: სამგზავრო ავტობუსი რიონის ხეობაში გადაიჩეხა. დაიღუპნენ ადამიანები, მათ შორის ერთი ოჯახის წევრებიც...

სასწაული, რომელიც 37 წლის მერაბ ჯანელიძეს შეემთხვა, სწორედ ხსენებულ რეისთანაა დაკავშირებული. ის და მისი ბიძაშვილი ნათესავებთან მიდიოდნენ რაჭაში და ბილეთებიც ადრიანად ჰქონდათ აღებული...



— დილით ადრე ადგომა მიჭირს და ამიტომ ადრე დავწექი, ახლობლებს დავუბარე — შვიდი საათისთვის გამაღვიძეთ-მეთქი, — იხსენებს ბატონი მერაბი, — დედას ღამღამობით სახსრების ტკივილი არ აძინებდა ხოლმე და მართლაც გამაღვიძა, მაგრამ გადაწყვეტილად გამომიცხადა: — არსადაც არ გაგიშვებ, წამიერად ჩამთვლიმა, თორმეტი წლის წინ გარდაცვლილი მამაშენი მომელანდა და მითხრა: „ბიჭი ჩემთან აპირებს გამომგზავრებას დილით და ნუ გამოუშვებო!..“

დედის სიზმრის გამო არ შევიკავებდი თავს, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მეც მესიზმრა მამა: საზეიმოდ გამოწყობილი, ოღონდ სევდიანი სახით შემომეგება, — გავიგე, რომ ჩემთან მოდიხარ. ძალიან მენატრები, მაგრამ... ნუ წამოხვალ, ცოდოები არიან უშენოდ შვილები, ჯერ პატარები არიანო!..

დედისთვის არაფერი მითქვამს, არ მინდოდა უფრო დამეფრთხო. რაღაც ვერ ვგრძნობ თავს კარგად, არც მინდა წასვლა, ოღონდ სირცხვილია, სადგურზე მაინც გავალ და გელას გავაფრთხილებ-მეთქი, — წავილუღლუღე.

მართლაც უგუნებოდ წავედი სადგურზე, მაგრამ შემრცხვა ნამდვილი მიზეზის გამხელა... გადამერია გელა: — შეუძლოდ ყოფნისა რა გეტყობა, ისეთი სუფრა გველოდება, გინდა თუ არა, უნდა წამოხვიდეო!.. ერთი სიტყვით, მაინც დამითანხმა. შინ ამბავს დავტოვებ-მეთქი და ტელეფონზე დასარეკად ქუჩა გადავჭერი. ახლა დედაჩემი გაგიჟდა, მაგრამ დავუკიდე ყურმილი. გუნებაგაფუჭებული და გაღიზიანებული წავედი სადგურისკენ და... არ ვიცი, საიდან გამოხტა ის სამარშრუტო ტაქსი, არც სიგნალის ხმა გამიგონია. დამარტყა და გვერდზე გადამაგდო, თავი ასფალტს დავარტყი და სანამ გონებას დავკარგავდი, მოვასწარი „დანახვა“: მანქანიდან გადმომხტარ მძღოლთან ერთად „მამაჩემიც მომვარდა“. დამხედა და მითხრა, — მაპატიე, სხვაგვარად არ შემეძლო, არ შეგეშინდეს, ყველაფერი კარგად იქნებაო!..

გონს საავადმყოფოში მოვედი. ტვინის შერყევა მიმელო და ფეხიც მომტეხოდა. თავს გელა მადგა...

რამდენიმე საათში კი იმ ავტობუსის ხევში გადავარდნის ამბავი გავიგეთ...

მამაჩემის სული სხვა დროსაც მოვლენია ჩვენს ოჯახს მფარველად და მხსნელად.

1992 წლის ზამთარში ძალიან გვციოდა. გათბობის არანაირი საშუალება არ გვქონდა და გაზქურას ვანთებდით. ერთხელ დასაძინებლად რომ დავწექით, ქურა ანთებული დავტოვეთ. არავინ იცის, რა მოხდა. ქურა ჩამქრალა და აირი მთელ სახლში იღვრებოდა. ცუდად ვგრძნობდი თავს, სული მეხუთებოდა, მაგრამ ძილს თავს ვერ ვართმევდი. სწორედ ამ დროს „დავინახე“, როგორ დაიხარა მამა ჩემს საწოლთან, გულისპირში ჩამავლო ხელი და ნჯღრევა დამიწყო. რომ ვერ გამომაფხიზლა, სასოწარკვეთილი მზერა მოავლო ოთახს, კედლიდან საკუთარი გადიდებული სურათი ჩამოგლიჯა და იატაკს დაანარცხა...

დამსხვრეული მინის ზრიალმა მომიყვანა გონს. თავი ვაიძულე და საწოლიდან ავდექი. რადგან ჰაერი არ მყოფნიდა, მივხვდი, რაღაც ცუდი ხდებოდა და ფანჯრამდე მივედი, გავაღე. ორიოდე წუთში მოვმჯობინდი.. გაზის ონკანი გადავკეტე და კარ-ფანჯრები დავაღე. დედაჩემიც, მეუღლეც და ორი წლის ბავშვიც უგონოდ იყვნენ. მეზობლებს დავუძახე, იმათ სასწრაფო გამოიძახეს და... ყველანი გადავრჩით!..

მამაჩემის გადიდებული სურათი კი იატაკზე ეგდო დამსხვრეული...

სასწაული იყო, აბა რა?!.

სხვათა შორის, იმ შემთხვევის შემდეგ რწმენა გაგვიძლიერდა და ეჭვიც აღარ გვეპარება, რომ სიცოცხლე არ მთავრდება ადამიანის ფიზიკური გარდაცვალებით...

***ინგა ჯაყელი***

# უცნაური მოგზაურობა

ერთ საღამოს შინ დაფიქრებული ვბრუნდებოდი. ყინავდა. შუქი არ არის, შინ სიცივე დამხვდება, რა გაუძლებს სიბნელეს და ყინვას-მეთქი, — ვწუწუნებდი გულში. რატომღაც მომინდა ჩემი ძველი ქუჩის ნახვა და მიტოვებული, ჩამონგრეული ქოხმახებისთვის თვალის შევლება. ჩემმა ბავშვობამ იქ გაიარა. შინ დიდი თუჯის ღუმელი გვედგა. მამაჩემი წიფლის შეშას დააგუზგუზებდა, ჩვენ ფურნეში კარტოფილებს, ზამთრის მსხალს, გოგრას შევყრიდით ხოლმე და მოუთმენლად ველოდით შებრაწვას. ოთახში სითბოსთან ერთად საოცარი სურნელი დატრიალდებოდა ხოლმე...

შუადღისას დილმელი მიტო ძია მოჩაქჩაქდებოდა ვირის ორთვალათი. აბა, შეშა, შეშაო, დაიძახებდა. უბნის ბავშვები გარეთ გამოვეფინებოდით. შეშაზე მეტად მიტოს თეთრი ვირის დანახვა გვახარებდა. მივეხვეოდით, აბუზულ, სიცივით ფერდაკარგულ სახედარს, ხან ყურებს ჩამოვქაჩავდით, ხანაც კუდზე ვებღაუჭებოდით. მიტო ძია კეთილად იცინოდა — ფრთხილად, თქვე ეშმაკებო, წიხლი იცის ვირმაო, მაგრამ ჩვენ რა გაგვაჩერებდა!..

ქვეყნის არევამდე ბინის მიღება მოვასწარით. ძველი უბანი უნდა აეღოთ და იქ დიდი პარკის გაშენებას აპირებდნენ, მაგრამ...

დავადექი გზას. გული შემეკუმშა — შემეცოდა ჩემი ბავშვობის ნაფეხურები...

ნახევარმთვარე ბურუსში გახვეულიყო და ჩონჩხადქცეული ქოხმახები ეშმაკის საბუდარს ჰგავდა. დავინახე, როგორ მოარღვევდა სიბნელეს ვიღაც კაცის ფიგურა. ტანში გამცრა. ფეხს კი ავუჩქარე, მაგრამ გაყინულ, ოღროჩოღრო გზაზე მიჭირდა სიარული. ამასობაში, კაცი მომიახლოვდა, უკეთურად შემომცინა, მკლავში ხელი მტაცა და გამათრია — წამოდი, თორემ მზის ნახვას ვერ ეღირსებიო. ხელში დანა ეჭირა. მივხვდი, მუქარის ამსრულებელი იყო და სასოწარკვეთილი ღმერთს შევევედრე, — გემუდარები, უფალო, დამიხსენი ამ გარეწრისგან-მეთქი. უეცრად რაღაც თეთრი, გამჭვირვალე გაკრთა ჩემ თვალწინ და ზევით ამიტაცა. ავმსუბუქდი. ნიავივით ხმაც ჩამესმა, — ნუ გეშინიაო. არ ვიცი, როგორ გავითავისუფლე მკლავი. უკან მოვბრუნდი და საიდანაც მოვედი, იქითკენ გავქანდი. ფეხს მიწას არ ვაკარებდი, ჰაერში მივცურავდი.

თვალის დახამხამებაში ამოვყავი თავი ცენტრალურ, ოდნავ განათებულ ქუჩაზე. ირგვლივ ხალხი დადიოდა.

ძალამ, რომელმაც გადამარჩინა, ძირს დამსვა... საკმაოდ დიდი მანძილი გამოვიარე, მაგრამ დაღლილობას ვერ ვგრძნობდი.

***თეა კ., თბილისი***

# დედამიწაზე ელიან ბუზების შემოსევას ვენერადან



ევროპელმა, ამერიკელმა და რუსმა მეცნიერებმა ატმოსფეროს შემადგენლობაში ცვლილებები აღმოაჩინეს და დაადგინეს, რომ ვენერაზე სიცოცხლე არსებობს. ამჟამად ატმოსფერო 96% მხუთავი გაზისგან შედგება, თუმცა გაძლიერებული მზის რადიაციისა და ელექტროგანმუხტვის გამო უნდა შეიცავდეს დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგსაც. როგორც ჩანს, მას ცოცხალი ორგანიზმები შთანთქავენ.

მიკროსკოპული ხოჭო, სახელწოდებით „დეინოკოკუს რადიოდურანსი“, რომელიც უძლებს უდიდესი დოზის რადიაციასაც კი, დედამიწაზე თურმე ვენერადან მოხვდა. მეცნიერების ვარაუდი, ვენერაზე სიცოცხლის არსებობის შესახებ, რეალობად იქცა. ამერიკელი პროფესორის დირკ შულცის აზრით, ცოცხალი არსებები ვენერაზე სხვა არაფერია, თუ არა პლანეტის ზედაპირის ნასვრეტებსა და ნაპრალებში მიმალული მწერები. ცნობილია, რომ მისი ატმოსფეროს ტემპერატურა დაახლოებით ნულს ზევით $460^{0}$-ია. შესაძლოა, იქ ადამიანის მსგავსნი, ანდა წინარეისტორიული ცხოველები, მაგ. დინოზავრები ცხოვრობდნენ. შემდეგ ისინი ან განადგურდნენ, ანდა მუტაცია განიცადეს და მწერებად იქცნენ. თუკი დედამიწაზე სიცოცხლე წყალში ჩაისახა, რატომ არ შეიძლება, რომ ვენერაზე, ხანგრძლივი ევოლუციის შემდეგ, ადამიანები მწერებად გადაქცეულიყვნენ, თუკი ეს მათი სიცოცხლის გადარჩენისთვის აუცილებელი იყო?

მეცნიერების აზრით, დეინოკოკუსის გარდა ვენერადან ჩამოფრინდა ბუზი ცეცე, მალარიის გამომწვევი კოღო და ისეთი მწერებიც, რომელთა ნაკბენიც მასობრივ ეპიდემიას იწვევს. მიაქციეთ ყურადღება ერთ ფაქტს. ბუზი ცეცეს ნაკბენი მომაკვდინებელია და ისინი რომ ყველას კბენდნენ, მაშინ აფრიკაში მოსახლეობა აღარ დარჩებოდა. ცეცე ასე არ იქცევა იმიტომ, რომ მისი კბენა ან კონტაქტის დამყარების მცდელობაა, ან ადამიანის სისხლის ანალიზის, დნმ-ის აღების სურვილი, ანდა სულაც თავდაცვა. ზოგი უფოლოგის ვარაუდით, ვენერას მკვიდრი მწერები დიდი ხანია ემზადებიან დედამიწაზე შემოსაჭრელად და როგორც კი ამ პლანეტაზე ტემპერატურა მოიმატებს, ისინი ჩვენთან გადმობარგდებიან, ვინაიდან დედამიწის ატმოსფერო უფრო მისაღებია მათთვის, ვიდრე მზის სისტემის რომელიმე სხვა პლანეტისა.

როგორ უნდა ვიურთიერთოთ მათთან, ჩვენ ხომ ერთმანეთისა არ გვესმის? დირკ შულცი გვირჩევს: დედამიწის მკვიდრნი ყურადღებით უნდა მოეპყრან მწერებს, არ გასრისონ ჭიანჭველა, არ ჩამოჰკიდონ სახლში ბუზების მოსაკლავად წებოვანი ლენტები, არ დახოცონ კოღოები. ამით ჩვენ საპასუხო აგრესიას გამოვიწვევთ. თანაც ბუზის მოკვლით თქვენ შესაძლოა კლავთ ძალიან მნიშვნელოვან სუბიექტს, რომელიც თავისი პლანეტიდან ჩვენთან მოსალაპარაკებლად არის ჩამოსული.

***ნლო №52***

# ორსული მამაკაცი ნიუ-იორკში ცხოვრობს!



2002 წლის ყველაზე დიდ სენსაციად იქცა ტაივანური წარმოშობის ამერიკელი მამაკაცის, ლი მინგვეის ორსულობა! იგი ნიუ-იორკში ცხოვრობს, მხატვარია და გამოფენებიც ჰქონია მუზეუმში. ჟურნალმა „ტაიმსმა“ მომავალი მამა (თუ დედა?) წლის მამაკაცად გამოაცხადა.

ნიუ-იორკის სამედიცინო ცენტრის ოფიციალური პირები იუწყებიან, რომ მისტერ ლის ექიმები მეთვალყურეობენ. როგორც დოქტორმა ელიზაბეტ პრიტნერმა განაცხადა, საშვილოსნოსგარეთ ჩასახვის შემთხვევები არცთუ იშვიათია და თუ ემბრიონი ხელსაყრელ გარემოში მოექცევა, მამაკაცის ორგანიზმშიც იცოცხლებს, რაც ხდება კიდეც ამ შემთხვევაში.

1978 წლიდან, „სინჯარაში ჩასახვის“ ცდის წარმატების შემდეგ, ექიმებმა და მეცნიერებმა შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომლითაც შესაძლებელია განაყოფიერებული კვერცხუჯრედის გაცოცხლება მამაკაცის ორგანიზმში. რენტგენოგრამამ უჩვენა, რომ მისტერ ლის ორგანიზმში ჩანასახი წარმატებით ვითარდება.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ჯერ მისტერ ლი ქალის ჰორმონებს ყლაპავდა, რათა ორგანიზმი ორსულობისთვის შეემზადებინა. მერე მუცელში ჩაუნერგეს წინასწარ განაყოფიერებული კვერცხუჯრედი და ქალის საშვილოსნოს „შემცვლელი“ პლაცენტა. ორსულობა ნორმალურად მიმდინარეობს. ჩანასახის ულტრაბგერითი გამოკვლევაც დამაკმაყოფილებელია, მუცელიც იზრდება.

ექიმებს გათვლილი აქვთ ამ საშინელი ექსპერიმენტის ყველა წვრილმანი. უბედურების თავიდან ასაცილებლად ყველაფერი კეთდება, მაგრამ მაინც შიშობენ. მშობიარობა, ცხადია, საკეისრო კვეთით მოხდება.

პაციენტი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. ამბობს, რომ საზოგადოების ნაწილი ამ მოვლენას აღიქვამს მეცნიერების და მედიცინის დიდ წინსვლად, „ბიოლოგიურად ისე მოხდა, რომ ბავშვებს ქალები შობენ, მამაკაცმა რატომ არ უნდა შეიგრძნოს ის ბედნიერება, რასაც ქალი განიცდის, როცა ჩვილს თავისი სხეულით ატარებს?“

ლი მინგვეის ამ ნაბიჯს საზოგადოების მკვეთრად განსხვავებული რეაქცია მოჰყვა: ზოგი უწონებს საქციელს, უმრავლესობა კი ქოქოლას აყრის. განსაკუთრებით გაწიწმატებულნი მამაკაცები არიან: — ღმერთს რომ კაცების მშობიარობა ენება, მათ ასეთებად შექმნიდაო.

ერთი დეტალიც უნდა აღინიშნოს: დოქტორი ელიზაბეტ პრიტნერი უამრავ წერილს იღებს სხვადასხვა ქვეყნიდან — მამაკაცები ითხოვენ, მათაც მიეცეთ ორსულობის შესაძლებლობა. ერთი ქალი კი ექიმს ემუდარება, ინდოეთში ჩამოვიდეს და მისი ქმარი „დააორსულოს“. თურმე ქმარი ოცნებობს მეორე შვილი თავად „ატაროს“. მაგრამ კლინიკა არ იღებს არავითარ განცხადებებს ცდების გაგრძელებაზე, რადგან კაცების ორსულობა ჯერ კიდევ ექსპერიმენტის დონეზეა და რა ბედი ეწევა მას, არავინ იცის...

***ტაიმსი***

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი**

1) ცხელი; 2) რომელიც რეზინზე დგას; 3) ნავთი; 4) მარცხნივ; 5) ზევით ავა; 6) შენელდება; 7) მართალია; 8) იტივტივებს; 9) იოაკიმე და ანა; 10) ნუ კნავი.

**II. რებუსი**

მდიდარი მხოლოდ ბრძენკაცია.

**III.** 7 ბუშტი.


# ფრთხილად! იმპოტენციას ერთი ნაბიჯი გაშორებთ!

ძლიერი სქესის წარმომადგენელთათვის კარგადაა ცნობილი დაავადება, რომელიც არა მარტო ფიზიოლოგიური უსიამოვნებების მიზეზი შეიძლება გახდეს, არამედ უხეშად ჩაერიოს ოჯახურ ან პირად ცხოვრებაში და თქვენი ბედნიერება სათუო გახადოს.

პროსტატიტი მტერია, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მამაკაცს ემუქრება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიმდინარე წლის მონაცემთა მიხედვით, ყოველ მეხუთე მამაკაცს, 20-დან 60 წლამდე, წინამდებარე ჯირკვლის ანთების სიმპტომები აღმოაჩნდა. პროსტატიტის გამომწვევი ფაქტორები მრავალგვარია: მათ შორისაა გაცივება, ინფექცია, იმუნიტეტის დაქვეითება და სხვ. სამწუხაროდ, წინამდებარე ჯირკვლის ანთება, პირველ დღეებში, ხშირად კი თვეებში არავითარ გარეგან გამოვლინებას არ იწვევს, ამიტომ ავადმყოფმა უბრალოდ არ იცის, რომ ავადაა. სწორედ ეს ხდება პროსტატიტის ქრონიკული ფორმის მიზეზი, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალზე ძნელად ექვემდებარება მკურნალობას. დაავადების პირველი საშიში სიმპტომია პოტენციის უმნიშვნელო დაქვეითება, რაც ექიმთან პირველი ვიზიტის მიზეზი ხდება.

პროსტატიტის ქრონიკული ფორმის ყველაზე მძიმე შედეგია კეთილთვისებიანი სიმსივნის, ე.წ. წინამდებარე ჯირკვლის ადენომის წარმოქმნა, რამაც დროის განმავლობაში, შეიძლება ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა წარმოშვას.

არასწორად ან არასრულად ნამკურნალევი პროსტატიტი ზემოთ ჩამოთვლილი გართულებების წინაპირობაა, რისგანაც თავის დაზღვევა დღეს რეალური და აუცილებელია.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ დანერგილია მკურნალობის კომპლექსური მეთოდიკა. ამგვარი პრობლემების მქონე პაციენტებისათვის ტარდება გამოკვლევა ქლამიდიოზზე, ექოსკოპია, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, სისხლის მიმოქცევის შესწავლა და სხვ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ზუსტი დიაგნოზის დაფიქსირებისათვის, შეიძლება ჩატარდეს სპეციფიკური გამოკვლევა. ამის შემდგომ, პაციენტისათვის იქმნება მკურნალობის ინდივიდუალური სქემა, სადაც თანამედროვე სამკურნალო მეთოდებთან ერთად, გამოიყენება მკვდარი ზღვის უნიკალური ბიოორგანომინერალური პრეპარატები, რაც მკურნალობის ეფექტურობას მნიშვნელოვნად ზრდის. სწორედ ამიტომ, სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ პროსტატიტის მკურნალობის დადებითი შედეგები 95%-ს აღწევს.

დროული მკურნალობა თავიდან აგაცილებთ მნიშვნელოვან გართულებებს, რომლებიც უფრო მძიმე დაავადებებს იწვევენ და მკურნალობის ხანგრძლივობას ზრდიან.

მათ, ვისაც დღეს პროსტატიტი უმნიშვნელოდ გაწუხებთ და იოლად უყურებთ ამ პრობლემას, გახსოვდეთ, რომ ტრაგედიას, რომელსაც იმპოტენცია ჰქვია, თქვენ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გაშორებთ.

სამედიცინო ცენტრი

**„ექიმი გილი“**

ტ: 29-05-25 25-27-09

ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

R

## ფრანგებმა ამერიკელები „გადაწურეს“

პარიზში წვენის გამოწურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა: 600-ზე მეტი მოხალისე კონკურსანტი წვენის საწურებით შეიარაღდა და ორი საათის მანძილზე 7 ტ ციტრუსი გამოწურეს — 36.000 ფორთოხალი, 84.000 გრეიპფრუტი და 56.000 ლიმონი. ამ შრომატევადი პროცესის შედეგად 3.280 ლ წვენი მიიღეს. ახალგამოწურული წვენი საგანგებო ჭიქაში ისხმებოდა, რომელიც 500 კგ-ზე მეტს იწონიდა.

ასე რომ, დაუდეგარმა ფრანგებმა აშშ-ში დამყარებული რეკორდი მოხსნეს. ამერიკელებმა მხოლოდ 2.778 ლ წვენი გამოწურეს. პარიზული მიღწევა ოფიციალურად დაფიქსირდა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლის თანდასწრებით. წვენი საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადასცეს ღარიბი მოსახლეობისთვის დასარიგებლად.

*ეხო პლანეტი №52*



## ჩაშლილი სადილობა

ნიკარაგუის დედაქალაქი მანაგუა ერთ მშვენიერ დღეს პანიკამ მოიცვა: ქალაქის ქუჩებში მედიდურად დასეირნობდა სამმეტრიანი ალიგატორი. რეპტილია გამვლელებს არ ერჩოდა და, საერთოდ, წესიერად იქცეოდა. მიუხედავად ამისა, მოქალაქენი მხოლოდ მაშინ დამშვიდდნენ, როცა საპრეზიდენტო არმიის სამხედროებმა მწვანე ქვეწარმავალი დაიჭირეს და ზოოპარკში მიაბრძანეს.

როგორ მოხვდა ნიანგი ქალაქში და რას აპირებდა, ამ კითხვაზე პასუხს ალბათ ვერავინ გასცემს. ზოოლოგების ვარაუდით, იგი ქალაქის დაჭუჭყიანებულ ტბაში, ტისკაპაში ცხოვრობდა. დადგა ისეთი მომენტი, როცა უზარმაზარ რეპტილიას საკვები შემოელია და მახლობელ კვარტალებს მიაშურა საკუთარი რაციონის გასამდიდრებლად და გასაზრდელად.

*ვოკრუგ სვეტა №1*

## გოგონა, რომელმაც ლიპეცკი გადაარჩინა



მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანული ბომბდამშენები რატომღაც გვერდს უვლიდნენ რუსულ ქალაქ ლიპეცკს და არ ბომბავდნენ. ეს „სამხედრო საიდუმლო“ მხოლოდ ახლა გამომჟღავნდა. ბრძანება, რომ არ დაებომბათ ქალაქი, თურმე გაუცია ჰიტლერული ავიაციის შეფს, ფაშისტური გერმანიის მეორე კაცს, ჰერმან გერინგს. ეს ჰუმანური საქმე კი იმიტომ გაუკეთებია, რომ ლიპეცკში ცხოვრობდა მისი რუსი სატრფო.

რკინიგზელის ქალიშვილი ნადეჟდა გორაჩოვა ჰერმან გერინგმა გაიცნო 1925 წელს, როცა მომავალი რაიხსმარშალი გერმანელ მფრინავთა ჯგუფთან ერთად ლიპეცკში ჩამოვიდა ადგილობრივ საფრენოსნო სკოლაში პრაქტიკის გასავლელად.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ გერინგი ნადიას ხშირ-ხშირად სწერდა წერილებს. უკანასკნელი ბარათი დათარიღებული იყო 1941 წლის 21 ივნისით. სსრკ-ზე თავდასხმის შემდეგ ნადია დააპატიმრეს და გულაგში გადაასახლეს, საიდანაც ის ფსიქიკურად დაავადებული დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა.

*მერკიშე ალგემაინე*

## აბსურდულ-მკრეხელური ინტერნეტ-მაღაზია



ბრიტანელებმა — სტივენ გოდარდმა და საიმონ ჯენკინსმა ინტერნეტში საშობაო სუვენირების მაღაზია გახსნეს. ახალი სავაჭრო ქსელის თავისებურება ის გახლავთ, რომ მისი მფლობელები ძალ-ღონეს არ იშურებენ საშობაო თემაზე შექმნილი აბსურდული ნაკეთობების მოსაძიებლად. მათი სიაც კი აქვთ შედგენილი. პირველ ადგილზეა ავტომობილის საქარე მინის სამშვენისი: მაცხოვრის ფიგურა, რომლის თავი მოძრაობის ტაქტის მიხედვით ირხევა. ფეხით მოსიარულეებს კი შოკოლადის იესო ქრისტეს სთავაზობენ.

შეგიძლიათ შეიძინოთ რეზინის ეკლესიაც, რომელიც 15.000 გირვანქა სტერლინგი ღირს. ეკლესიის შიგნით რეზინის სკამები, საკურთხეველი და კანდელებიცაა. კოლექციაში საპატიო ადგილი უჭირავს პლედს, რომელზეც ათი მცნებაა ამოქსოვილი. ამასთან, ზედ მძინარის თავთან მეტად საგულისხმო მცნება მოხვედრილა — „არა იმრუშო“.

ინტერნეტ-მაღაზიაში იყიდება სამარილე და საპილპილე — შიშველი ადამ და ევას ფიგურები, რუბიკის კუბი ახალი აღთქმის სიუჟეტებიანი ნახატებით.

ანგლიკანური ეკლესიის წარმომადგენლები აღაშფოთა ახალმა ინტერნეტ-მაღაზიამ, თუმცა აღნიშნეს, რომ ეს მოვლენა დამაფიქრებელიცაა იმაზე, თუ რას სჩადიან ადამიანები ეკლესიის სახელით. გოდარდისა და ჯენკინსის აზრით, საიტის მთავარი მიზანი ზემოხსენებულ ნაკეთობათა აბსურდულობის წარმოჩენაა. მიუხედავად ამისა, ინტერნეტ-მაღაზიაში საქონელი ელვის უსწრაფესად იყიდება.

*ეხო პლანეტი №52*

## იღბლიანი „მფრინავი“

უკრაინის ქალაქ ჩერნოვცის 25 წლის მკვიდრი ეტყობა, ქუდბედიანი დაიბადა — გასული წლის მანძილზე ორჯერ გადმოვარდა მე-7 სართულიდან და ორჯერვე ოდნავ დაშავდა. პირველად ახალგაზრდა ქვედა სართულზე გაბმულმა სარეცხის თოკებმა იხსნა — მე-7 სართულიდან ტყვიასავით წამოსულმა იმარჯვა და თოკებს ჩაეჭიდა. მეორედ წლის ბოლოს „გადმოფრინდა“ — ამჯერადაც გაუღიმა ბედმა „მფრინავს“. მილიცია და ექიმები დაჟინებით ურჩევენ „მფრინავი ჰოლანდიელის“ ახლობლებს, მიწასთან ახლოს — ქვედა სართულზე გადაბარგებას.

*ჯენტი*



## ოლიმპიური მედალი ვირთხისათვის

საოცარი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა სტუდენტურ ქალაქ ლინკოლნში (აშშ, ნებრასკას შტატი) — შეჯიბრების მონაწილენი... ვირთხები იყვნენ, ნამდვილი ვირთხები, ოღონდ გაწვრთნილები.

მღრღნელები სპორტის ისეთ ტრადიციულ სახეობებში ასპარეზობდნენ, როგორიცაა სირბილი მოკლე დისტანციაზე, სიმძიმეების აწევა და სიმაღლეში ხტომა. გამარჯვებულებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ელოდათ.

ლინკოლნის უნივერსიტეტის სტუდენტები კარგა ხანია წვრთნიან ცხოველებს. პედაგოგებს მოსწონთ მათი ჰობი — მიაჩნიათ, რომ სტუდენტებს ეს სწავლას უადვილებს და ცხოველთა სამყაროსაც კარგად ეცნობიან.

*ტაიმსი*

## სასუსნავი ნაძვის ხისთვის



საახალწლო დღეებში ოთხმოცმა ფრანგმა კუტიურიემ და დიზაინერმა მორთო ნაძვის ხეები, მაგრამ არა იმიტომ, რომ სარფიანად მიეყიდათ მილიონერებისთვის — ღონისძიება საფრანგეთში მეცხრედ ჩატარდა ობოლი ბავშვებისთვის.

ცნობილი მოდელიერების მიერ მორთული ნაძვის ხეები აუქციონზე გაიყიდა. ამ წამოწყებამ შარშან მის ორგანიზატორებს 30.000 ევრო მოუტანა. ამჯერად შემოსავალი, ალბათ, გაცილებით დიდი იქნებოდა. ნაძვის ხეების მოსართავად მიწვეულნი იყვნენ შანელის, დიორის, გოტიეს, ლაკრუას, ლუი ვუიტონის, ვალენტინოს, გუჩის, ივ-სენ ლორანის, არმანისა და სხვა მოდის სახლების წარმომადგენლები.

ამ დროს დიზაინერები ფანტაზიას გასაქანს აძლევენ. მაგ. ჟან-პოლ გოტიემ ნაძვის ხის ტოტები ქალის წინდებით მორთო, პაკო რაბანის ნაძვის ხე კი მეტალის მბრუნავი რგოლებით იყო დამშვენებული. ორიგინალობისთვის პრიზი ერგო დიზაინერ ჟერო დრეიფუსს, რომელმაც ეკლიანი „კოსტიუმ-ნაძვის ხე“ შექმნა.

პოლონეთში კი წლეულს ნაძვის ხე თაფლაკვერებით მორთეს — უძველესი რეცეპტით მოზელილი ცომი დიდხანს არ ფუჭდება. მომინანქრებული, შაქარმოყრილი სურნელოვანი თაფლაკვერები ნაძვის ხის ნამდვილ მოსართავებს არაფრით უდებს ტოლს. მაღაზიის ვიტრინებში თაფლაკვერის ანგელოზები და თოვლის პაპები იყო გამოფენილი. მათ გვერდს თაფლაკვერის სახლები, ზანზალაკები და სხვადასხვა ცხოველის ფიგურები უმშვენებდა. მსურველებს ნაირფერად დაშაქრული თხილის გირლანდებსაც სთავაზობდნენ. ნაძვის ხის თაფლაკვერები ყველა შეძლების მყიდველზე იყო გათვალისწინებული — ყველაზე ძვირად ღირებული 32-ზლოტიანი გახლდათ (დაახ. 8 დოლარი). ყველაზე იაფი მოსართავების კომპლექტი კი 17 ზლოტი (4 დოლარი) ღირდა.

*ლიზა*

## ახალმოდის მობილური ტელეფონი

კომპანია „სამსუნგმა“ გასაყიდად გამოუშვა ახალი მობილური ტელეფონი „A400“. ამ კოხტა მოდელის კორპუსს პაწია ვარდი ამშვენებს და თან ახლავს კალკულატორი მენსტრუალური ციკლის გამოსათვლელად, სპეციალური მოწყობილობა მოხმარებული კალორიების რაოდენობის დასადგენად და სხეულის მასის ინდექსის ცვლის გასაკონტროლებლად.

დასავლეთ ევროპაში, კორეაში, ჩინეთსა და ჰონკონგში ამ 400-დოლარიან მობილურებს პირდაპირ იტაცებენ. თანაც მისით მარტო მანდილოსნები კი არა, მამაკაცებიც დაინტერესდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნორვეგიელებს ეს სიახლე არ მოუვიდათ თვალში. ისინი ამზადებენ კანონპროექტს ამ და მისი მსგავსი სხვა მოდელების აკრძალვის შესახებ. კერძოდ, ნორვეგიის პარლამენტის წევრი მარტა ტორეილდნესი თვლის, რომ ასეთი ტელეფონი ამცირებს მანდილოსანს და ძალზე საშიშია მისი ფსიქიკისათვის...

*ჟენსკიე დელა*

## ამ პატარამ მანქანა მუცლით დაქოქა



ინგლისელმა ამანდა უებსტერმა თავისი ერთი წლის ბიჭუნა წუთით მანქანის საჭესთან, სავარძელზე დასვა და სანამ მობრუნდებოდა, პაწიამ... გადაყლაპა ავტომანქანის გატაცების საწინააღმდეგო ელექტროჩიპი.

ქალბატონმა უებსტერმა დახმარებისთვის ტექსამსახურს დაურეკა. შემთხვევის ადგილზე მოსულმა მექანიკოსმა დაამშვიდა ქალი — გადაყლაპული ჩიპი ბავშვს არ ავნებს, რადგან პაწაწინაა, თანაც დამცავ გარსშია მოთავსებული და გარეთ ბუნებრივი გზით გამოვა. მანქანას კი მანამ ვერ დაძრავთ, ვიდრე იმ სპეციალისტს არ გამოიძახებთ, ვინც დამცავი სისტემა დააყენაო.

ამ ლაპარაკში უცებ მექანიკოსს გონებაში ბრწყინვალე აზრმა გაუელვა. მან ბავშვი აიყვანა, მუცლით გასაღებს მიაბჯინა და... მანქანა დაიქოქა.

გადაყლაპულმა ჩიპმა მანქანის ძრავა მუცლიდან აამუშავა.

*ინტერპოლ-ექსპრესი №49*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ლაფონტენის სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ნ | ი | ს | ე | | კ | ი | ე | ე | ა | ა | ა | ი | ს | ი | ზ | ა | ფ | ო | ი | უ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ.** ტაჯიკეთის დედაქალაქი; **ა.** ძველეგვიპტური ღმერთი, რომლის შვილადაც გამოაცხადა თავი ალექსანდრე მაკედონელმა; **ი.** მაყურებლისთვის განკუთვნილი სართული თეატრში; **ს.** პატარა თევზსაჭერი გემი; **ვ.** თბილისის საკალათბურთო გუნდი; **ე.** ვინ არის ბელზებელი; **ნ.** ხინკლის ატრიბუტი; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **თ.** მიწისქვეშ მცხოვრები ცხოველი; **ჩ.** მუსლიმანთა ტრადიციული თავსაბურავი; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ.** ქართული ხალხური ანტიბიოტიკი; **თ.** რაიმე პატარა ნივთი, რომელსაც ცრურწმენით მფლობელისთვის ბედნიერების მოტანა შეუძლია; **ა.** სამხედრო ნადავლი; **ნ.** მოძღვრება, რომელიც შიშველი სხეულის კულტს ქადაგებს; **ე.** ამაღლებული სცენა, სადაც მომღერლები გამოდიან; **რ.** სიყვარულში მოცილე; **თ.** უღელტეხილი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე; **ა.** რა ერქვა პიპინია ერისთავის ნაბოლარა შვილიშვილს; **დ.** საჯარო კამათი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**ჩ.** ჩამიჩი; **ვ.** ვიერი; **ე.** ეშვი; **ნ.** ნაწნავი; **თ.** თხევადი; **ა.** აგრესია; **ნ.** ნარცისი; **ე.** ეგო; **რ.** რაგბი; **თ.** თეორემა; **ა.** აორტა; **დ.** დოცენტი; **ა.** არჩილი; **რ.** რეიტერი; **მ.** მატისი; **ო.** ონისე; **ი.** იაგუარი; **წ.** წყალი; **ყ.** ყალიონი; **ე.** ეზოპე; **ნ.** ნობელი; **თ.** თასმა.
**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მე ვწერ, როგორც ჩიტი გალობს.**

# რა დედამ შობა...



ამერიკის პლასტიკური ქირურგიის აკადემიამ გადაწყვიტა, რომ კეტრინ ზეტა-ჯონსის სახე სრულყოფილებასთან მიახლოებულია. ამიტომაც, სწორედ მისი სახის ნაკვთების მსგავსი უნდათ, რომ ჰქონდეთ კლინიკის პაციენტებს. მეორე ადგილი ნიკოლ კიდმანს უჭირავს, მესამე კი გაიყვეს რამდენიმე ცნობილმა პიროვნებამ: ჯენიფერ ენისტონმა, პენელოპა კრუსმა და გვინეტ პელტროუმ.

ყველას უნდა ლამაზი იყოს, ამიტომ ხანდახან არის თუ არ არის საჭირო, მაინც იკეთებენ ცხვირს, ტუჩებს, ფეხებს... და იმ ვარსკვლავებსაც, რომელთაც ჩვეულებრივი მოკვდავნი შურით უყურებენ, ბევრი რამ „თავისი“ არ გააჩნიათ. მაგალითად, ***მელანი გრიფიტი, იზაბელ აჯანი, მერილ სტრიპი, ელიზაბეტ ტეილორი, სოფი ლორენი*** — პლასტიკური ქირურგიის აკადემიის დიდი ხნის კლიენტები არიან და არც მალავენ ამას.

***უმა თურმანმა*** ცხვირის წვერი გადაიკეთა. ***ნიკოლ კიდმანმა*** და ***სანდრა ბალოკმაც*** გაინატიფეს ცხვირები. ***დემი მურმა*** სიელმე მოიშორა, ცხვირი დაიმოკლა, თეძოები და დუნდულები დაისხიპა, ხოლო მკერდი სილიკონით შეივსო. ***ალ პაჩინომ*** ჩამოწეული ქუთუთოები აიქაჩა და საგრძნობლად გაახალგაზრდავდა, ***ალა პუგაჩოვა*** ყოველი მორიგი ოპერაციის შემდეგ თაფლივით ტკბება, ***მაია პლისეცკაია*** საქვეყნოდ აცხადებს, რომ ***კატრინ დენიოვივით*** „ოქროს ბადეში“ გაეხვია. მაგრამ ხანდახან კურიოზული ამბებიც ხდება. მაგალითად, მომღერალ ***ვალერი ლეონტიევს*** ისე დაუქაჩეს ქუთუთოები, რომ თვალებს ველარ ხუჭავდა და მეორედ დასჭირდა ოპერაცია.

პლასტიკურ ოპერაციებში ჩემპიონი ***მაიკლ ჯექსონია,*** მეორე ადგილი გარეგნობის შეცვლაში ***შერის*** უკავია — 30 ოპერაცია აქვს გაკეთებული.

***ტვ პარკი №1***

# დენი დე ვიტო: სჯობს იყო ჩიკორა, მსუქანი, მდიდარი და ცნობილი, ვიდრე მაღალი, ტანადი, ლამაზი, ღარიბი...



*ამ პატარა ადამიანს აქვს ყველაფერი — უზარმაზარი შემოსავალი, რაც მოჰყვება თითოეულ ფილმს, უზარმაზარი სახლი ოკეანის სანაპიროზე, წარმატება და პოპულარობა ყველა ასაკის თაყვანისმცემელთა შორის. ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესღაც გარეგნობას ბევრი მწუხარება მოუტანია ხალისიანი დენისთვის. მაგრამ შესაძლოა სწორედ გარეგნობა დაეხმარა მას, გამხდარიყო გოლიათი ცხოვრებასა და კინოში.*

ბავშვობაში დენი სულაც არ განსხვავდებოდა თანატოლებისაგან, მაგრამ ძალიან მალე საოცრება მოხდა — მისი თანატოლები თუ საათობით იზრდებოდნენ, დენის გოჯიც არ ემატებოდა. ყოველღამე ევედრებოდა ღმერთს — გამზარდეო. ბოლოს, შეწუხებულმა ოჯახმა არ დაიშურა ფული და ბიჭი ცნობილ ექიმთან წაიყვანა. მან ყურადღებით გასინჯა დენი და მშობლები დაამშვიდა, — თქვენი შვილი აბსოლუტურად ჯანმრთელია. მამაკაცისთვის კი გარეგნობა არ არის მთავარიო. გახარებულმა მამიკომ, რომელიც საბილიარდოს პატრონი იყო, იმავე საღამოს შვილი ტაბურეტზე შეასკუპა და ბილიარდის თამაში ასწავლა. 2-3 გაკვეთილის შემდეგ დენი შესანიშნავად თამაშობდა. მან დაიფიცა, — მაინც გავხდები ცნობილი, თუნდ ასეთი ტანჩიკორა დავრჩეო.

„ნაპოლეონის“ გეგმების განხორციელება დენიმ დაიწყო თანაკლასელებში ავტორიტეტის მოპოვებით. ვინ წარმოიდგენდა, რომ ბიჭი, რომელიც ღამღამობით ბალიშში ჩამხობილი ტიროდა, ყველანაირი თამაშის თაოსანი გახდებოდა...

ნიუ-იორკში მივდივარ, ვიზაჟისტის კურსებზე უნდა ჩავაბარო და თან სამსახიობო კურსებს დავესწროო, — განუცხადა დენიმ მშობლებს. ამ განცხადებამ ნამდვილი ისტერიკა გამოიწვია, — შენს თავს სარკეში შეხედე, არავის სჭირდება ქონდრისკაცი მსახიობიო. მაგრამ დენი გაჯიუტდა: დამცინეთ, ჰო, დამცინეთ. ნახავთ, თუ უდიდესი კომიკოსი არ გამოვიდეო.

2 წლის შემდეგ დენიმ მუშაობა დაიწყო კონექტიკუტის შტატის საზაფხულო თეატრში, სადაც დაუმეგობრდა მაიკლ დუგლასს. მან ურჩია დამწყებ მსახიობს, თავი მოესინჯა ჰოლივუდში. მაგრამ, რეჟისორების ყურადღების მიზიდვა დენიმ მაშინ ვერ შეძლო. სამაგიეროდ, 1970 წელს ნიუ-იორკში დაბრუნებულმა ბრწყინვალედ ითამაშა მომხიბვლელი შეშლილის როლი თეატრალურ დადგმაში „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. ამავე სახელწოდების ფილმის პროდიუსერმა მაიკლ დუგლასმა ვიტო იმავე როლზე მიიწვია თავის პროექტში. რეჟისორ მილოშ ფორმანის ფილმმა ერთდროულად 5 „ოსკარი“ მიიღო. ასე ეწვია დე ვიტოს პოპულარობა და შეიძინა კიდევ ერთი მეგობარი — ჯეკ ნიკოლსონი, რომელიც არწმუნებდა, — შენი სიმაღლე განუმეორებელს და უნიკალურს გაგხდისო.

დენი ოდესღაც ფიქრობდა, — მე ვინ გამომყვება ცოლადო, მაგრამ ძალიან მალე იპოვა თავისი მეორე ნახევარი — მსახიობი რეა პერლმანი. დენიმ მოიკრიბა მხნეობა და რეა სპექტაკლის შემდეგ ჯაზკლუბში დაპატიჟა. რეამ მაშინვე მოახსენა დენის, — დარწმუნებული ვარ, შეიძლება გახდე ცნობილი მსახიობი ისე, რომ არ გქონდეს გრძელი ფეხები და უზარმაზარი მკერდიო. დენიმ ყურებს არ დაუჯერა. რა თქმა უნდა, შეუყვარდა ასეთი საოცარი ქალი, რომელიც გარეგნობაზე მეტად ნიჭს აფასებდა. ორი კვირის შემდეგ რეა დენისთან გადავიდა. თეძომდე ძლივს სწვდები, როგორ შეეწყობი იმსიმაღლე ქალსო, — ცდილობდა მეგობრის ჭკუის დარიგებას მაიკლი. სამაგიეროდ, ის ჩემსავით გონებამახვილია, უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. ნამდვილად იდეალური წყვილი ვართ. ერთი და იგივე საყვარელი გმირიც გვყავს — ნაპოლეონიო, — პასუხობდა დენი.

1982 წლის თებერვალში დენიმ და რეამ ჯვარი დაიწერეს. მალე რეა დაფეხმძიმდა. ბედნიერმა დენიმ ჩუმად დაურეკა ექიმს — გამაგებინეთ ერთი, ჩემი შვილი ჩემსავით ტანმოკლე ხომ არ იქნებაო. ექიმმა დაამშვიდა — ნორმალური გოგონა შეგეძინებათო...

ბედნიერმა დედამ რეამ პაწია ლუსი ჩეტის გასაცნობად ნათესავმეგობრები მოიწვია, მაგრამ ახალგამომცხვარი მამა კარებში ჩადგა და არავინ მიუშვა ქალიშვილთან — ვირუსი არ შეჰყაროთო...

დენი გიჟდება თავის ცოლ-შვილზე. რეა საოცარი ქალია. რაც დრო გადის, ჩვენი სიყვარული უფრო და უფრო ღვივდება. კიდევ კარგი, მეტისმეტად მოუცლელი ვარ, თორემ სამი შვილის ნაცვლად 25 გვეყოლებოდაო, — ამბობს პატარა კაცი...

***მკ ბულვარი №1***

# კეიტ მოსი: მეშინია, არ გავთვალო ჩემი ბედნიერება



„თქვენ ირგვლივ ბევრი მამაკაცი ტრიალებდა... ნუთუ სამუდამოდ ვერავინ მოინადირა თქვენი გული?“ — ჰკითხა კეიტს ბრიტანული ჟურნალის „Dazed e confuzel“-ის რედაქტორმა ჯეფერსონ პეკმა. ქალმა ირიბად გადახედა სიმპათიურ ყმაწვილს: „რატომაც არა. თუ შევხვდები მამაკაცს, რომელსაც ვეყვარები მთელი ჩემი ნაკლითა და უცნაურობებით, მისთვის საჩუქარსაც არ დავიშურებ — შვილს გავუჩენ!“ ჯეფერსონი შეცბა, ბედნიერება უსურვა და მანქანამდე თავაზიანად მიაცილა კეიტი. ერთი თვის შემდეგ, 1999 წლის თებერვალში, ჯეფერსონმა პირადად მიართვა ქალს ჟურნალის ცინცხალი ნომერი, რომლის ყდაზეც საკმაოდ სექსუალურ სამოსში გამოწყობილი კეიტ მოსი იღიმებოდა. დიდხანს ისაუბრეს, შემდეგ ერთად ისაუზმეს. „იცით რა, მგონი, მე მზად ვარ მივიღო თქვენი ნაკლი, ვინაიდან ძალიან მომწონხართ!“ — გამომშვიდობებისას მოულოდნელად აღმოხდა ჯეფერსონს.

რამდენიმე თვის შემდეგ კეიტი გამოუტყდა თავის საუკეთესო მეგობარს სედი ფროსტს: „გახსოვს, როგორ ვოცნებობდი, მეცხოვრა ხეებით დაბურულ, მწვანე ეზოში ჩადგმულ სახლში საყვარელ ადამიანთან და, რაღა თქმა უნდა, ბავშვებთან ერთად. მეგონა, ეს ოცნება არ ამიხდებოდა, მაგრამ ეტყობა, შევცდი...“

...14 წლის კეიტი და მისი მშობლები ბაჰამის კუნძულებიდან შინ, ინგლისში ბრუნდებოდნენ. კნაჭა გოგონას ყურადღება მიაქცია სამოდელო სააგენტოს პატრონმა სარა დუკასმა და სინჯებზე მიიწვია. 1993 წელს ქეითის ფოტო ჟურნალმა People-მ დაბეჭდა გარეკანზე წარწერით — „ძვალი და ტყავი“. მალე ამერიკელმა დიზაინერმა კელვინ კლაინმა თეთრეულის რეკლამაში გადაიღო. იქ გაიცნო კეიტმა ფოტოგრაფი მარიო სორენტი, თავდავიწყებით შეუყვარდა და ძალიან მალე გადაბარგდა მის ბინაში, სადაც ცხოვრობდნენ მარიოს დედა და და-ძმა. კლაინმა შეყვარებულები გაუშვა კუნძულზე ფოტოების გადასაღებად. მარიოსთან ერთად ცხოვრება და მუშაობა ქეითისთვის საშინელებად იქცა. ისინი წარამარა ჩხუბობდნენ.

კეიტი 18 წლისა იყო, როცა სუპერმოდელთა წრეში მოხვდა, გადაიტანა პირველი ვნება და პირველი დეპრესია. ექიმმა ძლიერი ანტიდეპრესანტები გამოუწერა, მაგრამ მარიოს დედამ არ მისცა მისი მიღების ნება. ის ბალახეულის ნაყენს ასმევდა და მალე გამოაჯანმრთელდა კიდეც...

კეიტი და მარიო მალე დაშორდნენ ერთმანეთს, ჩუმად და საკმაოდ მეგობრულად.

**...**ერთ მშვენიერ საღამოს კეიტმა ნიუ-იორკის კაფეში შეიარა. სამუშაოს შემდეგ იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს ნაომი კემპბელი, ლინდა ევანგელისტა, კრისტი ტერლინგტონი პოკერის სათამაშოდ, საჭორაოდ და დასასვენებლად. იმ საღამოს კეიტმა იქ ჯონი დეპი გაიცნო და თავდავიწყებით შეუყვარდა. მათი რომანი 4 წელი გაგრძელდა. ეს შოუ-ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი წყვილი იყო. მათზე საოცარი ხმები დადიოდა. არც არის გასაკვირი, დეპს გენიალური და ჰოლივუდის ყველაზე ინტელექტუალური რეპუტაციის გარდა საკმაოდ უცნაური, უმართავი ადამიანის სახელიც ჰქონდა. ერთი სიტყვით, საშინელი ხასიათის ადამიანს, რომელმაც 14 წლის ასაკში გასინჯა ყველა ნარკოტიკი და ალკოჰოლური სასმელი, შეეძლო საოცრად რომანტიკულად გამოეხატა თავისი სიყვარული. როცა კეიტს 21 წელი შეუსრულდა, ჯონიმ თავის საყვარელ მომღერალს, გლორია გეინორს სთხოვა კეიტისთვის მიეძღვნა სიმღერა „Happy birthday miss Moss“. შემდეგ დეპმა კეიტს მოსთხოვა, ვახშმობისთვის ტანსაცმელი გამოიცვალეო. ძალიან ლამაზი კაბა მაცვიაო, — უარი უთხრა ქალმა. კაცმა მაკრატლით მუხლებამდე შემოაჭრა კაბა კეიტს. ბრილიანტებით მოოჭვილი ულამაზესი ბეჭედი, რომელსაც ყვავილის ფორმა ჰქონდა, სატრფოს დეპმა სწორედ იმ დაუვიწყარ საღამოს უძღვნა...

თუმცა, მიუხედავად ამგვარი რომანტიკული სიყვარულისა, მათი ურთიერთობა უღრუბლო არ იყო. დეპი პრინციპულად არ ესწრებოდა ჩვენებებს, რომელშიც კეიტი მონაწილეობდა. ქალს ეს სწყინდა, საყვედურობდა ჯონის და ეგონა, რომ მას არ მოსწონდა მოდელის პროფესია. მაგრამ დეფილეს შემდეგ დეპს ის ლამაზ წვეულებებზე მიჰყავდა, სადაც ხშირად გონის დაკარგვამდე თვრებოდა, ჩხუბობდა, შემდეგ დეპრესიაში ვარდებოდა. კეიტი ყველაფერს სულგრძელად ითმენდა — მას ძალიან უყვარდა ჯონი და უნდოდა, მისგან შვილი გაეჩინა.

მათი მცდელობა, ერთად მშვიდად ეცხოვრათ, კრახით დასრულდა.

„მე ვარ დამნაშავე. ქეითს ყოველთვის აკლდა ჩემი ყურადღება. ის საუკეთესო, ნაზი და სუფთა ქალია მათ შორის, ვისაც კი შევხვედრივარ“, — ამბობდა დეპი.

„არ მჯერა, რომ ყველაფერი დამთავრდა. ძველებურად მიყვარს ჯონი და დაველოდები მას. მეტს ვეღარავის შევიყვარებ“, — ამბობდა კეიტი. ისინი ერთმანეთს 1998 წლის გაზაფხულზე დაშორდნენ, ხოლო შემოდგომაზე კეიტმა შეიტყო, რომ ფრანგი მსახიობი ვანესა პარადი ჯონისგან ბავშვს ელოდა. დეპმა კეიტს ვანესასთან საფრანგეთში მშვიდი ოჯახური ცხოვრება ამჯობინა.

კეიტმა კი თავგზა დაკარგა. წვეულებებზე ხან ერთ მამაკაცთან ხედავდნენ და ხან მეორესთან... ერთ ინტერვიუში სენსაციური განცხადება გააკეთა: — ჩემი კარიერის 10 წლის მანძილზე პოდიუმზე ფხიზელი არასოდეს ავსულვარო. ამას ის მოჰყვა, რომ მისმა საყვარელმა დიზაინერმა კელვინ კლაინმა უარი უთხრა ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე. დეპრესიიდან თავის დასაღწევად კეიტი ლონდონის რეაბილიტაციის ცენტრში დაწვა. ყველა აუცილებელ პროცედურას იტარებდა და საათობით სეირნობდა სუფთა ჰაერზე. კლინიკაში წლის ერთ-ერთ ბოლო დღეს მომხდარმა ამბავმა კი საბოლოოდ დაუსვა წერტილი მის წინანდელ ცხოვრებას. ერთ მშვენიერ დილას კეიტმა სანთლები აანთო თავის ოთახში. ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარი — ჯონი დეპი ურეკავდა, — გემუდარები, გამოდი ჭიშკართან, სიურპრიზი გელოდება. იმედი მაქვს, მოგეწონებაო. კეიტი თავქუდმოგლეჯილი გავარდა ქუჩაში და დაინახა უმშვენიერესი წითელი მანქანა, საიდანაც ჯონი გადმოვიდა...

ნახევარი საათის შემდეგ კლინიკაში დაბრუნებულ კეიტს ამ ძველებური შენობის ნახევარი ცეცხლში გახვეული დახვდა — თურმე მის ოთახში ერთი სანთელი იატაკზე ჩამოვარდნილიყო... არავინ დაზარალებულა, მაგრამ კეიტისთვის ეს იყო ნიშანი ზემოდან... კლინიკიდან გამოწერის შემდეგ იყიდა ულამაზესი სახლი ქალაქგარეთ და ძაღლიც შეიძინა. გამოიცვალა ტელეფონის ნომერი, მოიშორა ყველა სპირტიანი სასმელი და პირველად, სიცოცხლეში ვერსაჩეს დეფილეზე ფხიზელმა იმუშავა.

...2002 წლის 8 ოქტომბერს ჯეფერსონმა კეიტი ბერძნულ რესტორანში წაიყვანა. იქ უკვე ელოდნენ მეგობრები — სედი ფროსტი და მისი მეუღლე, მსახიობი ჯუდი ლოუ. ნასადილევს ფეხმძიმე კეიტმა მოულოდნელად ძალიან ნაზად თქვა: „ვგრძნობ, ჩემი პაწია მზად არის, მოევლინოს ქვეყანას!“. რამდენიმე საათის შემდეგ კი გააჩინა უმშვენიერესი გოგონა ლოლო.

კეიტმა და ჯეფერსონმა გადაწყვიტეს, თავად აღზარდონ ქალიშვილი. ისინი არასოდეს ჩხუბობენ. რაც შეეხება ქორწილს, კეიტს ერთხელ წამოსცდა, — არ მინდა ნაოცნებარი იდილიის დარღვევა, მეშინია, ქორწინების ცერემონიით თვალი არ ეცეს ჩემს ბედნიერებას. ჯეფს კიდევ ერთ ბავშვს გავუჩენ და მერე გავცვლით ბეჭდებსო.

პეკს კარგა ხანია ნაყიდი აქვს ბეჭდები — იქნებ კეიტმა მოულოდნელად მოისურვოს მისი ცოლობა?

***7 დღე №1***

CMYK

# ხაბარელს ძიუდოს მაფიაც არ აშინებს

2002 წელი ძიუდოისტებისთვის მეტად ხვავრიელი აღმოჩნდა: შოთა ხაბარელის განწვრთნილებმა ევროპის გუნდური პირველობის ფინალში ბელორუსების ძლევით (4:3) კონტინენტის საუკეთესო გუნდის ტიტული მოიპოვეს. თუმცა, მხოლოდ ამ წარმატებას არ დასჯერდნენ და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ, იქ კი იაპონიის გუნდთან დამარცხდნენ.

აბა, გადახედეთ ქართული სპორტის ისტორიას და გაიხსენეთ, მსგავსი წარმატება ოდესმე თუ გვქონია. დიდებული გრძნობები აღძრეს 1962 წელს კალათბურთში ჩემპიონთა თასის მოპოვებით თბილისის დინამოელებმა, 1981 წელს მთელი ქვეყანა ფეხბურთელებმა გადარიეს, 2002 წლის 13 ოქტომბერს რაგბისტებმა მსოფლიო თასის საგზური რუსებს წაგლიჯეს და ამით სიხარული გააორმაგეს, მაგრამ ჯერ ქართული გუნდი ერთბაშად მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონობას არ ღირსებია. მართალია, ეს ყოველივე არაანგაჟირებულ ძიუდოში მოხდა, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, ჭიდაობის იაპონური სახეობა გულშემატკივრებისთვის უინტერესოაო. უბრალოდ, ათვლის წერტილად როცა ფეხბურთი მიიჩნევა, შედარებებიც მაშინ ჩნდება.

არადა, ეს ყოველივე ხდება მაშინ, როდესაც ქართველი ძიუდოისტების დაფინანსება მათი კონკურენტების სიცილს, შემდეგ კი



გაოცებას იწვევს — ამ ფულით საიდან ამდენი შესაძლებლობებიო?!

ქართველ ძიუდოისტთა „ფოკუსებში“ გარკვევა ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელთან ვცადეთ.

**— ბატონო შოთა, თქვენი აზრით, 2002 წლის წარმატება შემთხვევითი მოვლენა იყო თუ კანონზომიერება?**

— წარმატებისთვის ერთხელ რომ მიგვეღწია, მაშინ შემთხვევითობას მივაწერდი, მაგრამ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, აგრეთვე საერთაშორისო ტურნირებზე სტაბილურად მაღალ დონეზე გამოსვლა წარმატებათა კანონზომიერებას ადასტურებს.

**— თქვენი აზრით, ნაკრებში ვაზაგაშვილი და რევაზიშვილიც რომ ყოფილიყვნენ, მეტის მიღწევა შეიძლებოდა?**

— მეტი რაღასთვის უნდა მიგვეღწია? ამაზე მეტის მიღწევა დღეისათვის წარმოუდგენელია. ასეთი შედეგები საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც უდიდეს წარმატებად გვეთვლებოდა. სიხარული როგორ არ გვახსოვს, მაგრამ ევროპის ჩემპიონობას მაინც სხვა დატვირთვა აქვს... თუმცა, უკვე ახალ წარმატებებზე ვფიქრობ და ძველი წლით ტკბობას არ ვაპირებ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ 2003 წელი დატვირთული იქნება, ოლიმპიადა კარს მოგვადგა და ახლა უფრო მეტი მობილიზაციაა საჭირო.

**— ოლიმპიადაზე რამდენი მოჭიდავის გაყვანის იმედი გაქვთ?**

— შვიდივე კატეგორიაში სპორტსმენები უნდა გამოვიყვანოთ.

**— მერედა, რაოდენობა ხარისხს, ანუ ოქროს მედალს უზრუნველყოფს?**

— ოლიმპიურ თამაშებზე განსხვავებული ფაქტორები მოქმედებს და ამიტომაც ამაზე წინასწარ საუბარი მარჩიელობის ტოლფასია. ეს კი არ მიყვარს.

**— ყველამ მშვენივრად იცის ამ „სხვა ფაქტორების“ რეალური შინაარსი. არსებობს ძიუდოში მაფია, რომლის გასაღებიც მხოლოდ ფულია.**

— არა მარტო ფული. სუსტ და ღარიბ ქვეყნებს იოლად ჩაგრავენ, მაგრამ დღეს ფინანსები ბევრ რამეს რომ წყვეტს, ეს უდავოა.

**— ოქროს მედლის ბედსაც?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ბედს მაინც არ შევეგუებით. საერთოდ, ოლიმპიური ოქროს ბედი, რეალურ კლასთან ერთად, მხარდაჭერაზეც არის დამოკიდებული. ფულთან ერთად საჭიროა შენი კაცი გყავდეს მსაჯთა კოლეგიაში. თუმცა, ჩვენ ისეთი მოჭიდავეები გვყავს, რომ მათ იმედად ოქროს მედალზე ფიქრი რეალურად შეიძლება. ისიც ვიცით, რომ თუ არ ვიბრძოლეთ, ხონჩით არავინ არაფერს მოგვართმევს...

**— ოლიმპიადაზე მსაჯის გამოყვანის იმედი გადაიწურეთ?**

— ათენის თამაშებზე მსაჯი არ გვეყოლება, მაგრამ გვყავს კანდიდატები, რომლებსაც წლოვანება და კვალიფიკაცია ხელს უწყობთ. გამოცდებს ჩააბარებენ და იმედი მაქვს, რომ 2008 წლის ოლიმპიადაზე მაინც გამოჩნდება ქართველი მსაჯი.

საერთოდ, არსებობს გარკვეული ეტაპები — B კატეგორიიდან A-ში გადასასვლელად ხუთი წელია საჭირო და შემდეგ ამ კატეგორიაში ჩაბარების უფლება გეძლევა. ლოსეურაშვილი არის ის მსაჯი, ვისაც ამის რეალური შესაძლებლობა გააჩნია. B კატეგორიაში დღეს უკვე რამდენიმე ქართველია და ესეც გვაიმედებს.

**— კატეგორიის მინიჭებას ისიც ხომ არ სჭირდება, რაზეც ხმამაღლა საუბარს ერიდებიან?**

— *(იცინის)* რა თქმა უნდა, „ისიც“ სჭირდება. ძიუდოში სერიოზული მაფია არსებობს და მას იოლად ვერ დაამარცხებ.

**— რომ არა მაფია, უფრო გამოჩნდებოდნენ ჩვენი მოჭიდავეები და ზოგადად ქართული ძიუდო?**

— რა თქმა უნდა! ამაში ეჭვიც არ მეპარება. დღეს ჩვენ, იაპონელების შემდეგ, უძლიერესი გუნდი გვყავს, რუსებსაც ვჯობივართ და ფრანგებსაც, რაც არაერთხელ დავამტკიცეთ, მაგრამ საქმეში ერთვება ის მანქანა, რაც წინსვლის შანსს მაქსიმალურად გვიზღუდავს.

**— ფულის მანქანამ სხვა მიმართულებითაც გვაზარალა. თუ იცით, უცხო ქვეყნის სახელით რამდენი ქართველი გამოდის?**

— ზუსტი სტატისტიკა ჩემთვის უცნობია. მაგრამ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი თუ აღწევს წარმატებას. ევროპის ვიცეჩემპიონია „გარუსებული“ ფიფია, ევროპის ჩემპიონია უზნაძე, რომელიც თურქეთის სახელით გამოდის.

**— ვაზაგაშვილის საკითხი თუ გაირკვა?**

— გიორგი ორი წელია ქართული დროშით არ გამოსულა, რადგან წასვლაზე თანხმობა არ მივეცით, თუმცა ახლა მას უცხო ქვეყნის ნაკრებში ჩარიცხვის უფლება აქვს. თუ არ ვცდები, ვაზაგაშვილი საბერძნეთში წასვლას აპირებს. საბედნიეროდ, ოლიმპიადის მოახლოებისას წამყვან სპორტსმენებს იმხელა ხელფასები დაენიშნათ, რომ მსგავსი საშიშროება თითქმის გამორიცხულია. 1.500—2.000 ლარი სახუმარო თანხა არ არის, ამ დროს წუწუნი უხერხულია, მაგრამ დიდი სპორტი თუ გვინდა, უფრო მეტი დაფინანსებაა საჭირო. ხომ იცით, ყველაფერი შეფარდებითია. სპორტსმენს ხომ ჩვეულებრივ ადამიანზე გაცილებით მეტი სჭირდება. როდესაც ფრანგებს, რუსებს, იტალიელებს, კორეელებსა და იაპონელებს ებრძვი, თანხის ოდენობაც გასაზრდელია.

მე სპორტის დეპარტამენტზე აუგი როგორ ვთქვა. ძიუდო პრიორიტეტულად ფინანსდება, უბრალოდ, ხელისუფლებაში უნდა მიხვდნენ, რომ სპორტის ბიუჯეტია გასაზრდელი. ჭაბუკებით დაწყებული და დიდებით დამთავრებული, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა აუცილებელია. არადა, ჭაბუკებისთვის ასეთი რამ თითქმის უცხო ხილია. ამას ვინ ჩივის, დიდებსაც ეს პრობლემად ექცათ. ფრანგები ყველა პერსპექტიულ მოჭიდავეს თავის გამოჩენის შანსს აძლევენ, ჩვენ კი ლიდერების უცხოეთში წაყვანაც გვიჭირს. ეს რომ მოგვარდეს, 500 ათასი ლარი გვინდა, დღეს კი 150 ათასს ვიღებთ. მსოფლიო ჩემპიონატის ორი შეკრებაც ვერ დაფინანსდა. ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე შვიდი მედალი აიღო, აქედან, — სამი ოქროსი და მსოფლიოს პირველობაზე ვერ გაემგზავრა. ხალხი გაგიჟდა, რა გჭირთ ქართველებსო. რა იციან ჩვენი სატკივარი, ჩვენი კონკურენტები 150 ათასს ლარს მხოლოდ მგზავრობაში ხარჯავენ... მაინც ბევრს ვახერხებთ, რადგან საქართველოში ტალანტები უხვად გვყავს, უდიდესი ტრადიციები გვაქვს. წლეულს 30-ე საერთაშორისო ტურნირს ვატარებთ. ალბათ ამ ტურნირს მაინც არ ჩაშლიან, რადგან ოლიმპიური სალიცენზიო ქულებით ათენში მოხვედრა გაგვიიოლდება, მაგრამ მეშინია უსახსრობის გამო შეჯიბრი არ ჩაგვეშალოს, ან სასახლე ვერ გავათბოთ და ა.შ. ტურნირი 31 იანვარს იწყება და 1-ელ თებერვალს მთავრდება. მოკლედ, მანამდე რაიმე უნდა ვიღონოთ...

დიდი ხანია ქართველებს თურქეთში აღარ უთამაშიათ. შოთა და აჩიკო არველაძეების ნაკვალევზე „ტრაბზონსფორში“ რამდენიმე ჩვენებურიც ჩაირიცხა, მაგრამ ქართული ტალღა მალევე დაცხრა, თუ არ ჩავთვლით იმ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის მცდელობას, რომლებმაც ბოლოს ეს ქვეყანა მაინც დატოვეს. იყო კურიოზული შემთხვევებიც: ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მცველ გემეზაშვილს „ბურსასპორში“ დასარჩენად თურქეთის მოქალაქეობა და მუსლიმანობის მიღება მოსთხოვეს.



რეზო ქემოკლიძე

მას შემდეგ ათასი ჯურის „მენეჯერი“ ცდილობდა თურქული კლუბების ქართველებით მოხიბლვას, მაგრამ ქვეყნის მდიდარ კლუბებს საშუალო დონის ქართველი ფეხბურთელები რომ არ დასჭირდებოდათ, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. გიორგი დემეტრაძემ კი „ბეშიქთაშის“ მიწვევა უარყო — ეს ხალხი უპიროებად არიან ცნობილი და არანაირი სურვილი არ მაქვს, მოტყუებული დავრჩეო.

შობა დღეს, 7 იანვარს კი თურქეთის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ქოჯაელსპორს“ სოლიდური ქართული ტრიო მიადგა: ქუთაისის „ტორპედოსა“ და საქართველოს ნაკრების წევრები გივი დიდავა, რეზო ქემოკლიძე და ყოფილი ტორპედოელ-ალანიელი თავდამსხმელი გია იმედაძე. თურქები ეროვნული პირველობის პირველი წრის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნენ, ფინანსები მდიდარი ევროპული ქვეყნებიდან ძვირადღირებულ მოთამაშეთა ჩამოყვანა-დახმარების იმედს ართმევთ და ამიტომაც მიმართეს საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის ხელმძღვანელობას, დაეთმოთ მათთვის სასურველი ფეხბურთელები.

როგორც ჩანს, „ქოჯაელსპორის“ ხელმძღვანელობა ქართველი ფეხბურთლებისკენ დიდი ხანია იმზირება, რადგან მათი მხედველობის არეში მოექცა კიდევ ორი მოთამაშე — „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი გია კვარაცხელია და თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია, თუმცა, კვარაცხელიას ეს ინფორმაცია აოცებს, — ჩემთვის ასეთი რამ არავის უთქვამსო. ასეა თუ ისე, გია დღესაც „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს.

ზაზა ჯანაშია კი ჯერ მოსკოვიდან საქართველოშიც არ ჩამოსულა. ეს თავქარიანი თავდამსხმელი „ლოკომოტივის“ პირველ ვარჯიშებზე არ გამოჩენილა, თუმცა თურქული გუნდის საიტის ინფორმაციით, „ქოჯაელსპორის“ მწვრთნელი მისით ძლიერ ყოფილა დაინტერესებული.

სავარაუდოდ, შეთანხმების შემთხვევაში ქუთაისური ტრიო თურქულ კლუბში ჩაირიცხება, მაგრამ მოსკოვში თანამეგობრობის ტურნირზე მაინც დაეხმარებიან „ტორპედოს“. ასეთია „ტორპედოს“ ხელმძღვანელობასთან მათი შეთანხმება, თუმცა თავად ლიდერების ასეთი მასობრივი გაყიდვის მცდელობა გვაფიქრებს, ხომ არ ჩაიქნიეს ხელი ქუთაისური კლუბის მეპატრონეებმა ჩემპიონობაზე? ფაქტია, რომ „დინამო“ წლევანდელი პირველობის უპირობო ფავორიტია.



გივი დიდავა

ეჭვებს უფრო ის ფაქტიც აძლიერებს, რომ „ტორპედოს“ კიდევ ერთი ფეხურთელი, რომან ახალკაცი მოსკოვის „სპარტაკში“ ისინჯება; ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე, მალხაზ ასათიანი კი შესაძლოა მალე იმერელთა უშუალო კონკურენტი აღმოჩნდეს.

უკვე ერთი წელია, 21 წლის ნახევარმცველს თბილისის „დინამო“ „უთვალთვალებს“, თუმცა კონკრეტულ შეთანხმებაზე არაფერი თქმულა. მხოლოდ ახლახან „დინამოში“ მმართველ დირექტორად დანიშნულმა დავით პეტრიაშვილმა სცადა „ტორპედოსთან“ მოლაპარაკების წამოწყება. კულუარული ინფორმაციით, ქუთაისელები შიდა ტრანსფერების რეკორდის მოხსნას აპირებენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „დინამო“ უფრო მეტს გადაიხდის ასათიანში, ვიდრე 1997 წელს მიხეილ აშვეთიას ტრანსფერში. ეს ოპერაცია კი 360 ათას დოლარად შეფასდა.

და მაინც, ზემოთ გამოთქმული ვერსია ნაკლებ სარწმუნოა — „ტორპედო“ ჩემპიონობის ამბიციას ასეთი დანაკლისის მიუხედავადაც არ შეელევა. თანხების დაგროვების შემთხვევაში „ტორპედო“ ახალი მოთამაშეების ყიდვას აპირებს. არ არის გამორიცხული, ასათიანის საფასურად „დინამოსგან“ ხურდაში რამდენიმე მოთამაშეც მიიღოს. ასეთი შესაძლებლობა „ტორპედოს“ მეპატრონეს დიმა რამიშვილს რეალურად მიაჩნია.

კობიაშვილის მოლოდინი დასასრულს მიუახლოვდა. ევროპულ გრანდებში გადასვლაზე ოცნებას („ინტერი“, „ბაიერნი“, „აიაქსი“) 25 წლის ქართველმა ფეხბურთელმა დიდი ხანია თავი ანება. მისი ამჟამინდელი კლუბი, „ფრაიბურგი“ ლიდერს ვერ ელეოდა. თუ რას ნიშნავდა ფოლკერ ფინკეს გუნდისთვის კობიაშვილი, მისი სტატუსიც მეტყველებს: ლევანმა უცხო ქვეყანაში, თანაც გერმანიაში, კაპიტნის სამკლავური მოირგო.



კობიაშვილის ტრანსფერზე 2002 წლის ზაფხულის შესვენებაზე გერმანულ გაზეთებში ბევრს წერდნენ. თუკი ზე რობერტოს ვერ იყიდდა, „ბაიერნი“ ქართველის აყვანას აპირებდა. ბრაზილიელის მაშინდელი გუნდი ლევერკუზენის „ბაიერი“ კი მის შემცვლელად კობიაშვილს მოიაზრებდა. ჩვენთვის და ლევანისთვის სამწუხაროდ, არც ერთი შესაძლო ტრანსფერი არ განხორციელდა. ჩაილურის წყალი დალია „კაიზერის“ მცდელობამაც და იმედგაცრუებული დარჩა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი. მისი უმძიმესი ფსიქოლოგიური მდგომარეობა აშკარად გამოჩნდა თურქეთისა და შვეიცარიის ნაკრებებთან „შინდისფერთა“ დაპირისპირების დროს. ლევანი საკუთარი თავის აჩრდილსღა ჰგავდა, მაგრამ მალე მოეგო გონს და მეორე ბუნდესლიგაში ძველებურად ათამაშდა, შესაძლოა, კურიოზულადაც ჩანდეს ის ფაქტი, რომ კობიაშვილი ექვსი გატანილი პენალტით „ფრაიბურგის“ საუკეთესო ბომბარდირებში აღმოჩნდა და მისი წყალობით ტრავმირებული იაშვილის არყოფნა გუნდს არ ეტყობა.

და მაინც კობიაშვილი „ფრაიბურგში“ ყოფნას ვერ ეგუება... პარალელურად ამოქმედდა მოსკოვის ცსკა-ს მწვრთნელი ვალერი გაზაევიც, რომელიც ჯერ კიდევ შარშანდელი იანვრიდან აპირებს ყოფილი მოთამაშის ამბიციამოძალებულ გუნდში გადაბირებას. ქართველ ფეხბურთელებთან და ჩვენს კულუარებთან გაშინაურებულმა გაზაევმა მშვენივრად იცოდა კობიაშვილის გასაჭირი და ახლა დრო იხელთა, „ფრაიბურგთან“ მოლაპარაკებები განაახლა და როგორც ჩანს, წარმატებულადაც. ამას ადასტურებს გაზაევისა და კობიაშვილის საჯარო განცხადებებიც, რომლის თანახმადაც არც ერთი არ არის თანამშრომლობის წინააღმდეგი. არადა, ჯერაც მოუგვარებელ ტრანსფერამდე მსგავს სითამამეს ყველა ერიდება. სხვათა შორის, სანდო წყაროს მტკიცებით, ტრანსფერი უკვე გაჩარხულია და ახლა მოლაპარაკებები მხოლოდ კობიაშვილის პირად კონტრაქტზე მიმდინარეობს.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჭაობიდან ამოსვლასა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ოცნებობს, რაც უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ მაინც იბადება კითხვები: რა სარგებლობას მოუტანს კობიაშვილს აწყობილი, დალაგებული ქვეყნიდან ჩამორჩენილ ქვეყანაში (და შესაბამისად, საფეხბურთო გუნდში) გადასვლა? მართალია, „ცსკა“ რუსეთის ვიცეჩემპიონია, მაგრამ გაზაევის „ილეთების“ კარგად მცოდნეთ ეჭვი ეპარებათ, რომ მოსკოველი არმიელები მეორე ადგილს წესიერი გზით მიაღწევენ. გაზაევის ფინანსურ „ოპერაციებზე“ პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული სატურნირო სასწაულები მხოლოდ დილეტანტებისთვის არის უცნობი.

მოკლედ, სასოწარკვეთილი კობიაშვილი ხომ არ აჩქარდა? იმედია, ჩვენი ეჭვები არ ახდება და საქართველოს ნაკრებში კვლავ მოფერიანებულ ნახევარმცველს ვიხილავთ.

***გვერდი მოამზადა***
***ზვიად კალანდაძემ***

# ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ * ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ * ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

**ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲐ** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №1 (327) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

წლის პირველ რეიტინგს 743 მკითხველი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 307-მა ქალმა და 434-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ?"**

სიმღერის პოპულარობა მის სიყვარულსაც მოიცავს, სწორედ მსმენელის სიყვარულმა გახადა პოპულარული „ერისიონის" მიერ შესრულებული „შატილის ასული" („ქართული ლეგენდა"). რესპონდენტთა 47-მა დაუწერა ამ სიმღერას მაქსიმალური — 8 ქულა, მინიმალური — 1 ქულით კი მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,4) შეაფასა. **6,99** საშუალო ქულით „შატილის ასული" პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა დასაწყისშივე ჰიტად ქცეული უცნობის „ვაგონი მიქრის", საშუალო ქულაა 6,93. მაქსიმალური — 8 ქულა რესპონდენტთა 44-მა მიაკუთვნა.

თიკა ჯამბურიასა და დათო ხუჯაძის დუეტი მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 4,41. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ქულით „ცისარტყელები" მკითხველთა მხოლოდ 1-მა შეაფასა და ამ ნიშნით იგი მეექვსე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, გასულ წელს შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობდნენ „ფორტეს" „პოპური", მარიკა თხელიძის „პოპური" და სალომე გასვიანის „მიფრინავს დრო".

მართლაც მშვენიერ შემსრულებლებს — მარიკასა და სალომეს კი გვინდა შევახსენოთ, რომ ისინი ჯერ პატარები არიან, წარმატებები და აღიარება ნამდვილად ელოდებათ წინ... ვუსურვებთ, მომავალ წელს მათი სიმღერები მოქცეულიყოს რეიტინგის სათავეში.

## ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დამთხვა. ჩვენი პრიზიორი რეიტინგში უკვე მრავალგზის გამარჯვებული 65 წლის თბილისელი **ᲠᲔᲖᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ,** რომელიც ყოველთვის რამდენიმე ბარათით მონაწილეობს ჩვენს კონკურსში და ამ რეიტინგშიც ოთხი ბარათით მიიღო მონაწილეობა.

ვულოცავთ ბატონ რეზოს და პრიზის — 200 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში 15 იანვარს, 17 საათზე.

## №2 (328) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ"** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ᲚᲐᲠᲘ**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ"** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ მკითხველის ლოტერეაში.

№2 (328) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 15 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 16 იანვრის 13 საათამდე.

© თბილისი

**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!** ამიერიდან საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად დაიბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათები.

### მკითხველის ლოტერეის პრიზი

გასული წლის ყველაზე ხმაურიანი ადამიანი საქართველოში

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიხეილ სააკაშვილი | 48 % |
| 2. | შალვა ნათელაშვილი | 19 % |
| 3. | გურამ შარაძე | 16 % |
| 4. | პიტერ შოუ | 5 % |
| 5. | ვახტანგ რჩეულიშვილი | 3 % |
| 6-7. | გიორგი კანდელაკი | 2 % |
| 6-7. | ბასილ მკალავიშვილი | 2 % |
| 8-10. | პეტრე ცისკარიშვილი | 1 % |
| 8-10. | ბადრი პატარკაციშვილი | 1 % |
| 8-10. | ედუარდ შევარდნაძე | 1 % |

როგორც ვხედავთ, ათეულში უმრავლესობა პოლიტიკის — ხმაურიანი სფეროს ხმაურიანი წარმომადგენლები არიან. მათ გარდა კი დასახელდნენ: დუტა, უცნობი, ჯუმბერ ლეჟავა, ლელა წურწუმია, ზვიო...

ხმაურიანი ადამიანის დასახელება მკითხველთა 1%-ს გაუჭირდა.

*მკითხველის რეიტინგში 635 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

**ᲗᲔᲛᲐ №2 (328) — ᲜᲘᲜᲝᲝᲑᲐ**
**ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

| №2(328) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი | | |
|---|---|---|
| № | | ქულა |
| 1 | ნინო ქათამაძე — მომღერალი | |
| 2 | ნინო ბურჯანაძე — პოლიტიკოსი | |
| 3 | ნინო თარხან-მოურავი — მსახიობი | |
| 4 | ნინო სალუქვაძე — მსროლელი | |
| 5 | ნინო ჩხობაძე — მინისტრი | |
| 6 | ნინო ანანიაშვილი — ბალერინა | |
| 7 | ნინო ქაჯაია — ტელეჟურნალისტი | |
| 8 | ნინო სუხიშვილი — მოცეკვავე | |

### მკითხველის ლოტერეა

რომელ რადიოს უსმენთ ყველაზე ხშირად?

✓ ________________

### ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ________________

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

ᲐᲡᲐᲙᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:

1. ვაჟა გავაშელი — „ეს რა ჩაიდინე" — 161 ხმა
2. დაჩი გრძელიშვილი — „შობის დღესასწაული და თავისუფლება ამერიკულად" — 74
3. გიზო ნიშნიანიძე — „საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!" — 72
4. მარინა ბაბუნაშვილი — „სიცოცხლე, რომელიც უფლის ნებით გადარჩა" — 59
5. მარინა მამისაშვილი — „კაცი, რომელიც სოხუმის „სპეცნაზის" უფროსის გატაცებას აპირებს" — 43



„მკითხველის პრემიის" ლაურეატი რუბრიკა „ვერსიის" ავტორი **ᲕᲐᲟᲐ ᲒᲐᲕᲐᲨᲔᲚᲘᲐ.**

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 587-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***

# ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ © • ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ •



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

________________

ᲓᲘᲓᲘ ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ...

**რ.გ.** — მიშა, გაიგე, ადამიანის კლონირება დაუწყიათ უკვე!
**მ.ს.** — ვაიმე, ეს თუ შევარდნაძემ გაიგო!

***კოკა, დრანდა***

**ᲖᲕᲘᲝ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ** — „რას მიპარჭყამ ხელებსა?!"

***გია გლდანელი***

**რ.გ.** — ბატონო მიხეილ, ახალი წელი მოვიდა!
**მ.ს.** — მოვრჩები სიტყვას და მივიღებ, არ მცალია ჯერ!!!

***ქ. კოდუა, თბილისი***

**მ.ს.** — ჩემო რომან, როცა საქართველოს ფულს განაგებდი, მაშინ სხვა პარტიაში იყავი, ახლა კი უფულო ჩემს პარტიაში არ მინდა.
**რ.გ.** — მიშა, სხვათა შორის, მაშინ შენც იმ „სხვა" პარტიაში იყავი.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

**რ.გ.** — მიშა, ახალი რა იცი შევარდნაძისა და ზოდელავას შესახებ?
**მ.ს.** — ანეკდოტები, რომან, ანეკდოტები!

***ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

ერთმა კუპონით „ჩაგვხადა",
მეორემ ამბიციებით,
ერთმანეთს ჰგვანან ორივე
„დიდ ბაბუს" გამოზრდილები.

***გუგუა კალმახელიძე***

**რ.გ.** — აგრე რამ გამოგაშტერა, ლეიბორისტთა დასმულო, შენთან „ბაბუმ" გამომგზავნა, უნდა გაგილაწუნო.

***ია შურღაია, თბილისი***



მიხეილ სააკაშვილი, რომან გოცირიძე

**მ.ს.** — ღმერთო რა შეგცოდე?
**რ.გ.** — დაგავიწყდა სმკ?

***კარლო უთურგაიძე, თბილისი***

**მ.ს.** — ჩემ გვერდზე რომ თეთრი დროშა იყო, სად წავიდა?
**რ.გ.** — შარაძემ აგვაცალა ეგეც და ყველა ის დროშაც, შენ რომ სახურავზე დაკიდე. ახლა ველარ ჩამოდის, დგას და იმ თეთრ დროშას იქნევს, მიშველეთო.

***გიორგი დადიანი, ბორჯომი***

## ფოტო განწყობისთვის



ჭეკეკოები

## ხანდახან ცოლი ზედმეტია

შობა-ახალიწლის გატარება მიღებულია ოჯახურ წრეში. მაგრამ, ხანდახან ოჯახიდან „გაქცევაც" შეიძლება. მაგალითად, ახალ წელს დუგლასებმა თავიანთი მანდილოსნები შინ დატოვეს, თავად კი, ნიუ-იორკის რესტორანს „Harry Cipriani"-ს მიაშურეს, სადაც შესანიშნავი დრო გაატარეს მეორე ნახევრების გარეშე.



## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



18/I სავსე მთვარე

მაგნიტური დღეებია:

16/I-ის 23-დან

17/I-ის 01 საათამდე

17/I

8-დან 11 საათამდე

* * *



— მიხავ! რა ხდება შენს ოჯახში? შენი სიდედრი უკვე მესამედ მოიწამლა ამ თვეში სოკოთი!

— ეს სულ მაგის სკლეროზია! სოკოს ჩემთვის ამზადებს, მერე ავიწყდება და თვითონ მიირთმევს!!!



**თარაზულად:** სპილოს წინაპარი; 3. წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა, დადგენილი იაპონური ჩაის სმისას; 6. სპორტული ტანვარჯიშის იარაღი; 7. თვალის ფერადი გარსი; 8. დაბალი დიპლომატიური რანგი; 9. საერთაშორისო კავშირი, გაერთიანება; 12. ხომალდის ანძაზე მიმაგრებული მკვრივი ტილო; 15. ქართველი საბჭოთა მწერლის დავით მელიტონის ძე ჩხეიძის ფსევდონიმი — ... ჩიანელი; 17. მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ვარდისებრთა ოჯახისა, რომელსაც არასწორად მარწყვს უწოდებენ; 18. უცხო სახელმწიფოს ფული; 19. თვალის გარეთა ნაწილი დაწვის თავიდან ქვედა ქუთუთომდე; 21. იგივეა, რაც მოსამართლე; 23. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 25. თვითმფრინავზე ასასვლელი კიბე; 26. კინოფილმი ბულგაკოვის ნაწარმოების მიხედვით; 27. აფხაზეთის სახელწოდება აფხაზურ ენაზე; 28. ქიმიური ელემენტის სახესხვაობები, რომლებსაც პერიოდულ სისტემაში ერთი და იგივე ადგილი უკავიათ, მაგრამ განსხვავდებიან ატომური მასებით; 29. „ამომავალი მზის ქვეყანა".

**შვეულად:** 1. ორი ან რამდენიმე ასოსგან შექმნილი ნიშანი (ნახატი); 2. რაიმე მიზნის მისაღწევად ფარული, საძრახისი ქმედების, ხრიკების მომწყობი; 3. „ბარსელონას" ჰოლანდიელი ფეხბურთელი; 4. პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობა, ანუ ...; 5. მართვადი აეროსტატი; 10. მდიდრული ცხოვრების ერთ-ერთი სიმბოლო; 11. სამხრეთ-ამერიკული სირაქლემა; 13. პეტრარკას სატრფო; 14. ნახევრად ძვირფასი ქვა; 15... ჯონსის ინდექსი; 16. „გიხაროდეს მარიამ" — „... მარია"; 20. აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაო აღიარებისაგან და ეწინააღმდეგება საღ აზრს; 21. საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი; 22. დახურული ტიპის სასწავლებელი; 23. საღებავი ნივთიერება, რომელსაც იღებენ ენდროს ფესვებისაგან; 24. გარკვეული კლასის შეხედულებათა სისტემა.

შეადგინა რამაზ ალანიამ

ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

ყურადღება!

„კვირის პალიტრა" სათანამშრომლოდ იწვევს ჟურნალისტს, ეკონომიკის რუბრიკაში სამუშაოდ. აუცილებელია ეკონომიკური განათლება.

☎ 33-50-32




ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

② უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№2 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 16 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ¢518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".